



საქართველოს სოფლის  
მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემია

**Georgian Academy of Agrikultural  
Sciences**

**წლიური ანგარიში  
2014**

თბილისი  
2015

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია სისტემატურად აქვეყნებს თავისი საქმიანობის წლიურ ანგარიშებს, რომელშიც ფართოდ არის განხილული ყველა ის ორგანიზაციული, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საკითხები, რომლებიც ეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მიმართულებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის მოღვაწეობის ანგარიშში ასახულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებისა და მისი წევრების სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობა.

ანგარიში მოამზადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა დეპარტამენტმა აკადემიის წევრების, აკადემიის აკადემიური საბჭოს, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების და ადმინისტრაციული დეპარტამენტის აპარატის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

**რედაქტორი:**

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე,  
საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

**რედაქტორის მოადგილე:**

აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე,  
საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

**ISSN 2298-0105**

დაიბეჭდა შპს “დარბევში”.  
ტირაჟი – 120.

№	შინაარსი	გვ.
	რედაქტორისაგან -----	6
	შესავალი -----	9
	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის წევრია -----	13
	მილოცვა -----	13
თავი 1.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) და წევრ-კორესპონდენტების შემადგენლობა 2014 წლის 31 დეკემბრისათვის -----	14
თავი 2.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო -----	39
2.1.	სსმმა-ის აკადემიური საბჭოს შემადგენლობა -----	39
2.2.	სსმმა-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის სამუშაო გეგმა -----	41
2.3.	სსმმა-ის აკადემიური საბჭოში განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა -----	48
თავი 3.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო და ადგილობრივ აგრარული მიმართულების ორგანიზაციებსა და ფერმერებთან თანამშრომლობა -----	53
3.1.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობა საერთაშორისო სტრუქტურებთან -----	53
3.2.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2014 წელს ჩატარებული ღონისძიებები -----	62
3.3.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმები -----	82
თავი 4.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია -----	95
4.1.	კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი -----	95
4.2.	კონფერენციის სარედაქციო კოლეგია -----	96

4.3.	კონფერენციის შინაარსი -----	97
4.4.	კონფერენციის პროგრამა -----	101
4.5.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება” (კონფერენციის მსვლელობა) -----	128
თავი 5.	კონფერენციის პროგრამული და ფინანსური ანგარიში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორები -----	143
5.1.	სსმმა-ის ეროვნული კოორდინატორების დებულება ---	151
5.2.	სსმმა-ს ეროვნული კოორდინატორები და მუშა ჯგუფები -----	153
5.3.	ფერმერთა დახმარების ღონისძიებები -----	178
თავი 6.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები -----	180
6.1.	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება -----	180
6.1.1.	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების სამუშაო გეგმები -----	181
6.1.2.	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის ღონისძიებების გეგმა -----	184
6.1.3.	განყოფილების წევრების მოკლე ანგარიშები -----	188
6.2.	მეცხოველეობის, საკვებწარმოების, ვეტერინარიის და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება -----	244
6.2.1.	მეცხოველეობის, საკვებწარმოების, ვეტერინარიის და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების სამუშაო გეგმები -----	244
6.2.2.	მეცხოველეობის, საკვებწარმოების, ვეტერინარიის და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის ღონისძიებების გეგმა -----	246
6.2.3.	განყოფილების წევრების მოკლე ანგარიშები -----	249
6.3.	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება -----	260
6.3.1.	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების სამუშაო გეგმები -----	260
6.3.2.	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის ღონისძიებების გეგმა -----	262
6.3.3.	განყოფილების წევრების მოკლე ანგარიშები -----	264
6.4.	სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება -----	282

6.4.1.	სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების სამუშაო გეგმები -----	283
6.4.2.	სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის ღონისძიებების გეგმა -----	283
6.4.3.	განყოფილების წევრების მოკლე ანგარიშები -----	285
6.5.	<b>ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება -----</b>	<b>300</b>
6.5.1.	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების სამუშაო გეგმები -----	300
6.5.2.	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის ღონისძიებების გეგმა -----	301
6.5.3.	განყოფილების წევრების მოკლე ანგარიშები -----	304
	<b>აკადემიკოს ოთარ ზარდალიშვილის გახსენება -----</b>	<b>340</b>
	<b>აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ღორჯომელაძის გახსენება -----</b>	<b>341</b>
	<b>აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ კილასონიას გახსენება -----</b>	<b>342</b>
	<b>აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ომარ (დათო) ბედიას გახსენება -----</b>	<b>343</b>

## რედაქტორისაგან

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დამუშავდა პროგრამა „ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა და მათი გადაწყვეტის გზები (2014 – 2020 წწ)“. ამ პროგრამაზე ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა აკადემიის მთელი კოლექტივი და 110 გვერდზე მომზადებული დოკუმენტი ჯერ განხილული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე, ხოლო შემდეგ ჩვენი აკადემიის, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივ საერთო კრებაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტებიც.

საბოლოოდ დოკუმენტი ხელმოწერილ იქნა ორი აკადემიის პრეზიდენტების მიერ და იგი გადაეგზავნა შემდგომი რეაგირებისათვის პრემიერ მინისტრს და პარლამენტს.

პროგრამაში აღნიშნული მნიშვნელოვანი მომენტები შემდეგია: ობიექტური მიზეზების გამო, საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოება შეზღუდულია (არასაკმარისი სახნავი მიწები, ვერტიკალურობა, სხვადასხვა ეკოლოგიური პირობები, ტრადიციები და ა.შ. ); აქედან გამომდინარე შევეცადეთ რეალურად შეგვეხედა ამ პრობლემებისათვის. საქართველოს მინიმალური მოთხოვნილებაა ყოველწლიურად 700 ათასი ტონა ხორბალი; 2012 წელს 50 ათას ჰა-ზე ქვეყანამ აწარმოა 81 ათასი ტონა ხორბალი. გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ თუ ხორბალს დავთესავთ 120 ათას ჰა-ზე (რისი რესურსებიც ქვეყანას გააჩნია) და გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები, მაშინ 2017 წელს მივიღებთ 300 ათას ტონა ხორბალს (საშუალო მოსავლიანობა 25 ცენტნერი), ხოლო 2020 წელს, კი - 360-380 ათას ტონას (საშუალო მოსავლიანობა 30–32 ცენტნერი). შემდგომში მაღალმოსავლიანი ჯიშების და პროგრესული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, კიდევ შეიძლება ხორბლის წარმოების გაზრდა და აქ მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო ორგანიზაციების (ICARDA, CYMIT) დახმარება, რომლებიც აქამდეც აქტიურად გვეხმარებოდნენ და გვამარაგებდნენ ახალი ჯიშებით და ტექნოლოგიებით. საბოლოოდ, პერსპექტივაში მიზანშეწონილია ხორბალი დაითესოს 120 ათას ჰა-ზე, სიმინდი 200 ათას ჰა-ზე, ქერი 60 ათას ჰა-ზე, მზესუმზირა 30 ათას ჰა-ზე, ღობილი 5 ათას ჰა-ზე და ა.შ.

ყოველივე ეს მოგვცემს საშუალებას, 2020 წელს მარცვლეული კულტურების რაოდენობამ მიაღწიოს 1280-1300 ათას ტონას, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით მოგვცემს 78-82 კგ ხორბალს (რაც 4,3 – 4,5 ჯერ მეტი იქნება დღევანდელ მაჩვენებლებზე), 174 კგ სიმინდს (რაც 2,3 ჯერ მეტია ვიდრე 2012 წელს) და ა.შ.

ყველა ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენი ხალხის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას და გადაწყვეტენ ჩვენს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს. მნიშვნელოვანი პოზიტიური ფაქტორია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღადგინა სუბიექტური მიზეზებით ანულირებული ჯიშთა გამოცდის სისტემა.

როგორც ცნობილია, მაღალი მოსავლის მისაღებად და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ფაქტორებია ეკოლოგიური ფაქტორები. ამ მიმართულებით საქართველოში, განსაკუთრებით 2014 წელს, შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ჩვენ არა ერთხელ ავღნიშნეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში და ნაწილობრივ სამხრეთშიც, 3,0 ათას ჰა ტერიტორიაზე შეიმჩნევა გაუდაბნოების პროცესის დაწყება. 2014 წელს გაუდაბნოების პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა და იგი გავრცელდა იმ ტერიტორიებზე, სადაც მოგვყავს საუკეთესო ჯიშების ხორბალი და გაშენებულია მაღალხარისხოვანი ვენახი.

სიღნაღის რაიონში, სადაც გასულ წელს ხორბლის მოსავალმა მიაღწია 47-48 ათას ტონას, 2014 წელს 70—80% განადგურებულია, 5 ათას ჰა-ზე საშუალო მოსავალი შეადგენს 200-400 კგ/ჰა-ზე, ხოლო 5 ათას ჰა-ზე მოსავალი 100%-ით დაიღუპა. ანალოგიური სიტუაცია იყო მევენახეობის მიმართულებაშიც. 2013 წლის ყურძნის მოსავალმა ამ რაიონში შეადგინა 25 ათასი ტონა, ხოლო 2014 წელს მოსავალი დაახლოებით 50 %-ით შემცირდა. წლის ბოლოს ქვეყნის ხელისუფლებამ ეს რაიონი ეკოლოგიურ კატასტროფის ზონად გამოაცხადა და განახორციელა აღნიშნული რაიონების მომარაგება სასმელი წყლით გადასაადგილებელი ცისტერნების საშუალებით, ხოლო სარწყავი წყალი კი ისევ არ იყო და ნიადაგი არ ირწყვებოდა. ასე, რომ პროგნოზი არასახარბიელოა.

გაითვალისწინა რა ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დახმარებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო

განვითარებაზე“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 140-ზე მეტმა მეცნიერმა სხვადასხვა ქვეყნიდან, აგრეთვე შუა აზიიდან, სადაც ზემოთაღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას.

ფიქრობთ, რომ ეს საკითხი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას და თუ ICARDA – ს ხელმძღვანელობით დამუშავდება შესაბამისი პროექტი, იგი მნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება როგორც შუა აზიის, ასევე ამიერკავკასიის რეგიონებისთვისაც.

შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებაა აგრობიომრავალფეროვნება და გენეტიკური რესურსების დაცვა. აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად ჩვენს აკადემიაში ჩამოყალიბდა „აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი“, სადაც შევიდნენ ყველა ის მეცნიერები, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. დღეისათვის მთავრდება ნაშრომის მომზადება, სადაც შესულია ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მცენარეების, მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვის, ღორების და ფრინველების ჯიშები და სხვა. მასალები გამოქვეყნდება ქართულ, ინგლისურ, რუსულ და ლათინურ ენებზე. აღნიშნული ნაშრომის ავტორია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ზემოთაღნიშნული ნაშრომის წიგნის სახით ორ ტომად გამოცემა.

აქვე აღსანიშნავია, რომ აგრობიომრავალფეროვნების და გენეტიკური რესურსების საკითხების შესწავლისას აკადემიამ ხელშეკრულება გააფორმა სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ზემოთაღნიშნული საკითხების შესწავლისათვის ერთობლივი ექსპედიციების ორგანიზება. აღნიშნულ საკითხებზე 2014 წელს აკადემიამ ჩაატარა სამხრეთი ექსპედიციები იაპონელი, ჰოლანდიელი და რუსი მეცნიერების მონაწილეობით, მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელდება.

აკად. გ. ალექსიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი



## შესავალი

საქართველოს კანონის “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” (საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე) მე-16 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ ...“საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება სრული ავტონომიური უფლებით და სახელმწიფო დაფინანსებით, ქვეყანაში აგრონომიულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულების განმსაზღვრელი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში”.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-2 თავის მე-4 მუხლის მიხედვით საქართველოს კანონში მითითებული ვალდებულებების შესასრულებლად აკადემიის მიზნებია:

ა) საქართველოში აგრარული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა;  
ბ) ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების წარმოება;  
გ) აგრარულ ტერმინოლოგიაზე ზრუნვა;  
დ) ქვეყანაში აგრარული მეცნიერების განვითარების გზების პროგნოზირება. მსოფლიო მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებათა შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მთავრობაში წარდგენა;

ე) ქვეყანაში წარმოებული მეცნიერული კვლევების შედეგების ექსპერტიზა;  
ვ) მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისთვის გაცნობა და აგრარიკოს მეცნიერთა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა;  
მუხლი 5. თავისი მიზნების განსახორციელებლად აკადემია:

ა) ეწევა სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერტული ხასიათის საქმიანობას. შესაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად, საჭიროების შემთხვევაში, აყალიბებს და ხელმძღვანელობს დროებით შემოქმედებით ჯგუფებს, სამეცნიერო-კვლევით კოლექტივებს;

ბ) იხილავს და აფასებს აგრარული სფეროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებს და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია, ხოლო ექსპერტიზის შედეგი აცნობოს ამ ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროებს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს;

გ) ატარებს სამეცნიერო საქმიანობისა და ნაშრომების ექსპერტიზას. აწეობს სამეცნიერო დისკუსიებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს;

დ) გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, ახორციელებს სამეცნიერო ლიტერატურის საერთაშორისო გაცვლას;

ე) ეწევა სამეცნიერო მიღწევათა და მეცნიერული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას; ატარებს საჯარო ლექციებს საგანმანათლებლო სამეცნიერო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და უწყებებში;

ვ) უფლებამოსილია გახდეს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი; ამყარებს კავშირებს მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან და სამეცნიერო ცენტრებთან;

ზ) კოორდინაციას უწევს სამეცნიერო დაწესებულებების კვლევით საქმიანობას;

თ) ანიჭებს წლის საუკეთესო აგრარული პროფილის სამეცნიერო დაწესებულებისა და საუკეთესო აგრარიკოს-მეცნიერის ტიტულს და გასცემს ჯილდოებს;

ი) ახორციელებს აკადემიის ამოცანებთან დაკავშირებულ სხვა, მათ შორის დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საანგარიშო წელს ზემოთ აღნიშნული კანონის უზენაესობის დაცვა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების მუხლების შესრულება დაევალოთ იმ თვალსაჩინო აგრარიკოს-მეცნიერებს, რომლებიც დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ – აკადემიის 31 ნამდვილ წევრს და აკადემიის 9 წევრ-კორესპონდენტს, სულ 40 მეცნიერს და აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს – აკადემიურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს და ხუთ დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებებს.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ აკადემიის შესახებ კანონში ცვლილებებია შესატანი, ვინაიდან აკადემია გადასულია მიღვევად რეჟიმში და მისი შევსება ახალგაზრდა თვალსაჩინო მეცნიერებით არ ხდება; კანონის 16<sup>1</sup> მუხლის მე-11 პუნქტში მითითებულია, რომ „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) საერთო რაოდენობა არ აღემატება ოცდაათს. ამ კანონის ამოქმედებიდან წყდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში წევრ-კორესპონდენტების არჩევა“. 2004 წლის შემდეგ, როდესაც აკადემიის შემადგენლობაში იყო აკადემიის 31 ნამდვილი წევრი და აკადემიის 24 წევრ-კორესპონდენტი, დღეისათვის აკადემიკოსების წევრების რაოდენობა 28%-ით შემცირდა; მარტო საანგარიშო წელს აკადემიის რიგებს გამოაკლდა ერთი ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და სამი წევრ-კორესპონდენტი; არსებული კანონის შედეგად ახალი წევრებით აკადემიის რიგების შევსება არ მოხდა.

მეცნიერების, აკადემიური დეპარტამენტისა და დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებების გამოცდილებებისა და მეცნიერული ღირებულებების გათვალისწინებით შესრულდა წინამდებარე ნაშრომი, რომელიც რედაქტორის წერილის, აკადემიური დეპარტამენტის განმარტების და 6 თავისაგან შედგება.

ანგარიშის დასაწყისში აღნიშნულია იმ წარმატების შესახებ, რომელსაც საანგარიშო პერიოდში მიაღწია აკადემიამ – იგი გახდა ევროპის სოფლის მეურნეობების აკადემიების სრულუფლებიანი წევრი.

აგრეთვე ანგარიშის დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აგრარიკოს მეცნიერების სახელით ულოცავს აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოებას მეღვინეობა-მევენახეობის სამეცნიერო დარგში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

ბატონ ნოდარს ორდენი და სიგელი გადასცა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მთავარეპისკოპოსმა მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტმა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, ილია II.

ანგარიშის პირველი თავი ეთმობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) და წევრ-

კორესპონდენტების შემადგენლობას 2014 წლის 31 დეკემბრისათვის და მათ მოკლე ბიოგრაფიულ ინფორმაციებს.

მეორე თავში წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში აკადემიის აკადემიური საბჭოს საქმიანობა, მისი შემადგენლობა, აკადემიური საბჭოს 2014 წლის სამუშაო გეგმა და სხდომებზე განხილული მნიშვნელოვანი საკითხები, საკანონმდებლო ინიციატივებზე მიღებული დადგენილებები და რეკომენდაციები, რომლებიც სათანადო რეაგირებისათვის გადაეცათ ადრესატებს – ზემდგომ ორგანოებს. აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობა საანგარიშო წელს იყო ნაყოფიერი, ვინაიდან ჩაატარა 12 სხდომა და განიხილა 41 საკითხი აგრარული მეცნიერების და კვლევების სხვადასხვა საკითხებზე, აგრარულ საგანმანათლებლო სისტემებზე, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა აქტუალურ თემებზე. აკადემიურ საბჭოზე იხილებოდა აგრარული მიმართულების უმაღლესი სასწავლებლების წლიური ანგარიშები, აკადემიაში დამუშავებული ქვეყნის სოფლის მეურნეობის სტრატეგიული გეგმები და ა.შ. განხილულ საკითხებზე მიღებული დადგენილებები რეაგირებისათვის გადაეცათ საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, აგრარული მიმართულების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რეგიონალურ და რაიონულ ადგილობრივ მიმართულ სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვა სტრუქტურულ ერთეულებს. ანგარიშში მოცემულია აკადემიური საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა.

მესამე თავში განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო და ადგილობრივ აგრარული მიმართულების ორგანიზაციებსა და ფერმერებთან თანამშრომლობა, სსმმ აკადემიის მიერ ჩატარებული პრეზენტაციები, მრგვალი მაგიდა, სემინარები, მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს აკადემიის მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა სამხრეთ კორეაში, საფრანგეთში, ჩეხეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, ჩრდილოეთ ოსეთში (რუსეთი) და სხვა. ჩატარებული აქვს 7 სემინარი და 7 მრგვალი მაგიდა აგრარული მიმართულების სხვადასხვა დარგებში; განხორციელდა ორი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება ქ. თბილისში – საქართველოში კოოპერატიული მოძრაობის აღორძინების და ქ. გორში – მეხილეობისა და მებოსტნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

ამავე თავში განხილულია აკადემიის თანამშრომლობის საკითხები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. 2014 წელს აკადემიამ გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულებები (მემორანდუმები) კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტთან, შიდა ქართლის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტთან. მომზადდა მემორანდუმების ტექსტები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

მეოთხე თავი მთლიანად ეძღვნება აკადემიის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას თემაზე: „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“ (თბილისი, 2-3-4 ოქტომბერი, 2014 წ.), რომელიც ჩატარდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ამ ტავში მოცემულია კონფერენციის საორგანიზაციო და სარედაქციო კომიტეტების

შემადგენლობა, კონფერენციის შინაარსი, კონფერენციის პროგრამა და კონფერენციის პროგრამული და ფინანსური ანგარიში.

მესუთე თავი ასახავს აკადემიის მიერ დასახული მიზნის - „მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისთვის გაცნობა და აგრარიკოს მეცნიერთა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა“, განხორციელებას. იგი ეხება აკადემიაში ეროვნული კოორდინატორების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშებს. მოცემულია აკადემიის ეროვნული კოორდინატორების განახლებული დებულება, ეროვნული კოორდინატორები და მათი ჯგუფები, ეროვნული კოორდინატორების მიერ ფერმერთა დახმარების ღონისძიებები.

მექესე თავი ეძღვნება საანგარიშო წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების მოკლე ანგარიშებს და მათი წევრების – აკადემიკოსების და აკადემიის წევრ-კორესპონდენტების პირად ანგარიშებს, მათ რეკომენდაციებს, ხედვებსა და წინადადებებს ქვეყნის პრიორიტეტული დარგის – სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის შესახებ. ინტენსიური იყო სამეცნიერო განყოფილებების საქმიანობაც. აგრონომიულმა სამეცნიერო განყოფილებამ ჩაატარა 10 სხდომა, მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სამეცნიერო განყოფილებამ - 9 სხდომა, აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებამ - 8, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილებამ - 4, ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებამ - 6 სხდომა, რომლებზეც იხილებოდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი საკითხები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ფართოდ არის განხილული წლიურ ანგარიშში.

წლიურ ანგარიშში გარკვეული გვერდები დაეთმო იმ დეაწლმოსილი მეცნიერების, აკადემიის წევრების ხსოვნას, რომლებმაც, სამწუხაროდ, დატოვეს ეს ქვეყანა საანგარიშო წელს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მომდევნო წლებშიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ზუსტად შეასრულებს იმ მუხლებს და დებულებებს, რომელსაც მას საქართველოს კანონი “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” (საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე) ავალებს.

ჩვენ შევეცადეთ კორექტირება გაგვეკეთებინა აკადემიის წევრების მიერ წარმოდგენილ პირად ანგარიშებზე, ხოლო მათ რედაქტირებაზე თავი შევიკავეთ და ისინი რედაქტირების გარეშე შევიტანეთ წლიურ ანგარიშში; აკადემიის წევრების მიერ წარმოდგენილი მასალების უტყუარობაზე, საკითხების ანალიზზე, დასკვნებზე, შეხედულებებზე, სამომავლო პროგნოზებზე და მათ შედეგებზე პასუხისმგებელია ავტორები და მათ სამეცნიერო ღირებულებებზე აკადემიური დეპარტამენტი პასუხს არ აგებს; ნაშრომში აგრეთვე შესაძლებელია იყოს გარკვეული უზუსტობები და უმნიშვნელო შეცდომები, რაზედაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით და სიამოვნებით გავითვალისწინებთ ყველა სამართლიან მითითებას და შენიშვნას, რომელსაც ამ ნაშრომის გაცნობის შემდეგ გამოუგზავნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიურ დეპარტამენტს.

**ე. შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია  
ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის წევრია**

მიმდინარე წლის 17-19 სექტემბერს ქ. პრელაში (ჩეხეთის რესპუბლიკა) ჩატარდა ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების მე-8 გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ახალი წევრების: ინგლისის, პორტუგალიის, საქართველოს და სლოვაკეთის გაწევრიანების საკითხი. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ამ ქვეყნების წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან სიტყვით გამოვიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, რომელმაც მოკლედ ილაპარაკა აკადემიის სტრუქტურასა და ძირითად მიმართულებებზე.

**ბენერალური ასამბლეის სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა შვედეთის სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის სამეურნეო აკადემიის პრეზიდენტი პროფ. კარენ ნილსონი, ერთხმად დაამტკიცა ახალი წევრების, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის არჩევაც.**

გენერალური ასამბლეის სხდომაზე მონაწილეობდნენ: საფრანგეთის, ინგლისის, პორტუგალიის, შვედეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიტვის და სხვათა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები.

**მილოცვა**





**საქართველოს  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია  
საქართველოს აგრარიკოს მეცნიერების სახელით ულოცავს  
აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს  
საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი –  
წმინდა გიორგის ოქროს ორდენით**


დაჯილდოებას მეღვინეობა-მევენახეობის სამეცნიერო დარგში შეტანილი დიდი წვლილისათვის.



ბატონ ნოდარს ორდენი და სიგელი გადასცა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მთავარეპისკოპოსმა მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტმა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, ილია II.

თავი 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) და წევრ-კორესპონდენტების შიგნითა და გარეშე 2014 წლის 31 დეკემბრისათვის

1.1. აკადემიის ნამდვილი წევრები


<p>1.</p>		<p><b>ალექსიძე გურამ ნიკოლოზის ძე</b> დაბადების თარიღი – 30.07.1939; <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – სწავლული აგრონომი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; <b>დაკავებული თანამდებობა</b> – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; <b>სამეცნიერო წოდება</b> – პროფესორი, სსმ აკადემიის საკადემიკოსი 14.07.1992; <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 164, მათ შორის 10 წიგნი, 6 ბროშურა; <b>გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა</b> – <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</b> – “შრომის წარჩინებული” მედალი (1982 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.); ორი “გერცხლის დიდი მედალი” (2005, 2008 წწ.) დაჯილდოებულია საერთაშორისო ორგანიზაციების “სიჯიარისა” და “იკარდას” მიერ; ნ. ვაგილოვის სახელობის მედალი (2013 წ.). <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, გამსახურდიას ქ.№6, ბ.143, ტ. 2 36 00 16 (ბინა); 2 94 02 14 (სამ), 593 20 07 93 ნარეთა დაცვა. <b>მოდვაწეობის მიმართულება</b> – მცენარეთა დაცვა.</p>
<p>2.</p>		<p><b>ჯაფარიძე გივი გალაქტიონის ძე</b> დაბადების თარიღი – 06.01.1944; <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; სამართალმცოდნე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი; <b>დაკავებული თანამდებობა</b> – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი; <b>სამეცნიერო წოდება</b> – პროფესორი, სსმ აკადემიის აკადემიკოსი 18.02.2000;</p>

		<p><i>მეცნიერული შრომების რაოდენობა – 87, მათ შორის 1 სახელმძღვანელო, 1 პროექტი; გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –</i></p> <p><i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. –</i> სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლები (1974 წ.); “შრომითი წარჩინებისათვის” მედალი (1976 წ.); “საპატიო ნიშნის” ორდენი (1982 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.).</p> <p><i>ბინის მისამართი, ტელეფონი –</i> ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №64, ბ. 17. ტ. 2 22 20 47 (ბინა), 2 91 71 65, 2 91 01 14 (სამსახ.), 599 54 99 99.</p> <p><i>მოდერნიზაციის მიმართულება –</i> აგრარული ეკონომიკა, სატყეო კანონმდებლობა.</p>
3.		<p><b>ასათიანი რევაზ ნოდარის ძე</b> <i>დაბადების თარიღი –</i> 29.10.1951; <i>სპეციალობა დიპლომის მიხედვით –</i> ინჟინერ ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;</p> <p><i>დაკავებული თანამდებობა –</i> სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის მენეჯერი.</p> <p><i>სამეცნიერო ხარისხი –</i> ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;</p> <p><i>სამეცნიერო წოდება –</i> პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 16.07.2004;</p> <p><i>მეცნიერული შრომების რაოდენობა –</i> 80, მათ შორის 4 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო;</p> <p><i>გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –</i></p> <p><i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. –</i> “ღირსების” ორდენი (1999 წ.);</p> <p><i>ბინის მისამართი, ტელეფონი –</i> ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის 4/6/8/10-2 სად.ბ. 77. ბინა 2 21 34 38, 599 54 00 48.</p> <p><i>მოდერნიზაციის მიმართულება –</i> აგრარული ეკონომიკა</p>



<p>4.</p>		<p><b>ბადრიშვილი გივი გიორგის ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –12.09.1934;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> –  სწავლული აგრონომი, საქართველოს  სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> –  საქართველოს სოფლის მეურნეობის  მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს  სწავლული მდივანი.  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – სოფლის  მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – პროფესორი, სსმმ  აკადემიის აკადემიკოსი 26.04.13.  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 75,  მათ შორის 7 წიგნი;  <b>გამოგონებებისა და</b>  <b>რაციონალიზატორული წინადადებების</b>  <b>რაოდენობა</b> –  1 გამოგონება, 1 რაციონალიზატორული  წინადადება;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების</b>  <b>წოდებები და ა.შ.</b> – “საპატიო” ნიშნის ორდენი  (1973 წ.).  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ.  თბილისი, პეკინის გამზირი 17ა, ბინა 19,  ტ. 2 38 81 18 (ბინა), მ. 599 40 97 70.   <b>მოდერნიზაციის მიმართულება - მეხილეობა</b></p>
<p>5.</p>		<p><b>ბადათურია ნუგზარ შოთას ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –22.08.1945;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> –  საკონსერვო მრეწველობის ინჟინერ-  ტექნოლოგი, საქართველოს სუბტროპიკული  მეურნეობის ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> – ტექნიკური  უნივერსიტეტის კვების მრეწველობის  სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  დირექტორი;  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – ტექნიკის  მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – სსმმ აკადემიის  აკადემიკოსი 14.07.1992;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 322,  მათ შორის 5 მონოგრაფია;  <b>გამოგონებებისა და რაც. წინადადებების</b>  <b>რაოდენობა</b> –34 გამოგონება;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების</b>  <b>წოდებები და ა.შ.</b> – საქ. მინისტრთა საბჭოს</p>




		<p>პირველი პრემია (1982 წ.); სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედალი (1985 წ.); “ღირსების” ორი ორდენი (1999, 2013 წწ.);</p> <p><i>ბინის მისამართი, ტელეფონი</i> – ქ. თბილისი, რაზმაძის ქ. №57, ბინა 7, ტ. 2-22-66 46 (ბინა), 599 43 15 14.</p> <p><b>მოდვაწეობის მიმართულება</b> – სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების და შენახვის ტექნოლოგია.</p>
6.		<p><b>გუგუშვილი ჯემალ სერგოს ძე</b> დაბადების თარიღი –14.04.1945; <i>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</i> – სწავლული ზოოტექნიკოსი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი; <i>დაკავებული თანამდებობა</i> – სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; <i>სამეცნიერო წოდება</i> – პროფესორი, აკადემიკოსი 26.04.13. <i>მეცნიერული შრომების რაოდენობა</i> – 152, მათ შორის 1 მონოგრაფია, 2 სახელმძღვანელო; <i>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა</i> – 1 გამოგონება, 1 პატენტი, 1 ჯიშის გამოყვანა (ავტორი); <i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</i> -“ღირსების” ორდენი (2000 წ.);</p> <p><i>ბინის მისამართი, ტელეფონი</i> – ქ. თბილისი, დეკოს ქუჩა №19. ტ. 2 69 40 24 (ბინა), 577 41 29 23.</p> <p><b>მოდვაწეობის მიმართულება</b> – მეცხოველეობა (მებოცვრეობა).</p>
7.		<p><b>დიდებულიძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე</b> დაბადების თარიღი –30.09.1944; <i>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</i> – ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი; <i>დაკავებული თანამდებობა</i> – აგრარული უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი; <i>სამეცნიერო ხარისხი</i> – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; <i>სამეცნიერო წოდება</i> – პროფესორი, სსმმ</p>

		<p>აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;  საქართველოს მეცნიერების ეროვნული  აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა – 178,</b>  მათ შორის 11 მონოგრაფია, 3  სახელმძღვანელო.  <b>გამოგონებებისა და</b>  <b>რაციონალიზატორული წინადადებების</b>  <b>რაოდენობა –</b>  39 გამოგონება, 19 პატენტი;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების</b>  <b>წოდებები და ა.შ.</b> - “ღირსების” ორდენი (1999  წ.); საუ-ის “უმაღლესი ჯილდო“ (2013 წ.).  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი –</b> ქ.  თბილისი, კოსტავას ქუჩა 44, ბ. 18.  ტ. 2 93 28 41 (ბინა), 599 30-56-03.  <b>მოდერნიზაციის მიმართულება –</b> სოფლის  <b>მეურნეობის ელექტრიფიკაცია.</b></p>
8.		<p><b>ვასაძე იუზა შალვას ძე</b>  <b>დაბადების თარიღი –</b>27.12.1935;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით –</b>  აგრონომი-მევენახეობა, მეხილეობა  მებოსტნეობა, საქართველოს სასოფლო-  სამეურნეო ინსტიტუტი; სოფლის მეურნეობის  პროდუქტთა ტექნოლოგია, საქართველოს  სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.  <b>დაკავებული თანამდებობა –</b> მეღვინეთა,  მევენახეთა და მებაღეთა სამეცნიერო-  საწარმოო კავშირის პრეზიდენტი;  <b>სამეცნიერო ხარისხი –</b> სოფლის  მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება –</b> პროფესორი, სსმ  აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა – 142;</b>  <b>გამოგონებებისა და რაც. წინადადებების</b>  <b>რაოდენობა –</b>7 გამოგონება, 5 პატენტი;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების</b>  <b>წოდებები და ა.შ.</b> – “საპატიო ნიშნის”  ორდენი; “საპატიო ნიშნის” მედალი;  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი –</b> ქ.  თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №11, ბ.13,  ტ. 2 23 21 51 (ბინა), 577 40 76 27.  <b>მოდერნიზაციის მიმართულება –</b> მეხილეობა.</p>

<p>9.</p>		<p><b>ვაშაკიძე არჩილ აკაკის ძე</b>  დაბადების თარიღი – 30.05.1943;  სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-ელექტრიკოსი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;  დაკავებული თანამდებობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი;  სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;  სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 30.09.2003;  მეცნიერული შრომების რაოდენობა – 68; გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა – 1 გამოგონება;  სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – “საპატიო ნიშნის” ორდენი (1980 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.); მედლები და სიგელები.  ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №41, ბ. 36  ტ. .22 53 53, 577-79-91-91;  მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია.</p>
<p>10.</p>		<p><b>კაციტაძე ჯემალ ბენიას ძე</b>  დაბადების თარიღი – 26.05.1937;  სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სუპეროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;  დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი;  სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;  სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;  მეცნიერული შრომების რაოდენობა – 235, მათ შორის 5 მონოგრაფია, 6 სახელმძღვანელო;  გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა 14 გამოგონება;  სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – “ღირსების” ორდენი (1999 წ.); ორჯერ პრემირებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სანიმუშოდ</p>

		<p>შესრულებისათვის.  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, ერწოს ქ. 4 კორპ. 4, ბ. 138.  ტ. 2 61 50 76 (ბინა), 599 10 65 37.</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება</b> – სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.</p>
<p>11.</p>		<p><b>კაკაიაშვილი ვაჟა რომანის ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –29.08.1936;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> – <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04.13.  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 95;  <b>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა</b> – 3 პატენტი;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</b> – ნ. ვაჟილოვის სახ. საიუბილეო მედალი.  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, ვ.ფშაველას გამზ. V კვარტალი, კორპ. 1 ბ. ტ. 2 32 10 28 (ბინა), 593 51 15 37.</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება</b> – მეხილეობა.</p>
<p>12.</p>		<p><b>კუნჭულია თამაზ ვასილის ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –01.07.1935;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მთავარი მრჩეველი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04.13.  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 167, მათ შორის 5 მონოგრაფია;</p>

		<p><i>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –</i>  2 გამოგონება;  <i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. –</i> “ღირსების” ორდენი (2000 წ.);  <i>ბინის მისამართი, ტელეფონი –</i> ქ. თბილისის, საბურთალოს ქ. 35. I სად. ბინა 15. ტ. 2 38 29 28 (ბინა), 599 50 38 16;</p> <p><i>მოდვაწეობის მიმართულება –</i> აგრარული ეკონომიკა.</p>
13.		<p><b>მარგველა შვილი გოგოლა ნიკოლოზის ასული</b>  <i>დაბადების თარიღი –</i> 22.09.1939;  <i>სპეციალობა დიპლომის მიხედვით –</i> სწავლული აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;  <i>დაკავებული თანამდებობა –</i> საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;  <i>სამეცნიერო ხარისხი –</i> სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  <i>სამეცნიერო წოდება –</i> პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;  <i>მეცნიერული შრომების რაოდენობა –</i> 110 შრომა, მათ შორის 2 მონოგრაფია, 2 წიგნი, 8 სახელმძღვანელო;  <i>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –</i>  3 რაციონალიზატორული წინადადება;  <i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. –</i> “შრომითი მამაცობისათვის” მედალი (1970 წ.); – “ღირსების” ორდენი (2002 წ.);  <i>ბინის მისამართი, ტელეფონი –</i> ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი №8, ბ. 21 ტ. 2 38 61 34 (ბინა), 599 23 89 46.</p> <p><i>მოდვაწეობის მიმართულება –</i> აგროქიმიკონიადაგმცოდნეობა.</p>

14.



**მასარობლიძე რევაზ მეთოდეს ძე**

**დაბადების თარიღი** – 22.08.1936;

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით** – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

**დაკავებული თანამდებობა** – აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

**სამეცნიერო ხარისხი** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

**სამეცნიერო წოდება** – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.07.1992;

**მეცნიერული შრომების რაოდენობა** – 334, მათ შორის 25 მონოგრაფია და სახელმძღვანელო;

**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა** –

71 გამოგონება;

**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.** – “საბჭოთა კავშირის გამომგონებელი” სამკერდე ნიშანი; “ღირსების” ორდენი (1999 წ.); საქ. რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1994 წ.); 2006 წლის საუკეთესო მეცნიერის ვერცხლის მედალი.

**ბინის მისამართი, ტელეფონი** – ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №5ბ, ბ.,65

ტ. 2 61 60 226(ბინა), 599-53-52-82.

**მოდვაწეობის მიმართულება** – სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

15.



**ნანიტაშვილი თენგიზ სერგოს ძე**

**დაბადების თარიღი** – 04.06.1928;

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით** – ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;


**დაკავებული თანამდებობა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების პროდუქტების დეპარტამენტის სრული პროფესორი;



**სამეცნიერო ხარისხი** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

**სამეცნიერო წოდება** – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

**მეცნიერული შრომების რაოდენობა** – 188, მათ შორის 1 მონოგრაფია;

**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა** –

		<p>7 გამოგონება;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</b> – ორი “საპატიო ნიშნის” ორდენი; მედლები.  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, პეკინის ქუჩა №10, ბ. 22, ტ. 2 33 27 37 (ბინა), 599 71 55 33.</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება</b> – სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავების და შენახვის ტექნოლოგია.</p>
16.		<p><b>ნასყიდაშვილი პეტრე პავლეს ძე დაბადების თარიღი</b> – 25.11.1928;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამების მთავარი ექსპერტი;  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.07.1992;  საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 687, მათ შორის 17 მონოგრაფია, 10 სახელმძღვანელო;  <b>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა</b> – 7 გამოგონება, 21 ჯიშის ავტორი და თანაავტორი;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</b> – “საპატიო ნიშნის” ორდენი (1980 წ.); “ქახალციხის საპატიო მოქალაქის” წოდება (1987 წ.); საქ. სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1990 წ.); “ღირსების” ორდენი (1997 წ.); იუნესკოს გადაწყვეტილებით დაჯილდოებულია საზოგადოების მედლით და პრემიით (2005 წ.); საპატრიარქოს სიგელი (2007 წ.); საერთაშორისო ცენტრის (CIMMYT) მიერ დაჯილდოებულია დიპლომით და სამკერდე ნიშნით (2008 წ.); საუ-ის “უმაღლესი ჯილდო” (2013 წ.).  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ.</p>

		<p>თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვარტალი, კორპ. 20, ბ. 3. ტ. 2 30 26 28 (ბინა), 559 26 83 51.</p> <p><b>მოდვაწეობის მიმართულება – მცენარეთა სელექცია-გენეტიკა.</b></p>
17.		<p><b>ონიანი ჯუმბურ ილიას ძე</b> <b>დაბადების თარიღი – 15.06.1928;</b> <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით –</b> მევენახე, მეხილე და მებოსტნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; <b>დაკავებული თანამდებობა –</b> <b>სამეცნიერო ხარისხი –</b> სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; <b>სამეცნიერო წოდება –</b> პროფესორი, სსმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04. 2013. <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა –</b> 184, მათ შორის 3 მონოგრაფია; <b>გამოგონებებისა და</b> <b>რაციონალიზატორული წინადადებების</b> <b>რაოდენობა –</b> 1 გამოგონება, 47 რეკომენდაცია; <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების</b> <b>წოდებები და ა.შ. –</b> დოკუჩაიევის სახ. დიდი მედალი (1982 წ.). <b>ბინის მისამართი, ტელეფონი –</b> ქ. თბილისი, გოდიაშვილის II შესახვევი №15, ბ .3, ტ. 2 52 49 61 (ბინა), 5 68 10 51 66.</p> <p><b>მოდვაწეობის მიმართულება –</b> <b>წინადაგმცოდნეობა.</b></p>
18.		<p><b>პაპუნიძე გურამ რაფაელის ძე</b> <b>დაბადების თარიღი – 02.04.1944;</b> <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით –</b> მელვინეობის ინჟინერ-ტექნოლოგი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; <b>დაკავებული თანამდებობა –</b> შ. რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი; <b>სამეცნიერო ხარისხი –</b> ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; <b>სამეცნიერო წოდება –</b> სსმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04. 2013. <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა –</b> 155,</p>



19.



მათ შორის 10 მონოგრაფია;  
**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –**

12 გამოგონება;

**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. –** “ვერცხლის” მედალი წარდგენილი სასმელი “არომატული” სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე (1988 წ.); კალიფორნიის შტატის ქ. დევისის საპატიო მოქალაქეობა (2001 წ.).

**ბინის მისამართი, ტელეფონი –** ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №10/12. ბინა .63,

ტ. 2 7 50 21 (ბინა), 599 50 61 25.

**მოღვაწეობის მიმართულება –** სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავების და შენახვის ტექნოლოგია.

**ტყემალაძე გურამ შოთას ძე**

**დაბადების თარიღი–** 25. 04. 1941.

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით–** ქიმიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**დაკავებული თანამდებობა–** სრული პროფესორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი; სრულ პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

**სამეცნიერო ხარისხი –** ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

**სამეცნიერო წოდება –** პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, 05.08.2014.

**მეცნიერული შრომების რაოდენობა–** 108, მათ შორის 6 სახელმძღვანელო, 1

ენციკლოპედიური

ლექსიკონი.

**სახელმწიფო ჯილდოები –** ღირსების ორდენი, 2002 წ.

**ბინის მისამართი, ტელეფონი–** ქ. თბილისი, სოშტარიას

ქუჩა № 36. ტელ. 222-77-16 (ბინა) 599-94-15-41 (მობ.)

**მოღვაწეობის მმართულება–** ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია.

20.




**ქარქაშაძე ნაპოლეონ ირაკლის ძე**  
 დაბადების თარიღი – 15.05.1935;  
 სპეციალობა დიპლომის მიხედვით –  
 სწავლული აგრონომი, ეკონომისტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  
 დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;  
 სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;  
 სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.07.1992;  
 მეცნიერული შრომების რაოდენობა – 298, მათ შორის 4 მონოგრაფია,  
 5 სახელმძღვანელო;  
 გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –  
 1 გამოგონება;  
 სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – “საპატიო ნიშნის” ორდენი (1955 წ.); საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი (1985 წ.); საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985 წ.); “ღირსების” ორდენი (1995 წ.).  
 ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ლუქსემბურგის ქუჩა №9, ტ. 2 37-05-50 (ბინა), 557 42 42 97.

მოდგაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა, მსოფლიო სოფლის მეურნეობა.

21.



**ქეხიშვილი ვლადიმერ ილიას ძე**  
 დაბადების თარიღი – 05.01.1928;  
 სპეციალობა დიპლომის მიხედვით –  
 სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  
 დაკავებული თანამდებობა –  
 სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  
 სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 30.09.2003;  
 მეცნიერული შრომების რაოდენობა – 75;  
 გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –  
 სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – “საპატიო ნიშნის”

		<p>ორდენი (1966 წ.); "“შრომითი მამაცობისთვის” მედალი (1970 წ.); “ოქტომბრის რევოლუციის” ორდენი (1973 წ.); “ღირსების” ორდენი (2003 წ.).</p> <p><i>ბინის მისამართი, ტელეფონი</i> – სიღნაღის რაიონი სოფ. მაღაროკახეთის საცდელი სადგური.</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება – აგრონომია</b></p>
22.		<p><b>ქველაშვილი ომარ გრიგოლის ძე</b>  <i>დაბადების თარიღი</i> – 14.08.1941;  <i>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</i> – სწავლული აგრონომი-ეკონომისტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <i>დაკავებული თანამდებობა</i> – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;  <i>სამეცნიერო ხარისხი</i> – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;  <i>სამეცნიერო წოდება</i> – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;  <i>მეცნიერული შრომების რაოდენობა</i> – 581, მათ შორის 33 მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო;  <i>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა</i> – 15 გამოგონება;  <i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</i> – საქ. მეცნ. და ტექნ. სახ. კომიტეტის პირველი პრემიის ლაურეატი (1983 წ.); სამეცნ.-ეკონომიკური საზოგადოების კონკურსის III პრემიის ლაურეატი (1983 წ.); საზ. “ცოდნის” მედალი – აქტიური მუშაობისათვის (1987 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.); სსმმ აკადემიის 2013 წლის აგრარულ სფეროში საუკეთესო მეცნიერის წოდება – ეკონომიკის დარგში.  <i>ბინის მისამართი, ტელეფონი</i> – ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 65, ტ. 2 22 75 50 (ბინა), 599 22 75 50.</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა</b></p>

23.



**ყურაშვილი თენგიზ კონსტანტინეს**

**ბე**

**დაბადების თარიღი** –23.03.1948;

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით** – ვეტერინარი ექიმი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი;

**დაკავებული თანამდებობა** –

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ისტიტუტის დირექტორი;

**სამეცნიერო ხარისხი** – ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი;

**სამეცნიერო წოდება** – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04. 2013.

**მეცნიერული შრომების რაოდენობა** – 223, მათ შორის 4 სახელმძღვანელო;

**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა** –

15 გამოგონება;

**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.** – სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედალი და ფულადი პრემია (1982 წ.); “ღირსების” ორდენი (2000 წ.).

**ბინის მისამართი, ტელეფონი** – ქ. თბილისი, ნუცუბიძის 5 მ/რ-ნი, 5 კორპ., ბინა 25. ტ. 2 31 48 18 (ბინა), 599 58 55 16;

**მოდერნიზაციის მიმართულება** –ვეტერინარია

24.



**ჩაგელიშვილი რევაზ გიორგის ძე**

**დაბადების თარიღი** –28.08.1937;

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით** – სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

**დაკავებული თანამდებობა** –

**სამეცნიერო ხარისხი** – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

**სამეცნიერო წოდება** – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;


**მეცნიერული შრომების რაოდენობა** – 141, მათ შორის 3 მონოგრაფია,



11 სახელმძღვანელო;


**გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა** –

**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.** – გარემოს დაცვის სფეროში


		<p>აკად.თ. დავითაიას სახ. პრემია; საქ. დასახურებული მეტყვევე (1999 წ.).  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 82, ბ. 19.  ტ. 2 23 28 74 (ბინა), 599 93 96 00.</p> <p><b>მოდვაწეობის მიმართულება – მეტყვევობა.</b></p>
25.		<p><b>ჩანქსელიანი ზაურ ჟორდანის ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –15.12.1948;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – აგროქიმიკოს-ნიადამცოდნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადამის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის უფროსი.  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.03.2003;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 134;  <b>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა</b> – 2 გამოგონება;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</b> -  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, ბალანჩივაძის ქ. №22, ბ. 30,  ტ. 2 33-36-02 (ბინა), 593 32 00 21.</p> <p><b>მოდვაწეობის მიმართულება – რადიოლოგია-ეკოლოგია.</b></p>
26.		<p><b>ჩხარტიშვილი ნოდარ სიმონის ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –17.09.1930;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – სწავლული აგრონომი, მევენახე-მეხილე-მებოსტნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> – ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – სოფლის მეურნეობის დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 214;</p>

		<p><b>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –</b>  15 გამოგონება;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</b> – ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქის ალკკ კომიტეტის საპატიო სიგელი; საქართველოს ალკკ კომიტეტი საპატიო სიგელი; “შრომითი მამაცობისათვის” მედალი (1976 წ.); “საპატიო ნიშნის” ორდენი (1980 წ.); უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1980წ).</p> <p><b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქთბილისი, ვ.ფშაველას გამზ. IV კვარტალი, კორპ 2, ბ 10. ტ. 2 32 31 13 (ბინა), 599 51 88 58.</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება –მევენახეობა</b></p>
27.		<p><b>ცაგურიშვილის გივი ნიკოლოზის ძე დაბადების თარიღი</b> –10.10.1928;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> –  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04.13.  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 126, მათ შორის 3 მონოგრაფია, 6 სახელმძღვანელო;  <b>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა</b> –  25 რეკომენდაცია, 1 ჯიშის ავტორი (1986 წ.);  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</b> – საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოვენაში მონაწილეობა და ბრინჯაოს მედალი (1974 წ.); რესპუბლიკისათვის საკვები კულტურების აგროწესების მომზადება და გამოცემა, ფულადი პრემია (1975 წ.); საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახ. კომიტეტის პირველი ხარისხის პრემია (1984 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.).  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, დიდი დილომი, გ. ბრწყინვალეს ქ. 41. ბ. 64, ტ. 2 53 39 61 (ბინა), 5 99 63-12-34.  <b>მოღვაწეობის მიმართულება</b> –აგრონომია (საკვებწარმოება).</p>


<p>28.</p>		<p><b>ცანავა ვალერიან პეტრეს ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –25.02.1935;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> –  აგროქიმიკოს-ნიადამცოდნე, საქართველოს  სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> –  საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის  ჩაის და სუბტროპიკული კულტურების  სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  ლაბორატორიის გამგე;  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – სოფლის  მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – პროფესორი,  აკადემიკოსი 07.09.1995;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 202,  მათ შორის 3 მონოგრაფია  <b>გამოგონებებისა და</b>  <b>რაციონალიზატორული წინადადებების</b>  <b>რაოდენობა</b> –  6 გამოგონება;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების</b>  <b>წოდებები და ა.შ.</b> – “ღირსების” ორდენი (1999  წ.).  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> –  ქ.ოზურგეთი, ანასეული, მეცნიერების ქ. №21,  ბ.12. ტ. 6 4 38 (ბინა), 599 53 22 25.   <b>მოდერნიზაციის მიმართულება</b> –ჩაი და  ციტრუსები.</p>
<p>29.</p>		<p><b>ცქიტიშვილი ზურაბ მიხეილის ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –01.01.1941;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> –  სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგი,  საქართველოს  პოლიტექნიკური ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> –  მეცხოველეობის, ვეტერინარიის,  საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის  პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო  განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – ტექნიკის  მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – სსმმ აკადემიის  აკადემიკოსი 27.02.1997;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 61,  მათ შორის 2 წიგნი;  <b>გამოგონებებისა და</b>  <b>რაციონალიზატორული წინადადებების</b>  <b>რაოდენობა</b> –  17 რაციონალიზატორული წინადადება;</p>



		<p><i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – “ღირსების”</i> ორდენი (2001 წ.).</p> <p><i>ბინის მისამართი, ტელეფონი –</i> ქ. თბილისი, დები იშხნელების №4, ბ.3. ტ.2 37 18 52;</p> <p>577 57 77 71.</p> <p><i>მოღვაწეობის მიმართულება –</i> მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგია.</p>
30.		<p><b>ჭალაგანიძე შოთა ივანეს ძე</b>  <i>დაბადების თარიღი –</i> 21.05.1933;  <i>სპეციალობა დიპლომის მიხედვით –</i> ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <i>დაკავებული თანამდებობა –</i> საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების მთავარი მეცნიერ კონსულტანტი;  <i>სამეცნიერო ხარისხი –</i> ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;  <i>სამეცნიერო წოდება –</i> პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 16.07.2004;  <i>მეცნიერული შრომების რაოდენობა –</i> 233, მათ შორის 2 მონოგრაფია, 14 წიგნი;  <i>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –</i> 10 გამოგონება;  <i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. –</i> ოთხი ორდენი, მათ შორის “მეგობრობის” და “ღირსების”; ორი მედალი; ორი საპატიო ნიშანი; საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; სსმმ აკადემიის 2013 წლის აგრარულ სფეროში საუკეთესო მეცნიერის წოდება – აგროსაინჟინრო დარგში.</p> <p><i>ბინის მისამართი, ტელეფონი –</i> ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. 30ა. ბინა 37, ტ. 2 37 06 07 (ბინა), 593 36 48 21</p> <p><i>მოღვაწეობის მიმართულება –</i> სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.</p>



31.		<p><b>ჭითანავა ნოდარ ამბროსის ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –10.03.1936;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> –  ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს  პოლიტექნიკური ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> –  საქართველოს დადამაშენებლის სახელობის  უნივერსიტეტის სრული პროფესორი;  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – ეკონომიკის  მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – სსმმ აკადემიის  აკადემიკოსი 27.02.1997;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 109,  მათ შორის 11 მონოგრაფია;  <b>გამოგონებებისა და</b>  <b>რაციონალიზატორული წინადადებების</b>  <b>რაოდენობა</b> –  17 რაციონალიზატორული წინადადება;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების</b>  <b>წოდებები და ა.შ.</b> – “შრომის წითელი  დროშის” ორი ორდენი (1973 წ.), (1975 წ.).  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ.  თბილისი, ატენის ქ. 16, ტ. 2 23 37 53 (ბინა),  593 67 64 16.  <b>მოღვაწეობის მიმართულება</b> – აგრარული  ეკონომიკა.</p>


12. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები

1.		<p><b>გაბუნია ნოდარ ალექსანდრეს ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –23.04.1936;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> –  ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს  სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> –  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – ტექნიკის  მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – პროფესორი, სსმმ  აკადემიის წევრ-კორესპონდენტი  15.04.1994;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 234,  მათ შორის 1 მონოგრაფია;  <b>გამოგონებებისა და</b>  <b>რაციონალიზატორული წინადადებების</b>  <b>რაოდენობა</b> –77 გამოგონება;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების</b>  <b>წოდებები და ა.შ.</b> - სას.სამ. ტექნიკის</p>
----	---	--

		<p>საერთაშორისო გამოფენების ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი (1970–1980 წწ.); “სსრკ გამომგონებელი” წოდება (1987 წ.); “შრომის ვეტერანი” მედალი (1988 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.).</p> <p><b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, ნუცუბიძის 1 მ/რ, კორპუსი 17, ბ.27. ტ. 2 32 77 42 (ბინა), 599 33 31 93.</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება</b>– სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.</p>
2.		<p><b>თურმანიძე თამაზ ივანეს ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –04.09.1932;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> – <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი;  <b>სამეცნიერო წოდება</b> – სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 15.07.1992;  <b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 200, მათ შორის 2 მონოგრაფია;  <b>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა</b> – 1 გამოგონება;  <b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</b> - “ღირსების” ორდენი (2000 წ.).  <b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ.თბილისი, საბურთალოს ქ. №35, ბ.36, ტ. 2 38 61 32 (ბინა), 591 17 04 96.</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება</b>– აგრონომია (ეკოლოგია).</p>
3.		<p><b>კოლუაშვილი პაატა პეტრეს ძე</b>  <b>დაბადების თარიღი</b> –05.09.1956;  <b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობა – სოფლის მეურნეობის ეკონომისტი-ორგანიზატორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <b>დაკავებული თანამდებობა</b> – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი;  <b>სამეცნიერო ხარისხი</b> – ეკონომიკის</p>

		<p>მეცნიერებათა დოქტორი;  <i>სამეცნიერო წოდება</i> – პროფესორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 16.07.2004;  <i>მეცნიერული შრომების რაოდენობა</i> – 175, მათ შორის 7 მონოგრაფია,  3 სახელმძღვანელო;  <i>გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა</i> –  <i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</i> – აკაკი წერეთლის პრემია (1995 წ.).  <i>ბინის მისამართი, ტელეფონი</i> – ქ. თბილისი. ზაქარიაძის ქ. №8. ბ. 35.  ტ. 2 39 97 75 (ბინა), 597 33 34 75.</p> <p>მოდვაწეობის მიმართულება– აგრარული ეკონომიკა.</p>
4.		<p><b>ლიპარტელიანი ოთარ ანტონის ძე</b>  <i>დაბადების თარიღი</i> –03.12.1932;  <i>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</i> – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  <i>დაკავებული თანამდებობა</i> – სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი;  <i>სამეცნიერო ხარისხი</i> – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  <i>სამეცნიერო წოდება</i> – პროფესორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 15.04.1994;  <i>მეცნიერული შრომების რაოდენობა</i> – 162, მათ შორის 4 მონოგრაფია;  <i>გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა</i> –  18 გამოგონება;  <i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</i> – საქ. მეცნ. და ტექ.სახ. კომიტეტ. პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია (1983 წ.); საქ.სახელპრემია მეცნიერებაში (1986 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.). საპატიო სიგელი (2002 წ.); სსმმ აკადემიის 2013 წლის აგრარულ სფეროში საუკეთესო მეცნიერის წოდება – აგრონომიულ დარგში.  <i>ბინის მისამართი, ტელეფონი</i> – მცხეთა, წილკნის საკრებულო სოფ. სელექცია, 599 10 51</p> <p>მოდვაწეობის მიმართულება– აგრონომია (ერთწლოვანი კულტურების სელექცია,</p>

5.		<p>გენეტიკა).</p> <p><b>ნიკოლეიშვილი გიორგი ვასილის ძე</b>  დაბადების თარიღი – 30.12.1930;  სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგრონომ-ეკონომისტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  დაკავებული თანამდებობა – სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;  სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 07.09.1995;  მეცნიერული შრომების რაოდენობა – 155; გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა – 5 გამოგონება, 2 ჯიშის ავტორი;  სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. - “ღირსების” ორდენი (1999 წ.); ორი მედალი.  ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, რ. ერისთავის ქუჩა №3. ბ.6, 599 56 58 84;</p> <p>მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა, მეაბრეშუმეობა.</p>
6.		<p><b>სარიშვილი დავით ეფრემის ძე</b>  დაბადების თარიღი – 24.01.1927;  სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  დაკავებული თანამდებობა – სამეცნიერო ხარისხი – სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დოქტორი;  სამეცნიერო წოდება – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 27.02.1997;  მეცნიერული შრომების რაოდენობა – 21; გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –  სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – სსრკ მიღწევათა გამოგონის ვერცხლის მედალი (1961 წ.); “შრომითი მამაცობისათვის” მედალი (1966 წ.); ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლის აღსანიშნავი საიუბილეო მედალი (1970 წ.); “შრომის წითელი დროშის” ორდენი (1971 წ.); “ოქტომბრის რევოლუციის” ორდენი (1976 წ.); საქ. სსრ სახელმწიფო პრემიის</p>

		<p>ლაურეატის წოდება (1981 წ.); საქ. სსრ დამსახურებული მექანიზატორის საპატიო წოდება (1981 წ.).</p> <p><b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, საბურთალოს 30 ა., ტ. 2 38 20 31 (ბინა), 599 15 85 26.</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება</b>– სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.</p>
7.		<p><b>ურუშაძე თენგიზ თედორეს ძე დაბადების თარიღი</b> –14.01.1940;</p> <p><b>სპეციალობა დიპლომის მიხედვით</b> – აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;</p> <p><b>დაკავებული თანამდებობა</b> – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი; საუ-ს ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი;</p> <p><b>სამეცნიერო ხარისხი</b> – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;</p> <p><b>სამეცნიერო წოდება</b> – პროფესორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 10.01.1991; საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.</p> <p><b>მეცნიერული შრომების რაოდენობა</b> – 396 მათ შორის 40 მონოგრაფია, 2 სახელმძღვანელო.</p> <p><b>გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა</b> –</p> <p><b>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</b> – ვ. ვილიამსის სახ. პრემია (1991 წ.); საქ. აგრარული უნივერსიტეტის “უმაღლესი ჯილდო” 2013 წ.</p> <p><b>ბინის მისამართი, ტელეფონი</b> – ქ. თბილისი, მ. ალექსიძის № 1, ბინა 23, ტ. 2 10 20 05 (ბინა), 599 58 25 41</p> <p><b>მოღვაწეობის მიმართულება</b>– აგრონომია (ნიადაგმცოდნეობა).</p>

8.



**შაფაქიძე ელგუჯა დავითის ძე**  
**დაბადების თარიღი** –20.05.1942;  
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით** –  
 ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს  
 სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  
**დაკავებული თანამდებობა** –  
 საქართველოს სოფლის მეურნეობის  
 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური  
 დეპარტამენტის უფროსი;  
**სამეცნიერო ხარისხი** – ტექნიკის  
 მეცნიერებათა დოქტორი;  
**სამეცნიერო წოდება** – პროფესორი, სსმ  
 აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 07.09.1995;  
**მეცნიერული შრომების რაოდენობა** –  
 187, მათ შორის 4 მონოგრაფია, 6  
 სახელმძღვანელო;  
**გამოგონებებისა და**  
**რაციონალიზატორული წინადადებების**  
**რაოდენობა** –  
 10 გამოგონება, 6 პატენტი, 6  
 რაციონალიზატორული წინადადება;  
**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების**  
**წოდებები და ა.შ.** – მედალი “შრომის  
 ვეტერანი” (1988 წ.), “ღირსების” ორდენი  
 (1999 წ.); “წლის ინჟინრის” საპატიო  
 წოდება (2007 წ.).  
**ბინის მისამართი, ტელეფონი** – ქ.  
 თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა №13. ბინა  
 4,  
 ტ. 2 23 02 93 (ბინა), 577 71 17 75;

მოღვაწეობის მიმართულება– სოფლის  
 მეურნეობის მექანიზაცია; მეაბრეშუმეობის  
 მექანიზაცია.

9.



**ჯაბნიძე რუზო ხასანის ძე**  
**დაბადების თარიღი** –18.01.1954;  
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით** –  
 სუბტროპიკული მეურნეობის სწავლული  
 აგრონომი, საქართველოს  
 სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;  
**დაკავებული თანამდებობა** – ბათუმის შ.  
 რუსთაველის უნივერსიტეტის სრული  
 პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს  
 თავმჯდომარე;  
**სამეცნიერო ხარისხი** – სოფლის  
 მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

		<p><i>სამეცნიერო წოდება</i> – პროფესორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 07.09.1995; <i>მეცნიერული შრომების რაოდენობა</i> – 164, მათ შორის 4 სახელმძღვანელო და 3 წიგნი;</p> <p><i>გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა</i> – ორი რაც.წინადადება;</p> <p><i>სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.</i> – – “ღირსების” ორდენი (1999 წ.); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი (2000 წ.); იაკობ გოგებაშვილის სახ. უმაღლესი საბჭოს სიგელი; ხელვაჩაურის რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება; ბათუმის შ. რუსთაველის უნივერსიტეტის საუკეთესო პროფესორის წოდება.</p> <p><i>ბინის მისამართი, ტელეფონი</i> – ქ. ბათუმი, მწვანე კონცხი, ტ. 577-17-97-58, 555-12-64-58</p> <p><i>მოდვაწეობის მიმართულება</i>– აგრონომია (ჩაი და ციტრუსები).</p>
--	--	---

**თავი 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო**

**2.1 აკადემიური საბჭოს შემადგენლობა**

1. **გურამ ალექსიძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;
2. **გივი ჯაფარიძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;
3. **ომარ ბედია** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გარდაიცვალა 2014 წლის 02 დეკემბერს);
4. **ნუგზარ ბადათურია** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი;

5. **თამაზ კუნჭულია** – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მინისტრის მთავარი მრჩეველი, აკადემიკოსი;
6. **გოგოლა მარგველაშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;
7. **რევაზ მასარობლიძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;
8. **პეტრე ნასყიდაშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამების მთავარი ექსპერტი, აკადემიკოსი;
9. **ნაპოლეონ ქარქაშაძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი;
10. **ომარ ქეშელაშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;
11. **გურამ პაპუნძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიკოსი;
12. **ელგუჯა შაფაქიძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
13. **რევაზ ჩაგელიშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
14. **ნოდარ ჩხარტიშვილი** – ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი.
15. **ვალერიან ცანავა** – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, აკადემიკოსი.
16. **ზურაბ ცქიტიშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.



2.2 სსმმა-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის სამუშაო გეგმა

2.2.1. აკადემიის საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები

№	განსახილველი საკითხები	განხილვის დრო	მომხსენებელი	
1	2	3	4	5
1	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე	
2	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი	
3	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	
4	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე	
5	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქველავაშვილი	

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კორპორაციული ელექტრონული ფოსტის შესახებ	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	დეკემბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

2.2.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს 2014 წლის სამუშაო გეგმა

№	აკადემიურ საბჭოზე განსახილველი საკითხები	განხილვის დრო	სამეცნიერო განყოფილება, მომხსენებელი (მომხსენებლები)	
1	2	3	4	5
1	სოფლის მეურნეობაში მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფციის შესახებ	იანვარი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია	
2	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;	იანვარი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი	
3	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს ჩატარებული	იანვარი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.	

	მუშაობის შესახებ;			
4	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;	იანვარი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე	
5	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;	იანვარი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი , აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი	
6	შემოდგომა ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტის არსებობის გამო მცენარეული ცხიმების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ	თებერვალი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	
7	შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერის) დამზადება, მიზანშეწონილობა და ეფექტურობა	თებერვალი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი აკად. დოქტორი თამარ დალალიშვილი	
8	საქართველოში სურსათის სფეროში აკრედიტაციის პრინციპები	მარტი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი აკრედიტაციის სააგენტოს თავმჯდომარე პაატა გოგოლიძე	
9	მარცვლეული კულტურების – (ხორბალი, სიმინდი, ქერი) მეთესლეობის დღევანდელი მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზების შესახებ	მარტი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი	
10	საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი	აპრილი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია	
	საქართველოს სოფლის	აპრილი	სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე	

11	მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ		აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე	
12	სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების სახელმწიფო რეგულირებისათვის ხელშემყობი საკანონმდებლო აქტების შესახებ	მაისი	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი რ. მახარობლიძე	
13	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების მთავარი მეცნიერ-კონსულტანტის ანგარიში 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	მაისი	სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე	
14	სავარგულებისა და ნიადაგური ტიპების თავისებურებათა შესატყვისად წყლიერ თვისებათა რეგულირების სისტემები	ივნისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი	
15	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამების მთავარი ექსპერტის ანგარიში 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	ივნისი	აკადემიური დეპარტამენტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამების მთავარი ექსპერტი აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი	
16	ზოონოზური დაავადებები საქართველოში და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ	ივლისი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	
17	საქართველოს აგროსამრეწველო სექტორის აგროსაინჟინრო სფეროში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ	აგვისტო	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე	
		სექტემბე	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება;	

18	საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის თანამედროვე ასპექტები	რი	აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე, ტმკ, პროფესორი ჯიმშერ სირაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
19	ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი და სამაცივრო საწარმოთა თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში.	სექტემბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი იუზა ვასაძე	
20	მეაბრეშუმეობის აღდგენისა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში	ოქტომბერი	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება; ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აკად. წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილი, აკად. წ/კ ელგუჯა შაფაქიძე	
21	რძის ნედლეულის კომპლექსური გადამამუშავების ძირითადი ღონისძიებების შესახებ	ნოემბერი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილება, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	
22	აგრორადიოლოგიური და აგროეკოლოგიური კვლევები როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველი	ნოემბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი	
23	მთიან ზონაში საკვები კულტურების ორი მოსავლის მოყვანის შესაძლებლობების შესახებ	დეკემბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი	
24	ჭაჭის არაყის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ახალი ტექნოლოგია	დეკემბერი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	

2.2.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2014 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი აგრარული	მრგვალი მაგიდა	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის	

	სექტორის განვითარებაში			მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;	
2	ხორბლის, სიმინდის და სხვა მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები ;	სემინარი	მარტი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება, შპს „ლომთაგორა“. სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	
3	სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემები;	სემინარი	მარტი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
4	საქართველოში ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა, ახალი პროექტები, სამომავლო გეგმები, ახალი შეთავაზებები;	მრგვალი მაგიდა	აპრილი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება	
5	სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის განხილვა	მრგვალი მაგიდა	აპრილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	
6	აგროქიმიური ღონისძიებების არსებული მდგომარეობა საქართველოში, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები	მრგვალი მაგიდა	მაისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	
7	მთის ტყეების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ	მრგვალი მაგიდა	მაისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება, ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება.	

8	ნიადაგების დაცვისა და მათი ნაყოფიერების აღდგენა- გაუმჯობესების გზები;	მრგვალი მაგიდა	ივნისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
9	სოფლის მეურნეობაში მცირე მეწარმეობის განვითარების შესახებ	მრგვალი მაგიდა	ივლისი	სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების განყოფილება; სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
10	მევენახეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;	გასვლითი სემინარი	სექტემბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	
11	მეხილეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (გორის რაიონი)	სექტემბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	
12	სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ	სემინარი	ოქტომბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
13	სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა ენდემური ადგილობრივი ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია	სემინარი	ოქტომბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	
14	აგრარული მეცნიერების გადარჩენისა და მაღალკვალიფიციურ	მრგვალი მაგიდა	ოქტომბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა	

	ი კადრების მომზადების პრობლემები			აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები; სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	
1 5	სატყეო მეურნეობის დარგის მდგრადი განვითარების პრინციპები	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
1 6	საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების პოლიტიკის შესახებ	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება; სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	
1 7	ციტრუსების მოვლა-მოყვანა-შენახვა-გადამუშავების პერსპექტივები საქართველოში	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი ანასეული	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; სოფლის მეურნეობის სამინისტრო.	
1 8	აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში	სემინარი	დეკემბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
1 9	საქართველოს აგროსაინჟინრო დარგის პრობლემები და მათი გადაჭრის თეორიული და პრაქტიკული ხედვები	მრგვალი მაგიდა	დეკემბერი	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება	

### 2.3. აკადემიური საბჭოში განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა

პირველ კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 10 საკითხი. მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის პერსპექტიული გეგმის განხილვა-დამტკიცება. მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი გივი ჯაფარიძე; სწავლული მდივანი, აკად.



**დოქტორი ანატოლი გიორგაძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კორპორაციული ელექტრო ფოსტების შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის **წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ასოცირებული წევრების (საზოგადოებრივ საწყისებზე) დებულების შესახებ. მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი გივი ჯაფარიძე; სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ასოცირებული წევრების (საზოგადოებრივ საწყისებზე) შემადგენლობების დამტკიცების შესახებ. მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი გივი ჯაფარიძე; სწავლული მდივანი, აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორების შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკადემიის **წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივნის-სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორის შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 31 იანვარს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებლები: **აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი** - აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; **აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი** - მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება; **აკადემიკოს-მდივანი რევაზ მახარობლიძე** - აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება; **აკადემიკოს-მდივანი ომარ ქეშელაშვილი** ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; **სწავლული მდივანი აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე;**

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს; მაგალითად: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 31 იანვარს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნუგზარ ბაღათურიას მოხსენება “მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფცია სოფლის მეურნეობაში” (აღნიშნული საკითხი რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს);

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 28 მარტს მოისმინა აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენება “შემოდგომა ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტის არსებობის გამო მცენარეული ცხიმების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ” (აღნიშნული საკითხი რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს);

მეორე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 12 საკითხი. მათ შორის: კანონპროექტის “სურსათად/ცხოველის საკვებად გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების” შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე**; სამეცნიერო თანამშრომლობა უკრაინულ მეცნიერებთან და IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შესახებ – პოდოლსკის აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინა. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, **დოქტორი ანატოლი გიორგაძე**; სსმმ აკადემიაში სამეცნიერო კონფერენციის “კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება” ჩატარების საორგანიზაციო საკითხების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის **წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე**. სსმმ აკადემიაში მეთოდური ლიტერატურის და რეკომენდაციების გამოცემის შესახებ. მომხსენებელი: **აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე**.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 25 აპრილს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თამაზ კუნჭულიას მოხსენება: “სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი”.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 4 ივნისს მოისმინა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის როლანდ კოპალიანის მოხსენება: “აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშის შესახებ”.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 4 ივნისს მოისმინა აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის მოხსენება: “**მაღალი ტექნოლოგიების ათვისებაზე ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგის პრიორიტეტები**”.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 27 ივნისს მოისმინა აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის მოხსენება: “**ნიადაგებში წყლიერი თვისებების სისტემათა რეგულირების შესახებ**”.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

მესამე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 7 საკითხი. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი მოხსენებები:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 26 სექტემბერს მოისმინა აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის მოხსენება ”ზოონოზური დაავადებების გავრცელების

მდგომარეობა საქართველოში და მასთან ბრძოლის მეცნიერული სიახლეების შესახებ”.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 25 ივლისს მოისმინა სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ევროპის რექტორთა კლუბის წევრის ვალერი სუბიშვილის მოხსენება „ სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ.“

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

მეოთხე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 12 საკითხი. მათ შორის აღსანიშნავია:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 31 ოქტომბერს მოისმინა აკადემიკოს ნუგზარ ბადათურიას მოხსენება “ყურძნის გადამუშავების ნარჩენები და მათი რაციონალური გამოყენების ძირითადი მიმართულებები.”

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 28 ნოემბერს მოისმინა აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენება “**რძის წარმოების ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორთა კლასიფიკაცია.**”

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 26 დეკემბერს მოისმინა აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის მოხსენება “აგრორადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები, როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველი.”

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 26 დეკემბერს მოისმინა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის გიორგი გაგოშიძის მოხსენება “სატყეო განათლება საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები”.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილის მოხსენებამ “**საინვესტიციო პროექტი მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში**”;

**პროექტის მფლობელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;

**პროექტზე პასუხისმგებელი პირები:**

1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია: აკადემიის წ/კორესპონდენტი გ. ნიკოლეიშვილი (ხელმძღვანელი), აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. თ.კუნჭულია, აკადემიის წ/კორესპონდენტი ე. შაფაქიძე, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები თ. დალალიშვილი, ნ. ბარამიძე,
- ე. ჭოლაძე.
2. ხონის რაიონის გამგეობა
3. ხონის მეაბრეშუმეობის მეურნეობა

აღნიშნული პროექტის რეცენზენტები არიან აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა და აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

აკადემიურ საბჭოზე განხილულ საკითხებზე და რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ოფიციალური მიმართვა გაეგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ 2014 წელს რეკომენდებულია ნაშრომები:

“ადამიანი და მწერები”. ავტორი სსმმ აკადემიის აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

“შეაბრეშუმეობა – შავი, კასპის, ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია”. ავტორები სსმმ აკადემიის წ/კ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ნიკოლეიშვილი და სსმმ აკადემიის წ/კ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა შაფაქიძე.

“მევენახეობის ტექნოლოგია და სამუშაოთა მექანიზაცია”. ავტორი სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ობეღია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ მოამზადა:

1. რეკომენდაციების კრებული - აგრარული დარგის მეცნიერების მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევების საფუძველზე.

2. რეკომენდაციები “მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისა და ნიადაგის დამუშავებისათვის საჭირო ოპტიმალური ტენიანობის პარამეტრების შესახებ”; ავტორი სსმმ აკადემიის აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი.

3. ნაშრომი “საკვები კულტურების აგროწესები”- (ავტორი აკად. გ. ცაგურიშვილი, თანავტორები: ქ. ნიაური და ნ. ჟვანია).

4. რეკომენდაცია ”შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და ეკონომიური ეფექტიანობა”; ავტორები – აკად. წ/კ გ.ნიკოლეიშვილი, აკად. წ/კ ე. შაფაქიძე, აკად. დოქტორები თ. დალალიშვილი და ა. ჩაგელიშვილი.

5. “ბუნებრივი თბილი წყლით გამთბარ ღია გრუნტში თუთის ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა”. ავტორები – აკად. წ/კ გ.ნიკოლეიშვილი, აკად. წ/კ ე. შაფაქიძე, აკად. დოქტორი თ. დალალიშვილი;

6. “პირველ ორ ასაკში თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვება და უპირატესობა ინდივიდუალურ გამოკვებასთან შედარებით”.- აკად. წ/კ გ.ნიკოლეიშვილი, აკად. წ/კ ე. შაფაქიძე, აკად. დოქტორი ნ. ბარამიძე.

7. “მეხილეობის და მებოსტნეობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში”, შრომათა კრებული, თბილისი, 2014 წ.ს

**თავი 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
საერთაშორისო და ადგილობრივ აბრარული მიმართულების  
ორგანიზაციებსა და შერეულბუნებრივ თანამშრომლობა**

**3.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის  
თანამშრომლობა საერთაშორისო სტრუქტურებთან.**

**3.1.1. სასოფლო-სამეურნეო კვლევების გლობალური ფორუმის და  
FAO-ს ტროპიკული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო  
კვლევების სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შესახებ  
(საფრანგეთი, მონპელიე)**

მიმდინარე წლის 7-9 აპრილს ქ. მონპელიეში (საფრანგეთი) ჩატარდა სოფლის მეურნეობის კვლევების გლობალური ფორუმის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, წინა აზიის, ევროპის, აზიის, შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებმა. ჩვენი რეგიონიდან (CACAARI) მონაწილეობა მიიღეს ამ ორგანიზაციის აღმასრულებელმა მდივანმა დოქტ. ალიშერ ტაშმატოვმა და CACAARI-ს წევრმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ**.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე განიხილეს ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში ჩატარებული სამუშაოები, რომლებიც წარმოადგინეს რეგიონალური ფორუმის აღმასრულებელმა მდივანებმა. განხილული იქნა აგრეთვე საკითხი თუ როგორ უნდა მოხდეს სხვადასხვა ორგანიზაციების: სამთავრობო, სამეცნიერო, სასწავლო, საკონსულტაციო ცენტრების, ფერმერების, არასამთავრობო ორგანიზაციების კონსოლიდაცია, რათა მოხდეს ფერმერთა ან სოფლად დასაქმებული წვრილი მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო აკად. გ. ალექსიძემ, რომელსაც რამოდენიმეჯერ მოუწია გამოსვლა აღნიშნულ და სხვა საკითხებზე. საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის კონფერენციების, თათბირების და კონსულტაციების ჩატარების მიზნით გამოიყოფა 70 ათასი აშშ დოლარი.

10-11 აპრილს საფრანგეთის იმავე ქალაქში ჩატარდა FAO-ს ტროპიკული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების პლატფორმის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამხრეთ ამერიკის და აზიის ქვეყნების წარმომადგენლები. თათბირის მუშაობაში, როგორც დამკვირვებელმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან, მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ**.

საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ საჭიროა შეირჩეს ტროპიკული რეგიონებიდან 8 ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა, სადაც განხორციელდება ყველა ის ღონისძიება, რაც საჭირო იქნება იმ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პროექტი დამუშავებულია 20 ქვეყნის წარმომადგენლების მიერ და მის განსახორციელებლად FAO-ს

მიერ გამოყოფილია 3,5 მლნ აშშ დოლარი. პროექტის განხორციელების ვადაა 3 წელი.



**სოფლის მეურნეობის კვლევების გლობალური ფორუმის  
აღმასრულებელი მდივანი მარკ ჰოლდერნესი და  
სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე**

### **3.1.2. თანამშრომლობა უკრაინის მეცნიერებთან**

2014 წლის 19-20 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, **დოქტორი ანატოლი გიორგაძე** იმყოფებოდა უკრაინის ქალაქ ვინიციის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტში. აღნიშნულ უნივერსიტეტთან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი. გასულ წელს სსმმ აკადემიაში საერთაშორისო კონფერენციაზე უკრაინელი კოლეგების სტუმრობის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო თანამშრომლობას და ამჟამად ვინიციის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და შპს "კორონის" (საქართველო) მონაწილეობით ხორციელდება ერთობლივი კვლევა, რომელიც შეეხება შპს "კორონის" მიერ მცენარეული ნედლეულიდან დამზადებული საკვებდანამატის - პრებიოტიკის "რუმიფოსის" გამოყენებას მეცხოველეობაში პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. "რუმიფოსი" ოლიგოსაქარიდებისა და ფენოლური ნაერთების შემცველი საკვებდანამატია. ვინიციის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა **დოქტორის ვიტალი კუჩერიავის** ხელმძღვანელობით მიმდინარეობს აღნიშნული პრეპარატის გამოცდა. უკვე დამთავრდა ცდების პირველი ეტაპი ერთ-ერთ მეცხოველეობის ფერმაში და გამოვლინდა პრეპარატის დადებითი გავლენა მეხორცულ და მერძეულ პროდუქტიულობაზე. ვინიციის ეროვნული უნივერსიტეტის ვივარიუმში მიმდინარეობს ცდები

ბოცვრებზე და ვირთხებზე, რომლის მიზანია პრეპარატის გავლენის შესწავლა ბეწვის ხარისხზე და სხვა. ცდების შედეგების დეტალური ანალიზი უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება უკრაინისა და საქართველოს სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. ასევე დაგეგმილია პრებიოტიკ “რუმიფოსის” წარღვენა საერთაშორისო პატენტის მოსაპოვებლად.

21-23 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე მონაწილეობდა უკრაინის ქალაქ კამიანეც-პოდოლსკის სახელმწიფო აგრარულ-ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში. იგი პლენარულ სხდომაზე წარსდგა მოხსენებით "საქართველოს მეცხოველეობისა და ზოოტექნიკური განათლების ისტორია". აღნიშნულ უნივერსიტეტთან აკადემიას 2010 წლიდან აკავშირებს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი. კონფერენციაზე მოსმენილი იქნა მნიშვნელოვანი მოხსენებები, როგორც ზოოტექნიკური მეცნიერების ისტორიიდან ასევე თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შესახებ. კონფერენცია მიემდგვნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ივან ზადერის დაბადებიდან 110 წლისთავს. კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იქნა 201 სამეცნიერო სტატია. მუშაობდა 4 სექცია: 1. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია; სოფლის მეურნეობის მეცნიერების ისტორია; 2. ცხოველთა კვება და საკვების ტექნოლოგია; 3. ცხოველთა მომშენებლობა, სელექცია და რეპროდუქცია; 4. მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავება და სტანდარტიზაცია; მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების ეკოლოგიური ასპექტები.

კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს ხორცისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოები. დასკვნით დღეს გაიმართა პლენარული სხდომა, სადაც კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.



მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და გადამამუშავების კათედრის გამგე პროფ. ივანე ტიმოფიშინი (მარჯვნივ) და დოქტორი ანატოლი გიორგაძე

### 3.1.3.საერთაშორისო თათბირი უზბეკეთში

მიმდინარე წლის 27-29 აგვისტოს ქ. ფერგანაში (უზბეკეთი) ჩატარდა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების შუა აზიისა და სამხრეთ საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს მე-16 სხდომა, რომლის მუშაობაშიც საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ, აკადემიკოსმა ავთანდილ კორახაშვილმა.

სხდომაში მონაწილეობდა ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის სამინისტროებისა და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების: იკარდას, სიმიტის, აციროს, ბიოვერსიტის, სიპის, იემის, მსოფლიო ბანკის, იფარის, ევროპის განვითარების ბანკის და სხვათა წარმომადგენლები. საქართველოდან მოხსენებით გამოვიდა აკად. გურამ ალექსიძე, რომელმაც ილაპარაკა პრიორიტეტულ მიმართულებებზე - სასურსათო უზრუნველყოფა, კლიმატის ცვლილება, აგრობიომრავალფეროვნება და მცენარეთა გენეტიკურ რესურსებზე. გადაწყდა, რომ მომდევნო, მე-17 შეხვედრა 2015 წელს გაიმართება ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი).

#### 3.1.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის წევრია

მიმდინარე წლის 17-19 სექტემბერს ქ. პრადაში (ჩეხეთის რესპუბლიკა) ჩატარდა ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების მე-8 გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ახალი წევრების: ინგლისის, პორტუგალიის, საქართველოს და სლოვაკეთის გაწევრიანების საკითხი. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ამ ქვეყნების წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან სიტყვით გამოვიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, რომელმაც მოკლედ ილაპარაკა აკადემიის სტრუქტურასა და ძირითად მიმართულებებზე.

გენერალური ასამბლეის სხდომამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა შვედეთის სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის სამეფო აკადემიის პრეზიდენტი პროფ. კარენ ნიბლაური, ერთხმად დაამტკიცა ახალი წევრების, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის არჩევაც.

გენერალური ასამბლეის სხდომაზე მონაწილეობდნენ: საფრანგეთის, ინგლისის, პორტუგალიის, შვედეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიტვის და სხვათა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები.

გენერალური ასამბლეის შემდეგი მე-9 სხდომა გაიმართება 2016 წელს საფრანგეთში, მას უხელმძღვანელებს ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად არჩეული იქნა ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტად – პროფ. ვილერ პოდრაუსტი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. ჟან-მარკ ბუსსარდი.





ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
მე-8 გენერალური ასამბლეის (17-19 სექტემბერი, 2014 წ.

პრაღა) ორგანიზატორები

ადასტურებენ, რომ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია  
გახდა ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნების მეცნიერე  
ბათა აკადემიების კავშირისწევრი

*ვაცლავ ჰრუბი*

### 3.1.5. ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია

2014 წლის 19-20 ივნისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარდა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე „მანქანები სოფლის მეურნეობაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე.

კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო. ეხებოდა ტექნიკურ პროგრესს სოფლის მეურნეობაში და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებას. წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებები დაყოფილი იყო ორ სექციად: 1. მანქანები სოფლის მეურნეობაში, გამოკვლევა და გამოცდა. ახალი ტექნოლოგიები; 2. მანქანების გამოყენება, სერვისი, ეკოლოგია.

სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის 80-ზე მეტი მეცნიერი გერმანიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, თურქეთიდან, ყაზახეთიდან და ასევე ირანიდან.

სამეცნიერო კონფერენციის პლენარული სხდომა გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ პროფესორმა მიხო მიხოვმა. ის გულთბილად მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ასეთი სამეცნიერო ფორუმები ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა დაახლოებას, მათ ინტეგრაციას, გამოცდილებათა გაზიარებასა და რაც მთავარია ახალგაზრდა მეცნიერების წარმოჩენას. კონფერენციას მიესალმნენ: მიროსლავ ნაიდენოვი -ბულგარეთის მიწათმოქმედებისა და კვების მინისტრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი პოპოვი-ბულგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური კავშირის თავჯდომარე; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანჟეი ჩიჟევსკი-პოლონეთის ინჟინერ-მექანიკოსთა კავშირის

პრეზიდენტი; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქრისტო ბელოვი-ქალაქ რუსეს ანგელ კინჩევის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც გამოირჩეოდნენ პრობლემის აქტუალურობით და კვლევის ორიგინალურობით.

### **3.1.6. თანამშრომლობა უკრაინის ქ. ვინიციის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტთან და “აგრო განვითარების ჯგუფთან”**

მიმდინარე წლის 2,3,4 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სტუმრობდა უკრაინის ქ. ვინიციის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის ტექნოლოგიის კათედრის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიტალი კუჩერიავი და ამავე კათედრის ასპირანტი ანატოლი მელვედი. კონფერენციის შემდეგ მათი საქმიანი ვიზიტი გაგრძელდა.

2013 წელს საფუძველი ჩაეყარა ერთობლივ პროექტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, უკრაინის ქ. ვინიციის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტსა და “აგრო განვითარების ჯგუფს” შორის. პროექტის ფარგლებში ხორციელდება ერთობლივი კვლევა, რომელიც შეეხება აგრო განვითარების ჯგუფის მიერ მცენარეული ნედლეულიდან დამზადებული საკვებდანამატის - პრებიოტიკის "რუმიფოსის" გამოყენებას მეცხოველეობაში პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. "რუმიფოსი" ოლიგოსაქარიდებისა და ფენოლური ნაერთების შემცველი საკვებდანამატია. ვინიციის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ვიტალი კუჩერიავის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა აღნიშნული პრეპარატის გამოცდა. უკვე დამთავრდა ცდების პირველი ეტაპი ერთ-ერთ მეცხოველეობის ფერმაში და გამოვლინდა პრეპარატის დადებითი გავლენა მეხორცულ და მერძეულ პროდუქტიულობაზე. ვინიციის ეროვნული უნივერსიტეტის ვივარიუმში მიმდინარეობს ცდები ბოცვრებზე და ვირთხებზე, რომლის მიზანია პრეპარატის გავლენის შესწავლა ბეწვის ხარისხზე და სხვა. ცდების შედეგების დეტალური ანალიზი უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება უკრაინისა და საქართველოს სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში.

მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს “აგრო განვითარების ჯგუფის” ოფისში კვლევების დეტალური ანალიზი წარმოადგინა პროფესორმა ვიტალი კუჩერიავიმ. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა უკრაინის ვინიციის ოლქის “ნაპადიევსკის” მეცხოველეობის ბაზაში. აღმოჩნდა, რომ პრებიოტიკი რუმიფოსი ზრდის მერძეულ პროდუქტიულობას 4,8%-ით, რძის ცხიმობას 0,3%-ით, იზრდება გემოგლობინის რაოდენობა 6,1%-ით, ასევე შეინიშნება ცილის შემცველობის ზრდა რძეში. მიღებული შედეგები მოწმობს, რომ პრეპარატის ზეგავლენით ცხოველის ორგანიზმში ინტენსიურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა, რაც სავარაუდოდ არის მიზეზი პროდუქტიულობის ზრდისა. ასევე შესწავლილი იქნა, პრეპარატის გავლენა მეხორცულ პროდუქტიულობაზე. აღმოჩნდა, რომ იგი იზრდება 9,6 %-ით, ამასთანავე შეინიშნება საკვების დანახარჯების შემცირება 11,8 %-ით. უმჯობესდება ხორცის ხარისხი. კვლევის შედეგების პრეზენტაციის შემდეგ აგრო

განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელების: დოქტორების ნიკოლოზ ზაზაშვილის, ნოდარ მინდიაშვილის, მიხეილ ჭიჭაყუას მიწვევით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი დოქტორი ანატოლი გიორგაძე, პროფესორი ვიტალი კუჩერიავი და ასპირანტი ანატოლი მედვედი გაეცნენ “აგრო განვითარების ჯგუფის” ბიოპრეპარატებისა და საკვებდანამატების საწარმოს.

აღინიშნა, რომ ურთიერთანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება. პრეპარატმა უკვე გაიარა პირველი ეტაპი უკრაინაში საერთაშორისო პატენტის მოსაპოვებლად.



უკრაინელი და ქართველი მეცნიერების ჯგუფი “აგროგაერთიანების ჯგუფის” ოფისში.

### 3.1.7. შეხვედრა პოლონელ პარტნიორებთან

2014 წლის 19 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას ესტუმრა პოლონეთის ქალაქ პოზნანის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პოზნანის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის დეკანის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებში, დოქტორი გუგოშ რონჩკა და ამავე უნივერსიტეტის მაგისტრი ლევან ჩოფლიანი.

სტუმრები მიიღო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გივი ჯაფარიძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წ/კორესპონდენტი ე. შაფაქიძე და აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ა. გიორგაძე.

აკად. გ. ჯაფარიძემ და დოქტორმა გუგოშ როჩკამ განიხილეს უნივერსიტეტსა და სსმმ აკადემიას შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხები და 2015 წლის სამომავლო გეგმები, რომლებიც ეხება ამ ორ ორგანიზაციას შორის აგრარულ სფეროში აქტუალური პროექტების გადაწყვეტისათვის ერთობლივი შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას და მათი მუშაობის ორგანიზებას.



შეხვედრის მონაწილეები, მარცხნიდან: დოქტ. გ. რონჩკა, აკადემიის წ/კორ. ე. შაფაქიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. გ. ჯაფარიძე, დოქტ. ა. გიორგაძე, მაგისტრი ლ. ჩოფლიანი.

### 3.1.8. რეგიონალური კონფერენცია ყირგიზეთში

2014 წლის 17-21 ნოემბერს ქ. ბიშკეკში (ყირგიზეთი) ჩატარდა რეგიონალური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების არსებულ მდგომარეობას და მისი განვითარების გზების დასახვას.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო ამ ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია “CACAARI” და სასოფლო-სამეურნეო კვლევების გლობალური ფორუმი “GFAARI”; რეგიონალურ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებმა, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების და ამერიკის ილინოისის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა.

საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრის წარმომადგენელმა ა. მამალაძემ და სიღნაღის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ბ.ბოლღაშვილმა. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა აკად. გ. ალექსიძე, რომელმაც შეაფასა საქართველოში საკონსულტაციო ცენტრების (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს) და არასამთავრობო ორგანიზაციების (საქართველოს ფერმერთა კავშირი, ბიომრავალფეროვნების ასოციაცია “ელკანა”) მუშაობა, თათბირის მონაწილეებმა ამ მიმართულებით საქართველოში ჩატარებული მუშაობა შეაფასეს დადებითად.

განსაკუთრებით აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების ფონდის (USAID), აგრეთვე ილინოისის და ტეხასის უნივერსიტეტების დიდი დახმარება ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების ორგანიზებასა და მათთვის ტრენინგების ჩატარებაში.

თათბირის მუშაობის შემდეგ ჩატარდა “CACAARI” სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელსაც უხელმძღვანელა აკად. გურამ ალექსიძემ. სხდომაზე განიხილეს საკითხი მსგავსი თათბირის

ჩატარების შესახებ მომავალ წელს ქ. ბათუმში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).



რეგიონალური კონფერენციის მონაწილეები, ქ. ბიშკეკი, ყირგიზეთი, 21 ნოემბერი, 2014 წ.

### 3.1.9. საერთაშორისო სემინარი ვლადიკავკაზში

2014 წლის 21 ოქტომბერს ქ. ვლადიკავკაზში გაიმართა საერთაშორისო სემინარი, რომელიც ჩატარდა, როგორც მოსამზადებელი ეტაპი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა “მეცნიერება, განათლება და საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა – მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარების საფუძველი”. აღნიშნული კონფერენცია გაიმართება 2015 წელს.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი-სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

პლენარული სხდომის შემდეგ გაიმართა მრავალი მაგიდეები სხვადასხვა მიმართულებებით: ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციის როლი მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარებისათვის საჭირო პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციის საქმეში; სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემები, ამოცანები და როლი მთის ტერიტორიების განვითარებაში; მთის ტერიტორიების დემოგრაფიული, სოციალური და მედიკო-ბიოლოგიური პრობლემები; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და საგანმანათლებლო საქმიანობა მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარებისათვის; მეცნიერების ძირითადი პრობლემები, ამოცანები და მიღწევები მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარების საქმეში; განათლება და მისი როლი მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარების საქმეში; გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა; მრეწველობა, ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, მშენებლობა და კომუნალური მეურნეობა მთის ტერიტორიების პირობებში; მთის ტერიტორიების ტურისტულ-სარეაქრეაციო პოტენციალი;

სემინარის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო საინოვაციო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი “მთის ტერიტორიების მდგრადი განვითარება”, რომელიც შექმნილია იუნესკოს მხარდაჭერით.

### 3.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2014 წელს ჩატარებული ღონისძიებები.

#### 3.2.1. სემინარი მეცხოველეობის საკვების მოპოვების ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2014 წლის 28 მარტს ჩატარდა სემინარი თემაზე: “შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერის) დამზადება, მიზანშეწონილობა და ეფექტურობა”. მომხსენებლები - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი და აკად. დოქტორი თინათინ დალალიშვილი.

აღინიშნა, რომ მთიანი და დაბალმთიანი აჭარის ფერდობების უმეტესობა ძლიერი და საშუალო ხარისხითაა ეროზირებული, რაც ხშირად ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსვლით მთავრდება ეროზირებული მოვლენების დამანგრეველი მოქმედება მნიშვნელოვნად იზღუდება მცენარეული საფარის როგორც მიწისზედა ორგანოებით (განსაკუთრებით ფოთლით) ისე ფესვთა სისტემის მეშვეობით. თუთის კულტურას კი ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, როგორც ფართოფოთლოვან, ძლიერი ფესვთა სისტემის, ძლიერი მერქნის მქონე სანაყოფე მცენარეს. საქართველოში ძნელად მოიპოვება სხვა ისეთი მცენარე, რომელსაც თუთის მსგავსად მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდეს. თუთის სასარგებლო თვისებები საშუალებას იძლევა განხორციელდეს უნარჩუნო ტექნოლოგია, ამიტომ ბუნებრივია ძლიერდება სამეურნეო დანიშნულებით მისი გამოყენების ინტერესი. თუთის ნაყოფისაგან ჩვენში მრავალგვარი საკვები დანიშნულების პროდუქტების მომზადების ხალხური ტრადიციები არსებობს, მაგრამ ფოთლის და ღეროს გამოყენება ე.წ “ნეკერისა” და ფქვილის დასამზადებლად ცხოველთა ზამთრის საკვებად ჯერ კიდევ შესწავლის ფაზაშია.

მთიანი აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა (სადაც სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მემცენარეობასთან ერთად მეცხოველეობაა) პირუტყვის ზამთრის საკვებად (სახნავ-სათესი სავარგულების სიმცირის გამო) იყენებს წიფლის, ნეკერხლის, მუხის, ცაცხვის და სხვა ფოთლოვანი მცენარეულობისაგან დამზადებულ “ნეკერის”. როგორც ლიტერატურული წყაროებით (გ.ნიკოლეიშვილი 2003, ა.კოროხაშვილი 2003 და სხვ) დასტურდება შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლის 1 კგ. მშრალ მასაში საკვები ერთეულების რაოდენობა მდელის თივის იგივე მაჩვენებელს აღემატება 29,3%-ით, ნეკერხალს-55,0%-ით, პარკოსან მცენარეთა ნარჩენებს 25,3% და ა.შ. ასევე ჯობნის როგორც სამყურას თივას 8,5%-ით, ისე იონჯის-15,4%-ით (გ.ნიკოლეიშვილი 2010).

თუთის ფოთოლი შედგება წყლისა და მშრალი ნივთიერებებისაგან, რომელთა თანაფარდობა განაპირობებს მის მაღალ კვებით ღირებულებას მშრალი ნივთიერებებიდან თუთის ფოთოლში უხვადაა, ორგანული და მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები, მიკროელემენტები, უახოტო ექსტრაქტული ნივთიერებები და სხვა. მათი ჩართვა ცხოველთა კვების რაციონში (როგორც მწვანე, ისე გაუხეშებული), ზრდის ძროხის წველადობას, რძეში ცხიმთანობას, ამადლებს კურდღლების პროდუქტიულობას, ძალზე ეფექტურია მეცხვარეობასა და მეფრინველეობაშიც.

გარდა ამისა მეცხოველეობისათვის ტყის მცენარეულობით “ნეკერის” დამზადება უაღრესად შრომატევადი და ნაკლებეყუათიანია, თუთა კი გარდა იმისა, რომ ივითარებს დიდი ზომის ფოთლებს, უფრო ინტენსიურადაა შეფოთლილი, გამხმარი ფოთოლიც ტოტზე რჩება, დიდი უპირატესობით გამოირჩევა სხვა მცენარეებისაგან საყუათო საკვები ნივთიერების შემცველობით როგორც ფოთოლში ისე ყლორტშიც.

ჩვენს მიერ ქედას რაიონის სოფ. მერისის მაგალითზე საანგარიშო პერიოდში მოსინჯვითი სამუშაოები ჩატარდა თუთის მწვანე ფოთლისა და ყლორტის ქიმიური შესწავლისთვის. აღმოჩნდა, რომ როგორც ფოთოლი ისე “ნეკერი” და მზარდი ყლორტიც მდიდარია საკვები ნივთიერებით, მაღალია მასში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველობა, შესაბამისად მაღალია ფოთლისა და ყლორტის კვებითი ღირებულება.

საზრდო ნივთიერებების შემცველობის მიხედვით ყუათიანობის გაანგარიშებით, ფოთლის კვებითმა ღირებულებამ ნატურალურ მდგომარეობაში 0,85 საკვები ერთეული შეადგინა, ნეკერში 0,48, ხოლო ტოტებში 0,36.

ამრიგად, საზრდო ნივთიერებების შემცველობისა და კვებითი ღირებულების მიხედვით თუთის ფოთოლი და ნეკერი საკმაოდ ყუათიანია და მისი გამოყენება შეიძლება არამარტო მცოხნავეების, არამედ მონოგასტრული ცხოველების კვებაშიც.

ფერმერ მევლულ თურმანიძის საკარმიდამო ნაკვეთზე (7500მ<sup>2</sup>) არსებული თუთის ნარგაობით გათვალისწინებულია ჯიში ტრიპლოიდ 13-ს ნაყოფისაგან საოჯახო მოხმარების პროდუქტების მომზადება, მზარდი (მწვანე) ფოთლებით მაგ. აბრეშუმის ჭიის გამოკვება და გაუხეშებული ფოთლით-წვეროს გაუმერქნებელ ნაწილს ყლორტებით “ნეკერის” დამზადება ცხოველთა ზამთრის საკვებად სხვა მცენარეულობასთან ერთად. შეისწავლება მათი ეფექტურობა და მევლულ თურმანიძის მაგალითის მსგავსად, დაინტერესების შემთხვევაში თუთის სარგავი მასალა გადაეცემა ადგილობრივ მოსახლეობას.

### **3.2.2. სემინარი სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემებზე.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2014 წლის 19 მარტს გაიმართა სემინარი „სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემები“ (წიგნის საკვები კულტურების აგროწესების პრეზენტაცია). მასში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოს-მდივანმა გივი ჯაფარიძემ, აკადემიკოსებმა: გივი ცაგურიშვილმა, გოგოლა

მარგველაშიღმა, პეტრე ნასყიდაშიღმა, რევაზ ჩაგელიშიღმა, ზაურ ჩანქსელიანმა, ჯუმბერ ონიანმა. აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა თამაზ თურმანიძემ, ოთარ ლიპარტელიანმა, ელგუჯა შაფაქიძემ, აკადემიის სწავლულმა მდივანმა აკად. დოქტ. ანატოლი გიორგაძემ, მეცნიერებათა დოქტორმა იოსებ სარჯველაძემ, მცხეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის მოადგილემ აკად. დოქტორმა ავთანდილ მუშლაძემ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ბონდო ბოლღაშიღმა, აკად. დოქტორმა ნატო კაკაბაძემ და სხვებმა.

### 3.2.3. მრგვალი მაგიდა

#### სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობით 2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში”.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დეპარტამენტების წარმომადგენლებმა, საქართველოს რაიონების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებმა, ფერმერებმა და სხვა.

სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, საქართველოს სმმ აკადემიის აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე, საქართველოს სმმ აკადემიის აკადემიკოსები: თამაზ კუნჭულია, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ნოდარ ჭითანავა, ომარ ქეშელაშიღი, აკადემიის წევრ/კორესპონდენტი პაატა კოლუაშიღი.

აღინიშნა, რომ ხელისუფლებამ ფერმერთა/გლეხთა ნებაყოფლობითი, სარგებელზე ორიენტირებული კოოპერაციის განვითარება აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აირჩია, რადგან კოოპერატივების ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას; კოოპერაციამ მოსავლიანობის გაზრდა და დანახარჯების შემცირება უნდა უზრუნველყოს; კოოპერატივებში გაწევრიანებული ფერმერებისათვის/გლეხებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება როგორც ფინანსური რესურსი, ასევე პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. მთავრობის მიზანია, როგორც მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, “გავაძლიეროთ ფერმერები/გლეხები, გავაძლიეროთ ადგილობრივი წარმოება. უნდა განხორციელდეს ყველა სახელმწიფო პროექტი, მათ შორის კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა, რაც საგადასახადო შეღავათებს, ფინანსურ რესურსთან ხელმისაწვდომობას, კვალიფიკაციის ასამაღლებელ სასწავლო პროექტებს გულისხმობს და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაზეა ორიენტირებული”.

სხდომაზე საუბარი შეეხო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს. ასევე აღინიშნა, რომ ხელისუფლებამ შეიმუშავა შესაბამისი საკანონმდებლო



ბაზა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2013 წლის 12 ივლისს. აღნიშნული კანონის მიღების საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო", რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს. როგორც აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ აღნიშნა; "ამ ეტაპზე უადრესად მნიშვნელოვანია საზოგადოების სწორად ინფორმირება, სამეცნიერო წრეების ჩართულობა, მათი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება".

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია ზემოაღნიშნულ საკითხებზე, სადაც მეტი აქტიურობით გამოირჩეოდნენ საქართველოს რეგიონების წარმომადგენლები.

### 3.2.4. სემინარი

#### **"მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები"**

2014 წლის 26 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა სემინარი **"მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები"**. სემინარს ესწრებოდნენ როგორც სსმმ აკადემიის წევრები, ისე მოწვეული სტუმრები – მეცნიერები, დარგის სპეციალისტები და წარმოების წარმომადგენლები, მათ შორის სსმმ აკადემიის აკადემიკოსები გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, პ. ნასყიდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ჯ. ონიანი, გ. ცაგურიშვილი, ვ. კვალიაშვილი, ნ. ჩხარტიშვილი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტები თ. ლიპარტელიანი, თ. თურმანიძე, ე. შაფაქიძე, აკადემიის სწავლული მდივანი აკად. დოქტ. ა. გიორგაძე, აკად. დოქტორი ქ. მჭედლიშვილი, პრეზიდენტის თანაშემწე თ. ეპიტაშვილი, მოწვეული სტუმრები.

სემინარი გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსმმ აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ. სემინარზე ძირითადი მოხსენება გააკეთა აკად. პეტრე ნასყიდაშვილმა თემაზე: "გენეტიკური რესურსების მნიშვნელობა და გამოყენება სელექციაში". მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: აკად. დოქტორმა ნ. ჩხუტიაშვილმა (ხორბლის კულტურები), საუ-ის სრ. პროფესორმა ც. სამადაშვილმა (ტრიტიკალეს კულტურა), აკად. ვ/კ თ. ლიპარტელიანმა და შპს "ლომთაგორას" მეცნ. მუშაკმა ზ. ჯინჯისაძემ (სიმინდის კულტურა), სმ მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. სარალიძემ (ქერის კულტურა), სმ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. კოდუამ (პარკოსნების კულტურა), პროფ. ი. ზედგენიძემ (კარტოფილის კულტურა).

სემინარზე დაისვა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდების ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხები და წარმოდგენილი იქნა რამდენიმე წინადადება და რეკომენდაციები, მათ შორის: მომზადდეს საგაზეთო სტატია და საქართველოში შეიქმნას "ხორბლის სახლი" (სადაც თავმოყრილი იქნება შესაბამისად ჯიშები, გაეცნობიან რეკომენდაციებს და აგროტექნიკურ ღონისძიებებს და ა. შ.) – აკად. გ. ალექსიძე; კარტოფილის მეორადი მეთესლეობის დრმად შესწავლისათვის სსმმ აკადემიის აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და შემუშავდეს ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი – პროფ. ი. ზედგენიძე; ეთხოვოს საქართველოს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაცია გაუკეთოს საშემოდგომო ხორბლის “ვარძია” სათესლე მასალის შექმნას ფერმერებისაგან –აკად. დოქტ. გ. ხუციშვილი; აღინიშნა, რომ საქართველოში საბედნიეროდ დღეისათვის არ არსებობს გენმოდირიცირებული ხორბალი, ხოლო ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ არა სწორ ინფორმაციებს, რასაც სჭირდება აკადემიის მხრიდან მჭიდრო კონტაქტი პრესასთან და ტელევიზიებთან – აკად. გ. ალექსიძე.

### 3.2.5. მრგვალი მაგიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებთან

2014 წლის 21 მარტს სსმმ აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდა მრგვალი მაგიდა ეროვნულ კოორდინატორებთან. შეხვედრას უძღვებოდა სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი აკად. გივი ჯაფარიძე, რომელმაც ფართოდ გააშუქა ეროვნული კოორდინატორების როლის მნიშვნელობა აგრარული დარგის და მისი მიმართულებების წარმატებით განვითარებაზე; აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბებულია აგრარული დარგის 22 მიმართულებაში ეროვნული კოორდინატორების ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებული არიან მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა შრომებს აქვთ მაღალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ გამოყენებით და ფუნდამენტურ მეცნიერულ პრობლემათა დამუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის აგრარული სექტორის მეცნიერულ უზრუნველყოფასთან, იღვწიან მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის. თითოეული მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებულია თვალსაჩინო მეცნიერებით და პრაქტიკოსი სპეციალისტებით.

აკად. გ. ჯაფარიძის მიერ გაანალიზებული იქნა სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა და ის პერსპექტივები, რომელიც გამოიკვეთა სსმმ აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად და ამ მიმართულებით ეროვნული კოორდინატორების როლის მნიშვნელობა.

შეხვედრაზე აზრი გამოთქვეს ეროვნულმა კოორდინატორებმა: აკად. რ.მახარობლიძემ, აკად. გ.მარგველაშვილმა, აკად. გ.გუგუშვილმა, აკად. რ.ჩაგელიშვილმა, აკად. ნ.ბაღათურიამ, აკად. გ.ცაგურიშვილმა, აკად. წევრ-კორესპონდენტმა ე.შაფაქიძემ.

შეხვედრაზე ზეპირი პრეზენტაცია გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ახლად ჩამოყალიბებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მ.შ. აკად. დოქტორმა ლ.უჯმაჯურიძემ, რომელიც ამავე დროს არის სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორი მევენახეობის მიმართულებით.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ეროვნული კოორდინატორების მიერ გაწეული საქმიანობა და მათ მიერ შესრულებული პროექტები პერიოდულად მოსმენილი იქნეს აკადემიის აკადემიურ საბჭოზე, სადაც მიზანშეწონილი იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების დასწრებაც; პერიოდულად მოეწეოს ეროვნული კოორდინატორების გასვლითი სემინარები საქართველოს რაიონებში, სადაც განხილული იქნება ფერმერებთან განსახორციელებელი პროექტები და ამ დონისძიების ინიციატორად სსმმ აკადემიასთან

ერთად იქნება რაიონის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრები.

### 3.2.6. მრგვალი მაგიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2014 წლის 18 მარტს სსმმ აკადემიაში ჩატარდა შეხვედრა აკადემიის წევრებსა და სსმმ აკადემიისა და სხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმის შემუშავებულ კომისიებთან.

2013 წელს სსმმ აკადემიამ გააფორმა შემდეგი ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები: საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან, საქართველოს პროფესიული განათლების ფონდთან, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალთან “ახალი აგრარული საქართველო”, ვინიცის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტთან (უკრაინა), ყაზახეთის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ს/კ ინსტიტუტთან. მზადდება მემორანდუმის გაფორმება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

შეხვედრას ხელმძღვანელობდა სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე. შეხვედრის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოს-მდივანმა აკად. გ. ჯაფარიძემ, სსმმ აკადემიის აკადემიკოსებმა ა. დიდუბულიძემ, ჯ. კაციტაძემ, რ. ჩაგელიშვილმა, თ. კუნჭულიამ, ზ. ცქიტიშვილმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. შაფაქიძემ, აკადემიის სწავლულმა მდივანმა აკად. დოქტორმა ა. გიორგაძემ, აჭარის ს.მ. სამინისტროს მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. აბულაძემ, ა. წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ პროფ. რ. კობალიანმა, საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის თავმჯდომარის მოადგილემ ა. თხილაიშვილმა, სტუ-ის სრ. პროფესორმა გ. გაგოშიძემ, სამეცნიერო ჟურნალ “ახალი აგრარული საქართველო“-ს რედაქტორმა შ. მაჭარაშვილმა.

შეხვედრაზე განიხილეს თანამშრომლობის მხარეებს შორის სამომავლო გეგმები და ჩატარებული ღონისძიებები და ამ მიმართულებით სსმმ აკადემიის საქმიანობის სამომავლო პერსპექტივები.

### 3.2.7. მრგვალი მაგიდა საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ

ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია “ელკანას” ოფისში, პროექტის – “საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ ელექტრონული კატალოგის მომზადება”, ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატში, რომელიც შეეხებოდა კატალოგის კომპონენტების განხილვას.

სსმმ აკადემიის მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებაში საინტერესო იყო იმითაც, რომ აკადემიასთან ჩამოყალიბებულია “ბიომრავალფეროვნების ცენტრი”, რომლის თავმჯდომარეა სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

შეხვედრებზე, სადაც წარმოდგენილი იყო აგრარული დარგის ექსპერტების მიერ მომზადებული მასალები, მიმდინარეობდა რეცენზენტებისა და რედაქტორის/კორექტორის შენიშვნების განხილვა, დისკუსიის გამართვა და მოსაზრებების შეჯერება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის სწავლულმა მდივანმა, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორმა ანატოლი გიორგაძემ, რომელიც ამავე დროს არის სსმმ აკადემიასთან არსებული ბიომრავალფეროვნების ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე (კომპონენტი – სასოფლო-სამეურნეო ცხოველები, ფრინველები, თევზები – 15 მარტი, 2014წელი) და ქეთევან მჭედლიშვილმა, ფერმერებთან კავშირისა და საქმიანობის კოორდინატორმა (კომპონენტების – მინდვრის კულტურები - 10 აპრილი, 2014წ.; ვაზი - 24 აპრილი, 2014წ.; ხილი და კენკროვნები – 10 ივნისი, 2014წ.).

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ პროექტი – “საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ ელექტრონული კატალოგის მომზადება”, მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქვეყნის სოფლის მეურნეობის მიმართულების ყველა სპეციალისტისთვის, სასარგებლო ნაშრომი იქნება როგორც აგრარული მიმართულებით დასაქმებული მეცნიერებისა და მკვლევარებისათვის, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრების, მაგისტრების და დოქტორანტებისათვის.

### 3.2.8. შეხვედრა საკვების უსაფრთხოების საკითხებზე

2014 წლის 15 აპრილს საპარლამენტო ფრაქცია “ქართული ოცნება - მრეწველების” თბილისის ოფისში გაიმართა შეხვედრა, სადაც განიხილეს საქართველოს კანონის “სურსათად/ცხოველის საკვებად გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ” პროექტი; შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი - ფრაქცია “ქართული ოცნება-მრეწველების” თავმჯდომარე გიორგი თოფაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი – აკადემიკოს მდივანი აკადემიკოსი გივი

ჯაფარიძე, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსები ნუგზარ ბაღათურია, ზურაბ ცქიტიშვილი და ნოდარ ჭითანავა, აკადემიის სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე თენგიზ კალანდაძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე ანა გულბანი.

გენმოდირიფიცირებული საკვები პროდუქტების ქვეყანაში შემოტანისა და მარკირების კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობაზე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ და პარლამენტის წევრმა გიორგი თოფაძემ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია. თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს შეხვედრის მონაწილეებმა. აღინიშნა, რომ ამ საკითხზე მომზადებული კანონის პროექტი ფართო განხილვისათვის დაეგზავნოს საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და სპეციალისტებს. მიზანშეწონილია კანონპროექტის ფართო განხილვის შემდეგ მიღებული იქნეს ქვეყნისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებები.

### 3.2.9. მრგვალი მაგიდა სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობაზე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2014 წლის 7 აპრილს გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: **“სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის განხილვა”**.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეებდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსები: ზურაბ ცქიტიშვილი, თენგიზ ყურაშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, ნუგზარ ბაღათურია; სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: ელგუჯა შაფაქიძე, ომარ ბედია, სსმმ აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; მეცნიერებათა დოქტორები: გივი ბასილაძე, დავითი გოდერძიშვილი, გიული გოგოლი, ვლადიმერ თვალაშვილი, ლევან თორთლაძე, მაია კერესელიძე, როლანდ მიტიჩაშვილი, იოსებ სარჯველაძე, გურამ ტყემალაძე, შადიმან ფოცხვერია, ამროსი ჭკუასელი; დოქტორები: გივი ბედელური, თენგიზ ფირცხალაიშვილი, გიორგი ხატიაშვილი; მოწვეული სტუმრები: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე მიხეილ სოხაძე, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტები: მაია ესებუა, ნიკოლოზ ვარნაზიშვილი.

მრგვალი მაგიდის მუშაობა გახსნა და “სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის” რეალურად ამოქმედების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ისაუბრა სსმმ აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკად. ზურაბ ცქიტიშვილმა.

გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: აკად. გივი ჯაფარიძემ, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ მიხეილ სოხაძემ, აკად. თენგიზ ყურაშვილმა, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წამყვანმა სპეციალისტებმა მაია ესებუამ და ნიკოლოზ ვარნაზიშვილმა, მეცნიერებათა დოქტორებმა: გივი ბასილაძემ, მაია კერესელიძემ, გურამ ტყემალაძემ.

აღინიშნა, რომ აუცილებელია კოდექსის 22-ე მუხლში, რომელიც შეეხება სააგენტოს უფლებებსა და მოვალეობებს სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში, შევიდეს დამატება ბ.ბ) ქვეპუნქტში შემდეგი რედაქციით: “ბიზნესოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე ოფიციალური ინფორმაციის მიწოდება ცხოველთა დასნებოვნებული კერებისა და ვეტერინარული კეთილსაიმედლობის შესახებ”.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა - აკადემიკოს-მდივანმა გივი ჯაფარიძემ.

### **3.2.10. საერთაშორისო სემინარი თემაზე: „დაჭაობებული ტერიტორიების ეკოსისტემის მდგრადი მართვა“.**

2014 წლის 04 აპრილს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომელიორაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფის სემინარი თემაზე: „დაჭაობებული ტერიტორიების ეკოსისტემის მდგრადი მართვა“ (ეროვნული კოორდინატორი ირაკლი ყრუაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი).

სემინარი ჩატარდა შემდეგი ორგანიზაციების ეგიდით:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;
3. სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი;
4. არქიტექტურისა და მშენებლობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი;
5. იუნესკოს წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, დელფტი, ნიდერლანდები;

**ძირითადი მომსხენებელი: პროფესორი ანი ვან-დამი,** იუნესკოს წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, დელფტი, ნიდერლანდები;

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ (სემინარის ხელმძღვანელი), აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოს-მდივანმა, აკად. გ. ჯაფარიძემ, სსიპ აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ბაღათურიამ, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, სსიპ აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. შაფაქიძემ, აკადემიის სწავლულმა მდივანმა, დოქტორმა ა. გიორგაძემ, აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარმა სპეციალისტმა თ.ეპიტაშვილმა;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან: ირაკლი ყრუაშვილმა – სრული პროფესორი; ირმა ინაშვილმა - ასოცირებული პროფესორი;

კონსტანტინე ბზიავამ - ასოცირებული პროფესორი; თამაზ ოდილაგაძემ - ასოცირებული პროფესორი; შორენა კუპრეიშვილმა - ასოცირებული პროფესორი; ინგა ირემაშვილმა - ასისტენტ პროფესორი; ედუარდ კუხალაშვილმა - აგრარული უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;

სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტიდან: არტაკ ზახარიანმა - ასოცირებული პროფესორი; რუზანა შაგინიანმა - ასოცირებული პროფესორი; ჰასმიკ ხურშუდიანმა - ასოცირებული პროფესორი; მარინე მარკოსიანმა - აგრარულ მეცნიერებათა კანდიდატი; ლილიტ სიმონიანმა - მეცნიერ თანამშრომელი;

არქიტექტურისა და მშენებლობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: ოფელია კუჩკოიანმა - ასოცირებული პროფესორი; ზარა მანველიანმა - პროფესორი; ლილია ხაჩატურიანმა - ასოცირებული პროფესორი; ლილიტ კარაპეტიანმა - ასოცირებული პროფესორი; ანუშ ხუდოიანმა - არქიტექტურისა და მშენებლობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტი.

### 3.2.11. ხალხთა მეგობრობის ფესტივალი

2014 წლის 6 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ და სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ელგუჯა შაფაქიძემ მონაწილეობა მიიღეს საჩხერის რაიონის სასაზღვრო სოფელ პერევეში ჩატარებულ ხალხთა მეგობრობის ფესტივალში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია “ასოციაცია ტურიზმი მშვიდობისა და განვითარებისათვის”, “ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია”, ქართულ-აფხაზურ-ოსური კოალიცია “ნდობა” და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. ფესტივალის ძირითადი მიზანი იყო კულტურათა დიალოგის ხელშეწყობა და ნაციონალური სამზარეულოს პოპულარიზაცია, რომელიც ხალხთაშორისი მუდმივი დიალოგის საგანია.

ფესტივალის სტუმრები და მონაწილეები იყვნენ ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორის, განათლებისა და კულტურის სფეროების წარმომადგენლები

შეხვედრაზე სხვა გამომსვლელებთან ერთად სიტყვით გამოვიდა აკად. გურამ ალექსიძე, რომელმაც ხაზი გაუსვა მიმდინარე დონისძიების მნიშვნელობას, აღნიშნა ფესტივალის ორგანიზატორების წვლილი და წამოაყენა წინადადება, რათა მსგავსი შეხვედრები გაიმართოს ქართველ, აფხაზ, ოს და სხვა ეროვნების მეცნიერთა შორისაც, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ეროვნებებს შორის ნდობის ფაქტორს, რომელიც შემდგომი სამშვიდობო მოლაპარაკებების საფუძველი და სახალხო დიპლომატიის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იქნება.



აკად. გ. ალექსიძე ხალხთა მეგობრობის ფესტივალზე სიტყვით გამოსვლის დროს (საჩხერის რ-ონი, სოფ. პერევი).

### 32.12. საქართველოს მეცნიერების ეროვნული და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ერთობლივი ღია კრება

2014 წლის 16 ივლისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ღია კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს.

დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გიორგი კვესიტაძე.

აღნიშნული თემის ირგვლივ ძირითადი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

ღია კრების თემასთან დაკავშირებით საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალგაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები პეტრე ნასყიდაშვილი, რევაზ მანარობლიძე, ნუგზარ ბაღათურია და გურამ პაპუნძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები რამაზ ხუროძე, ლეო ჩიქავა და ქეთევან ნემსაძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი ლაშა გოცირიძე, პროფესორები გელა ღლიფაშვილი და გიორგი გოცირიძე.

გაერთიანებულმა ღია კრებამ მიიღო სათანადო რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საქართველოს მოსახლეობის კვების და სასურსათო პრობლემების გადაჭრის მიმართულებით, რომლებიც მიზანშეწონილია გაითვალისწინოს საქართველოს



მთავრობამ, აგრარული დარგის მეცნიერებმა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა.

### 3.2.13. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული სტრატეგიის განხილვა

2014 წლის 11 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ განიხილა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომზადებული “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის”. სტრატეგიის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის აკადემიკოსებმა გ. ალექსიძემ, გ. ჯაფარიძემ, ნ. ქარქაშიაძემ, ნ. ჭითანავამ, ო. ქეშელაშვილმა, გ. მარგველაშვილმა, ნ. ჩხარტიშვილმა, ნ. ბაღათურიამ, ვ. ცანავამ, რ. მახარობლიძემ, ზ. ცეციტიშვილმა, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ე. შაფაქიძემ და ო. ბელიამ.

განხილვაზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შედგენილი სტრატეგიის დოკუმენტის მიზანი და ამოცანები შეესაბამება სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელ სიტუაციას და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, სურსათის უვნებლობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლას, მრავალი აქტუალური საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები, წინადადებები, შენიშვნები და სურვილები, რომლებიც განხილვისათვის გადაეცემათ სამინისტროს და სტრატეგიის შემმუშავებელ ჯგუფს.

აღინიშნა აგრეთვე, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების მიერ დამუშავებულია სტრატეგიული ნაშრომი “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის მიმართულებები” (ხელმძღვანელი აკად. ნ. ჭითანავა). მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში სტრატეგიის დამუშავებაში მონაწილე ავტორების ჯგუფი გაცნობოდა აკადემიაში დამუშავებულ აღნიშნულ ნაშრომს, რაც სასიკეთოდ წაადგებოდა მნიშვნელოვან დოკუმენტს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმავლობის განხორციელების საქმეში.

### 3.2.14. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

2014 წლის 07 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: “სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემების შესახებ საქართველოში”.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის ნამდვილმა წევრებმა და წევრ-კორესპონდენტებმა, მოწვეულმა სტუმრებმა: სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის და კოორდინაციის სამმართველოს უფროსმა შალვა კერესელიძემ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან: საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ნინო ჩხარტიშვილმა, მებოსტნეობის სამსახურის უფროსმა ნატო კაკაბაძემ და კონსულტატმა აკაკი მამალაძემ,

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის “ელკანა” ხელმძღვანელმა მარიამ ჯორჯაძემ, საქართველოს ეროვნული აკადემიის გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა ზურაბ რევიშვილმა.

კონფერენციაზე ძირითადი მოხსენება თემაზე: “სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემების შესახებ საქართველოში” გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.

მოხსენების ირგვლივ თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები გამოთქვეს შ. კერესელიძემ, მ. ჯორჯაძემ, ნ. ჩხარტიშვილმა, ზ. რევიშვილმა, აკადემიკოსებმა გივი ჯაფარიძემ, ზაურ ჩანქსელიანმა, ომარ ქეშელაშვილმა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ომარ ბედიამ.

კონფერენციის შედეგები შეაჯამა სსმმ აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, რომელიც საქართველოში ფერმერთა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტების საკონსულტაციო მომსახურების სისტემის გაუმჯობესებას ეხება, სადაც ამ საქმიანობაში პირველ რიგში სოფლის მეურნეობის აკადემიის წამყვანი როლი აღინიშნა.



**კონფერენციის ძირითადი თემა: “სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემების შესახებ საქართველოში”- მომხსენებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე**

### **3.2.15. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შიდა ქართლში**

2014 წლის 14 ნოემბერს გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად და ინიციატივით ჩატარდა გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე:

**“მეხილეობის და მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში”.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა გ. მარგველაშვილმა, ი. ვასაძემ, ვ. კვალიაშვილმა, გ. ბადრიშვილმა, ზ. ჩანქსელიანმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ე. შაფაქიძემ და თ. თურმანიძემ, სსმმ აკადემიის სწავლულმა მდივანმა აკადემიურმა დოქტორმა ა. გიორგაძემ, აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორებმა მებოსტნეობის დარგში პროფ. ვ. სუხიშვილმა და აკადემიურმა დოქტორმა ნ. კაკაბაძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტებმა, შიდა ქართლის და გორის საკრებულოს წარმომადგენლებმა, შიდა ქართლის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტებმა, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგებმა და სტუდენტებმა, შიდა ქართლის მეხილეობის და მებოსტნეობის მიმართულებების ფერმერებმა და სპეციალისტებმა.

კონფერენცია გახსნა სსმმ აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორმა მეხილეობის დარგში აკად. იუზა ვასაძემ.

სსმმ აკადემიის პრეზიდენტის და აკადემიური საბჭოს სახელით კონფერენციას მიესალმა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: მეხილეობის მიმართულებით - აკად. ი. ვასაძე – “მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში”, აკად. გ. ბადრიშვილი – “მეხილეობის დარგის სამეცნიერო დარგის პერსპექტივები შიდა ქართლში”, აკად. ვ. კვალიაშვილი – “ადგილობრივი წარმოშობის ხეხილის ჯიშების შესწავლა, სელექცია და ინტროდუქცია”, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. თურმანიძე – “ეკოლოგიური პირობების გააღწევა ხეხილოვან კულტურათა ზრდა-განვითარებასა და მოსავალზე”; მებოსტნეობის მიმართულებით – აკადემიის ეროვნული კოორდინატორი, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ვ. სუხიშვილი – “მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა შიდა ქართლში” და ეროვნული კოორდინატორი, სოფლ. მეურნ. სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დეპარტამენტის უფროსი, აკადემიური დოქტორი ნ. კაკაბაძე – მებოსტნეობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში”.

ძირითადი მოხსენებების შემდეგ კონფერენციის მნიშვნელობასა და შიდა ქართლში მეხილეობისა და მებოსტნეობის განვითარებასა და დარგების პრობლემების გადაჭრის საკითხებზე ისაუბრეს სსმმ აკადემიის აკად. გ. მარგველაშვილმა, სსმმ აკადემიის აკად. ზ. ჩანქსელიანმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინატორმა ნ. ხოხაშვილმა, შიდა ქართლის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტმა ჯ. დოდაშვილმა, გორის საკრებულოს წევრმა ხ. ხათაშვილმა, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მეღანიშვილმა, ფერმერმა გოგი ბარბაქაძემ, გორის სუხიშვილის უნივერსიტეტის პროფესორებმა დ. გოგინაშვილმა და დ. პავლიაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიოწარმოების სამსახურის უფროსმა გ. წერეთელმა.

მოხსენებების, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები, სადაც მითითებულია მეხილეობის და მებოსტნეობის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები და ამ

მიმართულებით სსმმ აკადემიის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლის და ფუნქციების გაძლიერება; რეკომენდაციებში ასახულია მეხილეობისა და მებოსტნეობის მიმართულებით კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესების აუცილებლობა, აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის ღონისძიებების მნიშვნელობა, სელექციური მუშაობის გაუმჯობესება, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის საკითხების სრულყოფა და ამ მიმართულებით მკაცრი საკანონმდებლო საქმიანობის წარმართვა, აგროქიმიური სამსახურის აღდგენა, მექანიზაციის და ირიგაციის საკითხების სრულყოფა და გაუმჯობესება და სხვა.

კონფერენციაზე აღინიშნა აგრეთვე ამ ტიპის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ჩატარების აუცილებლობა საქართველოს სხვა რეგიონებშიც (სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისათვის) და ამ მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი როლის გაძლიერება.

კონფერენციის მასალები გამოცემულია შრომათა კრებულის სახით (თბილისი, სსმმ აკადემიის გამომცემლობა, 2014 წ., 93 გვ.).



სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

### 3.2.16. მრგვალი მაგიდა თემაზე: “პროგრესული ტექნოლოგიები მეციტრუსეობაში”.

2014 წლის 19 ნოემბერს ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში (ანასეული, ოზურგეთის რაიონი) ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მიმართულების ეროვნული კოორდინატორის და მისი ჯგუფის მრგვალი მაგიდა თემაზე: “პროგრესული ტექნოლოგიები მეციტრუსეობაში”. სხდომას ესწრებოდნენ ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები, ოზურგეთის რაიონის ამხანაგობების და ფერმერთა წარმომადგენლები, ინდემწარმეები და სხვა.

მრგვალ მაგიდას ხელმძღვანელობდა ეროვნული კოორდინატორი აკად. ვალერიან ცანავა. მან თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ მრგვალი მაგიდის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი მიზანია

მეციტრუსეობაში პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა და მიმდინარეობა და პასუხი გაეცეს იმ მრავალ კითხვებს, რომლითაც პრაქტიკოსი მეციტრუსეები მიმართავენ მეცნიერებს. აღნიშნულ იქნა ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა პრაქტიკულ საკითხებზე პერიოდული სწავლებების ჩატარებით და შხამ-ქიმიკატების გამოყენების ვადების და დოზების დაზუსტებით.

ფერმერებისათვის სასარგებლო ინფორმაციები გააკეთეს და შეკითხვებზე უპასუხეს ინსტიტუტის მეცნიერებმა, აკადემიურმა დოქტორებმა ვ. გოლიაძემ და ე. ნიკოლაშვილმა. მეცნიერების გამოსვლებში აღნიშნული იყო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხები, მავნებლებთან, დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის დონისძიებები. აღინიშნა სავაჭრო ქსელში არსებული შხამ-ქიმიკატების დაბალი ხარისხი და დაისვა საკითხი კონტროლის გამკაცრების აუცილებლობაზე. გამოითქვა სურვილი რომ შეხვედრები სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის საკვანძო საკითხების ვადებთან იყოს დაკავშირებული და ამ ცალკეული საკითხების განხილვა და სიახლეების გაცნობა მოხდეს პერიოდულად.

საინტერესო ინფორმაციები გააკეთეს და გარკვეული შეკითხვები დასვეს ფერმერებმა სოფ. შრომიდან გ. ხომერიკმა, ზ. მუჟანაძემ, კ. ცერცვაძემ; მათ აღნიშნეს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებიდან ფერმერებს არავითარი მხარდაჭერა არა აქვთ, გამოკვეთილია აგროქიმიური ლაბორატორიის შექმნის აუცილებლობა; აღინიშნა ნიადაგის ანალიზის სიძვირე, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს სასუქების დოზების განსაზღვრაზე.

ფერმერებმა ყველა შეკითხვაზე მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხები. მრგვალ მაგიდაზე მიიღეს დადგენილება, რომ თითოეულ სოფელში შეიქმნას სპეციალური ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან მეცნიერებთან და მოხდეს ფერმერების პრაქტიკული დახმარება ჯიშების შერჩევის, შხამქიმიკატების და სასუქების დოზების და ვადების განსაზღვრის მიმართულებით., აგრეთვე სხვა პრაქტიკული წინადადებების გადასაწყვეტად.



**მრგვალი მაგიდა “პროგრესული ტექნოლოგიები მეციტრუსეობაში”. ხელმძღვანელი-სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით აკად. ვ. ცანავა.**



ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის მიერ გამოცემული ლიტერატურა ფერმერებისათვის.

### 3.2.17. სემინარი

**“სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია;”**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში 2014 წლის 24 ოქტომბერს 12 საათზე გაიმართა სემინარი: “სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია;”

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან ისაუბრა აღნიშნული სემინარის მნიშვნელობაზე და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების კონსერვაციის აუცილებლობაზე. სემინარს მონაწილეებს ასევე სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ნაპოლეონ ქარქაშიაძემ. სემინარი მიჰყავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანს გოგოლა მარგველაშვილს.

მოსმენილი იქნა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე:

1. ქართული ხორბლის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.  
**მომხს. აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი**
2. სიმინდის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები  
**მომხს. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი**
3. ხეხილის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები  
**მომხს. აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი**
4. ვაზის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.  
**მომხს. აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი**
5. სუბტროპიკული მცენარეების ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.  
**მომხს. აკადემიკოსი ვალერიან ცანავა**
6. ბოსტნეული კულტურების ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.

**მომხს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერი სუნიშვილი**

7. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენების მონიტორინგის პრობლემები საქართველოში.

**მომხს. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე**

8. საქართველოს ტყის ენდემური სახეობების მდგომარეობა და არეალის გაფართოების პერსპექტივები.

**მომხს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გაგოშიძე.**

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ დაგეგმილია სემინარის მასალების გამოცემა ბუკლეტის სახით.

### **3.2.18. სემინარი “სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია;”**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში 2014 წლის 30 ოქტომბერს 12 საათზე გაიმართა სემინარი: “სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია;”

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან ისაუბრა აღნიშნული სემინარის მნიშვნელობაზე და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების კონსერვაციის აუცილებლობაზე. სემინარს მონაწილეებს ასევე სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანმა ზურაბ ცქიტიშვილმა.

მოსმენილი იქნა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე:

1. **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის მიერ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების გამრავლების, სელექციისა და კონსერვაციისათვის ჩასატარებელი სამომავლო ღონისძიებების შესახებ.**

**მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე მეცხოველეობის მიმართულებით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ბასილაძე.

2. **გარეული ფრინველების ენდემური სახეობები და სამონადირეო ფრინველები.**

**მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

3. **ძროხის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.**

**მომსენებელი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ცისანა ქილიფთარი.

**4. ღორის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.**

**მომსენებელი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როლანდ მიტიჩაშვილი.

**5. ცხვრის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.**

**მომსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი გივი ბელელური.

**6. ფრინველის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.**

**მომსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი.

**7. საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშების პროდუქტიულობის მაჩვენებლები და მისი გაუმჯობესების გზები**

**მომსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი.

**8. თევზის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.**

**მომსენებელი:** მაგისტრი ელდარ კაშია.

**9. ფუტკრის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.**

**მომსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი მათა ფეიქრიშვილი.

**10. თუთის აბრეშუმხვიას ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.**

**მომსენებელი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ნარგიზა ბარამიძე.

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ დაგეგმილია სემინარის მასალების გამოცემა ბუკლეტის სახით.



სემინარის მიმდინარეობა.



### 3.2.19. შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან

<i>№</i>	<i>სახელი, გვარი</i>	<i>წოდება, თანამდებობა</i>	<i>ტელეფონი</i>	<i>E.mail</i>
	ბორის წითლიძე	ეროვნული კოორდინატორი, ბიოლოგიის აკად. დოქტორი.	2 60 70 16 ბინა 593 65 69 92	

ჯგუფის წევრები:				
1	გიორგი მაძღარაშვილი	სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.	2 69 97 06 ბინა 555 39 07 56	gmadzgarashvili@yahoo.com
2	ვენერა სტეფანიშვილი	ბიოლოგიის აკად. დოქტორი, შპს “აპი-ფიტო და ტრადიციული ნატურალური პროდუქტები“-ის დირექტორი.	2 23 13 33 ბინა 2 29 59 80 ბინა	
3	ლიზა ბაღიაშვილი	საკვები ბაზის სპეციალისტი	2 23 83 69 ბინა 595 74 54 06	kusaso68@yahoo.com
4	ალექსანდრე კორძია	სოფლის მეურნეობის აკად. დოქტორი.	2 93 13 64 ბინა 599 72 13 64	?
5	თამაზ ტივიშვილი	ვეტერინარიის აკად. დოქტორი	599 77 77 60 599 09 42 35	ttivishvili@yahoo.com
6	რამაზ თავართქილაძე	საქართველოს მეფუტრეთა კავშირის თავმჯდომარე	2 32 78 08 ბინა 599 49 09 50	
7	კონსტანტინე სარაჯიშვილი	ბიოლოგიის აკად.დოქტორი, საქ. მეფუტრეთა ფედერაციის პრეზიდენტი	2 23 03 34 ბინა 595 77 97 86	
8	მაია ფეიქრიშვილი	სოფლის მეურნეობის აკად. დოქტორი	593 36 31 29	
9	მარინა ბარვენაშვილი	სოფლის მეურნეობის აკად. დოქტორი	593 01 37	

### 5.2.3. აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება

#### 5.2.3.1. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი

№	სახელი, გვარი	წოდება, თანამდებობა	ტელეფონი	E.mail
	რევაზ მანარობლიძე	ეროვნული კოორდინატორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, საუ-ის სრული პროფესორი,	2 61 60 26 ბინა 599 53 52 82	<a href="mailto:r.maxaroblidze@agruni.edu.ge">r.maxaroblidze@agruni.edu.ge</a>

		სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, სსმმ აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნ. განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.		
<b>ჯგუფის წევრები:</b>				
1	ჯემალ კაციტაძე	ტექნ. მეცნ. დოქტორი, საუ-ის სრული პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი	2 61 50 76 ბინა 599 10 65 37	chokhadari@yahoo.com
2	ელგუჯა შაფაქიძე	ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, სსმმ აკადემიის წ/კორესპონდენტი, სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი	2 23 02 93 ბინა 577 71 17 75	<a href="mailto:shapakidze-elguja@rambler.ru">shapakidze-elguja@rambler.ru</a> <a href="mailto:e.shapakidze@gmail.com">e.shapakidze@gmail.com</a> <a href="mailto:e.shapakidze@gaas.dsl.ge">e.shapakidze@gaas.dsl.ge</a>
3	ომარ ბედია	ტექნ. მეცნ. დოქტორი, სსმმ აკადემიის წ/კორესპონდენტი,  სსმმ აკადემიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	2 29 13 59 ბინა 593 71 08 35	ombedia@gmail.ru
4	ოთარ ქარჩავა	ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.	599 25 09 99	o.karchava@agruni.edu.ge
5	მამუკა ბენაშვილი	აგროინჟინერიის დოქტორი, საქ.აგროარული უნივერსიტეტი ასოც.პროფესორი.	591 25 09 99	m.benashvili@agruni.edu.ge
6	დიმიტრი ნატროშვილი	ტექნ. მეცნ. დოქტორი, საუ-ის სრული პროფესორი	577 11 2008	d.natroshvili@agruni.edu.ge

**5.2.3.2. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია და ავტომატიზაციის მიმართულების  
ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი**

<i>N<sup>o</sup></i>	<i>სახელი, გვარი</i>	<i>წოდება, თანამდებობა</i>	<i>ტელეფონი</i>	<i>E.mail</i>
	არჩილ ვაშაკიძე	ეროვნული კოორდინატორი, სტუ-ის სრული	2 22 53 53 ბინა 577 79 91 91	a.vashakidze@agruni.edu.ge

		პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.		
<b>ჯგუფის წევრები:</b>				
1	ჯიმშერ სირაძე	სტუ-ის ასოც. პროფესორი, ტექნ. დოქტორი	2 21 53 21 ბინა 599 62 02 34	j.siradze@ agruni.edu.ge
2	ალექსანდრე დიდებუღიძე	საუ-ის ის მოწვეული ლექტორი, სმეა-ის წ/კ. სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ტექნ. მეც. დოქტ. პროფ.	2 93 28 41 ბინა 599 30 56 03	a. didebulidze@ agruni.edu.ge
3	დარვინ ორმოცაძე	აგროინჟინერიის დოქტორი	2 34 57 61 ბინა 593 31 27 76	d.ormocadze@agruni.edu.ge
4	ბაადურ ჭუნაშვილი	სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკ-ის ელ. მოსმარების ტექნოლოგიების დეპ. უფროსი, სრული პროფ. ტექნ. მეცნ. დოქტორი.	294 65 54 ბინა 599 51 00 54	btchunashvili@yahoo.com
5	ხათუნა ნიკოლიშვილი	სტუ-ს დოქტორანტი	2 95 19 71 ბინა 568 95 19 71	k.nikolishvili@agruni.edu.ge
6	გოგი შაველაშვილი	სტუ-ს ასოც. პროფესორი, ტექნიკის მეცნ. დოქტორი.	2 63 39 82 ბინა 599 57 13 44	
7	გურამ ცხომელიძე	თსუ-ს ასოც. პროფესორი	595 53 31 33	
8	კონსტანტინე წერეთელი	სტუ-ის სრული პროფესორი, ტექ. მეცნ. დოქტორი	2 93 69 17 ბინა 599 62 33 46	tseretelik@gmail.ru
9	ვალერი შამათავა	სტუ-ს ასოც. პროფესორი, აგროინჟინერიის დოქტორი	2 22 58 82	

**5.2.3.3. სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მიმართულების ეროვნული  
კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი**

#	სახელი, გვარი	წოდება, თანამდებობა	ტელეფონი	Email
	ირაკლი ყრუაშვილი	ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს ტექნიკური	2 22 22 42 ბინა 555232373	<a href="mailto:irakliqruashvili@yahoo.com">irakliqruashvili@yahoo.com</a>

#	სახელი, გვარი	წოდება, თანამდებობა	ტელეფონი	Email
		უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,		
<b>ჯგუფის წევრები:</b>				
1	ედუარდ კუხალაშვილი	საუ-ის სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, ტექ. მეც. დოქტორი	2 21 56 54 ბინა 599243222	<a href="mailto:e.kukhalashvili@agruni.edu.ge">e.kukhalashvili@agruni.edu.ge</a>
2	გურამ სოსელია	სტუ-ის სრული პროფესორი, საქართველოს გაერთიანებული წყლის კომპანიის მთავარი სპეციალისტი, ტექ. დოქტორი,	2 38 79 17 ბინა 599263371	<a href="mailto:guram.soselia@mailru">guram.soselia@mailru</a>
3	ვალერიან მჭედლიძე	საქ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი	2 66 37 73 ბინა 577080044	<a href="mailto:v.mchedlidze@moa.gov.ge">v.mchedlidze@moa.gov.ge</a>
4	ირმა ინაშვილი	სტუ-ის პროფესორი, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ტექ. დოქტორი	2 64 87 21 ბინა 593362926	<a href="mailto:irmainashvili@yahoo.com">irmainashvili@yahoo.com</a>
5	პაატა ტულუში	სააქციო საზოგადოება "საქწყალპროექტი"-ის მთავარი სპეციალისტი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი, ტექ. დოქტორი	2 34 38 91 ბინა 599720363	<a href="mailto:p.tugushi@yahoo.com">p.tugushi@yahoo.com</a>
6	კონსტანტინე ბზიავა	სტუ-ის ასოცირებული პროფესორი, ტექ. დოქტორი	2 99 70 88 ბინა 579501950	<a href="mailto:k_bziava@yahoo.co.uk">k_bziava@yahoo.co.uk</a>

#	სახელი, გვარი	წოდება, თანამდებობა	ტელეფონი	Email
7	ეკატერინე სანაძე	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგის რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი, სოფლის მეურნ. დოქტორი.	2 36 12 21 ბინა 577141010	<a href="mailto:ekaterinesanadze@yahoo.com">ekaterinesanadze@yahoo.com</a>
8	ზურაბ ლობჯანიძე	სტუ-ის ასოცირებული პროფესორი, აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის უფრ. მეცნ თანამშრომელი. ტექ. დოქტორი	2 32 65 86 ბინა 593932297	zurablobjanidze@yahoo.com
9	დავით ლიპარტელიანი	ახმეტის მუნიციპალიტეტი, ფერმერი.	595903348	<a href="mailto:liparteliani.david@gmeil.com">liparteliani.david@gmeil.com</a>
10	ლევან დვალი	საქ ს.მ. სამინისტროს შპს საქ. გაერთიანებული სამელიორაციო კომპანიის დირექტორი	2 22 10 69 ბინა 577 05 50 00	info@uag.ge
11	ირაკლი სირაძე	საქ ს.მ. სამინისტროს შპს საქ. გაერთიანებული სამელიორაციო კომპანიის სარეაბილიტაციო და საინვესტიციო პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე	2 22 27 19 ბინა 599 08 05 05	Iraklisiradze25@gmail.com



5.2.4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება

5.2.4.1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის და გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი

№	სახელი, გვარი	წოდება, თანამდებობა	ტელეფონი	E.mail
1	ნუგზარ ბაღათურია	ეროვნული კოორდინატორი, ტექ. მეცნ.დოქტორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სტუ-ის კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი, სტუ-ის სრული პროფესორი	2 22 66 46 ბინა 599 43 15 14	<a href="mailto:GFS-company@yahoo.com">GFS-company@yahoo.com</a>
2	თენგიზ ნანიტაშვილი	ეროვნული კოორდინატორი, ტექ. მეცნ. დოქტორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, სტუ-ის კვების მრეწვ. ს/კ ინსტიტუტის განყ. გამგე, სტუ-ის სრული პროფესორი	2 33 27 37 ბინა 591 01 56 93	<a href="mailto:GFS-company@yahoo.com">GFS-company@yahoo.com</a>
<b>ჯგუფის წევრები:</b>				
1	ნანა ბეგიაშვილი	ტექ.მეცნ.დოქტორი, სტუ-ის კვების მრეწვ.ს/კ ინსტიტუტის სამეც.საბჭოს თავმჯდომარე, სტუ-ის სრული პროფესორი	2 23 35 68 ბინა 599 56 30 27	nana-beg@mail.ru
2	ლევან მუჯირი	ტექ.მეცნ.დოქტორი, სტუ-ის კვების მრეწვ. ს/კ ინსტიტუტისგანყ. გამგე, სტუ-ის სრული პროფესორი	2 23 10 92 ბინა 599 24 53 93	<a href="mailto:GFS-company@yahoo.com">GFS-company@yahoo.com</a>
3	გოგი გრიგორაშვილი	ბიოლ. მეცნ. დოქტორი, სტუ-ის კვების მრეწვ. ს/კ ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი,	2 21 38 78 ბინა 551 21 38 78	<a href="mailto:GFS-company@yahoo.com">GFS-company@yahoo.com</a>

		სტუ-ის სრული პროფესორი		
4	თემურ რევიშვილი	ტექ. მეცნ. დოქტორი, საუ-ის ჩაის და სუბტრ. კულტ. ინსტიტუტის დირექტორი.	599 53 34 88	
5	დავით აბზიანიძე	ტექ. მეცნ. დოქტორი, ს/ს “სარაჯიშვილი-ენისელი“-ს მთ. ტექნოლოგი.	599 20 20 29	
6	რევაზ მელქაძე	ტექ. მეცნ. დოქტორი, სტუ-ის სრული პროფესორი		

### 5.3. ფერმერთა დახმარების ღონისძიებები

#### საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 2014 წელს აგრძელებს უფასო კონსულტაციებს ფერმერებისათვის

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბებულია სპეციალური დარგობრივი ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ეროვნული კოორდინატორები.

საქართველოს ფერმერებმა, სოფლის მეურნეობის ნებისმიერ დარგში მათთვის საინტერესო თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხებზე კონსულტაციებისთვის შეუძლიათ მიმართონ ტელეფონით, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებს.

ფერმერების მოთხოვნებისა და წერილობითი განცხადებების მიხედვით შესაძლებელია აგრეთვე ფერმერთა ეროვნულ კოორდინატორებთან შეხვედრა აკადემიაში, სადაც ისინი მიიღებენ შესაბამის კონსულტაციებს სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ საკითხზე. შეხვედრის დრო და თარიღი მათ დამატებით ეცნობებათ.

იმ შემთხვევაში, თუ საკითხების რაოდენობა და ფერმერთა დაინტერესება რომელიმე რეგიონში დიდია, შესაძლებელია ეროვნული კოორდინატორების შეხვედრა ფერმერებთან ჩატარდეს ადგილებზე.

აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებთან კონტაქტები შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ მისამართზე:

0102, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №51;

ელ.ფოსტა E-mail: [acad.as@gaas.dsl.ge](mailto:acad.as@gaas.dsl.ge); [fermer-academy@mail.ru](mailto:fermer-academy@mail.ru);

ვებ-გვერდი: [www.gaas.dsl.ge](http://www.gaas.dsl.ge).

ტელეფონები: 294 13 21 (591 32 34 63); 294 13 20 (593 314 143).

სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორები მიმართულებების მიხედვით

I. აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება

- 1.1. **მევენახეობა** – აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი – ბინ. 2 36 00 16; მობ. 599 51 88 58; აკად. დოქტ. ლევან უჯმაჯურიძე – ბინ. 223 01 36; მობ. 595 22 22 17;
  - 1.2. **მენილეობა** – აკადემიკოსი იუზა ვასაძე – ბინა 2 23 21 51; მობ. 577 40 76 31;
  - 1.3. **ჩაი და ციტრუსები** – აკადემიკოსი ვალერიან ცანავა – ბინა 6 45 38 (ოზურგეთი-ანასეული); მობ. 599 53 22 25;
  - 1.4. **მინდვრის კულტურები** – აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი – ბინა 2 30 26 28; მობ. 599 26 83 51; აკად. დოქტ. კახა ლაშხი – მობ. 591 918 288;
  - 1.5. **ბოსტნეული კულტურები** - ს.მ. მეც. დოქტ. ვალერი სუხიშვილი – ბინ. 0370 273 660; მობ. 599 97 27 02; აკად. დოქტ. ნატო კაკაბაძე – მობ. 593 34 67 02;
  - 1.6. **მცენარეთა დაცვა** – აკადემიკოსი გურამ ალექსიძე – ბინ. 2 36 00 16; მობ. 593 20 07 93;
  - 1.7. **მიწათმოქმედება** – აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი – ბინ.2 53 39 61; მობ.599 63 12 34;
  - 1.8. **სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია** – აკადემიის წ/კ თამაზ თურმანიძე –  
ბინ. 2 38 61 32; მობ. 591 17 04 96;
  - 1.9. **აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა** – აკად. გოგოლა მარგველაშვილი – ბინ. 2 38 61 34; მობ.599 63 14 61;
  - 1.10. **მიწათსარგებლობა** – ტექ. მეცნ. დოქტ. ანზორ მესხიშვილი – ბინ.222 55 53; მობ. 599 92 55 53;
  - 1.11. **მეტყვეობა** – აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი – ბინ.2 23 28 74; მობ. 599 93 96 00;  
აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე – ბინ. 222 20 47; მობ. 599 54 99 99;  
ს.მ. მეცნ. დოქტ. გიორგი გაგოშიძე – მობ. 577 112 004;
- II. მეცხოველეობის, საკვებწარმოების, ვეტერინარიის და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილება**
- 2.1. **მეცხოველეობა** – აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი – ბინ. 2 69 40 24; მობ. 577 41 29 23;
  - 2.2. **საკვებწარმოება** – სოფლ მეურ. მეცნ. დოქტ. იოსებ სარჯველაძე – ბინ.2 96 87 77; მობ. 599 17 36 20;
  - 2.3. **ვეტერინარია** – აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი – ბინ. 2 31 48 18; მობ. 599 58 55 16;
  - 2.4. **მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავება** – აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი – ბინ. 2 37 18 52; მობ. 577 57 77 71;
  - 2.5. **მეაბრეშუმეობა** – აკადემიის წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილი – მობ. 597 31 33 11;  
აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია – ბინ. 2 38 29 28; მობ.599 50 38 16.  
აკადემიის წ/კ ელგუჯა შაფაქიძე – ბინ. 223 02 93; მობ. 577 711 775;

2.6. მეფუტკრეობა – ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ბორის წითლიძე – ბინ.2 60 70 16; მობ.593 65 69 92.

### III. აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება

3.1. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია – აკადემიკოსი რეზო მახარობლიძე – ბინ. 2 61 00 26; მობ. 599 53 52 82;

3.2. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია – აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე – ბინა 222 53 53; 577 79 91 91;

3.3. სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ყრუაშვილი – ბინა 2 22 22 42; მობ. 555 23 23 73

### IV. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება

4.1. მეღვინეობა – აკადემიკოსი გურამ პაპუნძე – ბინ.2 7 50 21; მობ. 599 50 61 25; აკად. დოქტ. ზურაბ ტყემალაძე ;

4.2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვა და გადამუშავება – აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია – ბინ. 2 22 66 46; მობ. 599 43 15

14.

აკადემიკოსი თენგიზ ნანიტაშვილი – ბინ. 2 33 27 37; მობ.599 71 55 33

## თავი 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები

### 6.1. აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი  
სწავლული მდივანი - დოქტორი ანატოლი გიორგაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 18 წევრი. მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 14 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 4.

აკადემიკოსები: ალექსიძე გურამი, ვასაძე იუზა, ზარდალიშვილი ოთარი (გარდაიცვალა 2014 წლის აგვისტოში), მარგველაშვილი გოგოლა, ნასყიდაშვილი პეტრე, ქვეხიშვილი ვლადიმერი, ჩაგელიშვილი რევაზი, ჩანქსელიანი ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცანავა ვალერიანი, ბადრიშვილი გივი, კვალიაშვილი ვაჟა, ონიანი ჯუმბერი, ცაგურიშვილი გივი.

წევრ-კორესპონდენტები: თურმანიძე თამაზი, კილასონია გურამი (გარდაიცვალა 2014 წლის თებერვალში), ლიპარტელიანი ოთარი, ურუშაძე

თენგიზი, ღორჯომელაძე ოთარი (გარდაიცვალა 2014 წლის იანვარში), ჯაბნიძე რეზო.

6.1.1. აბრწონილი სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის სამუშაო გეგმა

№	საკითხების (თემების დასახელება)	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	აკადემიის აბრწონილი სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ	იანვარი	აკად. გოგოლა მარგველაშვილი აკად. დოქტ. ანატოლი გიორგაძე	
	აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი	
2	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი	
3	აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი ვალერიან ცანავა	
4	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე	
5	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანისა და გადამამუშავების ტექნოლოგიების შემუშავების შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი	
6	აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი	
7	აკადემიკოს გივი ცაგურიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი	

8	მარცვლეული კულტურების (ხორბალი, სიმინდი, ქერი) მეთესლეობის დღეგანდელი მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები	მაისი	აკადემიის წევრ- კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი	
9	სოფლის მეურნეობისათვის საშიში ექსტრემალური მოვლენების შესახებ წინასწარი გაფრთხილებისა და მის მიმართ დარგის ადაპტაციის ღონისძიებათა დამუშავება	მაისი	აკადემიის წევრ- კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე	
10	აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი	
11	აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი	
12	სავარგულებისა და ნიადაგური ტიპების თავისებურებათა შესატყვისად წყლიერ თვისებათა რეგულირების სისტემები	ივნისი	აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი	
13	აკადემიკოს იუზა ვასაძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	ივნისი	აკადემიკოსი იუზა ვასაძე	
14	აკადემიკოს ოთარ ზარდალიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	ივნისი	აკადემიკოსი ოთარ ზარდალიშვილი	
15	აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	ივლისი	აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი	
16	აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	ივლისი	აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი	

17	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რევაზ ჯაბნიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	ივლისი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რევაზ ჯაბნიძე	
18	აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	ივლისი	აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი	
19	ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი და სამაცივრო საწარმოთა თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში.	სექტემბერი	აკადემიკოსი იუზა ვასაძე	
20	სიმინდის სელექციის შედეგები საქართველოში	ოქტომბერი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი	
21	აკადემიკოს გივი ბადრიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	ოქტომბერი	აკადემიკოსი გივი ბადრიშვილი	
22	აგრორადიოლოგიური და აგროეკოლოგიური კვლევები როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველი	ნოემბერი	აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი	
23	საქართველოს მთის პირობებში ტყის ჭრის თანამედროვე მდგომარეობა	ნოემბერი	აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი	
24	მთიან ზონაში საკვები კულტურების ორი მოსავლის მოყვანის შესაძლებლობების შესახებ	დეკემბერი	აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი	

6.1.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრატის აკადემიის აბრუნებული სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	ხორბლის, სიმინდის და სხვა მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები ;	სემინარი	მარტი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება, შპს „ლომთაგორა“.	
2	სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემები;	სემინარი	მარტი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
3	აგროქიმიური ღონისძიებების როლი მოსავლიანობის ამაღლების საქმეში ;	მრგვალი მაგიდა	მაისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
4	მთის ტყეების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ	მრგვალი მაგიდა	მაისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება, ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება.	
5	ნიადაგების დაცვისა და მათი ნაყოფიერების აღდგენა- გაუმჯობესების გზები;	მრგვალი მაგიდა	ივნისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
6	მევენახეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;	გასვლითი სემინარი	სექტემბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
7	მეხილეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (გორის რაიონი)	სექტემბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	



8	სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ	სემინარი	ოქტომბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
9	სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა ენდემური ადგილობრივი ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია	სემინარი	ოქტომბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	
10	აგრარული მეცნიერების გადარჩენისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პრობლემები	მრგვალი მაგიდა	ოქტომბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	
11	მდგრადი მეურნეობის დარგის განვითარების პრინციპები	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
12	ციტრუსების მოვლა-მოყვანა-შენახვა-გადამუშავების პერსპექტივები საქართველოში	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი ანასეული	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
13	აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში ;	სემინარი	დეკემბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	

განყოფილებაში 2014 წელს ჩატარდა 10 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 17 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; სწავლული მდივანი აკად. დოქტორი

**ანატოლი გიორგაძე.** 2. აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

მეორე სხდომა ჩატარდა 12 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები:** ეროვნული კოორდინატორები: მეხილეობა - აკად. ი.ვასაძე; მევენახეობა - აკად. ნ. ჩხარტიშვილი; ჩაი და ციტრუსები - აკად. ვალერიან ცანავა; მინდვრის კულტურები - აკად. პეტრე ნასყიდაშვილი; ბოსტნეული კულტურები - აკად. დოქტ. ნატო კაკაბაძე; მეტყევეობა - აკად. რევაზ ჩაგელიშვილი; აგროქიმი-ნივთბუნების დამუშავება - აკად. გოგოლა მარგველაშვილი; მცენარეთა დაცვა - აკად. გურამ ალექსიძე; სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია - აკად. წ. კ. თამაზ თურმანიძე; მიწათმოქმედება - აკად. გივი ცაგურიშვილი. 2. აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ინფორმაცია 2013 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 3. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის ინფორმაცია 2013 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების ასოცირებული წევრების კანდიდატურების შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 26 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 10 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. მარცვლეული კულტურების - ხორბალი, სიმინდი, ქერი, მეთესლეობის დღევანდელი მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები. **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი. 2. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანისა და გადამამუშავების ტექნოლოგიების შემუშავების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი. 3. აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 4. აკადემიკოს გივი ცაგურიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 5. წიგნის: “საკვები კულტურების აგროწესების” რეცენზირების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 29 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. სოფლის მეურნეობისათვის საშიში ექსტრემალური მოვლენების შესახებ წინასწარი გაფრთხილებისა და მის მიმართ დარგის ადაპტაციის ღონისძიებათა დამუშავება. **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე. 2. აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 23 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ნიადაგში წყლიერი თვისებების სისტემათა რეგულირების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი;** 2. აკადემიკოს იუზა ვასაძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს ოთარ ზარდალიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 18 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. 3. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რევაზ ჯაბნაძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

მერვე სხდომა ჩატარდა 17 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: სიმინდის სელექციის შედეგები საქართველოში. **მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი.**

მეცხრე სხდომა ჩატარდა 12 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: აგრორადიოლოგიური და აგროეკოლოგიური კვლევები როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველი. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი.**

მეათე სხდომა ჩატარდა 12 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: საკვებწარმოება და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. **მომხსენებელი: აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი.** 2014-2015 წლების ზამთრის ყინვების სეზონური პროგნოზი. **მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე.**

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: სემინარი - **მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები;** სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია; მრგვალი მაგიდა - პროგრესული ტექნოლოგიები მეციტრუსეობაში (ანასეული); სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - მეხილეობის და მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში (გორი).

გარდა ამისა განყოფილების წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული დოკუმენტის "სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის მიმართულებები" შედგენაში. ასევე თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები დააფიქსირეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე (2015-2020).

## 6.1.3. ბანყოფილების წევრების მოკლე ანბარი

### 6.1.3.1. აკადემიკოსი გურამ ალექსიძე



2014 წელს, თანამდებობრივი ფუნქციების შესრულების გარდა, ასრულებდა შემდეგ სამუშაოებს:

1. მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო თათბირებში: 1) ქ. მონპელიე (საფრანგეთი), გლობალური ფორუმის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში, როგორც მოწვეული საბჭოს წევრი. 2) ქ. მონპელიე (საფრანგეთი), ტროპიკული ქვეყნების ს.ს. კვლევის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, როგორც ამ საბჭოს წევრი.

2. ქ. სეულში (სამხრეთ კორეა), ქართულ-კორეული სემინარი, სადაც გამოვიდა მოხსენებით “საქართველოს სოფლის მეურნეობა და კვლევის

სისტემა”. მიღებული აქვს სპეციალური სერტიფიკატი;

3. ქ. ფერგანაში (უზბეკეთი) მონაწილეობა მიიღო ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თათბირში, რომელიც გაიმართა “იკარდას” ინიციატივით. გამოვიდა მოხსენებით “პრიორიტეტული მიმართულებები აგრარულ კვლევებში”.

4. ქ. პრელაში (ჩეხეთი) მონაწილეობა მიიღო ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო თათბირებში, რომელიც მიეძღვნა გენმოდირეცირებული მცენარეების შესწავლის მდგომარეობას ევროპის ქვეყნებში. აკად. გ. ალექსიძის მოხსენება “გენმოდირეცირებული მცენარეები საქართველოში” ძირითადად შეეხებოდა პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო დოკუმენტების ანალიზს.

5. ქ. ბიშკეკში (ყირგიზეთი) მონაწილეობა მიიღო რეგიონალურ სემინარში “ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების მუშაობა ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში”. თათბირი ჩატარდა ამავე რეგიონის კვლევით ორგანიზაციების ასოციაციის “აკაარის” უშუალო ხელმძღვანელობით. მისი მოხსენების თემა იყო “საკონსულტაციო ცენტრების მუშაობა საქართველოში”. თათბირის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამერიკის ტეხასის და ილინოისის უნივერსიტეტები, ფაო, გერმანიისა ბონის უნივერსიტეტები, გლობალური ფორუმი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

ამის გარდა, აკად. გ. ალექსიძე მონაწილეობდა ჩვენ ქვეყანაში ჩატარებულ თათბირებში:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთობლივად ჩატარებულ ღია კრებაში, რომელიც მიეძღვნა “საქართველოს კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს”, სადაც გამოვიდა მოხსენებით: “მცენარეთა დაცვა - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების ერთ-ერთი გზა” კრების მასალები დაიბეჭდა ცალკე წიგნის სახით.

2. ფერმერთა საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრების მუშაობასთან დაკავშირებით აკადემიაში ჩატარებულ თათბირზე, გამოვიდა მოხსენებით „საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ”, რომელიც მოწონებული იქნა და შემდეგში ყირგიზეთში საერთაშორისო თათბირზე იქნა წარმოდგენილი.

3. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, აკადემიაში ჩატარებულ საერთაშორისო თათბირზე, რომელსაც პირადად აკად. გ. ალექსიძე

ხელმძღვანელობდა, გამოვიდა მოხსენებით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ამას გარდა, მისი ხელმძღვანელობით გაფორმებული იქნა ორი ხელშეკრულება ერთობლივი კვლევების ჩატარებაზე – სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან (ქ. სეული) და პოლონეთის პოხნანის უნივერსიტეტთან (ქ. თბილისი).

ძალზედ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაწვევრიანება ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კავშირში, რომელიც ჩატარდა ქ. პრაღაში (ჩეხეთი), რომლის უშუალო ხელმძღვანელი და ინიციატორი იყო პირადად აკად. გ. ალექსიძე.

2014 წელს ხელმძღვანელობას უწევდა ერთ დოქტორანტს, რომლის ოფიციალური დაცვაც შედგება მომავალ წელს იანვარში ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში. სადისერტაციო თემის დასახელებაა: „სამკურნალო მცენარეების მავნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმალური ღონისძიებების დამუშავება“.

2014 წელს გამოქვეყნებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბეში” მე-3 და მე-6 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, რომელიც მიეძღვნა კლიმატის ცვლილებებს.

აკად. გ. ალექსიძის საზოგადოებრივი საქმიანობა:

1. სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
2. საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის დარგის ხელმძღვანელი;
3. ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (CGIAR);
4. ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სოფლის მეურნეობის კვლევითი ორგანიზაციების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (CACAARI);
5. ევროპის გენეტიკური რესურსების ბეტა ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
6. ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის საბჭოს წევრი;
7. FAO-ს ტროპიკული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ევროკავშირის დაფინანსებით, გამოცემული იქნა წიგნი- მონოგრაფია: გ. ალექსიძე „მცენარეთა დაცვა“, რომელიც განკუთვნილია აგრონომიული განხრის სტუდენტებისა და ფერმერებისათვის.

აკად. გ. ალექსიძე წარდგენილია აგრარული მიმართულების 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდებაზე, აგრონომიული განხრით.

### 6.1.3.2. აკადემიკოსი გივი ბადრიშვილი



მიმდინარე წელს მუშაობდა საარქივო მასალაზე, სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის 80 წლის სამეცნიერო-კვლევით შედეგებზე წიგნის გამოსაცემად. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

აკადემიის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე; ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის “ელკანას” მიერ შედგენილ ხეხილის კატალოგის გამოცემას ჩაუტარა ექსპერტიზა, გაკეთდა სათანადო შენიშვნები, რომელიც გათვალისწინებული იქნა კატალოგის პრეზენტაციის დროს.

2014 წლის ნოემბერში აქტიური მონაწილეობა მიიღო აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ გორში ჩატარებულ მეხილეობის კონფერენციაზე, როგორც ამ დარგის კოორდინატორი. წარმოდგენილი იქნა მოხსენება საცდელი საქმის და მეხილე მეცნიერების მიერ მიღწეულ შედეგებზე და არსებულ მდგომარეობაზე. მოხსენების შინაარსი გამოქვეყნებულია ამ კონფერენციისადმი მიძღვნილ შრომათა კრებულში და იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ “მოამბეში”. მუშაობს აკადემიაში მუზეუმის ჩამოყალიბების და გაფორმებისათვის საჭირო ექსპონატების მოძიებაზე.

### 6.1.3.3. აკადემიკოსი იუზა ვასაძე



1. დასაქმების ადგილი—საქართველოს „მეღვინეთა, მევენახეთა და მებაღეთა სამეცნიერო-კვლევითი-საწარმოო კავშირის” პრეზიდენტი (არასამთავრობო ორგანიზაცია; საიდენტიფიკაციო კოდი 404918292).

2. გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა—144, მათ შორის მიმდინარე წელს – 2;

2.1. „მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში”. სსმმ აკადემიის შრომათა კრებული, თბილისი, 2014;

ნაშრომში განხილულია მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში მუნიციპალიტეტების მიხედვით. შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე მოცემულია წინადადებები შიდა ქართლში მეხილეობის განვითარების მიზნით;

2.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა (ყურძენი, ხეხილი, ჩაი) გადამუშავებული მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში”. სსმმ აკადემიის შრომათა კრებული, თბილისი, 2014;

შრომაში განხილულია სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამუშავებული მრეწველობის (ყურძენი, ხეხილი, ჩაი) თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში და მოცემულია ანალიზი მათი მუშაობის შესახებ, როგორც ქ. თბილისში, ასევე რეგიონების მიხედვით, 2014 წლის 1/12 მდგომარეობით. მოცემულია აგრეთვე იმ საწარმოთა ჩამონათვალი და რაოდენობა, რომლებიც ექსპლუატაციაში შევლენ ახლო მომავალში და ხელს შეუწყობენ ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობას.

კადრებთან მუშაობა - მეხილეობის ხაზით დაცულია სამი საკანდიდატო და ცხრა სადოქტორო დისერტაცია. (საქართველოს მებაღეობის და მევენახეობის

და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭო). საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დაცულია ხუთი დიპლომი;

3. მონაწილეობა კონფერენციებში – 2, სიმპოზიუმში – 2, სესია – 14, მსოფლიო კონგრესი – 3;

4. მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული ფონდში, გრანტი №GNSFSTO7/8-176;

5. საქართველოს „მეღვინეთა, მევენახეთა და მებაღეთა სამეცნიერო-კვლევითი-საწარმოო კავშირის“ ყოველწლიური შრომათა კრებულის მთავარი რედაქტორი.

6. მიღებულია გამოგონება – 7, პატენტი – 5;

7. ჯილდოები: “საპატიო ნიშნის” ორდენი, “საპატიო ნიშნის” მედალი;

8. სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები:

- სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ხელმძღვანელობა შიდა ქართლში.

2014 წლის 14 ნოემბერს გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად და ინიციატივით ჩატარდა გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „მეხილეობის და მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა გ. მარგველაშვილმა, ი. ვასაძემ, ვ. კვალიაშვილმა, გ. ბადრიშვილმა, ზ. ჩანქსელიანმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ე. შაფაქიძემ და თ. თურმანიძემ, სსმმ აკადემიის სწავლულმა მდივანმა, აკადემიურმა დოქტორმა ა. გიორგაძემ, აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორმა მებოსტნეობის დარგში პროფ. ვ. სუხიშვილმა და აკადემიურმა დოქტორმა ნ. კაკაბაძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტმა, შიდა ქართლის და გორის საკრებულოს წარმომადგენელმა, შიდა ქართლის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტებმა, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგებმა და სტუდენტებმა, შიდა ქართლის მეხილეობის და მებოსტნეობის მიმართულების ფერმერებმა და სპეციალისტებმა.

კონფერენცია გახსნა სსმმ აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორმა მეხილეობის დარგში აკად. იუზა ვასაძემ.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ: მეხილეობის მიმართულებით – აკად. ი. ვასაძე „მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში“, აკად. გ. ბადრიშვილი – „მეხილეობის სამეცნიერო დარგის პერსპექტივები შიდა ქართლში“, აკად. ვ. კვალიაშვილი - „ადგილობრივი წარმოშობის ხეხილის ჯიშების შესწავლა, სელექცია და ინსტოლუქცია“, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. თურმანიძე - „ეკოლოგიური პირობების გავლენა ხეხილოვან კულტურათა ზრდა – განვითარებისა და მოსავალზე“, მებოსტნეობის მიმართულებით – აკადემიის ეროვნული კოორდინატორი, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ვ. სუხიშვილი – „მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა შიდა

ქართლში” და ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამსახურის უფროსი, აკადემიური დოქტორი ნ. კაკაბაძე - „მეზოსტნეობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში“.

ძირითადი მოხსენებების შემდეგ კონფერენციის მნიშვნელობასა და შიდა ქართლში მეხილეობისა და მეზოსტნეობის განვითარებასა და დარგების პრობლემების გადაჭრის საკითხებზე ისაუბრეს სსმმ აკადემიის აკად. გ. მარგველაშვილმა, სსმმ აკადემიის აკად. ზ. ჩანქსელიანმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინატორმა ნ. ხოსაშვილმა, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მელანიშვილმა, ფერმერმა გოგი ბარბაქაძემ, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა დ. გოგინაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიოწარმოების სამსახურის უფროსმა გ. წერეთელმა.

მოხსენებების, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები, სადაც მითითებულია მეხილეობის და მეზოსტნეობის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები და ამ მიმართულებით სსმმ აკადემიის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლის და ფუნქციების გაძლიერება; რეკომენდაციებში ასახულია მოქმედებითი საქმიანობის და გაუმჯობესების აუცილებლობა, აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის ღონისძიებების მნიშვნელობა, სელექციური მუშაობის გაუმჯობესება, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის საკითხების სრულყოფა და ამ მიმართულებით მკაცრი საკანონმდებლო საქმიანობის წარმართვა, აგროქიმიური სამსახურის აღდგენა, მექანიზაციის და ირიგაციის საკითხების სრულყოფა, გაუმჯობესება და სხვა.

კონფერენციაზე აღინიშნა აგრეთვე ამ ტიპის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ჩატარების აუცილებლობა საქართველოს სხვა რეგიონებშიც (სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისათვის) და ამ მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი როლის გაძლიერება.

- გასულ 2014 წელს აკადემიის დარგობრივი საკოორდინაციო კომისიის დასკვნის შედეგად, იგულისხმება მეხილეობის კომისია, დასმული იქნა საკითხის სამაჩაბლოს რეგიონის საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრების მოსახლეობისა და მოსავლის უკეთ რეალიზაციის მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორთში დაგეგმილი ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი და სამაცივრო საწარმოს გახსნა, როგორც ცნობილია ზემდგომმა ორგანოებმა განიხილეს ეს საკითხი და გამოყოფილია თანხა მშენებლობისათვის. აღნიშნული საკითხის მოგვარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა სსმმ აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოსის გ. ალექსიძისა და საკოორდინაციო კომისიის წევრთა აქტიურმა მუშაობამ.

- სამუშაო გეგმის შესაბამისად აკად. ი. ვასაძის მიერ აკადემიის აკადემიურ საბჭოზე წარმოდგენილი იქნა მოხსენება „სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამამუშავებელი მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში (მრავალწლიანი კულტურები, ყურძნები, ხეხილი, ჩაი).



მოსხენებაში განხილულია სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამამუშავებელი მრეწველობის (ყურძენი, ხეხილი, ჩაი) თანამედროვე მდგომარეობა მათი განლაგებები ადმინისტრაციული მუნიციპალიტეტების მიხედვით და ანალიზი მუშაობის შესახებ 2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ასევე მოცემულია იმ საწარმოთა ჩამონათვალი და რაოდენობა, რომლებიც ექსპლუატაციაში შევლენ ახლო მომავალში და ხელს შეუწყობენ ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობას.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეხილეობის, განვითარების პრობლემებს, როგორც მოგეხსენებათ გასულ 2013 წელს, აქტიური მონაწილეობა მიიღეს (აკადემიკოსები ი. ვასაძე და ბადრიშვილი, ვ. კვაჭიაშვილი) მისი განვითარების კონცეფციის შემუშავებაში, რომელიც შემდგომ შენიშვნების ჩასწორების გათვალისწინებით გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამტკიცებისთვის. იგი დამტკიცდა. აქედან გამომდინარე აკად. ი. ვასაძე რჩება ამ კომცეფციის მომხრე და ელის ცხოვრებაში მის გატარებას.

9. სხვა საკითხებიდან: 2015 წლის აკადემიური საბჭოს სხდომაზე (მესამე-მეოთხე კვარტალი) შემოტანილი იქნება საკითხი – “მესხეთ-ჯავახეთში მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები”.

ამ საკითხის განხილვას მიეძღვნება დარგობრივი განყოფილების ინიციატივით სემინარ-კონფერენციის ჩატარება ქალაქ ახალციხეში, რომელსაც რა თქმა უნდა უხელმძღვანელებს აკადემიის შესაბამისი დეპარტამენტი და მასში ჩართული იქნება მესხეთ-ჯავახეთის გუბერნიის ხელმძღვანელობა.

აკადემიის პერსპექტივებიდან გამომდინარე აკად. ი. ვასაძეს მიზანშეწონილად მიმაჩნია დაასახელოს მეხილეობისა და მებოსტნეობის დარგის ის მეცნიერები, რომელთა აკადემიაში შერჩევის (კონკურსის) გზით მოსვლა ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას, ასეთები არიან: მეხილეობაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები ნ. შენგელია, ნადეჟდა მიროტაძე, ლალი გოგინავა, ხოლო მებოსტნეობაში - მეციერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. სუხიშვილი.

#### 6.1.3.4. აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი



1. არსებული პროგრამის შესაბამისად გაგრძელდა მუშაობა ქართული ვაზის და ხეხილის სელექციაში სოფ. წედისის საცდელ ბაღში (და ქ. გორში).

##### ა. კლიმატი.

მიმდინარე წელს შიდა ქართლის კლიმატი უჩვეულო, არატრადიციული იყო. ზამთრის და გაზაფხულის ყინვებმა და წაყინვებმა მნიშვნელოვნად დააზიანეს ვაზის და ხეხილის როგორც ერთწლიანი ნაზარდი, ისე კვირტები და ყვავილი, რამაც თითქმის უმოსავლოდ დატოვა კაკალი, თხილი, კომში, გაანახევრა ყურძნის, ვაშლის, მსხლის, ატმის, ბლის და სხვა კურკოვნების მოსავალი. ზაფხულში ხანგრძლივმა გვალვამ, სარწყავი წყლის სიმცირემ, ცხელმა ქარებმა და სეტყვამ, ისედაც მცირე მოსავალი გაანადგურა; გადარჩენილი ნაწილი მოიხარშა, ადრე

მომწიფდა და უხარისხოდ იქცა; ატენის ხეობის საძოვრებზე გადახმა ბალახი, ასაკოვანმა ხეებმა ხმობა და ხილმა ცვენა დაიწყო, ნაქარი და დაზიანებული ხილით გაივსო გადამმუშავებელი საწარმოები.

აღნიშნული სრულად შეეხო ს.წედისის მოსახლეობის ბაღ-ვენახებს. ამავე დროს, ცალკეული კულტურების და ჯიშების მხრიდან დაფიქსირდა სხვადასხვა მდგომარეობა და რეაქცია სტიქიური მოვლენების მიმართ, რომლებმაც ერთგვარი გამოცდა მოუწიეს მათ.

2014 წლის 6 ივლისს გორში მოსულმა ძლიერმა სეტყვამ მნიშვნელოვნად დააზიანა ხეხილის და ვაზის ნაზარდი; 80-100%-ით გაანადგურა ხილი და ყურძენი.

წედისის საცდელ ბაღში, ჩვეულებისამებრ, ჯანმრთელი და უხემოსავლიანი იყო ატმის 3/ჯიშები: გორის ყვითელი, თეთრი №1, ბესტავაშვილი, წედისური, წედისური ბრტყელი, ვაჟური, მარია ჯორჯანადა ნუგურა; ატმის სხვა ჯიშები ნაწილობრივ დაზიანდა, უმეტესად, ყვავილობის დროს.

ქვემოთ მოყვანილია ატმის ჯიშების მარია ჯორჯანას და ნუგურას მოკლე დახასიათება, რომლებმაც გაუძლეს ამინდის ჭირვეულობას:

### **მარია ჯორჯანა**

მიღებულია ოქროს იუბილესთან ხიდისთაური ყვითელი საგვიანოს შეჯვარებით. ხე საშუალოზე დიდია, გადამლილი ვარჯით, საშ. სიხშირის შეფოთვლით. წლიური ნაზარდი ღია მწვანეა, შეუფერავი უმზეო მხარეზე; მუხლთშორისები გრძელია. ყვავილი ზარისებრი ტიპისაა, პატარა, აგურისფერი გვირგვინის ფურცლებით. ფოთლის ფირფიტა ლანცეტისებრი, გრძელი და საშუალო სიგანისაა; შეღუნულია, წვერი არაა გადახრილი. ყუნწზე თირკმლისებრი 2 ჯირკვალი ზის. ნაყოფი დიდია (70×68×68მმ), მასა საშ. 150 გრამია (ხშირია 180-200გრამიანებიც),



მომრგვალო-ოვალური ფორმის სიმეტრიული გვერდებით; ნაწიბური საკმაოდაა ამოზნექილი; დარი სუსტად ემჩნევა. ყუნწის ძაბრი საშუალო სიღრმისაა. კანი ოქროსფერია, მზის მხარეზე წითელი ლაქებითა და ვარდისფერი წერტილებით დაფარული, ლამაზი და მიმზიდველია. საშუალოდ შებუსული; საშუალო სისქის; სიმწიფეში რბილობს ეცლება; რბილობი სუსტადაა დაძარღვული, რბილი და წვნიანია; ანტოციანური შეფერილობა კანის ქვეშ არ არის, კურკის ირგვლივ სუსტადაა გამოხატული; მეტად გემრიელი და არომატულია. მშრალი ნივთიერება შეადგენს 13,75%-ს, საერთო შაქრები - 10,2%-ს, ტიტრული მჟავიანობა - 0,82%-ს,

ასკორბინის მჟავა - 5,07მგ-ს; კურკა –ადვილად ეცლება რბილობს, საშუალო სიდიდის და ელიფსურია, სიმწიფეში არ სკდება, შეადგენს ნაყოფის 7,37%-ს. **ნაყოფი სახლეჩია.** სიმწიფეში შედის აგვისტოს ბოლოს -სექტემბრის დასაწყისში; ხეზე მტკიცედაა მიმაგრებული. უხვმოსავლიანია, ხიდან საშუალოდ 40-45კგ ნაყოფი იკრიფება. მაღალხარისხოვანი სასუფრე ჯიშია. მისგან დამზადებული წვენები, ჯემი და ხილფაფა, აგრეთვე, სიმწიფემდე 3-4 დღით ადრე მოკრეფილი ნაყოფისგან დამზადებული კომპოტი მაღალი ხარისხით გამოირჩევა. სადგეუსტაციო კომისიის მიერ შეფასებულია 4,8 ბალით. მავნებელ-დაავადებების მიმართ საკმაოდ გამძლეა.

### ნუგურა

მიღებულია *ხიდისთაურთეთთან ქართული თეთრი სახრავის* შეჯვარებით. ხე საშუალო ზრდისაა, მომრგვალო-ოვალური შენების ვარჯით, საშუალო სისშირის შეფოთვლით. წლიური ნაზარდი ღია მწვანეა, მზის მხარეზე ვარდისფერი შეფერვით. ყვავილი ვარდისებრია, ყვავილობს აპრილის მეორე დეკადაში. ფოთოლი განიერ-ლანცეტისებრია, ბრტყელი ან ქვემოთ დახრილი, ზედაპირი ნაოჭიანია და პრიალა, კიდეები მომრგვალო-ხერხისებრ დაკბილულია. ყუნწზე 2-3 თირკმლისებრი მჯდომარე ჯირკვალა განვითარებული. **ნაყოფი** მსხვილია (67×65×63მმ), მასა საშუალოდ 140გრამია, ხშირია უფრო დიდი ნაყოფებიც. ფორმით კვერცხისებრია, ოდნავ გვერდებშებრტყელებული, რომლებიც მუცლის მხარეზე ვიწროვდებიან.



ღარი კარგად ემჩნევა, რომლის ბოლოზე ჩაღრმავებაში პატარა წერტილი ზის. ყუნწის ღრუ საშუალო სიღრმისაა. ნაყოფი მტკიცედაა ხეზე მიმაგრებული. კანი მოყვითალოა, ღია მწვანე ელფერით, მზის მხარეზე წითელი ლაქებითა და ვარდისფერი შეფერვით, რაც მიმზიდველ იერს აძლევს; დაფარულია ნაზი და მოკლე ხავერდისებრი ბუსუსით. რბილობს არ ეცლება. **რბილობი** თეთრი-კრემისფერია, მკერივი, ხრტილისებრი, საშუალოდ წვნიანი, სასიამოვნო გემოთი და არომატით. მშრალი ნივთიერება შეადგენს 16,50%-ს, საერთო შაქრები - 11,8%-ს, ტიტრული მუავიანობა - 0,86%-ს, ასკორბინის მჟავა - 8,20მგ%-ს. სახრავია; კურკა არ ეცლება რბილობს, საშუალო ზომისაა, შეადგენს ნაყოფის 7,03%-ს. რბილობი კურკასთან შეუფერავია. ტრანსპორტირებას კარგად იტანს. ნაყოფი სიმწიფეში შედის სექტემბრის ბოლოს-ოქტომბრის დასაწყისში. უხვმოსავლიანია, ერთი ხიდან საშუალოდ 40კგ ნაყოფი იკრიფება. იძლევა მაღალი ხარისხის

საკონსერვო და ნედლად გამოსაყენებელ ნაყოფებს. სადეგუსტაციო კომისიის მიერ შეფასებულია 5 ბალით. მაგნებელ-დაავადებების მიმართ საკმაოდ გამძლეა. ბ. 2013 წელს ნაჯვარი *ყურძნის(ანანასისებრი) ალ.მუსკატი* ჰიბრიდი. წიპწა და ატმის კურკა გაზაფხულზე გორში დაითესა - ყუთებში მომზადებულ ნიადაგში; მცენარეთა ზრდა-განვითარება კარგია. **წედისში- ჰვაშლის და გორში** - მუტანტი *ჭანჭურის და ჰყურძნის* თესლნერგების ზრდა-განვითარება ნორმალურია. წედისის ბაღში ნარგაობის განახლების მიზნით, ატმის 12ჰ/ჯიშის კვირტი დაიყენო სკრაში (კერძო სანერგეში) და ადგილზე (წედისში).

**მონაწილეობა:**

6.ა)-სსმმ აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „**კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე**“. 2-3-4 ოქტომბერი, 2014 წ.თბ. - მოხსენების თემა: **კლიმატის ცვლილებით განპირობებული ატმის მოსვენების პერიოდის ხანგრძლივობა** (თანაავტორები ვ.გოგიტიძე, დ.მალრაძე).

-**რეზიუმე:**კლიმატის ცვალებადობით განპირობებული მოსვენების პერიოდის ხანგრძლივობა საკმაოდ მყარად გადაეცემა შთამომავლობას. მისი ხანგრძლივობის მიხედვით ატმის ჰ/ჯიშები და ფორმები დაიყო 3 ჯგუფად: (მოკლე მოსვენების პერიოდის, საშუალო ხანგრძლივობის მოსვენების პერიოდის და ხანგრძლივი მოსვენების პერიოდის ჯიშებად). მოხსენება დაიბეჭდა კონფერენციის მასალების შემადგამებელ ტომში, 2014წ.

ბ)-სსმმ აკადემია -სემინარი:„სას.-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია.“ 24 ოქტომბერი, 2014წ. თბ. - მოხსენების თემა: **-ხეხილის ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები.**

-**რეზიუმე:** საქართველო მრავალი ენდემური ხეხილოვანი სახეობების და აბორიგენული კულტურული ჯიშური ფორმების სამშობლოა. მათგან გამოვლენილ ადგილობრივ ჯიშთაშორის და უცხო ჯიშებთან ჰიბრიდიზაციაში გამოყენებით მიღებულია სხვადასხვა ხეხილის ხარისხოვანი სელექციური ჯიშები, რომელთა უმრავლესობა დანერგილია წარმოებაში.

გ) -სსმმ აკადემია, აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება-გამსვლელი კონფერენცია ქ. გორში „**მეხილეობისა და მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში**“. (14 ნოემბერი, 2014წ. გორი, სუხიშვილის უნივერსიტეტი). - მოხსენების თემა: **ხეხილის აბორიგენული გენოფონდის გამოკვლევა, ქართული სელექციური და ინტროდუცირებული ჯიშები.**

-**რეზიუმე:** საქართველოს ხეხილოვან მცენარეთა გენოფონდის შესწავლა და საინტერესო ჯიშების გამოვლინება, კოლექციებში განთავსება და სელექციაში გამოყენება XX საუკუნეში განხორციელდა. ადგილობრივი ჯიშების ერთმანეთთან და ინტროდუცირებულ ჯიშებთან შეჯვარებით მიღებულია ახალი მაღალხარისხოვანი ჯიშები. გრძელდება ქართული და უცხოური სელექციური ჯიშების შესწავლა და გამოცდა ჯიდაურას ეროვნული სანერგის კოლექციაში. მოხსენება დაიბეჭდა სსმმ აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში, -2014წ.

**13. წინადადებები სოფლის მეურნეობის მდგომარეობის, ქართული მცენარეული ჯიშების დაცვა - გაუმჯობესების შესახებ**

ა)კიდევ ბევრია დაუმუშავებელი მიწა, განსაკუთრებით, ყოფილი სახნავ-სათესი ფერდობები, რომლებიც გაჯაგებულია და საძოვრებადაც არ(ვერ) იყენებენ.

ბ) კოოპერაციული მეურნეობა მიწას, სარწყავ წყალს, სასუქებს, მც. დაცვის საშუალებებს, მექანიზაციას და მუშახელს უკეთ, სწორად და რაციონალურად გამოიყენებს; მოწვეულ მოსავალსაც თვითონ გაუკეთებს რეალიზაციას. შეიქმნება სამუშაო ადგილები და დღეს გარეთ გასული და დაუსაქმებელი ახალგაზრდობა დაუბრუნდება ქვეყანასა და მამა-პაპურ საქმეს. სასურველ შედეგებსაც მაღე ვიხილავთ. რატომ ვაგვიანებთ კოოპერირების მასობრივად დაწყებას?

გ) - ქართული სოფლის დოვლათი, ჩვენებური ჯიშები, ყოველთვის გამოირჩეოდა საუკეთესო გემო-სურნელებით, მაღალი ხარისხით და ამ მხრივ დღესაც აღემატება უცხოურს. ამის გამო ჩვენი მიწის დაპატრონების მსურველი ბევრი იყო და დღესაცაა. სასელექციო მუშაობის შეჩერებამ და მხოლოდ ჯიშების ინტროდუქციით გატაცებამ, **ჩვენებურის დიდი ღირსება არ უნდა შელახოს.**

ჩვენი ჯიშების მეთესლეობას აღარ ვაწარმოებთ და გარედან მდარე ხარისხის უცხო ჯიშების თესლი და ნაყოფი შემოგვაქვს, რაც **დანაშაულია ერის წინაშე!**

- ინტროდუქცია სელექციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და აუცილებელია ამის პარალელურად **ჩატარდეს მუშაობა ჯიშთაშორის პიბრიდიზაციაში ქართული და უცხოური ჯიშების მონაწილეობით.** რაც მაღე სასურველ და ეკონომიკურად გამართლებულ შედეგს მოგვცემს; დღეს ეს სახელმწიფო საქმე მოშლილია კვლევითი ბაზის დანაშაულებრივად განადგურების გამო, მაგრამ ხვალ მეტად სჭირო გახდება; ევროპაში სელექცია ევროპელებისთვის მუშაობს, ამიტომ ჩვენი სელექცია-მეთესლეობა უნდა გვეკონდეს და იგი დროულად უნდა აღვადგინოთ.


სიცარიელის ფონზე, საქართველოს ს/მ სამინისტროს მიერ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნა კარგია, მაგრამ იგი ჯერ მხოლოდ დასაწყისია იმ დიდ სამეცნიერო მუშაობასთან შედარებით, რასაც სსმმ აკადემია და მისი ს/კ ინსტიტუტები ახლო წარსულში ეწეოდნენ და შედეგებიც მაღალი იყო.

საჭიროა: ს/მ სამინისტრომ აკადემიის სისტემაში აღადგინოს დარგობრივი სამეცნ. ინსტიტუტები და საცდელი სადგურები მოქმედების ეროვნული პროგრამით -**ქართული მცენარეული და ცხოველთა ჯიშების დაცვისა და სელექციურად გაუმჯობესების მიზნით.** სხვაგვარად წარმოუდგენელია დღეს ცოცხალი, მაგრამ დასაღუპავად გამეტებული დიდი ეროვნული განძის ხვალინდელი დღე.

პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას 1991 წლის 31 ივლისის ბრძანებულება-**იშვიათი, გაქრობის პირას მისული, შემცირებადი აბორიგენული მცენარეების გენოფონდის გამრავლების, დაცვისა და გამოყენების შესახებ, -არ სრულდება.** შექმნილი კოლექციები და საცდელი სადგურები კი მიზანმიმართულად განადგურდა წინა მთავრობის ხელშეწყობით. **საჭიროდ მიგვაჩნია:** მდგომარეობა ეცნობოს ქვეყნის პრეზიდენტს და მთავრობას -სათანადო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

14. აკადემიური საბჭოს და დარგობრივი განყოფილებების ერთობლივმა სხდომამ განიხილოს საკითხი: **საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა, ვაზის ჯიშების დაცვა-გამრავლება და სამეცნიერო-კვლევითი სასელექციო მუშაობის მდგომარეობა.**

### 6.1.3.5. აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი



2014 წელს ჩატარებულია შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობა: საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია სამი სამეცნიერო შრომა -

1. „საკვები ელემენტების ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში და მისი რეგულირების გზები“. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „აგრარული საქართველო“; 2014 წ. # 1;

შრომაში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედების გარდაუვალი შედეგია ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების გატანა მიღებული მოსავლით და ნიადაგის ორგანული ნივთიერებების გარკვეული ნაწილის დაშლით, ამიტომ, თუკი მოსავლით გატანილი საკვები ელემენტები ისევ არ დაბრუნდა, მცირდება ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება. მხოლოდ სასუქების შეტანითაა შესაძლებელი ნივთიერებათა წრებრუნვაში ჩარევა მიწათმოქმედებაში, მოსავლის მკვეთრად გადიდება და ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლება.

2. „კლიმატი, ამინდი, ადაპტაცია და მოსავალი“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“ - შრომათა კრებული; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 2014 წ;

სტატიაში განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის ადაპტურობის ამაღლებაზე გლობალური დათბობის პირობებში. ნაშრომში მოტანილია იმ მნიშვნელოვანი მიდგომების ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ არახელსაყრელ ნიადაგურ-კლიმატურ და ამინდის პირობებთან სოფლის მეურნეობის ადაპტაციას.

3. „Protection of soils from wind erosion in Arid Regions of Georgia“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“ - შრომათა კრებული; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 2014 წ;

შრომა ეხება ეროზიისგან ნიადაგის დაცვის საქმეში ნიადაგდაცვითი თესლბრუნვების დანერგვის განსაკუთრებულ როლს. თესლბრუნვის ნიადაგდაცვითი გავლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასში მონაწილე კულტურებზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საცდელი კულტურებიდან (საშემოდგომო ხორბალი+სიმინდი-სოიას ნარევის სანაწვერალო ნათესი; სიმინდი+შეთესილი ლობიო სამარცვლედ; იონჯა-კოინდრის ნარევი) ყველაზე მაღალი ნიადაგდაცვითი უნარით ხასიათდება იონჯა-კოინდრის ნარევი.

მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“ მუშაობაში, 2-3-4 ოქტომბერი, 2014 წ.; თბილისი. იყო საორგანიზაციო კომისიის წევრი. კონფერენციაზე წარსდგა მოხსენებით : - „კლიმატი, ამინდი, ადაპტაცია და მოსავალი“.

- არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

- ჩატარებულია განყოფილების 10 სხდომა.

- სხდომებზე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე მოსმენილი იყო განყოფილების აკადემიკოსების და წევრ-კორესპონდენტების 23 მოხსენება. დამტკიცებული იქნა აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის სამუშაო გეგმა და ჩასატარებელი ღონისძიებები.

- აკად. გ. მარგველაშვილის დატვირთები: ა) აკადემიური საბჭოს წევრი და მონაწილეობს მის საქმიანობაში. საბჭოს სხდომაზე გაკეთდა მოხსენება აგრონომიული განყოფილების მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

- ბ) ს/მ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბე“-ს რედკოლეგიის წევრი და მონაწილეობს მის მუშაობაში.

- გ) ს/მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეროვნული კოორდინატორი აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის დარგში.

- მომზადდა აგრონომიული განყოფილების წინადადებები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახილველ საკითხთა და აკადემიასთან ერთობლივად ჩასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე.

- მომზადდა მასალა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიწის ფონდის შენარჩუნების აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომელშიც განხილულია ქვეყნის ნიადაგური საფარის ნაყოფიერების შენარჩუნება-გაუმჯობესებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები, მოცემულია რეკომენდაციები მათ გადასაჭრელად. აღნიშნულმა მასალამ ასახვა ჰპოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში, რომელიც მომზადებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის მიერ აკადემიკოს ნ.ჭითანავას ხელმძღვანელობით.

**არის:** - ა) აკადემიკოს გივი ცაგურიშვილის მიერ შედგენილი „საკვები კულტურების აგროწესების“ რეცენზენტი.

- ბ) ავტორთა ჯგუფის (ლ.ნოზაძე; ა.სარალიძე; ნ.კაკაბაძე და სხვ.) მიერ შედგენილი „ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების და კარტოფილის აგროწესები“-ს რეცენზენტი.

- გ) საქართველოს საპატრიარქოს ფონდის მიერ გამოცხადებული საკონკურსო საგრანტო პროექტების ექსპერტი (ექსპერტიზა გაუკეთდა 11 საგრანტო პროექტს).

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრისთვის შედგენილია: 1. აგრონომების გადასამზადებელი პროგრამა „აგროქიმიაში“. 2. ფერმერების გადასამზადებელი პროგრამა „აგროქიმიაში“.

იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის საკონკურსო საატესტაციო კომისიის წევრი.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თხოვნით შედგენილია 64 ტესტი სამინისტროში დეპარტამენტის უფროსის, განყოფილების უფროსის და აგრონომის პოზიციებზე კონკურსის ჩასატარებლად.

აგრონომიული განყოფილების 2015 წლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია (მაისი, ივნისი) აკად. გ. მარგველაშვილის მოხსენება: „გაუდაბნობისადმი მოწყველადი ტერიტორიები აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ტერიტორიებზე“. იგივე მოხსენება გაკეთდება აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

### 6.1.3.6. აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი



აკად. პ. ნასყიდაშვილი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამების მთავარი ექსპერტი;

**სიმპოზიუმებში და კონფერენციებში მონაწილეობა.**

2014 წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ და აგრეთვე ქ. გორში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში.

მისი ინიციატივით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა სემინარი: “სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია”, ხოლო 2014 წლის 25 მარტს აკადემიაში ჩატარებული სემინარის: “მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები”; ინიციატორი და ძირითადი მომხსენებელი იყო აკად. პ. ნასყიდაშვილი.

**სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით მთელი წლის მანძილზე აკად. პ. ნასყიდაშვილი მონაწილეობდა საქართველოში ხორბლის ნათესების მონიტორინგში.

სიღნაღის რაიონში, მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობის შედეგად, მოეწყო ხორბლის 12 ჯიშის საკონკურსო ჯიშთაგამოცდა, რაც საფუძვლად დაედო, შესაბამისი პროექტის წარდგენით ხორბლის საკონკურსო სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის სამსახურის აღდგენას და ხორბლის მომყვან 6 რაიონში ხორბლის და ჯიშთაგამოცდის სამსახურის აღდგენას.

### 6.1.3.7. აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი



2014 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბეში” (№33) გამოქვეყნებულია ოთხი შრომა:

**I. საქართველოს ძირითად ნიადაგებზე გაშენებული მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის გავლენა პლანტაციურულ ფენებში ჰუმუსის შემცველობაზე.** ნაშრომში მოცემულია:

1. ბორჯომის რაიონის სოფ. ქვემო სადგურის ტერიტორიაზე გავრცელებული, ყომრალი ყამირი ნიადაგების ბაღებისათვის ათვისებისა და 25 წლის განმავლობაში მათი მოვლა-მოყვანისა და ეროზიული პროცესების შედეგად, 0-60 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 184,6 ტ/ჰა მცირდება, რაც 54,7, ხოლო

საშუალო შემცირება კი 2,18%-ს შეადგენს;



2. გურჯაანის რაიონის მმმ ს/კ ინსტიტუტის ვაზისუბნის ექსპერიმენტულ ბაზაზე, გავრცელებული ყავისფერი კარბონატული ყამირი ნიადაგების ვენახებისათვის 46 წლის განმავლობაში გამოყენების შედეგად, 0-60 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 100,4 ტ/ჰა მცირდება, რაც 39, ხოლო საშუალო წლიური შემცირება კი 0,84% შეადგენს;

3. მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარის ტერიტორიაზე გავრცელებული, ყავისფერი ყამირი ნიადაგების ვენახებისათვის 81 წლის განმავლობაში გამოყენების შედეგად, 0-60 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 158,9 ტ/ჰა მცირდება, რაც 46,0, ხოლო საშუალო წლიური შემცირება კი 0,56% შეადგენს;

4. მცხეთის რაიონის მუხრანის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული, მდელოს ყავისფერი გაყამირებული ნიადაგების მსხლის ბალისათვის 35 წლის განმავლობაში გამოყენების შედეგად, 0-70 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 86 ტ/ჰა მცირდება, რაც 27,6, ხოლო საშუალო წლიური შემცირება კი 0,78% შეადგენს;

5. გორის რაიონის სოფ. სკრის ტერიტორიაზე გავრცელებული, მდელოს ყავისფერი გაყამირებული ნიადაგების კომშის ბალისათვის, 20 წლის განმავლობაში გამოყენების შედეგად 0-60 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 125 ტ/ჰა მცირდება, რაც 40,9, ხოლო საშუალო წლიური შემცირება კი 2,04% შეადგენს;

6. ხესტაფონის რაიონის სოფ. ალავერდის ტერიტორიაზე გავრცელებული, ნეშომპალა კარბონატული ყამირი ნიადაგების 24 წლის განმავლობაში ვენახებისათვის გამოყენების შედეგად, 0-50 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 122,5 ტ/ჰა მცირდება, რაც 46,5, ხოლო წლიური შემცირება კი 1,93% შეადგენს;

7. მარნეულის რაიონის სოფ. ყულარში გავრცელებული, ყავისფერი (წაბლა) გაყამირებული ნიადაგის 0-60 ფენაში ჰუმუსის შემცველობა 47,3 ტ/ჰა, აღემატება 22 წლიანი ვენახისა და ატმის ბალის ნიადაგის იმავე ფენაში ჰუმუსის შემცველობას, რაც 18,8, ხოლო საშუალო წლიური შემცირება კი 0,85% შეადგენს;

8. ხაშურის რაიონის სოფ. ოსიაურის ტერიტორიაზე გავრცელებული, შავმიწისებრი ნიადაგის 0-60 სმ ფენაში ჰუმუსის მთლიანი შემცველობა 78,6 ტ/ჰა აღემატება, მის გვერდით არსებული 35 წლიანი ვენახის ნიადაგის იმავე ფენაში ჰუმუსის შემცველობას. ე.ი. 37,8, ხოლო საშუალო წლიური შემცირება კი 1,08% შეადგენს;

9. გარდაბნის რაიონის სოფ. ვარკეთილის ტერიტორიაზე გავრცელებული, ნეშომპალა-სულფატურ ნიადაგებზე გაშენებული ვენახებისა და ბაღების, 10 წლის განმავლობაში მოვლა-მოყვანის შედეგად, 0-50 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 95,6 და 98,1 ტ/ჰა მცირდება, შესაბამის ყამირი ნიადაგის იმავე ფენასთან შედარებით, რაც 35,1 და 36,0, ხოლო საშუალო წლიური შემცირება კი 2,0 და 2,1% შეადგენს;

10. საგარეჯოს რაიონის სოფ. მანავის ტერიტორიაზე არსებული გაყამირებული ალუვიური ნიადაგების, ვენახებისათვის 17 წლის განმავლობაში გამოყენების შედეგად, 0-60 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 174,1 ტ/ჰა მცირდება, რაც 31,2, ხოლო საშუალო წლიური შემცირება კი 1,8% შეადგენს;

11. ოზურგეთის რაიონის ანასეულის ტერიტორიაზე გავრცელებული წითელმიწა ყამირი ნიადაგების 0-50 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 237,4 ტ/ჰა შეადგენს და იგი 33 წლის განმავლობაში 93,8 და 23,4 ტ/ჰა მცირდება ვენახისა და ჩაის პლანტაციის უსასუქო ვარიანტების იმავე ფენებში, ხოლო NPK ვარიანტებში მისი შემცველობა 22,2 ტ/ჰა იზრდება, ე.ი. ვენახისა და უსასუქო ვარიანტებში ჰუმუსის შემცველობა 41,2 და 3,9, ხოლო საშუალო წლიური

შემცირება 1,0 და 0,25% შეადგენს, მაშინ როდესაც NPK ვარიანტებში ჰუმუსის მთლიანი შემცველობა 9,3, ხოლო საშუალო წლიური შემცველობა 0,25% იზრდება.

12. ზუგდიდი რაიონის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ს/კ ინსტიტუტის ფილიალის ტერიტორიაზე არსებული ყამირი ნიადაგის 0-50 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა 190,9 ტ/ჰა შეადგენს და იგი 17,1 ტ/ჰა აღემატება 20 წლიან ვენახების ნიადაგის იმავე ფენაში მის შემცველობას, მაშინ როდესაც 27 წლიან ჩაის პლანტაციას უსასუქო და NPK ვარიანტის ნიადაგების იმავე ფენებში ჰუმუსის მთლიანი შემცველობა 34,8 და 56,4 ტ/ჰა აღემატება ყამირი ნიადაგის იმავე ფენაში მის შემცველობას, ე.ი. 9,9 და 29,5, ხოლო საშუალო წლიური მატება კი 0,25 და 4,35% შეადგენს. ვენახის ნიადაგის იმავე ფენაში ჰუმუსის მთლიანი შემცირება 8,9, ხოლო საშუალო წლიური კი 0,4% შეადგენს.

13. სიღნაღის რაიონის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტის ყარაღაჯის ექსპერიმენტულ ბაზაზე გავრცელებულ ძლიერ დამლაშებული ყამირი ნიადაგების ათვისებისა და 17 წლის განმავლობაში ვენახის მოვლა-მოყვანის შედეგად, 0-50 სმ ფენაში ჰუმუსის მთლიანი შემცველობა 7,0 ტ/ჰა მცირდება, რაც 4,1, ხოლო საშუალო წლიური შემცირება კი 0,24% შეადგენს.

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მხოლოდ ჩაის პლანტაციების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია შემუშავებულია მეცნიერულ დონეზე. დანარჩენი კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების შემუშავება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

## **II. მიწათმოქმედების სისტემების შესახებ.**

მიწათმოქმედების განვითარების მთელი ისტორია ხუთ სისტემას მოიცავს:

1. ახლიანი ანუ ცეცხლოვანი სისტემა;
2. ნახვნიანი სისტემა;
3. ანეულიანი სისტემა;
4. ნაყოფცვლითი სისტემა;
5. ნათესბალახიანი სისტემა.

ეს უკანასკნელი მეცნიერულად დასაბუთებული სისტემაა, რომლის წარმოებაში რაციონალურად დანერგვის გარეშე შეუძლებელია ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნება-გაუმჯობესება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა.

მრავალწლიანი კვლევების შედეგად შემუშავდა მრავალწლოვანი კულტურებისათვის გამოყენებული და გამოუყენებელი ნიადაგების ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად, ნათესი ბალახების რაციონალურად გამოყენების სისტემები.

## **III. ვაზის მოყვარული და მოძულე მცენარეები.**

შრომაში მოცემულია: მრავალწლიანი საველე და ლაბორატორიული კვლევების შედეგად ვაზის ზრდა-განვითარებაზე დადებითად მომქმედი მცენარეები და ლენც მოზერის სავეგეტაციო ცდების საფუძველზე მიღებული მეტად საინტერესო მონაცემები, ვაზისათვის: სასარგებლო, ნეიტრალური, უარყოფითად მოქმედი და ანტაგონისტი მცენარეები.

წარმოდგენილი მასალების გაანალიზების შედეგად ნათელი ხდება რომ: 1. ვაზის მოძულე მცენარე სიმინდია და მისი თესვა ვენახის რიგთაშორისებში ყურძნის მოსავლიანობას თითქმის ანახევრებს (თუმცა მას ხშირად იყენებენ დასავლეთ საქართველოში); 2. კიტრის კულტურა ვაზის მოყვარულია და მისი მოყვანა ვენახების რიგთაშორისებში სრულიად გამართლებულია რასაც ნათლად ადასტურებს კახელი სოფლის მეურნის პრაქტიკული გამოცდილება; 3.

ლენც მოხერხის მონაცემებით ვაზის ზრდა-განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებენ: ტიმოთელა, წივანა, ჟუნჯრუკო, რომლებიც წარმოებული საველე და ლაბორატორიული კვლევების შედეგების მიხედვით, ტენით უზრუნველყოფილ ნიადაგებში კარგ შედეგებს იძლევიან; 4. საველე და სავეგეტაციო ცდების მონაცემები, ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთ საწინააღმდეგო სურათს იძლევიან; 5. აუცილებელია ჟუნჯრუკოს ერთწლოვან თივაქასრასა და დედოფლის თითას, როგორც თვითჩამთესი სიდერატების, ვენახების რიგთაშორისებში სისტემატური თესვის გავლენის დადგენა – ნიადაგების თვისებებზე და ვაზის ზრდა-განვითარებაზე.

#### **IV ნიადაგების მოღლის (აღელლობათის) შესახებ.**

შრომაში მოცემულია: სანერგეებში, ვენახებში და ბაღებში ნიადაგების მოღლის თავისებურებანი და მის წინააღმდეგ ბრძოლის აგროღონისძიებები. ნიადაგების მოღლის თავიდან აცილება შესაძლებელია: სანერგეებში ნაყოფცვლის სისტემების რაციონალური, ხოლო ვენახებში და ხეხილოვან ბაღებში მათი მოყვარული ბალახების შერჩევითა და მათი რაციონალური გამოყენებით, რომლებიც ძირითადი კულტურების მიერ გამოყოფილ მისთვის არასასურველ ნივთიერებებს შეითვისებენ და გამოიყენებენ თავიანთი ორგანიზმის საშენ მასალად, ხოლო ამ უკანასკნელთა მიერ გამოყოფილი ნივთიერებები უნდა ასტიმულირებდნენ ძირითადი კულტურის ზრდა-განვითარებას. ასეთი ბალახების ვენახებში და ბაღებში სისტემატური გამოყენება თავიდან აგვაცილებს ნიადაგების მოღლას. ვაზის, ხეხილოვანი კულტურებისა და ჯიშების მიხედვით, მათი მოყვარული ბალახების შერჩევა და ეფექტურად გამოყენება ამ დარგში მოღვაწე მკვლევართა გადაუდებელი პრობლემაა.

V. “ნიადაგების წყლიერი სისტემების რეგულირებათა შესახებ”, რომელიც გამოქვეყნდა სმმ აკადემიის მაცნეში, 2014 წ. №2(5) ნომერში. მასში მოცემულია საქართველოს ძირითადი ნიადაგური ტიპების, სიღრმეებისა და სავარგულების მიხედვით წყლიერ თვისებათა რეგულირებისათვის საჭირო ოპტიმალური სისტემები.

VI. 2014 წელს სმმ აკადემიამ გამოაქვეყნა რეკომენდაციები: მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარების, ნიადაგების სიღრმეებისა და სავარგულების შესაბამისად მათი დამუშავებისათვის საჭირო, როგორც ოპტიმალური ისე დასაშვები ტენიანობების პარამეტრები და მორწყვის ნორმები. წარმოებაში მათი მასობრივად დანერგვის შედეგად უზრუნველყოფილი ხდება მცენარეთა ბიოპროდუქტიულობის ზრდა და მიღებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

#### **6.1.3.8. აკადემიკოსი ვლადიმერ ქვეხიშვილი**



2014 წლის განმავლობაში აკად. ვ. ქვეხიშვილი მუშაობდა წინა წლებში დაწყებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საკითხების სრულყოფაზე, სტატიებზე, რეკომენდაციებზე და დასკვნების ფორმირებაზე, მათ შორის:

1. საქართველოს რესპუბლიკის პურიით უზრუნველყოფის პრობლემის;
2. პური ქვეყნის ეროვნული ვალუტა;

3. მიწათმოქმედება-ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პირობა;
1. ანეულების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედებაში;
2. კულტურათა მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია-მოსავლის გადიდების სამსახურში;
3. მარცვლეულის მეურნეობის არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები კახეთის რეგიონში.  
მათზე მუშაობა ჯერ კიდევ გრძელდება.

### 6.1.3.9. აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი



სამწუხაროდ დღეს მსოფლიოში ცნობილი ვასილ გულისაშვილის სამთო მეტყვეობის ინსტიტუტი პრაქტიკულად აღარ არსებობს. მას შემდეგ რაც ის ძალადობრივად მიიერთა აგრარულ უნივერსიტეტად წოდებულმა დაწესებულებამ, ინსტიტუტმა ფუნქციონირება შეწყვიტა. დაუმთავრებელი დარჩა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მოქმედებათა გეგმის დამაგვირგვინებელი ეტაპი.

უმალესი კვალიფიკაციის კადრები (მეცნ.დოქტორები, პროფესორები, აკადემიკოსები) მიმოიფანტნენ, ნაწილი ვეღარ გადაურჩა დროის მსახვრალ ხელს. სატყეო მეცნიერება განადგურებულია. გათითოკაცებული ერთეულები საკვლევ ბაზებს მოკლებული, ამინდს ვერ ქმნიან.

სანუგეშოდ გაანალიზდა ბოლო წლების (10 წლის) მანძილზე დამუშავებული, სტაციონარულ და სამარშრუტო კვლევებზე დაფუძნებული პრობლემები, რომლებიც ჩამოყალიბდა სხვადასხვა „პროექტებისა და რეკომენდაციების ფორმით“:

1. „პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავება დარღვეული ქარსაფარი ზოლების აღსადგენად მათი მრავალფუნქციური პოტენციალის გათვალისწინებით. (კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები, პრობლემის აქტუალურობა)“;
2. „ბუნებრივი და ხელოვნური ტყის ეკოსისტემების გავლენა ნიადაგის ძირითადი თვისებების დინამიკაზე და კლიმატის ფორმირებაზე. (მიზანი, აქტუალურობა, სრული ინფორმაცია პროექტის შესახებ)“;
3. წინასწარი საპროექტო განაცხადი ევრაზიის ფონდს. პროექტის სახელწოდება: „საქართველოს ტყეებში არსებული არამერქნითი რესურსების შეფასება ბიზნესის განვითარებისათვის. ბორჯომის ხეობის მაგალითზე.“ (მიზანი, აქტუალურობა, ამოცანები);
4. პრობლემა - „მდ. არაგვის აუზის ტყეების დაცვითი ფუნქციების შესწავლა - ეროზიებთან, ღვარცობთან და თოვლის ზვავებთან ბრძოლის ღონისძიებების დამუშავება ჟინვალის ჰიდროკვანძის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით“ (მიზნები, ამოცანები, აქტუალურობა).

5. პროექტი - „საქართველოს სამხედრო გზის მცხეთა - გუდაურის მონაკვეთზე, ზვავსაშიში და ღვარცობსაშიში უბნების გამოვლენა, შესწავლა და აღმკვეთი და შემარბილებელი ღონისძიებების დამუშავება“. (მიზნები, ამოცანები, აქტუალურობა).
6. პროექტი - „აჭარის საკურორტო ზონის პოტენციურად ზვავსაშიში და მეწყერსაშიში უბნების პროგნოზირება და ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის ინოვაციური, კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება“.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მომზადებულია და აკადემიის მრგვალ მაგიდაზე განსახილველად იქნება გამოტანილი - „სატყეო მეურნეობის დარგის მდგრადი განვითარების პრინციპები“, რაც მიზნად ისახავს დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის - ტყის რაციონალურ გამოყენებას.

შესრულდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოქმედებათა გეგმით გათვალისწინებული სხვა პროგრამული საკითხები.

მიმდინარე წლის 6 მაისს შესრულდა 111 წელი გამოჩენილი ქართველი მეტყევე მეცნიერის, გეობოტანიკოსისა და ეკოლოგის, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის პროფ. ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილის დაბადებიდან. აკად. რ. ჩაგელიშვილის თაოსნობით სოფ. გიორგიწმინდის საშუალო სკოლაში (ვ. გულისაშვილის ოდაბუდეში), რომელიც დღეს ვ. გულისაშვილის სახელს ატარებს, გაიმართა საქმიანი სჯაბაასი (კოლოკვიუმი) თბილისიდან ჩასულ მეტყევე მეცნიერთა და გარეჯელ ძველი და ახალი თაობის მეტყევეთა შორის, გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საქართველოს მთის ტყეების როლსა და მნიშვნელობაზე, დღევანდელ საჭირობოროტო საკითხებზე. გადაწყდა ვ. გულისაშვილის სახელის უკვდავყოფასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია - „საქართველოს მეტყევეობის ბერმუხა“ და ფოტომასალა გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკა“, N94, 15 მაისი, 2014 წელი.

მიმდინარე წელს სატყეო დარგის ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის წევრთა მიერ (აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. რ. ჩაგელიშვილი, პროფ. გ. გაგოშიძე) საქართველოს პარლამენტის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის კომიტეტის თხოვნით მომზადდა **კ ა ნ ო ნ შ რ ო ე ქ ტ ი** ქარსაფარი ზოლების გაშენება-აღდგენის საკითხებზე.

ამავე წელს აკად. რ. ჩაგელიშვილის თაოსნობით მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის **მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის, რომელიც განხილვის პროცესშია.

- აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას გადაეცა სატყეო დარგის განვითარების სტრატეგია;

- სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელების საკითხებზე, აკად. რ. ჩაგელიშვილის და პროფესორ ლ. გვაზავას ხელმოწერით მომზადდა მიმართვა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრისა და ეროვნული

სატყეო სააგენტოს უფროსის სახელზე. მიმართვა დაიბეჭდა ჟურნალ „სატყეო მოამბის“ 2014 წ. აპრილის N7 ნომერში, გვ.37-40.

მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით თემაზე: „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“, 2-3-4 ოქტომბერი, 2014 წ. თბილისი, საქართველო. მოხსენების თემა იყო „კლიმატის ცვლილების გავლენა ადმოსავლეთ საქართველოს წიფლნარ ეკოსისტემებზე“, თანაავტორი მეცნიერებათა დოქტორი ლ. დოლიძე.

მიიღო მონაწილეობა 2014 წლის 23 მაისს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეგიდით გამართულ „საქართველოს ტყეების ნებაყოფილობით სერთიფიცირების პოტენციალის განხილვა“, სემინარში.

აკად. რ.ჩაგელიშვილი არის სატყეო დარგის ერთად-ერთი ბეჭდვითი მედიის ჟურნალ „საქართველოს სატყეო მოამბისა“ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და სხვა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, როგორც აკადემიური საბჭოს წევრი აქტიურად თანამშრომლობს პრობლემათა განხილვაში. არის აკადემიის სატყეო დარგის ეროვნული კოორდინატორი.

მომზადებულია პუბლიკაცია „გავუფრთხილდეთ ტყეს, ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს“ და რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი სატყეო სექტორის მართვასთან და მის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით 2010-2013 წლებში განხორციელებული კვლევებისა და ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე.

#### 6.1.3.10. აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი



1. აკად. ზ. ჩანქსელიანის ხელმძღვანელობით სრულდებოდა გეგმიურ თემატიკა და იგი გაგრძელდება მომავალ წლებში:

-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ელდარის ველის ე.წ. „ჭაჭუნას“ ნიადაგების საველე და კამერალური გამოკვლევა;

-სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას და წილკნის საცდელი ბაზების ნიადაგების ნაყოფიერების გამოკვლევა და შესაბამისი რკომენდაციების შემუშავება;

-საქართველოს ნიადაგებისათვის ნაყოფიერების განსაზღვრის პარამეტრების და მეთოდების შერჩევა და სახელმძღვანელოს შედგენა;

-ჭიათურის მანგანუმის საბადოს მიმდებარე სავარგულების ნაყოფიერების გამოკვლევა და რადიოლოგიური დაბინძურების მდგომარეობა და მათი სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემუშავება;

-სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო -კვლევითი ცენტრის რეგიონებში არსებული სადემონსტრაციო ნაკვეთების ნიადაგების ნაყოფიერებისა მათი

პესტიციდების ნარჩენებით დაბინძურების გამოკვლევა და რეკომენდაციების შემუშავება.

2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ასწავლის დისციპლინებს: „აგროეკოლოგიას“, „რადიოლოგიის საფუძვლებს“, „ქსენოფიტოტოქსიკოლოგიას და მცენარეულ რადიოპროტექტორებს“.

3. 2014 წელს გამოქვეყნებული აქვს 4 სტატია:

3.1. „კლიმატის ცვლილება და ნიადაგის ნაყოფიერება“-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი “მოამბე“, 2014 წლის 2-4 ოქტომბერი, თბილისი, 250გვ.

3.2. „პესტიციდების გამოყენების ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემები“ .ჟურნალი“მოამბე“, 2014 წ. აგვისტო, 203 გვ.

3.3. „პესტიციდების გამოყენების ოპტიმიზაცია“. ჟურნალი “მოამბე“ 2014 წ. აგვისტო, 204გვ.

3.4. სააქციო საზოგადოება „კოლხეთის“, ზეგანის და GWS-ის ღვინომასალების ეკოქიმიური ექსპერტიზა“ .ჟურნალი “მოამბე“ 2014 წ. აგვისტო ,44 გვ.

6. მონაწილეობა მიიღო თბილისში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა 2014 წლის 2-4 ოქტომბერს. თემის დასახელება “კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. აკად. ზ. ჩანქსელიანის თემა იყო- „კლიმატის ცვლილება და ნიადაგის ნაყოფიერება“. მონაწილეობა მიიღო თბილისში ჩატარებულ სემინარში “კლიმატის ცვლილება და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა“. თემის დასახელება იყო: “ ნიადაგის ნაყოფიერების მდგომარეობა გაუდაბნობასთან დაკავშირებით“. იგი ჩატარდა თბილისში 2014 წლის 18 ნოემბერს.

მონაწილეობა მიიღო თბილისში ჩატარებულ ტრენინგში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებში არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომელთათვის. მოხსენების თემა იყო: „ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის მიერ ჩასატარებელი სამეცნიერო-კვლევითი და დანერგვითი სამუშაოების შესახებ და ცენტრების როლი მათი ფერმერებამდე მიტანის საქმეში“. იგი ჩატარდა თბილისში 2014 წლის 4 დეკემბერს.

8. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა აკად. ზ. ჩანქსელიანის მიერ მომზადებული საკითხი „აგრორადიოლოგიური და აგროეკოლოგიური საკითხები, როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველი“. სხდომა ჩატარდა 2014 წლის 26 დეკემბერს;

9. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

12. არის ტექნიკური უნივერსიტეტის აგროეკოლოგიის სპეციალობის მაგისტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი;

13. აკად. ზ. ჩანქსელიანის მოსაზრებაა, რომ ნიადაგი რომელიც არის სოფლის მეურნეობი ძირითადი საწარმოო საშუალება და ამავე დროს შეუცვლელი, საჭიროა მისი ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლების გაუმჯობესებისათვის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაძლიერება-გაფართოება და თანხების მოძიება სახელმწიფო პროგრამებით ამ საკითხების დამუშავებისათვის. საქართველოში, როგორც მცირე მიწიანი ქვეყანა, საჭიროა დაინერგოს ნიადაგის განოყიერების

სისტემები ცალკეული კულტურების მიხედვით შემდეგნაირად: მარცვლელი კულტურებისათვის გამოყენებული უნდა იქნას მინერალური და ორგანული სასუქები ინტენსიურად, რათა ერთეულ ფართობზე მიღებული იქნას მეტი მოსავალი. შეიქმნას მეტი პროდუქცია, რათა რაც შეიძლება შემცირდეს იმპორტზე დამოკიდებულება. მევენახეობის განვითარებისათვის კი ვაზის სხვადასხვა ჯიშებისათვის ასევე უნდა იქნას გამოყენებული მინერალური და ორგანული სასუქები ინტენსიური მიწათმოქმედების თვალსაზრისით და ღვინის ხარისხის გათვალისწინებით, რათა გაიზარდოს საექსპორტო პოტენციალი. იგივე ტექნოლოგია უნდა იქნას გამოყენებული სუბტროპიკულ მეურნეობაში. ბიოაგროწარმოების მეთოდები ძირითადად გამოყენებული უნდა იქნას ბოსტნეული კულტურების და კონტინენტური მეხილეობის დარგში. იგივე ტექნოლოგია უნდა იქნას გამოყენებული საკვებწარმოებაში და ცხოველთა კვებაში, რათა მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია.

14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული განყოფილების სხდომაზე მიზანშეწონილია განხილული იქნას საკითხი: - „სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის სამუშაო პროგრამის პრეზენტაცია-შეფასება“. განხილვის ვადა 2015 წლის იანვარ-თებერვალი, აგრეთვე მიზანშეწონილია, რომ იგივე საკითხი განიხილოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის მარტის თვეში.

#### 6.1.3.11. აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი



სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით გაწეული მუშაობა:

სამეცნიერო-კვლევით სფეროში აგრძელებდა მუშაობას მეცნიერ-კონსულტანტის სტატუსით. სამუშაო სრულდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (13.02.2014) საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, სოფ. ჯილაურის (მცხეთის რ.-ი, საგურამოს მიკროზონა) ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების, მრავალწლიანი კულტურების ექსპერიმენტულ ბაზაზე, ქართული აბორიგენული ვაზის ჯიშების საკოლექციო ნარგაობაში. კვლევითი სამუშაო წარმოებს მევენახეობა-მელვინეობის („OIV“) საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტით. საკოლექციო ნარგაობაში ისწავლება საღვინე და სასუფრე მიმართულებების 51-ზე მეტი აბორიგენული ვაზის ჯიში (ნიმუში), სრული მეთოდით - კლასიკური და თანამედროვე („OIV“) მეთოდით - ვაზის ლესკრიპტორების შესაბამისად. ჩატარდა შერჩევითი შესწავლა: სამცხე-ჯავახეთის, გურიის და ქართლის რეგიონების ვაზის



ჯიშების 41 ნიმუშის აღწერა. ახალგამოვლენილი ჯიშები დაიმყნო და მოთავსდა სანერგეში; საკოლექციო ნარგაობა შეივსება მესხეთში და სხვა რეგიონებში ახალმოძიებული ჯიშებით (ნიმუშებით). საკოლექციო ნარგაობაში გრძელდება ჯიშების იდენტიფიკაციის პროცესი; გამოვლენილია 10-ზე მეტი მაღალხარისხოვანი-სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების მქონე ჯიში, რომლებითაც შესაძლებელია შეივსოს სამრეწველო სორტიმენტი.

მონაწილეობა მიიღო ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების მიკროზონების გეოგრაფიული საზღვრების დაზუსტების და კორექტირების მიზნით წარმოებულ კვლევითი სამუშაოს ექსპერტიზაში. სამუშაო სრულდება მეღვინეობის სააგენტოს დაკვეთით, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გრანტით, ამავე უნივერსიტეტის თანამშრომლების შესრულებით. მეთოდისა და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების განხილვისას გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები., არასწორი მიდგომები, რომლებიც ნაწილობრივ გათვალისწინებული იქნა მეღვინეობის სააგენტოს და თემის შემსრულებლების მიერ. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი კვლავ მოითხოვს სრულყოფას. ვფიქრობთ პრობლემა მოსმენილი უნდა იქნას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე, რომლის საფუძველზე მომზადდება წინადადება ვაზისა და ღვინის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დანერგვა-კონსულტირების სფეროში გაწეული მუშაობა:

სახელმწიფო საფუძველზე აგრძელებდა (2007 წლიდან) თანამშრომლობას მევენახეობა-მეღვინეობის პროფილის კომპანიებთან: შპს - „ხარებასა“ და შპს - „მატო მუხრანთან“. სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე ყურადღება გამახვილდა ყურძნის მოსავლის მიღების რეგულირებაზე, ვაზის ჯიშების ფარგლებში დატვირთვისა და მწვანე მასის რეგულირებაზე, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. შესაბამისი ორგანიზაციული და აგროტექნოლოგიური ღონისძიებები გატარდა ხანგრძლივი გვალვის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, რაც აისახა ნიადაგის მოვლის ღონისძიებების გატარებით და ვაზზე მტევნის ზონაში მზის პირდაპირი რადიაციის შესამცირებლად ფოთლის მასის შენარჩუნებით. მიღწეული იქნა სასურველი შედეგები; შენარჩუნებული იქნა მოსავლის რაოდენობა და ხარისხი.

როგორც ცნობილია, საანგარიშო წლის გაზაფხულზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა წყინვებს - ტემპერატურა - 3° - 7° - მდე დაეცა, რამაც განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში, მთისწინა კალთებზე გამოიწვია სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად ვაზის ახალგაღვიძებული კვირტებისა და ნორჩი ყლორტების დაზიანება. ადგილებიდან მიღებული ინფორმაციებით და დათვალიერებით დადასტურდა, რომ ადგილმდებარეობის ჯიშის ვაზის აღზრდა-ფორმირების მიხედვით ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სიძლიერით დაზიანებებს; ნაწილობრივ მოსავლის მიღებისა და ძირითადად გარანტირებული სამომავლო მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად

აკად. ნ. ჩხარტიშვილის მიერ შემუშავებული და შედგენილი იქნა რეკომენდაციები, რომლებიც აისახა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და აჭარაში, „ოჯახური ღვინის“ ფესტივალთან დაკავშირებით ქ. ბათუმში გამართულ სამეცნიერო კონფერენციის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში.

პედაგოგიურ სფეროში აკად. ნ. ჩხარტიშვილი მუშაობას აგრძელებდა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სრული პროფესორის თანამდებობაზე, სადაც 2014 წელს ახალი ვადით აირჩიეს ამავე უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობისა და სასურსათო ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სრული პროფესორის თანამდებობაზე; ხელმძღვანელობს სალექციო კურსს მევენახეობის მიმართულებით; კითხულობს ლექციებს საგნებში: მევენახეობა (სრული და მოკლე კურსი), ამპელოგრაფია, მევენახეობის აგროტექნოლოგია, ვაზის ეკოლოგია, მცენარეთა სელექცია.

ხელმძღვანელობს მაგისტრანტებს მევენახეობის მიმართულებით; ასევე ხელმძღვანელობს საბაკალვრო თემებს მევენახეობის აგროტექნოლოგიასა და ამპელოგრაფიაში, ვაზის ეკოლოგიაში.

მეთოდურ საკონსულტაციო მუშაობას ეწევა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებთან მრავალწლიანი კულტურების, კერძოდ მევენახეობის აგროტექნოლოგიისა და ამპელოგრაფიის მიმართულებით; აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კვლევის მეთოდების სრულყოფის მიმართულებით, რომლებიც აისახა ადგილწარმოშობის დასახელების მევენახეობა-მეღვინეობის მიკროზონების გეოგრაფიული საზღვრების დაზუსტებასთან დაკავშირებით, ადგილობრივი გარანტიის ფორმატით შესრულებული სამუშაოს ანგარიშებში.

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები სტატიები: საქართველოს ენციკლოპედიის გამომცემლობის დაკვეთით აკად. ნ. ჩხარტიშვილმა მოამზადა და დაიბეჭდა სტატია - ვაზის ქართული ჯიშები (ტ II), რომელშიც ენციკლოპედიური ფორმატით აღწერილია მსოფლიოში უმდიდრესი და უძველესი აბორიგენული ვაზის ჯიშების ისტორიული ასპექტები, ამპელოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის ჩასახვა-განვითარების ისტორია საქართველოში და მისი ადგილი მსოფლიოს ვაზის გენოფონდის საგანძურში, ქართველ მეცნიერთა დამსახურება და ღვაწლი ქართული გენოფონდის გადარჩენისა დაცვის საქმეში. გაშუქებულია ქართული სელექციის შედეგებზე-ახალსელექციური ვაზის ჯიშები.

ენციკლოპედიისათვის მომზადებული და -გადავამუშავებულია პროფ. მ.რამიშვილის სტატია-„საქართველოს მევენახეობა“.

საპარტიარქოს დაკვეთით, მრავალტომეული გამოცემისათვის- „ჩვენი ფასეულობანი“, ტომი-სოფლის მეურნეობა, მეორე გამოცემისათვის გადამუშავებულია და გადაეცა გამოსაქვეყნებლად სამეცნიერო-პოპულარული შრომები: 1) საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა (თანაავტორი ნინო

ჩხარტიშვილი); 2) საქართველო - ღვინის აკვანი (თანაავტორები ბონდო კალანდაძე, მარიამ ხოსიტაშვილი, ნინო ჩხარტიშვილი); 3) ქართული კონიაკები (თანაავტორი დავით აბზიანიძე); შრომებში ისტორიულ ასპექტში გაშუქებულია საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა, მისი ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში და პერსპექტივები; წარმოდგენილია ქართული ვაზის გენოფონდი; მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები.

საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა:

- მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით თბილისში ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება“, დაკავშირებით გამართული მუშაობაში. უხელმძღვანელა კონფერენციის მონაწილეების მიღებას მცხეთის რაიონის სოფ. ჯილაურაში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ექსპერიმენტალურ ბაზაზე.

ამავე ბაზაზე სისტემატურად ატარებს შეხვედრებს და გაცნობით საუბრებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონულ კონსულტანტებთან; კერძოდ, საუბრები შედგა დასავლეთ საქართველოს სპეციალისტებთან მევენახეობა-მეღვინეობის აქტუალურ პრობლემებზე.

გრანტებში მონაწილეობა: საგრანტო თემატიკაში აკად. ნ. ჩხარტიშვილის მონაწილეობის შესახებ ნაწილობრივ უკვე აღინიშნა. გარდა ამისა, არის საგრანტო თემის ქ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობისა და სურსათის ფაკულტეტზე მომზადებული და კონკურსში, თბილისის შოთა რუსთაველის ფონდში წარდგენილი თემის იდეის ავტორი და მონაწილე; თემა ეხება ადგილწარმოშობის დასახელების კახური ტექნოლოგიით ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის სრულყოფას. თემამ წარმატებით გაიარა კონკურსის პირველი ეტაპი;

არის სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი. აქტიური მონაწილეობა მიიღო ვაზისა და ღვინის საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით (აკად. ნ.ბაღათურია) პრობლემების განხილვაში.

რეგულარულად მონაწილეობს აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების სხდომების მუშაობაში.

ფართო სპექტრს მოიცავს აკად. ნ. ჩხარტიშვილის საზოგადოებრივი საქმიანობა:

- არის თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი;
- შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის კომისიის წევრი;
- საქართველოს ენციკლოპედიაში სოფლის მეურნეობის კომისიის წევრი;

- ჟურნალი „აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს წევრი;
- საქართველოს მეღვინეთა ასოციაციის საპატიო წევრი;
- აჭარის (ქ.ბათუმი) „ოჯახური ღვინის“ ტრადიციული ფესტივალის სადეგუსტაციო კომისიის წევრი.

ჯილდოები: მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით დარგში შეტანილი წვლილისათვის 2014 წლის მაისში დაჯილდოებულია საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - „წმინდა გიორგის ოქროს ორდენით“, რომელიც აკად. ნ. ჩხარტიშვილს პირადად გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

- არის საქართველოს დამახურებული აგრონომი, 1985 წლიდან;
- საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო სსმმ აკადემიაში დამუშავებული ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებაში; კერძოდ მოამზადა - ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი დარგის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები;
- მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის-მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული სოფლის მეურნეობის სტრატეგიული მიმართულებების განხილვაში; შენიშვნები და წინადადებები წერილობითი სახით გადაეცა სსმმ აკადემიას. განსახილველად წარმოდგენილ დოკუმენტს ძირითადად დადებითადა აფასებს; დადებითი მოვლენაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნა; აკად. ნ. ჩხარტიშვილს მიაჩნია, რომ იგი უნდა გახდეს საერთაშორისოდ აღიარებული, ვერაგულად განადგურებული ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აღდგენის სტიმული; საკმარისი არ არის სამინისტროს მინიშნება, რომ „სამინისტრო ითანამშრომლებს“ სოფლის მეურნეობის აკადემიასთან; სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმატებული მუშაობა წარმოუდგენელია მეცნიერების გარეშე.
- საკმარისი არ არის სამინისტროს სისტემაში მხოლოდ მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის სამსახურის აღდგენით დაკმაყოფილება. უყურადღებოდ რჩება მრავალწლოვანი კულტურები;...
- ვერც „ვენახის კადასტრის ამჟამად მომქმედი მეთოდოლოგია პასუხობს მოთხოვნებს; ამგვარი აღრიცხვა ვერ მოგვიტანს სასურველ შედეგებს.

საანგარიშო პერიოდში აკად. ნ. ჩხარტიშვილის მიერ შესრულებული სამუშაოებიდან უნდა გამოიყოს ვაზის ქართული ჯიშების ელექტრონული კატალოგის რეცენზირება, რომელიც საკმაოდ მოცულობითი და მნიშვნელოვანი სამუშაო იყო. იგი შესრულდა საზოგადოება „ელკანას“ დაკვეთით. შესრულებული სამუშაო დადებითად იქნა შეფასებული. მითითებები და შენიშვნები ძირითადად გათვალისწინებული იქნა ავტორების მიერ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამუშაო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული მევენახეობა-მელვინეობის ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობა; კერძოდ, აქტიური მონაწილეობა მიიღო ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტის განხილვაში. ამ მიმართულებით თანამშრომლობა გაგრძელდება.

- ასევე ეფექტური იყო აჭარაში, ქ. ბათუმში - „ოჯახური ღვინის“ ტრადიციულ ფესტივალში მონაწილეობა (ნ. ჩხარტიშვილი, გ. პაპუნძე, ზ. სტურუა, ბ. კალანდაძე, დ. აბზიანიძე, ზ. ბახტაძე), რომელიც პრაქტიკული კონფერენციით დამთავრდა და სათანადო რეკომენდაციებიც იქნა მიღებული;

საკოორდინაციო ჯგუფის სამუშაო გეგმის შესაბამისად მოეწყო მუხრანში, კომპანია „ბაგრატიონის“ ვაზის სანერგე მეურნეობის დათვალიერება აგვისტო-სექტემბერში და ნოემბერში დამკვეთების (კომპანია „ხარება“) მონაწილეობით; თანამშრომლობამ სასურველი შედეგი გამოიღო.

ვაზის სანერგე მეურნეობების დათვალიერებები ჩატარდა გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინის ვაზის ნერგის ინდივიდუალურ მეწარმეებთან, რომელიც კონსულტაციების, რჩევა-დარიგების ფორმით წარიმართა. აკად. ნ. ჩხარტიშვილს მიაჩნია, რომ ინდივიდუალურ ნერგის მწარმოებლებთან კონსულტაციების უნდა გაგრძელდეს.

- აკად. ნ. ჩხარტიშვილს მიაჩნია, რომ 2015 წელს აკადემიის აკადემიურ საბჭოზე მოსმენილი იქნას ინფორმაცია ქვეყანაში ვაზის ნერგის წარმოების არსებული მდგომარეობისა და დაჩქარებული რეაბილიტაციის შესახებ.
- მოსმენილ იქნას ინფორმაცია ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ, სამინისტროსთან არსებული ქართული ღვინის სააგენტოს მონაწილეობით, აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილ იქნას ინფორმაცია სექტორისაგან დაზიანებული ვენახების მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ. (ნ. ჩხარტიშვილი, აბო ორჯონიკიძე) მრგვალი მაგიდის ფორმატით;
- ადგილწარმოშობის დასახელების მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების სანედლეულო ბაზის რეგულაციისა და ახალი მიკროზონების აგროკლიმატური საზღვრების დაზუსტების შესახებ (ინფორმატორები: ნ. ჩხარტიშვილი, დ. მალრაძე)

საკოორდინაციო ჯგუფის სამუშაო გეგმა დაზუსტებას ექვემდებარება.

### 6.1.3.23. აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი



საქართველო, როგორც ცნობილია მსოფლიოში ერთ-ერთი მცირე მიწიანი ქვეყანაა, აქედან გამომდინარე სახნავი მიწის მაქსიმალურად გამოყენება ერთეულ ფართობზე მაღალი მოსავლის მისაღებად საჭირო და აუცილებელია. ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ ორი გზა არსებობს: პირველი ერთჯერადი თესვის პირობებში შემუშავებული კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება მაქსიმალური მოსავლის მისაღებად და მეორე ძირითადი კულტურებისაგან თავისუფალ პერიოდში შუალედური კულტურების ჩართვა, მეორე დამატებითი მოსავლის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფართობები შეიძლება 180-200 ათას ჰექტრამდე შეიძლება გაიზარდოს, რაც უზარმაზარი რეზერვი იქნება საკვებწარმოების დარგში დასაქმებული პირებისათვის.

ამასთან დაკავშირებით 2010 წელს აკად. გ. ცაგურიშვილის მიერ გამოცა ბროშურა სათაურით „შუალედური კულტურები და მათი როლი წლის განმავლობაში ორი და მეტი მოსავლის მისაღებად“, 100 ცალის რაოდენობით, რომელიც პრაქტიკულად აღარ მოიპოვება.

ფერმერებისა და აგრარულ დარგში დასაქმებული პირების მოთხოვნიდან გამომდინარე, აღნიშნული ბროშურა სიახლის გათვალისწინებით მომზადებული იქნა მასიური გამოცემისათვის.

2. მიმდინარე წელს გამოქვეყნდა “საკვები კულტურების აგროწესები“-ს ახალი შესწორებული და შევსებული გამოცემა, რომლის ინიციატორი იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გამოცემული ტირაჟი ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილების დონეს. ამასთან დაკავშირებით მოსაწონი და მისასაღმებელია ჟურნალ “ახალი აგრარულ საქართველო“-ს რედაქციის გადაწყვეტილება, რომ იგი ქვეყნდება ცალკეულ ნომრებში შესაბამისი თავების მიხედვით, რაც უქვეყნდება დადებით როლს შეასრულებს მისი პრაქტიკულად გამოყენების საქმეში.

3. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით აკად. გ. ცაგურიშვილი არჩეულია ქვეყანაში საკვებწარმოების სტრატეგიის შემუშავებულ კომისიაში, რომლის მიზანია 2015-2020 წლებში აღნიშნული საკითხის სრულყოფა და განვითარების პერსპექტივების დასახვა.

4. მონაწილეობა აქვს მიღებული სოფლის მეურნეობის განვითარებაში სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში.

5. აკად. გ. ცაგურიშვილის მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო და მომავალშიც გაგრძელდება შუალედური კულტურების ნათესი ფართობების გადიდება და სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენება წლის განმავლობაში საკვები კულტურების ორი და სამი მოსავლის მისაღებად, რაც ქვეყანაში ხელს შეუწყობს მეცხოველეობის დარგის აღმავლობას.

6. დაგეგმილია 2015 წელს კახეთის რეგიონში მუნიციპალიტეტებისათვის ჩატარდეს ერთობლივი სემინარი მიწათმოქმედების აქტუალურ საკითხებზე.

7. რეცენზირება გაუკეთდა და შენიშვნები დაერთო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ პროექტს „სტრატეგიული მიმართულება 2015-2020 წლებში“

8. აკად. გ. ცაგურიშვილის ხელმძღვანელობით მიწათმოქმედების დარგში მომუშავე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორებმა მცხეთის რაიონის მუნიციპალიტეტებიდან ნიკოლოზ კიკნაველიძემ და ავთანდილ მუმლაძემ მოხსენება გააკეთეს მიმდინარე წელს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“.

9. მომავალ წელს დარგობრივ განყოფილებაში გაკეთდება მოხსენება სათაურით „ქართულ მიწას მეტი მზრუნველობა და ყურადღება სჭირდება“.

10. აკადემიური საბჭოსათვის მომზადდა მოხსენება თემაზე „მიწათმოქმედება – წარსული, სადღეისო მდგომარეობა და მომავლის პერსპექტივები“.

### 6.1.3.12. აკადემიკოსი ვალერიან ცანავა



სუბტროპიკული კულტურების განოყიერების დიფერენცირებული სისტემის დამუშავების თემის ფარგლებში 2014 წელს აკად. ვ. ცანავა სწავლობდა აზოტიანი სასუქების ფორმების აზოტის ნიადაგის ორგანულ ნივთიერებაში ჩართვის დინამიკას, აზოტის სტაბილური იზოტოპის  $^{15}\text{N}$ -ის გამოყენებით. აზოტის ფრაქციების გამოყოფა (ქიმიური ანალიზები) პრაქტიკულად დასრულდა. მომზადდა ნიმუშები იზოტოპური ანალიზისათვის.

2014 წელს აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის შრომებში გამოსაქვეყნებლად წარადგინა სტატია „სუბტროპიკული კულტურების აზოტით კვების ოპტიმიზაციის მეცნიერული საფუძვლები“ (რუსულ ენაზე).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში წარსადგენად შ. ლომინაძის თანაავტორობით მომზადებულია სტატია „აზოტიანი სასუქების ფორმების გავლენა სასუქის აზოტის შეთვისებასა და აზოტის ბალანსზე“.

თანავტორებთან შ. ლომინაძე და ა. ბაჯელიძესთან ერთად აკად. ვ. ცანავამ დაასრულა აგროქიმიის სახელმძღვანელო (ბათუმი, 2014 წ.), რომელიც განხილულია და აღიარებულია შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ სახელმძღვანელოდ.

მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის აგროქიმიის-ნიადაგმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაცვის საბჭოს

მუშაობაში, როგორც დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის ნიზამი სეიდალიევის ოფიციალური ოპონენტი. დისერტაცია ეძღვნებოდა ბამბის განოყიერების სისტემის დამუშავების აქტუალურ საკითხებს.

2014 წლის განმავლობაში აკად. ვ. ცანავამ მონაწილეობა მიიღო:

1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტში მეორე რესპუბლიკურ კონკურენციაში;
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის 85 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში;
3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „კლიმატის ცვლილებები და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2-4 ოქტომბერები, 2014 წელი).
4. სემინარი – “სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია და კონსერვაცია“.

ეროვნული კოორდინატორის კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა მრგვალი მაგიდა „ციტრუსოვანთა მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიები“; მონაწილეობდნენ გურიისა და აჭარის მეციტრუსე ფერმერები.

აკად. ვ. ცანავა მონაწილეობდა საქართველოს ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების მუშაობაში.

თანაავტორთან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ შ. ლომინაძესთან ერთად დაამთავრა მუშაობა მონოგრაფიაზე „აზოტის პრობლემა მეციტრუსეობაში“ (პირობითი სათაური), რომელიც გამოსაცემად ჩაბარდება 2015 წლის პირველ ნახევარში.

აკად. ვ. ცანავა ამზადებს შეხვედრას ფერმერებთან ორგანო-მინერალური სასუქების გამოყენების პერსპექტივებზე სუბტროპიკულ მიწათმოქმედებაში.



#### 6.1.3.14. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე



აგრძელებდა მუშაობას ზაფხულის გვალვებისა და ზამთრის ყინვების პროგნოზზე.

#### 2014 წლის ზაფხულის გვალვის პროგნოზი:

საქართველოში, ისე როგორც მთელ სამხრეთ კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი მოქცეულია ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ (გვალვიან) მიწებზე.

კლიმატის გლობალური დათბობა განაპირობებს გვალვების გახშირება-გამკაცრებას, რაც აუცილებელს ხდის გვალვების, როგორც საშიში

მოვლენის მეტი ყურადღებით შესწავლას და მათზე რაგირების თანამედროვე მეთოდების შემუშავებას. ასეთი დასკვნის მართებულობის დასამტკიცებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში უკანასკნელი ხუთი წლიდან (2010-2014 წწ.) სამი წელი აღმოჩნდა ძლიერ გვალვიანი (2010, 2012, 2014 წწ.).

გვალვების მონიტორინგის განსახორციელებელ ღონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ძლიერი (კატასტროფული) გვალვების გრძელვადიანმა (სეზონურმა) პროგნოზებმა. ასეთი პროგნოზები საშუალებას აძლევს წყალსამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს წინასწარ ჩაატარონ გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებები და მინიმუმამდე დაიყვანონ გვალვით გამოწვეული ზარალი.

2014 წლის ზაფხულის გვალვის პროგნოზი შედგენილია მის მიერ დამუშავებული მეთოდიკით.

ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ასინქრონული კორელაციური კავშირები გაზაფხულზე ჰაერის დღედამური საშუალო ტემპერატურის 10°-ზე გადასვლის თარიღსა, აპრილის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურასა, ზაფხულის სეზონის (VI-VIII) ჰაერის საშუალო ტემპერატურასა და ატმოსფერული ნალექების რაოდენობას შორის.

ჰაერის ტემპერატურის გამოსათვლელი რეგრესიის განტოლებას შემდეგი სახე აქვს:

$$Z = -0.12x + 0.46y + 22.5$$

სადაც Z - ზაფხულის მოსალოდნელი საშუალო ტემპერატურაა

x - გაზაფხულზე ჰაერის დღედამური საშუალო ტემპერატურის 10°-ზე გადასვლის თარიღი

y - აპრილის თვის ჰაერის დღედამური საშუალო ტემპერატურა

ატმოსფერული ნალექების მოსალოდნელი რაოდენობა გაითვლება განტოლებით:

$$\Sigma P = -21.8x + 700$$

სადაც x არის ზაფხულის მოსალოდნელი ჰაერის საშუალო ტემპერატურა

700 - თავისუფალი წევრი, რომელიც იცვლება კლიმატური ზონების მიხედვით. დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკებისათვის იგი უდრის 700 მმ. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსათვის 620 მმ.

ზაფხულის სეზონის დატენიანების ინდექსი (ჰიდროთერმული კოეფიციენტი) გამოითვლება ფორმულით:

$$\text{ჰთკ} = \frac{\sum P}{\sum t}$$

აქ  $\sum P$  არის ზაფხულის სეზონში მოსალოდნელი ატმოსფერული ნალექების ჯამი.

$\sum t$ -ზაფხულის სეზონში მოსალოდნელი დღელამური საშუალო ტემპერატურათა ჯამი.

პროგნოზის გათვლის მაგალითი:

მიმდინარე წელს თელავში ჰაერის ტემპერატურის 10°-ზე გადასვლა მოხდა 10 აპრილს. ამ რიცხვს მივუმატებთ მარტის თვის დღეთა რაოდენობას (ათვლა იწყება 1 მარტიდან) და მივიღებთ 41. აპრილის თვის საშუალო ტემპერატურამ შეადგინა 13°.

ამრიგად, პირველი განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$Z = -0.12 * 41 + 0.46 * 13.0 + 22.5 = 23.6$$

ატმოსფერული ნალექები გამოითვლება მეორე ფორმულით:

$$\sum P = -21.8 * 23.6 - 620 = -514 + 620 = 106$$

ე.ი. ატმოსფერული ნალექების მოსალოდნელი რაოდენობა შეადგენს 106 მმ.

მოსალოდნელი ჰიდროთერმული ინდექსი ტოლი იქნება:

$$\text{ჰთკ} = \frac{106}{217} = 0.49$$

217 არის ზაფხულში მოსალოდნელ ტემპერატურათა ჯამი (23.6\*92=217)

მიღებული სამი მაჩვენებელი - ზაფხულის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და ჰიდროთერმული ინდექსი საშუალებას გვაძლევენ ჩვენ მიერ შექმნილი ემპირიული მოდელის საშუალებით გავითვალოთ: მოსალოდნელი ჯამური აორთქლება ( $E_{aa}$ ), აორთქლადობა, ანუ წყალმოთხოვნილება ( $E_{0aa}$ ) და მათი სხვაობის სახით მოსალოდნელი სარწყავი ნორმა ( $E_0 - E_{aa}$ ).

ჩვენ მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაში (თელავისათვის) ჩავატაროთ შემდეგი გათვლები:

მოსალოდნელი ჯამური აორთქლება ტოლი იქნება:

$$E = \sqrt{\text{ჰთკ} * 0.1 \sum t} \text{ ანუ } E = 0.70 * 0.1 (23.6 * 92) = 1520 \text{ მმ.}$$

ანუ მოსალოდნელი ჯამური აორთქლება ტოლია 1520 მმ. (1520 მმ<sup>3</sup>/ჰა)

მოსალოდნელი წყალმოთხოვნილება (აორთქლადობა) ტოლი იქნება:

$$E_0 = 0.17 \sum t = 0.17 (2171) = 369 \text{ მმ. (3690 მმ}^3/\text{ჰა)}$$

ტენის მოსალოდნელი დეფიციტი ტოლი იქნება (სარწყავი ნორმა):

$$3690 - 1520 = 2170 \text{ მმ}^3/\text{ჰა}$$

რაც მორწყვის ნორმაზე გაყოფით (600მ<sup>3</sup>/) მოგვცემს - 3-4 მორწყვას.

### 1. 2014 წლის ზაფხულის გვალვის პროგნოზი საქართველოსათვის

2. რაიონი	2. ჰაერის ტემპერატურა		3. ატმოსფერული ნალექები (მმ)		4. ჰიდროთერმული ინდექსი		
	8. პროგნ.	9. ფაქტ.	10. პროგნ.	11. ფაქტ.	12. პროგნ.	13. ფაქტ.	
<b>20. შირაქის ველი</b>							
21. დედოფლისწყარო	21. 25.8	22. 26.3	23. 90	24. 85	25. 0.45	26. 0.35	

<b>33. ალაზნის ველი</b>							
34. ლა გოდები	35. 26.5	36. 27.0	37. 144	38. 146	39. 0.78	40. 0.59	
47. თე ლავი	48. 23.6	49. 24.2	50. 106	51. 131	52. 0.49	53. 0.59	
<b>60. გარე კახეთი</b>							
61. საგ არეჯო	62. 23.5	63. 23.8	64. 130	65. 101	66. 0.75	67. 0.46	
<b>74. ქვემო ქართლი</b>							
75. ბო ლნისი	76. 25.8	77. 27.5	78. 103	79. 148	80. 0.69	81. 0.58	
88. გა რდაბანი	89. 25.7	90. 25.5	91. 90	92. 69	93. 0.6	94. 0.29	
<b>101. შიდა ქართლი</b>							
102. გო რი	103. 2.9	104. 3.2	105. 21	106. 39	107. .58	108. .62	
115. ხაშ ური	116. 2.2	117. 2.7	118. 36	119. 40	120. .67	121. .67	
<b>128. მესხეთ-ჯავახეთი</b>							
129. ახა ლციხე	130. 1.7	131. 0.8	132. 70	133. 68	134. .86	135. .88	
<b>142. იმერეთი</b>							
143. ზე სტაფონი	144. 5.4	145. 5.7	146. 53	147. 67	148. .81	149. .71	
156. ქუ თაისი	157. 5.3	158. 5.2	159. 98	160. 46	161. .92	162. .62	
169. საჩ ხერე	170. 3.6	171. 4.1	172. 86	173. 79	174. .92	175. .81	
<b>182. რაჭა-ლეჩხუმი</b>							
183. ამბ როლაურ ი	184. 4.6	185. 3.6	186. 64	187. 17	188. .85	189. .97	
<b>196. სამეგრელო</b>							
197. ზუ გდიდი	198. 5.4	199. 4.4	200. 96	201. 07	202. .92	203. .46	
<b>210. აჭარა</b>							
211. ხულო	212. 1.4	213. 9.6	214. 53	215. 49	216. .88	217. .38	

**ზამთრის ყინვების პროგნოზი 2014-2015 წლების ზამთრისათვის**  
 მიმდინარე წელს ოქტომბრის თვის ყველაზე დაბალმა ტემპერატურამ შეადგინა რაიონების მიხედვით:

	5°-ზე ქვევით გადასვლა მოხდა
ახალქალაქი: -5°	27.10
თიანეთი: -4°	15.11
ახალციხე: -3°	17.11
წალკა, გორი: -2°	25.10
ხაშური, ფასანაური: -1°	20.10
საჩხერე: 0°	25.11
ხულო: 1°	26.11
საგარეჯო: 2°	23.11
თელავი, ლაგოდეხი: 3°	25.11
ქობულეთი, ზესტაფონი: 4°	30.11
ქუთაისი: 6°	30.11

ჰაერის დღეღამურ საშუალო ტემპერატურის 5°-ზე ქვევით გადასვლას ადგილი ქონდა: ამბროლაურში, გორში, ხაშურში, საგარეჯოში, თელავში, ბოლნისში - ნოემბრის III დეკადის პირველ რიცხვებში; თიანეთში, ფასანაურში, ახალციხეში - II დეკადის შუა რიცხვებში, ხოლო წალკაში და ახალქალაქში - II დეკადის პირველ რიცხვებში, კოლხეთის დაბლობზე კი - მე-3 დეკადის ბოლოს.

თუ ჩავსვამთ მოცემული პრედიქტორების მნიშვნელობებს ჩვენ მიერ შედგენილ რეგრესიის განტოლებებში, მივიღებთ მოსალოდნელი ყინვების მაჩვენებლებს:

**იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი:**

$$Z = -0.38 \cdot 4 + 0.26 \cdot 27 - 20.6 = -1.52 + 7 - 20.6 = -15.1^\circ$$

**კახეთი:**

$$Z = -0.38 \cdot 3 + 0.26 \cdot 25 - 20.6 = -1.14 + 6.5 - 20.6 = -15.2^\circ$$

**ქვემო ქართლი:**

$$Z = -0.38 \cdot 4 + 0.25 \cdot 25 - 20.6 = -1.52 + 6.25 - 20.6 = -15.9^\circ$$

**შიდა ქართლი:**

$$Z = -0.5 - 2 + 0.25 \cdot 22 - 20.6 = -2.5 + 5.5 - 20.6 = -17.5^\circ$$

**მესხეთი:**

$$Z = -0.25 - 3 + 0.33 \cdot 15 - 24.1 = -3.25 + 5 - 24.1 = -22.4^\circ$$

**ჯავახეთი:**

$$Z = 0.07 \cdot -5 + 0.2 \cdot 12.5 - 28 = -0.35 + 2.5 - 28 = -25.8^\circ$$

**მცხეთა-მთიანეთი:**

$$Z = -0.09 \cdot -4 + 0.15 \cdot 15 - 21.5 = -0.4 + 2.25 - 21.5 = -19.5^\circ$$

**აჭარა-გურია:**

$$Z = -0.38 + 1 + 0.25 \cdot 30 - 12.5 = -0.38 + 7.5 - 12.5 = -5.4^\circ$$

მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში 2, 3, 4, ოქტომბერი, 2014 წელი, თბილისი - “კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე”.

### 6.1.3.15. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი



საანგარიშო წელს ო. ლიპარტელიანის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზაზე მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები თემაზე „სიმინდის სელექცია და პირველადი მეთესლეობა საქართველოში“; დაწყება-1986 წელი, დამთავრება-2014 წელი (გარდამავალი).

თემის მიხედვით კვლევა ტარდებოდა ორ პროექტში:

1. „საქართველოს ურწყავი შემაღლებული და მთის ზონისათვის სიმინდის საადრეო და საშუალო საადრეო, სავეგეტაციო პერიოდი 90-105 დღე ჰიბრიდებისა და ჯიშების გამოყვანა და დანერგვა, რომელთა მარცვლის

პოტენციალური მოსავალი იქნება 7-10 ტონა ჰექტარზე მარცვალში“. პროექტი 2, №7 „საქართველოს სარწყავი და ტენით უზრუნველყოფილი ზონებისათვის სიმინდის საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმების, სავეგეტაციო პერიოდი 120-130 დღე, ჰიბრიდებისა და ჯიშების გამოყვანა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 10-15 ტონა ჰექტარზე მარცვალში“.

თემა თავისი პროექტებით მუშავდებოდა ყოფილი საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში 1986 წლიდან, სიმინდის სელექცია პირველადი მეთესლეობის განყოფილებაში, სადაც კვლევას აწარმოებდა 11 მეცნიერი მუშაკი, 3 ლაბორანტი და 3 მუდმივი მუშა ხელფასიანი. მცხეთის სასელექციო სადგურის გაუქმების შემდეგ (2006 წელი) თემაზე კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა ინსტიტუტის გაუქმებამდე 2011 წლამდე ინსტიტუტის ურწყავ ფართობზე და ო. ლიპარტელიანის საკუთარ ნაკვეთში სოფელ სელექციაში. თემის დამუშავებას ავტორთან ერთად ემსახურებოდა სამი უფროსი მეცნიერ-მუშაკი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები და ერთი ლაბორანტი საშუალო სპეციალური განათლებით; ორი წლის განმავლობაში (2012-2013წწ.) კვლევა მიმდინარეობდა მხოლოდ სამ ნაკვეთზე სოფელ სელექციაში ო. ლიპარტელიანის და მისი ოჯახის წევრების დახმარებით. ყველა აგროტექნოლოგიური ღონისძიებები – ნიადაგის დამუშავებიდან მოსავლის აღება-დაბინავება და მეცნიერული პროცესები, რაც საჭიროა მცენარეთა აღმოცენებიდან – ბოტანიკური, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებების აღრიცხვა ტარდებოდა ავტორის ხარჯებით. ო. ლიპარტელიანის და მისი ოჯახის წევრების თანადგომით გადარჩენილი და გამოყენებულია სიმინდის ის ძვირფასი ადილობრივი და უცხოური გენოფონდი, რომელიც დღემდე შეუქმნია სელექციურ მეცნიერებას.

თემის მიზანია გამოყენებული და დანერგილი იქნას წარმოებაში სიმინდის უხვმოსავლიანი საადრეო და საშუალო საადრეო, საშუალო საგვიანო და საგვიანო სამარცვლე სასურსათო და საკვები მიმართულების, ხარისხიანი პროდუქციის მომცემი ჩაწოლისა და დაავადება-მავნებლების მიმართ გამძლე, ინტენსიური ტექნოლოგიით მოყვანისადმი ხელსაყრელი ჰიბრიდები და ჯიშები. თემის მიზანია აგრეთვე ავტორის მიერ გამოყვანილი, დანერგილი და პერსპექტიული ჰიბრიდებისა და ჯიშების პირველადი მეთესლეობა.

თემის მიხედვით წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოყვანილი და დანერგილია წარმოებაში სიმინდის 9 ჰიბრიდი და ერთი ჯიში, რომლებიც სტანდარტთან შედარებით 0,7-1,2 ტონით მეტ მოსავალს იძლევიან საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში. აქედან სამი ჰიბრიდი და ერთი

ჯიში დანერგილია უცხოეთშიც. ჰიბრიდმა “ენგურმა” უზბეკეთში 24 ტონა მოსავალი უჩვენა საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში. ამასთან ერთად, 2012 წელს “საქპატენტს” გადაეცა სიმინდის ორი მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი “წილკანი 1”, “წილკანი 2” და სინთეტიკური ჰიბრიდი “ბექა”, რომლებიც სტანდარტულ ფორმებთან შედარებით 1-1,8 ტონით მეტ მოსავალს იძლევიან საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში. გასულ წელს “საქპატენტს” გადაეცა კიდევ ორი მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი “კახურა” და “საბა”. აქედან “კახურა” არის თეთრმარცვლიანი. სტანდარტთან შედარებით დასახელებული ჰიბრიდები სამი წლის საშუალო მონაცემებით 1,0-1,9 ტონით მეტ მოსავალს იძლევიან ჰექტარზე მარცვალში. ეს ორი ჰიბრიდი და “წილკანი 1” – არის უნივერსალური მიმართულების, როგორც სამარცვლე, ასევე სასურსათო და ისინი რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს, როგორც სარწყავი, ასევე დასავლეთ საქართველოს დაბლობი რაიონებისათვის.

**კვლევის აგროტექნიკა.** ცდები განლაგებული იყო ნახორბლარზე, ნიადაგის მზრალად დამუშავება ჩატარდა 2013 წლის ნოემბერში. 10 აპრილს მოეწყო თესვისწინა კულტივაცია-დაფარცხვით. სელექციური ცდები დაითესა 30 აპრილს საკონკურსო საგვიანოები, 1 მაისს საკონკურსო საადრეოები, ხოლო დანარჩენი საკონტროლო, საკოლექციო და ხაზების სანერგეები დაითესა 2-3 მაისს. საკონკურსო და საკონტროლო გამოცდები დაითესა სისშირით: საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმები 52 ათასი მცენარე ჰექტარზე, ხოლო საადრეო და საშუალო საადრეო ფორმები 62 ათასი მცენარე ჰექტარზე. თესვა ჩატარდა პუნქტირული წესით – ხელით, ბუნდაში ჩაითესა 2 მარცვალი და აღმოცენების შემდეგ დატოვებული იქნა თითო მცენარე. ნათესების პირველი თოხნა ჩატარდა სამი-ოთხი ფოთლის ფაზაში 28-31 მაისს. მეორე თოხნა კი 12-13 ივნისს. მორწყვა მოეწყო სამჯერ, წვეთოვანი სისტემით – მცენარეთა ყვავილობის წინ, ყვავილობის დამთავრებისა და რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის პერიოდში.

**ცდის ტექნიკა და მეთოდთა.** საკონკურსო გამოცდები მოეწყო 10 კვ.მ. დანაყოფზე სამ განმეორებაში. საკონტროლო ჯიშთა გამოცდა დაითესა 10 კვ.მ. დანაყოფზე ორ განმეორებაში. დანარჩენი სანერგეები საკოლექციო და თვითდამტვერილი ხაზები დაითესა სამ კვ.მ. დანაყოფზე განმეორების გარეშე. თესვა ჩატარდა საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმების 70X30 სმ, ხოლო საადრეობისა და საშუალო საადრეობის 70X27 სმ.

**კვლევის მეთოდები.** კვლევით საქმიანობაში გამოყენებული იყო სელექციის ძირითადი მეთოდები: გამორჩევა ჰიბრიდიზაცია, ინცუხტი და სიბსური სელექცია. ჰიბრიდების მისაღებად წყვილთა შერჩევა და ინცუხტი მიმდინარეობდა ფიზიოლოგიური და ანალიზური მეთოდით, ხოლო ჰიბრიდების მიღება მარტივი ხაზთაშორისი, ჯიშხაზური და სამხაზოვანი დაწყვილებით. მშობლიური ფორმების გამორჩევა იწარმოებოდა სასურველი ხარისხობრივი და რიცხობრივი ნიშანთვისებების მცენარეთა თვითდამტვერვით და სიბსური გამრავლებით.

**საწყისი მასალა.** სელექციის საწყის მასალად გამოყენებულია სიმინდის ადგილობრივი ჯიშები, მათგან მიღებული სხვადასხვა თაობის ხაზები და უცხოური ფორმები მსოფლიო კოლექციიდან – ამერიკა, არგენტინა, მექსიკა, საფრანგეთი, იუგოსლავია, იტალია, უკრაინა და რუსეთი. გამოცდის შედეგები შეფასებულია ტარო მარცვლის ბოტანიკური მაჩვენებლების, ხოლო სამეურნეო მონაცემები ხმელი მარცვლის წონით დანაყოფზე. მოსავლის აღება, აღრიცხვა და დამუშავება მიმდინარეობდა ჯიშთა გამოცდის მეთოდის მიხედვით.

**კლიმატური პირობები.**

აპრილის ბოლო და მაისის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა უხვი ნალექებით, ასევე წვიმიანი იყო მაისის ბოლო რიცხვები და ივნისის პირველი დეკადა. 2 ივნისის საღამოს იყო ქარიშხალი. ივნისის მეორე ნახევარი და ივლისი-აგვისტო ხასიათდებოდა მაღალი ტემპერატურით და ძლიერი გვალვებით. მიუხედავად ამისა სიმინდის სელექციური ცდების ნათესები მორწყვითა და სხვა აგროლონისპიებების დროულად და ხარისხიანად ჩატარებით შენარჩუნებული იქნა მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარება და შედეგებიც დამაკმაყოფილებელია.

თემის მიხედვით 2014 წლის კვლევის შედეგები მოტანილია ქვემოთ პროექტების შესაბამისად.

**პირველი პროექტის მიხედვით ჩატარებული ცდები 2014 წელს**

ცხრილი 1

№	ცდის დასახელება	ნომრების რიცხვი	ცდის ფართობი
1	საკონკურსო ჯიშთა გამოცდა	11	350
2	საკონტროლო ჯიშთა გამოცდა	13	260
3	საკოლექციო სანერგე	30	150
4	ადგილობრივი უკეთესი ხაზების სანერგე	39	400
5	უცხოური ხაზების და ჯიშების სანერგე	204	312
	<b>ჯამი</b>	<b>357</b>	<b>1472</b>

პროექტის მიხედვით კვლევა ჩატარდა 5 ცდაში, სადაც ისწავლებოდა 357 ნომერი 1472 კვ.მ. ფართობზე.

**პირველი პროექტის მიხედვით საკონკურსო გამოცდის შედეგები**

ცხრილი 2

№	გამოცდილი ნორმების დასახელება	ხმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან		სავეგეტაციო დღეთა რიცხვი
			ტ/ჰა	%-ში	
1	ვირ 44 X მო-17	12,8	+1,0	109	104
2	ქართ.კ4. 44Xვირ44	12,6	+0,8	108	104
3	ბექა	12,8	+1,0	109	110
4	ქართული კრ. 44 X აბი 37	12,6	+0,8	108	110
5	წილკანი 2	13,6	+1,8	115	115

6	ქართული 9 სტანდარტი	11,8	±0,0	100	110
7	ქართ. კრ. 44 <sup>1</sup> X ვირ 44	13,8	+2,0	117	110
8	ფას. 13550	12,2	+0,4	103	110
9	ფას 13560	13,0	+1,2	110	110
10	ფრანგული	12,6	+0,8	108	110
11	ქართ. კრ. 44 <sup>2</sup> X ვირ 44	13,8	+2,0	117	110

საკონკურსოში იცდებოდა 11 ნომერი, მათ შორის 7 მარტივი ხაზთაშორის ერთი სინთეტიკური და სამი ფრანგული ჰიბრიდი. მათ შორის ყველაზე მაღალი მოსავალი უჩვენა ორმა ჰიბრიდმა – ქართ. კრ. 44<sup>1</sup> X ვირ 44 და ქართ. კრ. 44<sup>2</sup> X ვირ 44, რომლებმაც სტანდარტს აჯობეს 2 ტონით საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში.

ამ ჰიბრიდებიდან ერთი გადაეცემა მიმდინარე წელს “საქპატენტს”. კარგი შედეგი უჩვენეს ჰიბრიდმა “წილკანი-2”-მა და ფრანგულმა ჰიბრიდმა “ფას-13560”, რომლებმაც სტანდარტს შესაბამისად აჯობეს 1,8-1,2 ტონით ჰექტარზე მარცვალში.

პირველი პროექტის მიხედვით საკონტროლო ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა 13 ნომერი. სტანდარტად აღებული იყო “ქართული 9”. როგორც მოსავლიანობით, ასევე სხვა დადებითი თვისებებით გამოირჩევა 6 ნომერი, რომლებმაც სტანდარტს აჯობეს ჰექტარზე საშუალოდ 1,3-1,6 ტონით მარცვალში. ეს ჰიბრიდები მომავალ წელს გამოიცდებიან წინასწარ და საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში. საკოლექციო და სელექციურ სანერგეში ისწავლებოდა 304 ნომერი, სადაც უკეთეს მცენარეებზე ჩატარდა ხელოვნური თვითდამტვერვა და სიბსური გამრავლება, სულ მიღებული იქნა 302 ტარო, რომლებიც მომავალ წლებში გამოყენებული იქნება შესაბამის ცდებში და სანერგეებში. პროექტზე პირველადი მეთესლეობის მიზნით მოეწყო სამი საიზოლაციო ნაკვეთი, სადაც მიღებული იქნა დაპატენტებული ჰიბრიდების წილკანი 2-ის და ბექას პირველი თაობის თესლი 1,2 ტონა, რომელიც გაიცემა ფერმერებზე შესაბამის რაიონებში.

პროექტი 2-ის მიხედვით საანგარიშო წელს მოეწყო შემდეგი სახის ცდები (ცხრილი 3):



**პროექტი 2-ის მიხედვით მოწყობილი ცდები 2014 წელს**

ცხრილი 3

№	ცდის დასახელება	ნომრების რიცხვი	ცდის ფართობი
1	საკონკურსო ჯიშთა გამოცდა	25	340
2	საკონტროლო ჯიშთა გამოცდა	12	300
3	საკოლექციო სანერგე	31	160
4	ადგილობრივი უკეთესი ხაზების სანერგე	142	200
5	უცხოური ხაზების და ჯიშების სანერგე	310	208
	<b>ჯამი</b>	<b>520</b>	<b>1208</b>

პროექტის მიხედვით კვლევა ჩატარდა 5 ცდაში, სადაც ისწავლებოდა 520 ნომერი 1208 კვმ. ფართობზე.

მეორე პროექტის მიხედვით საკონკურსო ჯიშთა გამოცდის შედეგები მოტანილია ცხრილ 4-ში.

**მეორე პროექტის შესაბამისად საკონკურსო ჯიშთა გამოცდის შედეგები 2014 წელს**

ცხრილი 4

№	გამოცდილი ნორმების დასახელება	სმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან		სავეგეტაციო დღეთა რიცხვი
			ტ/ჰა	%-ში	
1	2	3	4	5	6
1	კრ. 32 ბ. 10	17,0	+1,4	109	129
2	ქართული კრუგი მ/ლიზი	15,6	+0,0	100	134
3	პ.31 №27 X აჯამეთის თეთრი	18,4	+2,8	118	134
4	პაპალაშვილი 3	10,8	-4,8	69	140
5	ბი-73 X ვირ 44	13,4	-2,1	86	130
6	პ31 №27X აჯამეთის თეთრი	15,4	-0,2	99	134

7	იმ-18Xბი-73	17,0	+1,4	109	134
8	პ.31X27 X აჯამეთის თეთრი	19,4	+3,8	124	134
9	ქართული კრ. 44Xმო-17	16,2	+0,6	104	134
10	ივერია 70 სტანდარტი	15,6	±0,0	100	130
11	ქართ. კრ. 44X მო-17	15,6	±0,0	100	129
12	პ.31 №27	14,2	-1,4	91	130
13	ქართ. კრ. 44Xბი-73	12,0	-3,6	77	134
14	ბი-73Xქართ. კრ. 44	18,6	+3,0	119	134
15	პ. ყვ. 30Xმო-17	13,6	-2,0	87	129
16	ქართ. კრ. 44Xმო-17	12,4	+3,2	79	128
17	ქართ. კრ. 44Xიმ-18	19,2	+3,6	123	134
18	ქართული კრუგი	9,2	-5,4	59	130
19	აბაშური ყვითელი	8,8	-7,8	57	134
20	აჯამეთის თეთრი	8,9	-7,7	57	136
21	იმერული ჰიბრიდი	9,0	-6,6	58	135
22	საბა	14,4	+1,2	92	130
23	წილკანი 1	18,8	+3,2	121	130
24	წილკანი 2	17,6	+2,0	113	125
25	ფ.ას. 13 56	14,6	-1,0	94	125

მეორე პროექტის მიხედვით საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში იცდებოდა 25 ნომერი. მათ შორის მარტივი საზთაშორისი ჰიბრიდი 15, ჯიშსაზური 3 და ჯიში 6. გამოცდილი ფორმებიდან სტანდარტ ივერია 70-თან შედარებით პირველ ადგილზე გამოვიდა საზჯიშური ჰიბრიდი. პ.31.X27Xაჯამეთის თეთრი, მეორეზე მარტივი საზთაშორისი ჰიბრიდი ქართ.კრ. 44Xიმ-18, რომლებმაც შესაბამისად აჯობეს სტანდარტს 3,8-3,6 ტონით კექტარზე მარცვალში. სტანდარტთან შედარებით მაღალი მოსავალი უჩვენეს “საქპატენტზე” გადაცემულმა ჰიბრიდებმა “წილკანი 1”, “წილკანი 2”-მა და “საბამ”; მათ შესაბამისად აჯობეს სტანდარტს

3,2; 2,0; 1,2 ტონით ჰექტარზე მარცვალში. უკეთესი ფორმებიდან ყველაზე უკეთესი მომზადდება “საქპატენტზე” გადასაცემად, საკონტროლოში ისწავლებოდა 13 ნომერი. აქედან სტანდარტ “ივერია 70”-ს აჯობა ექვსმა ნომერმა. მათ შორის ყველაზე კარგი შედეგები უჩვენა ორმა ნომერმა, რომლებმაც აჯობეს სტანდარტს 2,1-3,0 ტონით ჰექტარზე მარცვალში. უკეთესი ფორმები მომავალ წელს შეისწავლება წინასწარ და საკონკურსო ჯიშთა გამოცდებში. საკოლექციო და პერსპექტიულ სანერგეში ისწავლებოდა 452 ნომერი, სადაც ყვავილობის დაწყებამდე ჩატარდა უკეთესი მცენარეების გამორჩევა და მათზე მოეწყო თვითდამტვერვა და სიბსური გამრავლება. მიღებულია ხელოვნურად 410 ტარო. ამ მასალის გამოყენება ჩატარდება მომავალ წლებში შესაბამის ცდებში და სანერგეებში. ორ საიზოლაციო ნაკვეთზე მოეწყო პერსპექტიული ორი ჰიბრიდის წილკანი -1 და კახურას პირველი თაობის თესლის გამოყვანა. მიღებულია 1ტონა თესლი, რომელიც მომავალ წელს გაიცემა ფერმერებზე.

საანგარიშო პერიოდში აკადემიის წ/კ ო. ლიპარტელიანის ავტორობით გამოქვეყნებულია ერთი შრომა: „სიმინდის მოსავლიანობის და ხარისხის გადიდების გზები და მნიშვნელობა საქართველოში“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე” №33-2014წ. შრომაში მოტანილი ხანგრძლივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები სიმინდის მოსავლიანობის, მისი ხარისხის გადიდების მეცნიერულ ღონისძიებებზე და ქვეყნისათვის სიმინდის მნიშვნელობაზე.

მომზადებული და გადაცემულია იმავე ჟურნალში გამოსაქვეყნებლად შრომა- “სასილოსე და სანაწვერალო სიმინდის სელექცია საქართველოში”. შრომაში მოცემულია 9-წლის განმავლობაში, სასილოსე და სანაწვერალო სიმინდზე სელექციური მუშაობის შედეგები, შერჩეულია ქვეყნის თითოეული ზონისათვის მოსავლიანობით უკეთესი ჯიშებიდან ჰიბრიდები.

გადაცემულია გამოსაქვეყნებლად სახელმძღვანელო - მონოგრაფია: „სიმინდის გენეტიკა, სელექცია, მეთესლეობა, მოვლა-მოყვანის დღევანდელი მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები საქართველოში“.

წიგნში მოტანილია სიმინდზე ჩატარებული გენეტიკური, სელექციური, მეთესლეობითი და მოვლა-მოყვანის ხაზით ჩატარებული კვლევის შედეგები საქართველოში.

2014 წლის მარტის თვეში მოეწყო რადიოგადაცემა ბატონი ბაკურ გულუას რედაქტორობით და აკადემიის წ/კ ო. ლიპარტელიანის ავტორობით სიმინდის კულტურაზე საქართველოში, მის მნიშვნელობაზე და იმ ღონისძიებებზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსავლიანობისა და ხარისხის ამაღლებას.

აკადემიის წ/კ ო. ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით მომზადებული და წარდგენილი იქნა 2014 წლის 10 ნოემბერს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში საგრანტო პროექტი „სიმინდის მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი „წილკანი 1“-ის პირველი თაობის თესლის წარმოებაზე“.

აკადემიის წ/კ ო. ლიპარტელიანის თანაავტორობით მომზადებულია გამოსაცემად სახელმძღვანელო „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მეთესლეობის შესახებ“, სადაც მოცემულია მეთესლეობის როგორც სოფლის მეურნეობის დარგის მნიშვნელობაზე, მის ისტორიაზე. ნაჩვენებია პირველადი მეთესლეობის ელიტის მიღების სქემები, დასაბუთებულია მეთესლეობის მნიშვნელობა მოსავლიანობის და ჯიშის ჯიშური ნიშანთვისებების შენარჩუნებაზე.

მომავალი წლის აგვისტოს პირველ ნახევარში სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში წილკანის ბაზაზე მოეწყობა რესპუბლიკური სემინარი სიმინდის კულტურის სელექციის შედეგებზე, სადაც მოწყობილი იქნება სადემონსტრაციო ცდები სიმინდის წარმოებაში დანერგილი და პერსპექტიული ჯიშების და ჰიბრიდების.

### 6.1.3.16. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ურუშაძე



აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თენგიზ ურუშაძემ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების უცხოელ წევრთან ვინფრიდ ბლუმთან ერთად 2014 წელს აშშ (ნიუიორკი, გამომცემლობა "ნოვა პუბლიშერი") გამოსცა წიგნი "საქართველოს ნიადაგები".

მისი ხელმძღვანელობით საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტში ტარდება ოლიმპიადები ნიადაგმცოდნეობაში. თენგიზ ურუშაძის ინიციატივით 2014 წელს ჩატრდა საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდენტები მექსიკიდან, ჰოლანდიიდან, ავსტრიიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, ჩინეთიდან, უზბეკეთიდან და სხვ. მისი ხელმძღვანელობით ტარდება საერთაშორისო საზაფხულო სკოლები ნიადაგმცოდნეობასა და მეტყევეობაში. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ურუშაძე უკვე 10 წელზე მეტია აქტიურად თანამშრომლობს გისენის (გერმანია) უნივერსიტეტთან ერთობლივ ეკოლოგიურ გრანტებში (ფოლქსვაგენის ფონდი, გერმანია).

"იუნესკოს" გადაწყვეტილებით 2015 წელი გამოცხადებულია "ნიადაგების წლად". საქართველოდან ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო კავშირის 2015 წლის საქმიანობის კალენდარში წარდგენილია: აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თენგიზ ურუშაძის ინიციატივით საქართველოს ფოსტასთან ერთად საქართველოს ძირითადი ნიადაგების ამსახველი მარკების გამოცემა და ნიადაგმცოდნეობაში მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტების სტუდენტთა საერთაშორისო ოლიმპიადის ორგანიზება.

უკვე 12 წელია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თენგიზ ურუშაძის რედაქტორობით გამოიცემა საერთაშორისო ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალი "აგრარულ მეცნიერებათა მაცნე".

### 6.1.3.17. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რეზო ჯაბნიძე



**1. სამეცნიერო თემატური გეგმით გათვალისწინებული კვლევები:**

ა) სამეცნიერო თემატური გეგმიდან გამომდინარე მუშაობა ტარდებოდა შემდეგ საკითხებზე: „იპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის გამორჩეული ჯიშებისა და ფორმების შესწავლა აჭარის პირობებში“.

**ანოტაცია:** ა(ა)იპ აჭარის აგროსერვისცენტრის სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების სამსახურის ციტრუსოვნთა სანერგე მეურნეობაში,

იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის სხვადასხვა ჯიშებზე, ძირითადი ფენოლოგიური დაკვირვებები, მიმდინარეობდა ჩაქვში, იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის 11 ჯიშზე: ნიჩინანი, იურა-ვასე, ტაგუჩი ვასე, მიაგავა ვასე, კავადა, ნანკანი-20, ოპოცუ ვასე, უენო ვასე, აუშიმა, ოკიცუ ვასე, მუკაიამა.

ექსპერიმენტი ტარდებოდა 25-35 გრადუს დახრილობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე, სადაც მცენარეები დარგულია 4X2,5 მეტრის კვების არით, ზღვის დონიდან 35-40 მეტრის სიმაღლეზე. საცდელი მცენარეების ქვეშ ნიადაგი წითელმიწაა, თითოეულ ვარიანტში აღებული გვექონდა ათ-ათი მცენარე, ხოლო ცდები და დაკვირვებები ვაწარმოეთ 110 მცენარეზე. დაკვირვებები მიმდინარეობდა ჩვენს მიერ შედგენილი სქემისა და მეთოდის მიხედვით. ყველა საცდელი მცენარე დაინომრა, გაუკეთდა ეტიკეტირება, მიღებული მონაცემები შეგვაქვს სპეციალურ ჟურნალში, სადაც აღირიცხება თითოეული მცენარის ყველა ის მონაცემი, რაც ფენოლოგიური დაკვირვებებით არის გათვალისწინებული.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები სისტემატიურად ეცნობოდნენ ფენოლოგიური დაკვირვებების მიმდინარეობას. ხდებოდა ფოტოგრაფირება როგორც მსხმოიარე მცენარეების, ასევე ნაყოფების კრეფის მიმდინარეობის პროცესის. მცენარის სხვადასხვა ექსპოზიციიდან იღებდნენ ნაყოფებს და მიქონდათ უნივერსიტეტში, მათი ბიოქიმიური შედგენილობის ხარისხობრივი მაჩვენებლები დასადგენად.

თითოეულ ჯიშზე ვიკვლევდით: - მეორე ზრდის ვეგეტაციის დასასრულს, ნაყოფების მომწიფების დასაწყისს და ნაყოფების მასიურ მომწიფებას, მსხმოიარობას (ცალობა, კგ-მი), ერთი ნაყოფის საშუალო წონას (გრ-მი), ნაყოფის შეფერილობას, კანის რბილობიდან მოცილების ხასიათს, რბილობში წილაკოვანთა რაოდენობას, შეფოთვლას და სხვა (ცხრ. 1).

ასევე განისაზღვრა მანდარინის ჯიშებზე ბიომეტრიული მაჩვენებლები 2014 წლის 10-12 დეკემბერს, სადაც ისწავლებოდა მცენარის სიმაღლე სმ-ში, საძირისა და სანამყენის დიამეტრი მმ-ში (ცხრილი 2).

**მანდარინის სხვადასხვა ჯიშებზე ძირითადი ფენოლოგიური დაკვირვების მონაცემები (2014 წ.)**

**ცხრილი 1**

N	ჯ ი შ ი	მე-2 ზრდის დასასრული	ნაყოფების მომწიფების დასაწყისი	ნაყოფების მასიური მომწიფება	მსხმოიარობა		ერთი ნაყოფის საშ. წონა (გრ)	რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა (ცალობა)	შენიშვნა
					ცალობა	კგ-ში			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ნიჩინანი	აგვისტოს II-დეკადა	სექტემბრის I-დეკადა	სექტემბრის III-დეკადა	329	19,6	57,7	11	
2	იურა-ვასე	აგვისტოს I-დეკადა	სექტემბრის I-დეკადა	სექტემბრის III-დეკადა	452	19,9	44,3	11	

3	ტაგუჩი- ვასე	აგვისტოს I-დეკადა	სექტემბრის II-დეკადა	ოქტომბრის I-დეკადა	320	26,7	82,5	10	
4	მიაგავე- ვასე	აგვისტოს II-დეკადა	ოქტომბრის I-დეკადა	ოქტომბრის III-დეკადა	465	26,8	55,9	12	
5	კავადა	აგვისტოს II-დეკადა	სექტემბრის III-დეკადა	ოქტომბრის II-დეკადა	249	20,3	80,2	11	
6	ნან კანი- 20	აგვისტოს I-დეკადა	სექტემბრის III-დეკადა	ოქტომბრის II-დეკადა	246	18,7	73,1	10	
7	ოპოგუ ვასე	აგვისტოს III-დეკადა	ოქტომბრის II-დეკადა	ნოემბრის I-დეკადა	226	18,5	78,1	11	
8	უენო- ვასე	აგვისტოს II-დეკადა	სექტემბრის II-დეკადა	ოქტომბრის I-დეკადა	355	21,3	59,2	10	
9	აოშიმა	აგვისტოს III-დეკადა	ოქტომბრის I-დეკადა	ნოემბრის I-დეკადა	56	5,4	90,1	10	
10	ოვიცუ- ვასე	აგვისტოს I-დეკადა	სექტემბრის III-დეკადა	ოქტომბრის I-დეკადა	334	21,2	62,8	12	
11	მუკაიამა	აგვისტოს II-დეკადა	სექტემბრის III-დეკადა	ოქტომბრის II-დეკადა	287	17,8	62,1	13	

**მანდარინის ჯიშებზე ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები  
2014 წლის 10-12 დეკემბრის მონაცემებით**

*(მცენარის სიმაღლე სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი მმ)*

**ცხრილი 2**

N	მცენარ. ჯიშო		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	საშ .
1	ნიჩინანი	სიმაღლე	180	164	157	158	135	120	208	220	114	165	162
		საძირე	51	52	46	47	36	36	53	64	29	52	46
		სანამყენ	39	38	36	30	23	24	37	39	20	37	32
2	იურა ვასე	სიმაღლე	127	122	124	119	146	138	148	140	121	124	132
		საძირე	40	38	39	40	48	46	52	49	39	41	43
		სანამყენ	38	27	34	26	38	31	40	33	32	30	31
3	ტაგუჩი - ვასე	სიმაღლე	192	214	178	197	101	161	170	136	167	176	169
		საძირე	61	72	62	70	29	54	45	43	50	70	55
		სანამყენ	45	46	45	44	21	34	35	23	32	42	36
4	მიაგავე - ვასე	სიმაღლე	100	93	98	88	118	77	135	124	84	85	100
		საძირე	26	31	32	25	42	24	47	39	29	33	32
		სანამყენ	23	20	25	21	28	18	31	30	19	20	23
5	კავადა	სიმაღლე	133	116	118	148	114	117	143	132	121	143	128
		საძირე	42	43	45	52	42	37	39	42	45	46	43
		სანამყენ	29	28	33	34	37	25	32	32	38	33	30
6	ნანკანი-20	სიმაღლე	90	88	107	145	134	100	91	98	113	90	105
		საძირე	32	36	37	43	44	45	30	28	27	34	35
		სანამყენ	20	25	28	32	28	30	21	20	20	21	24
7	ოპოგუ	სიმაღლე	135	138	113	132	115	116	121	103	130	98	120
		საძირე	44	39	41	50	28	38	39	30	37	38	38

		სანამყენ	38	29	31	40	22	33	24	27	26	29	29
8	უენო-ვასე	სიმაღლე	106	121	118	126	123	113	135	132	142	147	128
		სადირე	29	49	48	37	29	40	35	38	40	38	38
		სანამყენ	20	29	27	25	26	27	21	24	32	30	26
9	აოშიმა	სიმაღლე	173	150	144	138	158	167	170	142	138	145	152
		სადირე	42	32	34	42	37	58	48	59	47	38	45
		სანამყენ	26	23	27	23	25	37	35	32	29	28	28
10	ოკიცუ-ვასე	სიმაღლე	132	128	98	106	115	127	124	125	131	106	119
		სადირე	39	40	36	40	37	44	39	33	40	29	37
		სანამყენ	24	25	25	28	26	30	27	22	26	20	25
11	მუკაიამა	სიმაღლე	112	98	108	136	108	107	109	120	112	135	121
		სადირე	35	33	33	44	38	30	42	40	38	39	37
		სანამყენ	23	26	27	32	21	22	27	28	35	27	26

განვლილ პერიოდში ჩატარებული ცდებისა და დაკვირვებების შედეგად სხვადასხვა ჯიშებზე გამოვლინდა შემდეგი მონაცემები:

**1. ნიჩინანი** - მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის მეორე დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო სექტემბრის პირველ, ხოლო მასიური მომწიფება სექტემბრის მესამე დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 329 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 19,6 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა კი 57, 7 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 9-10-ია. საწვნე ლეზნები საშუალო ზომისაა და სიმკვრივით არ გამოირჩევა. ნაყოფის შეფერილობა მოწითალო-ნარინჯისფერია, კანი ადვილად სცილდება რბილობს, ფოთლები ოვალური ფორმისაა, წვრილი, დამარღვული, საშუალო ზომამ შეადგინა 12X6 სმ-ი, ყუნწის სიგრძე 2 სმ-ია. მიმაგრებულია მახვილი კუთხით. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 162 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 46-52 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 1).



ფოტო 1. ნიჩინანი.

**2. იურა-ვასე** - მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის პირველ დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო აგვისტოს პირველ, ხოლო მასიური მომწიფება სექტემბრის მესამე დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 452 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 19,9 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა

კი 44,3 გრამია. ჯიშ ნიჩინანთან შედარებით ნაყოფები ზომით პატარაა, რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 10-11-ია. საწვწე ლეზნები საშუალოზე პატარაა და მკვრივი. ნაყოფის შეფერილობა ღია ყვითელი და პრიალაა, კანი ძალიან ძნელად სცილდება რბილობს, ფოთლები რომბისებრ-ოვალურია, კიდემთლიანი, საშუალო ზომამ შეადგინა 13X7 სმ-ი, მიმაგრებულია მახვილი კუთხით. ყუნწის სიგრძე 2,5 სმ-ია. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 132 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 43-32 მმ-ია (ცხილი 2; ფოტო 2).



**ფოტო 2. იურა-ვასე**

**3. ტაგური-ვასე** - მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის პირველ დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო სექტემბრის მეორე, ხოლო მასიური მომწიფება ოქტომბრის პირველ დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 320 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 26,7 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა კი 82,5 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 9-10-ია. საწვწე ლეზნები დიდი ზომისაა და სიმკვრივით არ გამოირჩევა. ნაყოფის შეფერილობა ოქროსფერ-ყვითელია, კანი ადვილად სცილდება რბილობს. კარგად შეფოთლილი, კიდემთლიანი, ფოთოლი მიმაგრებულია მახვილი კუთხით, რომელიც მწვანე-მუქი ფერისაა, ყუნწის სიგრძე 2 სმ-ია. ფოთლის საშუალო ზომამ შეადგინა 13,5X5 სმ-ი. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 169 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 55-36 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 3).



**ფოტო 3. ტაგური ვასე**

**4. მიაგავა-ვასე** - მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის მეორე დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო ოქტომბრის პირველ, ხოლო მასიური მომწიფება ოქტომბრის მესამე დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 465 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 26,8 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა კი 55,9 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 11-ია. საწვწე ლეზნები დიდი ზომისაა და სიმკვრივით არ გამოირჩევა. ნაყოფის შეფერილობა ლიმონისებრ-ყვითელია, კანი ადვილად სცილდება რბილობს. კარგად შეფოთლილი, ფოთლები



ოვალურ-კვირტისებრი, კიდემთლიანი, რომელიც მუქი ფერისაა, მიმაგრებულია მახვილი კუთხით, ფოთლის საშუალო ზომამ შეადგინა 12,6X5 სმ-ი, ყუნწის სიგრძე 2-3 სმ-ია. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 100 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 32-23 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 4).



ფოტო 4. მიაგავა-ვასე

**5. კავადა** - მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის მეორე დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო სექტემბრის მესამე, ხოლო მასიური მომწიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 249 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 20,3 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა კი 80,2 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 11-12-ია. საწვნე ლეზნები დიდი ზომისაა და სიმკვრივით არ გამოირჩევა. ნაყოფის შეფერილობა მოწითალო-ნარინჯისფერია, პრიალაა, კანი ადვილად სცილდება რბილობს. კარგად შეფოთილი, ფოთლების საშუალო ზომამ შეადგინა 12,5X5,5 სმ-ზე, ყუნწის სიგრძე 2-5 სმ-ია. მიმაგრებულია მახვილი კუთხით, რომბისებრი, კიდემთლიანი, წვრილად დაძარღვული. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 128 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 43-31 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 5).



ფოტ. 5. კავადა

**6. ნანკანი-20** - მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის პირველ დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო სექტემბრის მესამე, ხოლო მასიური მომწიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 246 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 18,7 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა კი 73,1 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 10-11-ია. საწვნე ლეზნები დიდი ზომისაა და სიმკვრივით არ გამოირჩევა. ნაყოფის შეფერილობა მუქი-ყვითელია, კანი ადვილად სცილდება რბილობს, ფოთლების საშუალო ზომამ შეადგინა 11,5X5 სმ-ზე,

ყუნწის სიგრძე 2,4 სმ-ია. მიმაგრებულია მახვილი კუთხით, საშუალოდ დამარღვული, მოგრძო-ოვალური ფორმის. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 105 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 35-24 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 6).



**ფოტო 6. ნანკანი-20**

**7. ოპოცუ ვასე** - მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის მესამე დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო ოქტომბრის მეორე, ხოლო მასიური მომწიფება ნოემბრის პირველ დეკადაში. სხვა ჯიშებთან შედარებით გვიან შედის მსხმოიარობაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 226 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 18,5 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა კი 78,1 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 11-12-ია. საწვწე ლეზნები დიდი ზომისაა და მკვრივია. ნაყოფის შეფერილობა ლიმონისებრ-ყვითელი, ხორკლიანი, კანი საშუალოდ სცილდება რბილობს. კარგად შეფოთლილი, დიდი ზომის, მუქიძვანე ფოთლებით, რომლის საშუალო ზომამ შეადგინა 13,5X7 სმ-ი, ყუნწის სიგრძე 2 სმ-ია. კარგად დამარღვული, მოგრძო-ოვალური ფორმის, რომელიც ტოტზე მიმაგრებულია მახვილი კუთხით. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 120 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 38-29 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 7).



**ფოტო 7. ოპოცუ ვასე**

**8. უენო-ვასე** - მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის მეორე დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო სექტემბრის მეორე, ხოლო მასიური მომწიფება ოქტომბრის პირველ დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 355

ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 21,3 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა კი 59,2 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 10-ია. საწვწე ლეზნები დიდი ზომისაა და სიმკვრივით არ გამოირჩევა. ნაყოფის შეფერილობა ღია ყვითელი, პრიალაა, კანი ადვილად სცილდება რბილობს. კარგად შეფოთილი. ფოთლები წვრილი, რომლის საშუალო ზომამ შეადგინა 11,5X5,5 სმ-ი, საშუალოდ დაძარღვული, მიმაგრებულია ტოტზე მახვილი კუთხით. ყუნწის სიგრძე 2,5 სმ-ია. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 128 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 38-26 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 8).



### ფოტო 8. უენო-ვასე

- მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის მესამე დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო ოქტომბრის მეორე, ხოლო მასიური მომწიფება ნოემბრის პირველ დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 56 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 5,4 კგ-ი შეადგინა. როგორც ჯიში ოპოცუ-ვასე ესეც გვიან შედის მსმოიაროაში, ნაყოფები დიდია, რომლის ერთი ნაყოფის საშუალო წონა 90,1 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 10-11-ია. საწვწე ლეზნები დიდი ზომისაა და მკვრივი. ნაყოფის შეფერილობა ღიაყვითელია, კანი ადვილად სცილდება რბილობს. კარგად შეფოთილი, წვრილი დაძარღვული, მუქიმწვანე ფერის, პრიალა, ოვალური, ფოთლების საშუალო ზომამ შეადგინა 13X5,5 სმ-ი, ყუნწის სიგრძე 2,5 სმ-ია. მიმაგრებულია ტოტზე მახვილი კუთხით. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 152 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 45-28 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 9).



ფოტო 9. აოშიმა

**10. ოკიცუ-ვასე** - მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის პირველ დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო სექტემბრის მესამე, ხოლო მასიური მომწიფება ოქტომბრის პირველ დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 334 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 21,2 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა კი 62,8 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 12-ია. საწვანე ლებნები დიდი ზომისაა და სიმკვრივით არ გამოირჩევა. ზოგიერთი ნაყოფის ლებნებში ზოგჯერ ერთი ან ორი თესლია. ნაყოფის შეფერილობა ოქროსფერ-ყვითელია, კანი ადვილად სცილდება რბილობს. კარგად შეფოთლილია, მუქიმწვანე ფერის, ოვალურ-კვირტისებრი, კიდემთლიანი, დამარღვული, ფოთლების საშუალო ზომამ შეადგინა 11,5X5 სმ-ზე, ყუნწის სიგრძე 2 სმ-ია. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 119 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 37-25 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 10).



**ფოტო 10. ოკიცუ-ვასე**

- მეორე ზრდის ვეგეტაცია დაასრულა აგვისტოს თვის მეორე დეკადაში, ნაყოფების მომწიფება დაიწყო სექტემბრის მესამე, ხოლო მასიური მომწიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. საშუალოდ ერთ მცენარეზე მოიკრიფა 287 ცალი ნაყოფი, რამაც საშუალოდ 17,8 კგ-ში შეადგინა. ერთი ნაყოფის საშუალო წონა კი 62,1 გრამია. რბილობში წილაკოვანთა რაოდენობა 12-13-ია. საწვანე ლებნები დიდი ზომისაა და სიმკვრივით არ გამოირჩევა. ნაყოფის შეფერილობა მუქი ნარინჯისფერი, პრიალა კანი ადვილად სცილდება რბილობს. კარგად შეფოთლილი, რომბისებრი, წვრილად დამარღვული. ფოთლების საშუალო ზომამ შეადგინა 11,5X5 სმ-ზე, ყუნწის სიგრძე 2 სმ-ია. ტოტზე მიმაგრებულია მახვილი კუთხით. მცენარეების სიმაღლემ ვარიანტში საშუალოდ შეადგინა 121 სმ, საძირისა და სანამყენის დიამეტრი შესაბამისად 37-26 მმ-ია (ცხრილი 2; ფოტო 11).



**ფოტო 11. მუკაიაზა**



ქ. ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 2014 წელი.

ბ) „კაკლის კულტურის ზრდა-განვითარების თავისებურებანი აჭარაში“.

ანოტაცია: ნაშრომის მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლებდა ინტროდუცირებული კაკლის სხვადასხვა ჯიშების ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის საკითხები აჭარის პირობებში. ცდები ტარდებოდა 2013-2014 წლებში მცენარის მსხმოიარობაზე, ვეგეტაციური და გენერაციული ორგანოების ზრდის დინამიკაზე და ნაყოფების ტექნიკურ მახასიათებლებზე. დაკვირვებები გაგრძელდება 2015 წელს.

**2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძე კითხულობს ლექციების კურსს ბაკალავრებთან და მაგისტრანტებთან შემდეგ დისციპლინებში:**

ა) სუბტროპიკული კულტურები;

ბ) მეჩაიეობა;

გ) სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები

დ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიები.

**3. საზღვაგარეთ და საქართველოს რეცენზირებად საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია:**

1. რ. ჯაბნიძე-„აგრარულ სექტორში მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა წარმატების საწინდარია“. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია: „განათლების თანამედროვე გამოწვევები“ . გვ. 303-307; ქ. გორი, 19-20 ნოემბერი, 2014 წ.

2. რ. ჯაბნიძე; ნ. ჯაბნიძე - „აჭარის ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ძირითადი სუბტროპიკული კულტურების წარმოების შესაძლებლობები“. გორის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია: „განათლების თანამედროვე გამოწვევები“ . გვ. 308-312; ქ. გორი, 19-20 ნოემბერი, 2014 წ.

3. ს. ბერიძე; რ. ჯაბნიძე; ნ. ჯაბნიძე - „მთის ეკოსისტემების თანამედროვე მდგომარეობა აჭარის მაღალმთიან რეგიონში“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „მეცნიერება და ინოვაციური ტექნოლოგიები“. შრომების კრებული. გვ. 363-365. 18-19 ნოემბერი ქ. ქუთაისი, 2014 წ.

4. ზ. ფუტყარაძე; რ. ჯაბნიძე - „კლიმატის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებების გავლენა აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორზე“. საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. გვ. 252-255. ქ. თბილისი, 2014 წ.

5. Джабнидзе Р, Джабнидзе Н. Ебралидзе Л. – Ассортимент хурмы восточной на черноморском побережье Грузии – Материалы международной научно-практической конференции. Азербайджан. Г. Ганджа ст. 29-32. 2014.

6. რ. ჯაბნიძე - „კლიმატის ცვლილებების გავლენა კეთილშობილი დაფნის (*Laurus nobilis*) ზრდა-განვითარებასა და პროდუქტიულობაზე“. ინტერნეტ კონფერენცია. ქ. ქუთაისი. 2014 წ.

#### **4. საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები:**

1. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია: „განათლების თანამედროვე გამოწვევები“ . ქ. გორი, 15-16 ნოემბერი, 2014 წ.

2. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია: „განათლების თანამედროვე გამოწვევები“ . ქ. გორი, 15-16 ნოემბერი, 2014 წ.

3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „მეცნიერება და ინოვაციური ტექნოლოგიები“. შრომების კრებული. ქ. ქუთაისი, 2014 წ.

4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. ქ. თბილისი, 2014 წ.

5. Материалы международной научно- практической конференции. Азербайджан. Г. Ганджа. 2014.

## 5. სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების რედაქტირება და რეცენზირება

- 2013 წლიდან აკადემიის წევრ/კ რ. ჯაბნიძე არის დოქტორანტ გულადი თხილაიშვილის სადოქტორო ნაშრომის: „აჭარის აგრარული პროდუქციის საგარეო ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“ -მეცნიერ ხელმძღვანელი.

- იყო პროფესორ ზაურ ფუტკარაძისა და რომან მარგალიტაძის მონოგრაფიის: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორები“ და რომან მარგალიტაძისა და ზაურ ფუტკარაძის სახელმძღვანელოს: „სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღები“-რეცენზენტი;

- არჩეულია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრად, რომელიც ჩატარდა ქ. ქუთაისში 2014 წლის 18-19 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

-- არჩეული იყო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრად, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დღის წესრიგით: „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. თბილისი, 2014 წელი.

## 6. მონაწილეობა სხვადასხვა კომისიების, საბჭოებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში

აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძე არჩეულია:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ;

- ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის "ეკონომიკა", სარედაქციო კოლეგიის წევრად. ქ. თბილისი;

-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად (2014-2019 წწ);

-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის ეროვნულ კოორდინატორად;

- პერიოდულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ "ხანძთა"-ს რედკოლეგიის წევრად;

- სომხეთის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად;

- აზერბაიჯანის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად;

- საქართველოს დაცული ტერიტორიების, მტირალას ეროვნული პარკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად;

- ენციკლოპედია "აჭარა", სარედაქციო კოლეგიის წევრად;

- ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ რედკოლეგიის წევრად;

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის აგრარულ საკითხთა კომისიის წევრად;

- ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, აგრონომიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელად.

- დამტკიცებულია სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით ორი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად:

1. „ჩაის ახალი სელექციური ფორმების (N59, N62, N102) შესწავლა, სამეურნეო და აგრობიოლოგიური ნიშან-თვისებების შეფასება“, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი-სოფლის მეურნეობის დოქტორი.

2. „აქტივობის (კვივი) მცენარის ზრდა განვითარების, პროდუქტიულობისა და გამრავლების საკითხები“. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი-სოფლის მეურნეობის დოქტორი;

**2014 წლის 26 ივლისს** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიის საბჭოს სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით: „მეციტრუსეობაში არსებული მდგომარეობა და პრობლემის გადაჭრის გზები“ .

**2014 წლის მარტ-აპრილის თვეში** უნივერსიტეტში სტუდენტთა მოზიდვის მიზნით, აგრონომიული სპეციალობის მიმართულებით ლექციები წაიკითხა აჭარის რეგიონის ცხრა სკოლაში.

**2014 წელს**, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისიასთან არსებული სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრი და ფერმერული მეურნეობის განვითარების, ფერმერთა სწავლება კონსულტირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი, ხუთჯერ მიიღო მონაწილეობა უმაღლესი საბჭოს სხდომებში.

**აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო** ღონისძიების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებისათვის აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძე დამტკიცებული იყო კომისიის თავმჯდომარედ, რომელიც ჩატარდა 2014 წლის 16 სექტემბერს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში, სადაც მოწვეულები იყვნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პროფესორები, მეცნიერ მუშაკები და სხვა.

საიუბილეო სხდომას თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ალიოზა ბაკურიძე. იუბილეს ესწრებოდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარეები: ანზორ თხილაიშვილი, მედეა ვასაძე, ნოდარ ფუტყარაძე, გიორგი მასალკინი. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფუტყარაძე, განათლების მინისტრის მოადგილე სულიკო თებიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი პაატა კოლუაშვილი და სხვა პასუხისმგებელი პირები. მოხსენება „აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი - დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“ გააკეთა პროფესორმა რეზო ჯაბნიძემ.





აკად. მამია გოგოლიშვილის იუბილე. სიტყვით გამოდის პროფ. პაატა კოლუაშვილი

აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის იუბილისადმი მიძღვნილი სტატიები გამოქვეყნდა გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“, „აჭარა“, „ქობულეთი“, „ბათუმელები“. სამეცნიერო ჟურნალებში: „მოამბე“, „ხანძთა“, „ახალი აგრარული საქართველო“.

#### **დამსახურება და ჯილდოები.**

- დაჯილდოვებულია:

„ღირსების ორდენით“;

- იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით და საპატიო სიგელით;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით;

- ხელვაჩაურის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ხელვაჩაურის რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება;

- 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძეს გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მისალოცი ადრესი, აჭარის უმაღლესი საბჭოს მილოცვა, აჭარის პედაგოგთა კავშირის სიგელი, აჭარის მამულიშვილთა კავშირის ადრესი, საქართველოსა და აჭარის ჭიდაობის ფედერაციების დიპლომები.

**აკადემიის წ/კორ. რეზო ჯაბნიძის რეკომენდაციები „მეციტრუსეობის წარმოებისა და ხარისხის კონტროლის ძირითადი საკითხების,**

**განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“**

მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობისა და ჩატარებული სამეცნიერო კვლევების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები და გამოვხატო ჩემი პოზიცია, უახლოეს წარსულში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის ერთერთი ძირითადი დარგის მეციტრუსეობის განვითარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

ათეული წლების განმავლობაში დარგის არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნების და მისი ეტაპობრივად განვითარებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, ფაქტიურად ძალზედ შემცირდა ციტრუსოვანთა პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამასთან მთლიანად განადგურადა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებისა და გადამამუშავების საწარმოების ინფრასტრუქტურის ობიექტები. პაქტიკულად არაფერი გაკეთებულა მთლიანად აგროსასურსათო სექტორში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის დამკვიდრების შესაბამისად გლეხთა, ფერმერთა ადაპტაციის ურთულესი პროცესის ხელშეწყობისათვის.

ცხადია, რომ მათი გადაწყვეტა სისტემური მიდგომითაა შესაძლებელი. მიმაჩნია, რომ მეციტრუსეობის განვითარების პროგრამის სტრატეგიულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის:

### **მეციტრუსეობის განვითარების სტრატეგიული მიზანი**

- მეციტრუსეობის არსებული საწარმოო პოტენციალის სულყოფილად გამოყენების უზრუნველყოფა, მაღალხარისხოვანი კონკურენტუნარიანი ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოებისა და რეალიზაციის გადიდება დარგში აგრობიოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და არსებული საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილების დანერგვის ხელშეწყობის საფუძველზე;

- ციტრუსოვანთა ნაყოფისა და სარეალიზაციოდ მომზადების (დახარისხება, დამწიფება, შენახვა, შეფუთვა) ეფექტურად ფუნქციონირებადი თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი მცირე საწარმოების ქსელის ჩამოყალიბება;

- ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამამუშავებელი მრეწველობის ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია;

- გადამამუშავებელი მრეწველობის საექსპორტო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, სარეალიზაციო ბაზრის მოპოვება და იქ დამკვიდრება;

- სოფლის მოსახლეობის დასაქმებისა და თვითდასაქმების პრობლემების გადაწყვეტა;

- საკარმიდამო გლეხური მეურნეობიდან სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გადიდება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესება;

- სოფლად მცირე მეწარმეობის, ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა;

- მეციტრუსეობის განვითარების სახელმწიფო ფინანსური დახმარება მართვისა და რეგულირების ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოპოვება, დარგის ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

## **მეციტრუსეობის რეაბილიტაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის გადასაჭრელი პრობლემები**

- ციტრუსოვანთა ნაყოფისა და სარეალიზაციოდ მომზადების (დახარისხება, დამწიფება, შენახვა, შეფუთვა) თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი მცირე საწარმოების ეფექტურად ფუნქციონირებისათვის სახელმწიფო ფინანსური ხელშეწყობის გარკვეული პერიოდისათვის უცვლელი მექანიზმის ჩამოყალიბება.

- ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის მხარდაჭერის გარკვეული პერიოდისათვის უცვლელი ეფექტური სისტემის ფორმირება;

- დარგში ინვესტირების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამუშავება და ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით ციტრუსოვანთა ნაყოფის და ხილის გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი მცირე საწარმოების ქსელის ფორმირება და ამოქმედება;

- კონკურენტუნარიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოება ადგილობრივ და ტრადიციულ სამომხმარებლო ბაზარზე დამკვიდრების უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა;

- ფერმერული მეურნეობების მაღალეფექტური სასუქებითა და მზამქიმიკატებით მომარაგების, აგროქიმიური, ფიტოსანიტარული და ფიტოპათოლოგიური მონიტორინგისა და მომსახურების, ფერმერთა სწავლებისა და კონსულტირების ეფექტური სისტემის, აგროსერვისის შემდგომი განვითარება;

- ფერმერთა საადრეო, სტანდარტული, მაღალი სამეურნეო და ხარისხობრივი ნიშანთვისებების მქონე ნერგებით მომარაგების უზრუნველყოფა;

- ფერმერული მეურნეობების გაერთიანებების, კავშირების, კოოპერატივების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ფინანსური მხარდაჭერა;

- სწავლებისა და კონსულტირების ეფექტური სისტემის ფორმირების ხელშეწყობა.

## **მეციტრუსეობის განვითარების პრობლემების გადაწყვეტისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები**

- ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტირებისა და რეალიზაციით დაკავებულ ორგანიზაციებს შორის კონკურენტული გარემოს ფორმირება. ციტრუსოვანთა ნაყოფის ტრანსპორტირების ხარჯების რეგულირება მართვისა და რეგულირების ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით და ექსპორტის წახალისების სრულყოფილი მექანიზმის დამუშავება ამოქმედება;

- ციტრუსოვანთა ნაყოფის და ხეხილის გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მიზნობრივი პრივატიზაცია და ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით ციტრუსოვანთა ნაყოფის და ხეხილის გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საწარმოს ამოქმედების სტრატეგიის განსაზღვრა და მისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

- კონკურენტუნარიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის სტრატეგიის განსაზღვრა მისი ადგილობრივ და ტრადიციულ სამომხმარებლო ბაზარზე დამკვიდრებისათვის ხელშეწყობის მიზნით;
- მეციტრუსეობის რეაბილიტაციის მიზნობრივი პროგრამის დამუშავება და მისი განხორციელებისათვის საბიუჯეტო და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება და რაციონალური გამოყენება;
- მეციტრუსეობის რეაბილიტაციის მიზნობრივი პროგრამის განხორციელების ეკონომიკურად დასაბუთებული პარამეტრების დადგენა და მის საფუძველზე ბიზნეს წინადადებების მომზადება პოტენციურ ინვესტორთა დაინტერესებისათვის.
- 2015 წელს აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძე მოხსენებით გამოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

**6.2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილება**

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი  
სწავლული მდივანი - დოქტორი ანატოლი გიორგაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 4 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).

აკადემიკოსები: გუგუშვილი ჯემალი, ტყემალაძე გურამი, ყურაშვილი თენგიზი, ცქიტიშვილი ზურაბი.

**6.2.1. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის სამუშაო გეგმა**

№	საკითხების (თემების დასახელება)	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2013 წელს	იანვარი	აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე	

	გაწეული მუშაობის შესახებ;			
2	შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერის) დამზადება, მიზანშეწონილობა და ეფექტურობა	თებერვალი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი  აკად. დოქტორი თინათინ დალალიშვილი	
3	შემოდგომა ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტის არსებობის გამო მცენარეული ცხიმების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	
4	ცხოველთა აღწარმოებაზე მოქმედი ფაქტორები	მარტი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	
5	აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	
6	აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	
7	აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი	
8	ზოონოზური დაავადებები საქართველოში და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ	ივლისი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	

9	რძის ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ძირითადი ღონისძიებების შესახებ	ნოემბერი	აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	
---	---	----------	------------------------------	--

6.2.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	საქართველოში ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა, ახალი პროექტები, სამომავლო გეგმები, ახალი შეთავაზებები;	მრგვალი მაგიდა	აპრილი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილება	
2	სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის განხილვა	მრგვალი მაგიდა	აპრილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	
3	სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა ენდემური ადგილობრივი ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია	სემინარი	ოქტომბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	
4	აგრარული მეცნიერების გადარჩენისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პრობლემები	მრგვალი მაგიდა	ოქტომბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	

განყოფილებაში 2014 წელს ჩატარდა 9 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 15 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე.** 2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე.** 3. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების ასოცირებული წევრების შესახებ. 4. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 14 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. შემოდგომა ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტის არსებობის გამო მცენარეული ცხიმების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ; **მომხსენებელი: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი.** 2. შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერის) დამზადება, მიზანშეწონილობა და ეფექტურობა; **მომხსენებლები: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი; აკად. დოქტორი თინათინ დალაღიშვილი.**

მესამე სხდომა ჩატარდა 20 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკრედიტაციის პროცედურები საქართველოში (პერსონალის სერთიფიცირება). **მომხსენებელი: საქართველოს აკრედიტაციის სააგენტოს თავმჯდომარე პაატა გოგოლიძე.**

მეოთხე სხდომა ჩატარდა 16 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. ცხოველთა აღწარმოებაზე მოქმედი ფაქტორები. **მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.** 2. აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 3. აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 4. აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 13 მაისს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონი ი. კიღურაძის წერილის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი.**

მექვსე სხდომა ჩატარდა 13 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებული “სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის მიმართულებები” მეცხოველეობის განვითარების

პერსპექტივებისადმი გამოთქმული მოსაზრებებისა და წინადადებების შესახებ.

**მომხსენებელი: აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი**

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 30 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების ვაკანტურ ადგილზე აკადემიკოსის (აკადემიის ნამდვილი წევრის) შიფრით 010303 ცხოველთა და ფრინველთა კვება (ბიოქიმიის მიმართულებით) ასარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, გურამ ტყემალაძის წინასაარჩევნო მოხსენება. **მომხსენებელი: ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ტყემალაძე.** 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ დაშვებული კანდიდატისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა). 3. ზოონოზური დაავადებების გავრცელების მდგომარეობა საქართველოში და მასთან ბრძოლის მეცნიერული სიახლეების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.**

მერვე სხდომა ჩატარდა 25 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: **რძის წარმოების ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორთა კლასიფიკაცია.** **მომხსენებელი: აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.**

მეცხრე სხდომა ჩატარდა 22 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: რისკის შეფასების დამოუკიდებელი სამსახურის სტრუქტურის, მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნორმატიული აქტების პროექტი. **მომხსენებლები: აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.**

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: სემინარი - სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია; მრგვალი მაგიდა - **“სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის განხილვა”.**

გარდა ამისა განყოფილების წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული დოკუმენტის "სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის მიმართულებები" შედგენაში. ასევე თავინთი მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები დააფიქსირეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე (2015-2020).



## 6.2.3. განყოფილების წევრების მოკლე ანბარიშები

### 6.2.3.1. აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი



მრავალ წლიანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები (2000-2013) დასრულდა 2013 წელს, თემა: „მაღალპროდუქტიული ჯიშური ჯგუფის ბოცვრების გამოყვანა, პროდუქტიულობის შესწავლა და სრულყოფა“, ხელმძღვანელი ჯ. გუგუშვილი, საანგარიშო 2014 წელს, იმასთან დაკავშირებით, რომ კუმისის მეზორცევობის კომპლექსმა შეიცვალა პროფილი მიღებული მაღალპროდუქტიული ბოცვრის სულადობა განთავსებული იქნა კუმისის, საგარეჯოს და მარტყოფის პირად საკარმიდამო, გლეხურ მეურნეობებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით მზადდება რეკომენდაცია თემაზე „ჯიშთაშორისი შეჯვარების საფუძველზე მაღალპროდუქტიული ბოცვრის მოშენება გლეხურ მეურნეობებში“.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში ჩაბარებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი „მეზორცევობა გლეხურ მეურნეობაში“, მიმართულება-ორგანული სოფლის მეურნეობა. ნაშრომში განხილულია ცხოველთა შენახვის, მოვლა-პატრონობის, კვების და სანაშენე საქმის ორგანიზაცია მეზორცევობის დარგის შემდგომი განვითარების მიზნით. ჩაბარებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი ჟურნალში-„ახალი აგრარული საქართველო“, თემა „საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშების პროდუქტიულობის დახასიათება“.

ნაშრომი შეეხება, ჩვენ ქვეყანაში გავრცელებული ბოცვრის ჯიშების პროდუქტიულობის გაზრდას ჯიშთაშორისი სამრეწველო შეჯვარების საფუძველზე.

მ/წლის 30 ოქტომბერს სსმმ აკადემიის სემინარზე: „ცხოველთა, ფრინველთა ენდემიური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია“. გააკეთა მოხსენება თემაზე: „საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშების პროდუქტიულობის მაჩვენებლები და მისი გაუმჯობესების გზები“.

აკად. ჯ. გუგუშვილმა მონაწილეობა მიიღო სსმმ აკადემიის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში 2014 წლის 2-3-4- ოქტომბერს - „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“.

2014 წლის 16 აპრილს მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილებაში აკად. ჯ. გუგუშვილის მიერ გაკეთდა 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის ანგარიში 2014 წლის 13 მაისს, ჩატარებულ სხდომაზე (ოქმი №5); განხილული იქნა

საკითხი და ეთხოვა საქართველოს პარლამენტს, გაუქმებული საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის აღდგენის შესახებ.

### **წინადადებები:**

ბოცვრის გავრცელების ძირითადი არეალი პირად საკარმიდამო, გლეხურ მეურნეობაშია განთავსებული, მიზანშეწონილად მიაჩნია განისაზღვროს დარგის სისტემური ანალიზი, რისთვისაც საჭიროა განხორცილდეს შემდეგი ღონისძიებები: ცხოველის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე მეზოცვრეობა სასურველია განვითარდეს გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში; მიზანშეწონილია ბოცვრები მოშენდეს საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან შეგუებული და აპრობირებული ცხოველები, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში თეთრი გოლიათი, კალიფორნიული. მოქმედებაში უნდა შევიდეს კანონი „სანაშენო საქმის შესახებ“. ბოცვრის გენეტიკური პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის საჭიროა მარცვლეულის, ბოსტნეულის და ბაღჩეულის საკვების წარმოების გაზრდა. დარგის არსებული მდგომარეობის განვითარებისათვის ფართო გზა უნდა დაეთმოს კოოპერირებას. ფერმერთა დაფინანსებისათვის გამოყენებული იქნეს დაფინანსების გრძელვადიანი დაკრედიტების ფორმა ლიზინგი. სრულად იქნას გამოყენებული აგრარულ სექტორში მომუშავე მეცნიერთა პოტენციალი.

დარგობრივ განყოფილებებში განხილული იქნეს მეცხოველეობის შემდეგი საკითხები: სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება, მეძროხეობის, მეცხვარეობის, მეთევზეობის, მებორცვეობის, მეცხენეობის, მეღორეობის, მეფრინველეობის, კინელოგიის, მეფრინველეობის, გენეტიკა- მომშენებლობის არსებული მდგომარეობა და გზები.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდეს სემინარები, მრგვალი მაგიდა და კონფერენციები.

**სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმავლობის მიმართულებით აკად. ჯ. გუგუშვილს მიზანშეწონილად მიაჩნია:** სოფლად კერძო საკუთრების და საბაზრო ურთიერთობების განმტკიცება და განვითარება, პრივატიზაციის მაღალი დონე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციების მჭიდრო კავშირის დამყარება და ურთიერთობა, ამასთანავე გასაღების ტევადი ბაზრის სიახლოვე, მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის (ღვინო, ბრენდი, მინერალური წყლები) ხარისხი და ავტორიტეტი, სოფლის მეურნეობის ტექნიკური საშუალებით უზრუნველყოფა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მაღალი წილი, აგრარული პროდუქციის ექსპორტის ზრდა, საცალო ვაჭრობის სწრაფი განვითარება, მიწის რეფორმის სრულყოფა. ეროვნული საკადასტრო ინფორმაციული სისტემის შექმნის საფუძველზე მიწის ბაზრის ჩამოყალიბება, მეცხოველეობის დარგის აღორძინება, მათი მოშენების დროს ორიენტაცია გაკეთდეს ჩვენში არსებულ უნიკალურ ჯიშებზე სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა და მათი მონაცემების გავრცელება, აგრარული მეცნიერებისა და განათლების ხელშეწყობა.

### 6.2.3.2. აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) არჩეულ იქნა 2014 წლის 5 აგვისტოს.

- I. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის 2014 წელს შექმნილ ფაკულტეტზე ხელმძღვანელობდა დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამას “**აგრარული ტექნოლოგიები**”. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი (1-3) და არჩევითი (4-5) საგნები:
  1. მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების აგროტექნოლოგიები;
  2. აგრარულ კულტურათა ბიოქიმიისა;
  3. მცენარეთა იზოლირებული კულტურების ბიოტექნოლოგიები;
  4. აგრარული ტექნოლოგიების ფერმენტული მექანიზმები;
  5. აგროქიმიის-ნიადავთმცოდნეობა;
  
- II. საქართველოს ტექნიკურ (1-2) და აგრარულ (3) უნივერსიტეტებში კითხულობდა ლექციების კურსს საგნებში:
  1. აგრარულ კულტურათა ბიოქიმია – აგრარული ტექნოლოგიების დოქტორანტებისათვის.
  2. სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში – მეცხოველეუობისა და აგრონომიის სპეციალობის ბაკალავრებისათვის.
  3. ბიოქიმიის საფუძვლები – აგრონომიისა და ზოოვეტერინარული სპეციალობის ბაკალავრებისათვის.
  
- III. 2014 წელს (04.05 ნოემბერი) მონაწილეობდა ორ კონფერენციაში:
  1. მესამე საერთაშორისო კონფერენციაში – “მეცნიერება და რელიგია” – რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნას. მოხსენების თემა: “ზოგიერთი ქართული საეკლესიო ტერმინისა და სინტაგმის მართებული დაწერილობის შესახებ”.
  2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეორე კონფერენციაში – “სამეცნიერო ტერმინოლოგია” – რომელიც მიეძღვნა როგნედა დამბაშიძის ხსოვნას (28-29 ოქტომბერი). მოხსენების თემა: “ზოგიერთი ქართული და უცხოური ტერმინის დაწერილობის, წარმოთქმისა და სემანტიკური შესაბამისობის შესახებ”.
  
- IV. 2014 წელს, პროფესორებთან ბესარიონ დოჭვირთან და გია სოხაძესთან ერთად, ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში Open Journal Biochemistry

გამოსაქვეყნებლად გადასცა სტატია: “A New Approach To The Estimation Of The Parameters Of The Michaelis-Menten Equation“; სტატია მიღებულია რედაქციის მიერ და დაგეგმილია მისი დაბეჭდვა 2015 წლის პირველ ნახევარში (სტატია თან ერთვის ანგარიშს). ნაშრომი ეძღვნება ფერმენტული რეაქციების სტოქასტიკური მოდელის დამუშავებას. სტოქასტიკური მეთოდების გამოყენებით მოწოდებულია ფორმულა კინეტიკური პარამეტრების, კერძოდ, მიხაელის-მენტენის განტოლების კოეფიციენტების განსაზღვრისათვის. განხილულია არაერთი პრაქტიკული მაგალითი

V. საანგარიშო პერიოდში აგრძელებდა მუშაობას 2013 წელს გამოცემული წიგნების: “ბიოქიმიის საფუძვლები” და “ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონის” მეორე გადამუშავებულ და სრულყოფილ გამოცემაზე. მაგალითად, ლექსიკონს დაემატა დაახლოებით 1000 ტერმინი შესაბამისი ილუსტრაციებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატისათვის, კერძოდ, აგრონომიული და მეცხოველეობის სპეციალობის სტუდენტებისათვის, გურამ ტყემალაძის ხელმძღვანელობით ითარგმნა და რედაქტირება გაუკეთდა ამერიკელი ავტორების წიგნს “General, Organic and Biochemistry“.

VI. საანგარიშო პერიოდში, კერძოდ, 2014 წლის 25 ნოემბერს აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე გააკეთა მოხსენება თემაზე: “ადამიანთა კვებაში ტრანს-ცხიმების უარყოფითი გავლენის, მავნებლობისა და რისკების შესახებ”. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იყო ტრანს-ცხიმების ქიმიურ და ბიოქიმიურ ასპექტებზე, აგრეთვე მათი მოქმედების შესაძლო მექანიზმებზე;

VII. აკად. გურამ ტყემალაძის ხედვა, ზოგადად, ბიოქიმიისა და ბიოქიმიური კვლევის შესახებ აგრარულ მეცნიერებებში, კერძოდ, ცხოველთა და ფრინველთა კვებაში, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიურ და ბიოტექნოლოგიურ პროცესებში.

რადგან ცხოველთა და ფრინველთა კვების მიზანს წარმოადგენს:

1. მათი ზრდა-განვითარების სტიმულირება და პროდუქტიულობის, ამალღება.
2. დაბალანსებული რაციონის შემუშავება და შენახვის ჰიგიენური პირობების, ვეტერინარული სამსახურის სრულყოფა და ადამიანისათვის უვნებელი პროდუქციის წარმოება, გურამ ტყემალაძის აზრით, ამ ორი უმთავრესი მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება:

1. ცხოველთა და ფრინველთათვის საკვებმოპოვებისა და წარმოების წარმადობის გაზრდა და გარემო პირობების გაუმჯობესება (ნიადაგის, ატმოსფეროსა და წყლების ეკოლოგიურ სისუფთავეზე ზრუნვა და სხვ.).

2. თვით მცენარეული საკვების (ბალახის, თივის, სენაჟის) მრავალფეროვნების გაზრდა და, რაც მთავარია, დაბალანსებული საკვების დამზადება.

ზემოთ მოტანილი მიზნების აღსრულებასა და დასახული ამოცანების გადაწყვეტაში ბიოქიმიას შეუძლია თავისი სიტყვის თქმა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი მცენარე, ასევე ცხოველი კარგ კლიმატურ პირობებში, ნაყოფიერ ნიადაგზე, დაუბინძურებელი ატმოსფეროსა და წყლების პირობებში იძლევა უხვ და ყუათიან პროდუქციას. აქედან დასკვნა:

1. უნდა გამკაცრდეს მოთხოვნები ყველა გადამამუშავებელი დიდი თუ პატარა ქარხნის, ფაბრიკისა თუ საწარმოს, ინდივიდუალური, გლეხური თუ ფერმერული მეურნეობის მიერ წარმოებული ყველა სახის პროდუქტის უვნებლობაზე. ამასთან, ყველა აღიჭურვოს თანამდროვე გამწმენდი ნაგებობებით და მათზეც დაწესდეს სათანადო სახელმწიფო რეგულირება. სახელმწიფოს მიერ აგრეთვე უნდა დაწესდეს ატმოსფეროსა და წყლების მუდმივი ქიმიურ-ბიოქიმიური, ტოქსიკოლოგიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი. აიკრძალოს ხმარებიდან ამოღებული და ვადაგასული პესტიციდებისა და შხამ-ქიმიკატების გაუაზრებელი, თვითნებური გამოყენება.

2. საკვები მცენარეების პროდუქტიულობისა და უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა განხორციელდეს: ახალი სერტიფიცირებული ბუნებრივი დანამატების შექმნა, შერჩევა და გამოყენება სხვა პროდუქტებთან კომბინირების გზით; აგროტექნიკური, აგროქიმიური და მელიორაციული ღონისძიებების გაუმჯობესება; ნიადაგის ბიოქიმიურ-მიკრობიოლოგიური შესწავლა; მცენარეებში ენერჯისა და ნივთიერებების (ამინომჟავების, ცილების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და სხვ.) ცვლასა და მათს ფოტოსინთეზურ აქტივობაზე მინერალური მარილების, ორგანული სასუქების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, სხვადასხვა ბიოპრეპარატებისა და სტიმულატორების გამოცდა-გამოყენება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

3. თვით სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაზე საკვებში შეტანილი სხვადასხვა მცენარეული, ცხოველური თუ მიკრობიოლოგიური დანამატის ბიოქიმიური გავლენის შესწავლა – ასაკის, სეზონურობის, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატის გათვალისწინებით და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გაცემა. ცხადია, აღნიშნული დანამატებისა და დანამატიანი საკვების ტოქსიკოლოგიური, მიკრობიოლოგიური გამოკვლევების, აგრეთვე დანამატების ფარმაკოდინამიკისა და ფარმაკოკინეტიკის შესწავლის საფუძველზე.

ამგვარად, ბიოქიმია – აგრარულ მცენარეთა ბიოქიმიის, ცხოველთა და ფრინველთა კვების ბიოქიმიის, რძისა და რძეპროდუქტების ბიოქიმიის, ხორცისა და ხორცპროდუქტების ბიოქიმიის, ნიადაგის ბიოქიმიის, მიკროორგანიზმთა ბიოქიმიისა და სხვათა სახით ემსახურება ნიადაგში, მცენარესა და ცხოველში, საკვები პროდუქტებისა და საკვები ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიურ

პროცესებში მიმდინარე ქიმიური და ბიოქიმიური პროცესების მიზანდასახული მართვისა და რეგულირების მექანიზმების შესწავლას, ახალი ინოვაციური ბიოქიმიური მეთოდების დამუშავებასა და სხვა, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება აგრარული კულტურების ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ამაღლებას; საკვები პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური სქემების ოპტიმიზაციას; უვნებელი პროდუქციის წარმოებას; მათს რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას; ნიადაგის დაცვას გამოფიტვისაგან; ჰაერისა და წყლების დაცვას დაბინძურებისაგან; ჯანმრთელი გარემოს შექმნას, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

და ბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და უპირველესად, აგროკულტურებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებში, მცენარეთა და ცხოველთა კვებაში, საკვებწარმოებასა და ვეტერინარიაში ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების, მეთოდებისა და მიდგომების დამუშავებას. აღნიშნულ დარგებში ინოვაციებს კი საფუძვლად უნდა დაედოს კვლევის ქიმიური, ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური შესაძლებლობები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ქართული პროდუქციის წარმოება და მსოფლიო ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავება. დღეს ეს არის რეალურად მიღწევადი.

ზემოთქმულის განხორციელებას დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მთავრობის დადგენილებით შექმნილი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სამეცნიერო კვლევით ცენტრი თავისი სამეცნიერო პოტენციალით, მატერიალური რესურსებით, დასახული მიზნებითა და ამოცანებით; აგრეთვე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილი აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი.

### 6.2.3.3. აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი



1. „რძის შემგროვებელ და გადამამუშავებელ საწარმოებში ნედლეულის ბრუცელოზზე კეთილსაიმედობის კონტროლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება“ პროექტის ხელმძღვანელი.
2. მე-5 კურსის სტუდენტებისათვის საგნები:
  - 2.1. ზოონოზები.
  - 2.2. ცხოველთა ინფექციური დაავადებები.

3. გამოქვეყნებული სტატიები:

N	ნაშრომის სახელწოდება	ჟურნალის დასახელება
1	სასმელი წყლის ხარისხის გავლენა ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და ცხოველების ჯანმრთელობაზე	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი - „კვალი“ 2014 გვ. 65-70
2	ბროილერის ჯანმრთელად გამოზრდა და მისგან ხარისხიანი და უვნებელი ხორცის მიღება	ჟურნალი - „პროაგრო“ 2014 N3 გვ.26-28
3	კლიმატური პირობების გავლენა ცხოველის ჯანმრთელობაზე	საერთაშორისო კონფერენციის მასალები „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე.“ თბილისი 2014 გვერდი 419-421
4	ბოცვრის ბიოლოგია, მოვლა-შენახვა, კვება და ვეტერინარული მომსახურება	ჟურნალი - „პროაგრო“ 2014 N4 40-43

4. საერთაშორისო სემინარი - „ვეტერინარული სამსახური სომხეთისა და საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში“. მოხსენება: „ზოონოზები და მათთან ბრძოლა“. 05-07 მაისი, 2014, წახკამორი, სომხეთი.
2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. მოხსენება: „კლიმატური პირობების გავლენა ცხოველთა ჯანმრთელობაზე“. 02-04 ოქტომბერი 2014, თბილისი, საქართველო.
5. წარდგენილი საგრანტო პროექტები:

N	პროექტის დასახელება	როლი პროექტში	დონორი ორგანიზაცია
1	Spread of Campylobacteria in Animals and foer Products of Animal Origin, Identification of Isolated Cultures and T heir Antibiotic Resistance	მენეჯერი	GRDF
2	ცხოველთა ტრიქოფიტიის სამკურნალო მალამოს დამზადების სამრეწველო ტექნოლოგიის და დიზაინის შემუშავება (დახვეწა), სერიული წარმოების დაწყება, მოხმარების არეალის ზრდა და ბაზრის გაფართოება.	მენეჯერი	ტექნიკური ინოვაციის პროგრამა
3	ბაქტერიების სახეობების გავრცელება და მათი მნიშვნელობა მშობიარობის შემდგომი ენდომეტრიტით დაავადებულ ძროხებში	ძირითადი პერსონალი	რუსთაველის ფონდი
4	ცხოველთა აღწარმოების დაქვეითების, (უნაყოფობისა და ბერწიანობის ) მიზეზების შესწავლა და მისი თავიდან აცილების გზები.	ძირითადი პერსონალი	რუსთაველის ფონდი
5	Zoonotic Risk Assessment Study in Georgia and Kyrgyz Republic	ძირითადი პერსონალი	GRDF
6	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უცნობი დაავადების ეთიოლოგიის დადგენა	ძირითადი პერსონალი	რუსთაველის ფონდი



7	ცხოველისა და ფრინველის ადგილობრივი გენოფონდის მდგომარეობის შეფასება მათი აღდგენების, მოშენების, ჯანმრთელობის დაცვის რეკომენდაციების შემუშავება და კატალოგის მომზადება.	ძირითადი პერსონალი	საპატრიარქო
8	The study of suitability of animal drinking water, identification of the separated pathogens and determination of the antibiotic resistance	მენეჯერი	GRDF

6. სამეცნიერო განყოფილებაში და აკადემიურ საბჭოზე გაკეთებულია მოხსენება: „ზოონოზები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები“
7.
  1. საქართველოს ვეტერინარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაცია - წევრი;
  2. საქართველოს მემამულეთა კავშირი - ვიცე პრეზიდენტი;
  3. ჟურნალ „მომამის“ რედკოლეგია - წევრი;
  4. ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ რედკოლეგია - წევრი.
  5. მრავალი სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის და ბროშურის რედაქტორი ან რეცენზენტი.
  - 8.1. ტრენინგი ფერმერებისათვის თემაზე: ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში. - თბილისი, შ.პ.ს „კავკასიის გენეტიკა“. 11 აგვისტო 2014 წ.
  - 8.2. სასწავლო გარემოს მინიმალური სტანდარტების შემუშავება (ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი). - საქართველოს ბავშთა ფედერაცია. 15 აპრილი-31 აგვისტო 2014 წ.
  - 8.3. სემინარში მონაწილეობა - ბაიერის ფირმის პრეპარატები პროდუქტიული ცხოველებისათვის. ქ. ბორჯომი. 30 სექტემბერი 2014 წ.
  - 8.4. სემინარში მონაწილეობა - დერმატიტების ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ქ. თბილისი, 6 ივლისი, 2014 წ.
  - 8.5. ტრენინგი - ნინოწმინდის რაიონის ვეტერინარი ექიმებისათვის, თემაზე: ჩლიქების დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა. ორგანიზატორი „HEIFER“-ი. ნინოწმინდა, 10 თებერვალი 2014 წ.
  - 8.6. ტრენინგი - დმანისის რაიონის ვეტერინარი ექიმებისათვის, თემაზე: ცხოველთა გინეკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა. ორგანიზატორი „HEIFER“-ი, დმანისი, 14 მარტი, 2014 წ.

- 8.7. ტრენინგი - ფრინველის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა საოჯახო პირობებში. ახმეტა, 18 მარტი, 2014 წ.
- 8.8. ტრენინგი - ფრინველის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა საოჯახო პირობებში. სიღნაღი, ნუკრიანი, 21 მარტი, 2014.
- 8.9. ტრენინგი - ღორის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა საოჯახო ფერმებში. სიღნაღი, ნუკრიანი, 6 აპრილი, 2014 წ.
- 8.10. ტრენინგი - ღორის დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა საოჯახო ფერმებში. ახმეტა, 17 აპრილი, 2014 წ.
- 8.11. კოლეჯებში მოდულური სწავლების პროგრამის პილოტირების მონიტორინგი (ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი).
- 15 ივლისი 2014 წ, სენაკი;
  - 18 ივლისი, 2014 წ, ახალციხე.
  - 22 ივლისი, 2014 წ, კაჭრეთი.
  - 8 აგვისტო, 2014 წ, სენაკი.
  - 12 აგვისტო, 2014 წ, ახალციხე.
  - 18 აგვისტო, 2014 წ, კაჭრეთი.
9. FAO-ს დაკვეთით გადაღებულია კლიპი - ბოცვრის მოვლა-შენახვა, კვება, ვეტერინარული მომსახურება. მაისი-სექტემბერი, 2014 წ.
10. თბილისში ჩატარებულ მრავალ პრეზენტაციაში და შეხვედრაში მონაწილეობა.
11. სურსათის ეროვნული სააგენტოს კომისიებში მუდმივი მონაწილეობა.
- 12. წინადადებები:**
- 12.1. ვეტერინარია უნდა გახდეს რეგულირებადი დარგი და ვეტერინარი ექიმის მომზადება კვლავ უნდა დაუბრუნდეს 5 წლიან (300 კრედიტიან) სწავლებას.
- აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული კანონი „სავეტერინარო მედიცინის შესახებ“.
  - მისაღებია ასევე კანონი „ვეტერინარ ექიმთა სერტიფიცირების შესახებ“. ვეტერინარ ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება მოხდეს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ.
  - რეზიდენტურის ან სპეციალური კურსებით უნდა დავიწყოთ ვეტერინარ ექიმთა გადამზადება (ვიწრო სპეციალიზაცია). მეცხოველეობის ცალკეულ დარგებში (მეფრინველეობა, მეცხოველეობა და სხვა) და სასაკლაოზე, ცხოველური პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში სამუშაოდ და ა.შ.
- 12.2. ქვეყანაში ცხოველთა სადგომებში ვეტერინარიულ-სანიტარიული მდგომარეობა და მათი გაჯანსაღების გზები.
- 12.2. ცხოველთა დაწყურვების პირობები და მისი ორგანიზაციის გზები.
- 12.3. საქართველოში ბოლო 20 წლის მანძილზე გავრცელებული ახალი დაავადებები.
- 12.4. მრგვალი მაგიდა „ვეტერინარია დღეს და ხვალ“

#### 6.2.3.4. აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი



2014 წელს იგი აგრძელებდა მუშაობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნად. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა 9 სხდომა, **სემინარი** - სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია;

**მრგვალი მაგიდა** - “სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის განხილვა”.

განყოფილებაში განხილულ ორ საკითხთან დაკავშირებით გაიგზავნა წერილები საქართველოს პარლამენტში (ვეტერინარის სპეციალობის რეგულირებადი სპეციალობების ნუსხაში შეტანისა და გაუქმებული ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის აღდგენის თხოვნით) და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ზოონოზური დაავადებების შესახებ)

გარდა ამისა, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული დოკუმენტის "სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის მიმართულებები" შედგენაში. ასევე თავისი მოსაზრება და შენიშვნა დააფიქსირა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე (2015-2020).

მიმდინარე წელს იგი ასევე მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის სხვადსხვა ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობაში.

მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში 2, 3, 4, ოქტომბერი – თბილისი “**კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე**”. ხელმძღვანელობდა სექციის “**კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება მეცხოველეობაში**” მუშაობას. მონაწილეობდა საპარლამენტო ფრაქცია “ქართული ოცნება - მრეწველების” თბილისის ოფისში გამართულ შეხვედრაში, სადაც მოხდა საქართველოს კანონის “სურსათად/ცხოველის საკვებად გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ” პროექტის განხილვა.

**6.3. აბროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება**

**აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე**  
**სწავლული მდივანი - დოქტორი ანატოლი გიორგაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 9 წევრი. მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 5 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 4.

**აკადემიკოსები:** დიდებულიძე ალექსანდრე, ვაშაკიძე არჩილი, კაციტაძე ჯემალი, მახარობლიძე რევაზი, ჭალაგანიძე შოთა.

**წევრ-კორესპონდენტები:** ბედია ომარი (გარდაიცვალა 2014 წლის 02 დეკემბერს), გაბუნია ნოდარი, სარიშვილი დავითი, შაფაქიძე ელგუჯა.

**6.3.1. აბროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის სამუშაო გეგმა**

№	საკითხების (თემების დასახელება)	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;	იანვარი	აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე	
2	სოფლის მეურნეობაში მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფციის შესახებ	იანვარი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	
3	აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე	
4	აკადემიკოს არჩილ ვაშაკიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე	
5	აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე	
6	მეაბრეშუმეობის წარმოების ახალი ტექნოლოგიები და	მარტი		

	ტექნიკური საშუალებები ფერმერულ მეურნეობებში		აკადემიის წ/კ ელგუჯა შაფაქიძე	
7	აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე	
8	აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე	
9	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ომარ ბედიას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ომარ ბედია	
10	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე	
11	ბულგარეთის საერთაშორისო კონფერენციის შედეგების შესახებ	ივლისი	აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე	
12	საქართველოს აგროსამრეწველო სექტორის აგროსაინჟინრო სფეროში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ	აგვისტო	აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე	
13	საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის თანამედროვე ასპექტები	სექტემბერი	აკადემიკოსი არჩილ გაშაქიძე  ჯიმშერ სირაძე ტმკ პროფესორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
14	ქვევრის რეცხვის	ოქტომბერი	აკადემიკოსი არჩილ გაშაქიძე	

	ელექტრომექანიზაცია		ჯიმშერ სირაძე ტმდ პროფესორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
--	--------------------	--	--	--

**6.3.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
აბროსაინჟინრო სამეცნიერო  
ბანყოფილების მიერ 2014 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა**

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	აგრარული მეცნიერების გადარჩენისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პრობლემები	მრგვალი მაგიდა	ოქტომბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	
2	საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების პოლიტიკის შესახებ	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება	
3	საქართველოს აგროსაინჟინრო დარგის პრობლემები და მათი გადაჭრის თეორიული და პრაქტიკული ხედვები	მრგვალი მაგიდა	დეკემბერი	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება	

განყოფილებაში 2014 წელს ჩატარდა 8 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 17 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი რევაზ მახარობლიძე; სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე. 2. აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი რევაზ მახარობლიძე; სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე. მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფცია სოფლის მეურნეობაში. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია.

მეორე სხდომა ჩატარდა 17 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები:

1. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის შესახებ.
2. აკადემიკოს არჩილ ვაშაკიძის ინფორმაცია 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის შესახებ.
3. აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ინფორმაცია 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის შესახებ.
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორის ირაკლი ყრუაშვილის ინფორმაცია 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების ასოცირებული წევრების კანდიდატურების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოს-მდივანი რევაზ მახარობლიძე.**

მესამე სხდომა ჩატარდა 25 მარტს და განხილული იქნა საკითხი: 1. მებარემუშეობის წარმოების ახალი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები ფერმერულ მეურნეობებში. **მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე.**

მეოთხე სხდომა ჩატარდა 23 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 21 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ომარ ბედიას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 3. მაღალი ტექნოლოგიების ათვისებაზე ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგის პრიორიტეტები. **მომხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე.**

მექვსე სხდომა ჩატარდა 17 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ბულგარეთის საერთაშორისო კონფერენციის შედეგების შესახებ **მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე.** 2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართული სამეცნიერო კონფერენციის “მექანიკა 2014” –ის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე.** 3. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების მდგომარეობის შესახებ საქართველოში. **მომხსენებელი: გივი ქურდიანი.** (არასამთავრობო ორგანიზაცია მიწათმოფლობელთა და მექნიზატორთა კავშირი).

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 17 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი:

**საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის თანამედროვე ასპექტები. მომხსენებლები: აკადემიკოსი არჩილ გაშაკიძე; დოქტ. პროფესორი ჯიმშერ სირაძე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.**

მერვე სხდომა ჩატარდა 22 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. სექცვა და მასთან ბრძოლის პერსპექტივები მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში. **მომხსენებლები: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე.** 2. ევროკავშირის ქვეყნებში აგროსაინჟინრო დარგის მდგომარეობა ჰოლანდიის მაგალითზე. **მომხსენებელი: ტექნიკის დოქტორი მამუკა ბენაშვილი .**

გარდა ამისა განყოფილების წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული დოკუმენტის "სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის მიმართულებები" შედგენაში. ასევე თავინთი მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები დააფიქსირეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილი სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე (2015-2020).

### 6.3.3. ბანყოფილების წევრების მოკლე ანბარიშები

#### 6.3.3.1. აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე



1. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვა 2013/2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში შეადგენდა კვირაში 8 საათს, მ.შ. მაგისტრატურაში – 4 საათს. იყო ერთი მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის სტუდენტებთან აკადემიური დატვირთვა 2013/2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში შეადგენდა კვირაში 3 საათს.

#### 2. დისციპლინების ჩამონათვალი:

- ელექტროამძრავი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, მე-IV კურსის მეორე სემესტრები, 2 საათი კვირაში;
- ტექნიკური სისტემების საიმედოობა. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, მე-IV კურსის მეორე სემესტრები, 2 საათი კვირაში;
- ბიომეცნიერებების საკანონმდებლო, კომერციული და ეთიკური პრინციპები და უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრატურის I კურსი, 4 საათი;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, კანონმდებლობა და კომერციალიზაცია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის I კურსის მეორე სემესტრი, 3 საათი.

2014/2015 სასწავლო წლის პირველ სემესტრში უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის ჩარჩოებში კითხულობდა ერთ საგანს – „მიკრომანქანები“, აკადემიური დატვირთვა 3 საათს შეადგენს.

აკად. ა. დიდებულიძე არის 2014 წლის ნოემბერში მიღებული ორი დოქტორანტის – ბიძინა იმნაძის და ზურაბ ბოგვერაძის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო სადოქტორო სადისერტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის საგრანტო კომიტეტის წევრი.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის სტუდენტებთან აკადემიური დატვირთვა 2013/2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში შეადგენდა კვირაში 3 საათს, გამოყენებითი ბიომეცნიერებების მაგისტრატურის საგანში: „ბიომეცნიერებების საკანონმდებლო, კომერციული და ეთიკური პრინციპები და უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე.“

#### 3. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები:

3.1. Commercialization of Agricultural Biotechnology in Georgia. International Conference on Food and Biotechnology. Book of Abstracts, Tbilisi, 2014, pp. 23 – 24.



3.2. საქართველოში აგრობიოტექნოლოგიების განვითარებაზე კლიმატის ცვლილებების გავლენა. საერთაშორისო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“, თბილისი, 2014, გვ. 295 – 299.

3.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალფუნქციურობა. საერთაშორისო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“, თბილისი, 2014, გვ. 102 – 105.

3.4. Проблемы развития традиционного овцеводства в горной зоне Восточной Грузии. Устойчивое развитие горных территорий, № 3(17), Владикавказ, 2013, стр. 89-92.

3.5. Problems on Commercialization of Agricultural Biotechnology in Georgia. Annals of Agrarian Science, Vol. 12, # 3, 2014, pages 76 – 83.

#### 4. დაცული სამაგისტრო ნამუშევრები

2014 წლის ივლისში მაგისტრანტმა თამარ გრიგალაშვილმა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დაიცვა სამაგისტრო ნამუშევარი თემაზე: „ხელის ელექტრიფიცირებული იარაღის მაღალსიჩქარიანი ასინქრონული ამძრავი“.

#### 5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა

##### ა) საქართველოში:

➤ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში გელა თევზაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კითხვარში „ერთადერთი დედამიწა“ 2014 წლის 7 მაისს წაიკითხა საჯარო ლექცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა და გლობალიზაციის გამოწვევები“.

##### ბ) უცხოეთში:

➤ ესპანეთში, ქალაქ მურსიის უნივერსიტეტში ევროკავშირის „ბიოპარტნერის“ პროექტის საქსელო სესიაზე „უახლესი მიღწევები კვების მრეწველობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ევროპის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში)“ 2014 წლის 30 მაისს წაიკითხა მოხსენება: „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგადი ასპექტები“ (EU BIOPARTNERS project ["The Latest Developments in Food Science and Technology in European and South Caucasus Countries"](#) networking session: ["Viticulture and Oenology in Georgia"](#) in Murcia, Spain, 30 May 2014).

➤ საერთაშორისო კონფერენცია „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“, თბილისი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ორი მოხსენება;

➤ International Conference on Food and Biotechnology. Tbilisi, 11-12.09.2014. საერთაშორისო კონფერენცია სურსათსა და ბიოტექნოლოგიაში, თბილისი, 2014 წლის 11 – 12 სექტემბერი.

#### 6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა. მიუთითეთ საგრანტო ფონდი, გრანტის დასახელება.

➤ აკად. ა. დიდებულიძე არის საქართველოს მხრიდან საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, რომელშიც გერმანიის ფოლქსვაგენის ფონდის დაფინანსებით

მონაწილეობენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, გერმანიის გრაიფსვალდის უნივერსიტეტი და აზერბაიჯანის განჯის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი. პროექტის დასახელება: „საერთო სასოფლო-სამეურნეო კოლექტიური გამოყენება და კონფლიქტები – აზერბაიჯანში და საქართველოში შემთხვევების შედარებითი კვლევა“ (Collective action and conflict on common village pastures – Comparative case studies in Azerbaijan and Georgia). პროექტის ხანგრძლივობაა – 2014–2018 წლები, რითაც ფინანსდება 3 დოქტორანტის მომზადება და მათთვის მაღალი დონის სტიპენდიების და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.

- იყო ევროკავშირის მეშვიდე ჩარჩო -პროგრამის პროექტის “ბიოპარტნიორები”-ს (საქართველო–ესპანეთი) შემსრულებელი; პროექტის ხანგრძლივობა მოიცავდა 2012–2014 წლებს.

#### 7.აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაგალებით მუშაობდა სსმმ აკადემიასა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის კონტაქტების გაძლიერების მიმართულებით.

#### 8.სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის და ა.შ. საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.

არის ორი არასამთავრობო ორგანიზაციის - პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი (სამეთვალყურეო საბჭოს წევრი) და შეფასების ასოციაციის წევრი.

აკად. ა. დიდებულიძე აგრძელებდა მუშაობას ორი სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში:

- ჟურნალი: "Проблемы Аграрной Науки", თბილისი;
- ჟურნალი “ინტელექტი”, თბილისი.

#### 9.სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

აკად. ა. დიდებულიძე მონაწილეობდა ენციკლოპედია "საქართველოს" III ტომის მასალებთან დაკავშირებული შენიშვნების მომზადებაში.

### 6.3.3.2. აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე



1. თემის დასახელება რომლის კვლევებსაც ასრულებს აკად. ა. ვაშაკიძე:

1.1. „ბიოენერგეტიკის (ბიოდიზელი, ბიობენზინი) განვითარება საქართველოში“;

1.2. „საქართველოში ლოკალური განაწილებული სასოფლო-სამეურნეო ქსელების შექმნისათვის მოწყობილობების და პარამეტრების შერჩევის ანგარიში მართვის ალგორითმის არჩევით“;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ასწავლის შემდეგ სასწავლო კურსებს:

„აგრარულ წარმოების ელექტრიფიკაცია“;  
 „ელექტროტექნოლოგიური დანადგარების, კომპლექსების და ელექტრომომარაგების სისტემების მონტაჟი“;  
 „ავტომატური მართვის საფუძვლები“;  
 „ექსპერიმენტის დაგეგმვის მეთოდები“  
 „მემცენარეობის საწარმოთა ელექტრომოწყობილობები“;  
 ხელმძღვანელობს: ორ – მაგისტრს; სამ – დოქტორანტს.  
 არის სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორების წევრი: ჟურნალი „ინტელექტი“, „აგრარულ მეცნიერებათა უწყებანი“, ~Bulletin of Armenian Agricultural Academ“, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“;  
 დაჯილდოებულია: „საპატიო ნიშნის ორდენით“, „ღირსების ორდენით“ , მედლებით და სიგელებით.

### 6.3.3. აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე



1. სამეცნიერო-კვლევითი თემა: „ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების დამუშავება მანქანების საიმედოობის გაზრდისათვის“ - სამეცნიერო ხელმძღვანელი;
2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი-საგნები: „მანქანების რემონტი“, „მასალათმცოდნეობა“, „მანქანათა საიმედოობის თეორიული საფუძვლები“. აღნიშნულ საგნებში კითხულობს ლექციებს და ხელმძღვანელობს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

3. გამოქვეყნებული სტატიები:

#### 3.1. RESEARCH ON RELIABILITY OF PLOWS OPERATING IN MOUNTAINOUS CONDITIONS

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომათა კრებული „ მანქანები სოფლის მეურნეობაში“, ვარნა, ბულგარეთი, 2014, გვ.20...24;

სტატიაში განხილულია სასოფლო-სამეურნეო გუთნების მუშაობის თავისებურებანი საქართველოს ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შედგენილია გუთნების სტრუქტურულ-ლოგიკური სქემა საიმედოობაზე გაანგარიშებისათვის, ჩატარებულია მათი სახნისების ცვეთის ალბათურ სტატისტიკური მოდელირება, მიღებულია ადეკვატური მათემატიკური მოდელები საიმედოობის საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის და დამუშავებულია ალტერნატიული რესურსდამზოგი ტექნოლოგია სასოფლო სამეურნეო გუთნების რესურსის გაზრდისათვის.

#### 3.2. Расчет и повышение надежности плугов с использованием ресурсосберегающей технологии восстановления лемехов.

საერთაშორისო სამეცნიერო -პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“,თბილისი, 2014, გვ.312...315;

სტატიაში მოცემულია აკად. ჯ. კაციტაძის მიერ დამუშავებული ტექნოლოგია გუთნების სახნისების მდნობის ქვეშ ავტომატიური დადულებით აღდგენისათვის და წარმოდგენილია მოდერნიზებული დანადგარი, რომელიც საშუალებას იძლევა შერჩეული იქნას ოპტიმალური პარამეტრები საფეხურიანი გადაცემების გარეშე ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებით.

3.3.Теоретические предпосылки для расчета плугов на надежность - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „Механизация на земледелието“ # 3, სოფია, 2014, გვ.06...09;

სტატიაში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენებით დამუშავებულია მეთოდიკა სასოფლო-სამეურნეო გუთნების საიმედოობაზე გაანგარიშებისათვის და მათი დეტალების აღდგენითი პროცესების ოპტიმიზაციისათვის, რომელიც რეალიზებულია საქართველოს კონკრეტულ რაიონებში.

3.4. Проблемы сервиса сельскохозяйственной техники в Грузии и основные направления его усовершенствования - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული „ახალი ტექნოლოგიები ამიერკავკასიის აგრარულ სექტორში“ , ერევანი, 2014, გვ.97..101;

სამეცნიერო ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისის არსებული ფორმები და დასახულია მისი სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი--მთიან პირობებში მომუშავე MTZ-80 ტრაქტორების საექსპლუატაციო საიმედოობის მაჩვენებლების გამოკვლევა.

სტატიაში გამოკვლეულია რაჭა-ლეჩხუმის მთიან რაიონებში მომუშავე MTZ-80 ტრაქტორების საექსპლუატაციო საიმედოობის მაჩვენებლები და დასაბუთებულია, რომ მთიან პირობებში მუშაობისას მათი საიმედოობა მცირდება 25...30%-ით.

6.მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა ე. ვარნაში(ბულგარეთი) 2014 წლის 22...24 ივნისს.

აკად. ჯ. კაციტაძე გამოვიდა მოხსენებით- „RESEARCH ON RELIABILITY OF PLOWS OPERATING IN MOUNTAINOUS CONDITIONS“ .სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 140-ზე მეტი მეცნიერი. მოხსენება საუკეთესოდ იქნა შეფასებული და მოსმენილი იქნა პლენარულ სხდომაზე. კონფერენციის ხარჯები დაფინანსებული იქნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, სადაც გაიმარჯვა გამოცხადებულ კონკურსში .ამის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე;

აკად. ჯ. კაციტაძე იყო აღნიშნული კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ასევე პირადად ხელმძღვანელობდა მანქანების სერვისის სექციას.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“ ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2014. მოხსენების თემა „- Проблемы сервиса сельскохозяйственной техники в Грузии и основные направления его усовершенствования“.

აკად. ჯ. კაციტაძემ მონაწილეობა მიიღო ქალაქ ერევანში 2014 წლის 15...17 ნოემბერს სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, სადაც გამოვიდა მოხსენებით -“სასოფლო სამეურნეო ტექნიკის სერვისის პრობლემები საქართველოში“..

7. აკად. ჯ. კაციტაძე ხელმძღვანელობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ შიდა საგრანტო პროექტს „ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების დამუშავება მანქანების საიმედოობის გაზრდისათვის“. ასევე ახალი საგრანტო პროექტი წარდგენილი აქვს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში.

8. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსინჟინრო სამეცნიერო განყოფილების და ამავე აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომებზე თემაზე „ქ. ვარნაში(ბულგარეთი) 2014 წლის 22...24 ივნისს ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შესახებ“. წარდგენილია ასევე რეკომენდაციები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისის რაციონალური ორგანიზაციის შესახებ.

9. აკად. ჯ. კაციტაძე არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „Механизация на земледелието“ რედკოლეგიის წევრი, რომელიც გამოიცემა ევროკავშირის ეგიდით ქალაქ სოფიაში. ასევე არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“, ჟურნალ „სოფლის მეურნეობის ეკონომიკის“ და ჟურნალ **„Вопросы металловедения» რედკოლეგიების წევრი.**

10. მიღებული აქვს ერთი პატენტი „გუთანის ცვალებადი მოდების განით“.

11. არის „ღირსები ორდენის“ კავალერი; 2014 წლის 16 ნოემბერს აკად. ჯ. კაციტაძეს გადაეცა სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის ოქროს მედალი ადგილობრივი სამეცნიერო კადრების მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

12. ქალაქ ერევანში, სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო გაგიკ ერიციანის სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი თემაზე „ატმოსფერული ჰაერის დაცვა მთიან პირობებში მომუშავე ავტომობილების გამონაბოლქვისაგან“.

არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო -ტექნოლოგიური ფაკულტეტის სრული პროფესორი და აგროსაინჟინრო სპეციალობის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

13. საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის საჭიროა გატარდეს შემდგომი ღონისძიებანი:

- მოხდეს შპს “მექანიზატორის“ განსახელმწიფოებრიობა, რომლის შესახებაც ეცნობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ ოთარ ფიფიას;

- აიკრძალოს უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე ქართული მიწის გაყიდვა;

- შეიქმნას აგროსაინჟინრო ნომენკლატურული რუსულ-ქართული ლექსიკონი და ასევე ანალოგიური განმარტებითი ლექსიკონი;

- საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონები „ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისის შესახებ“, „საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ“ და სხვა საკონმდებლო დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობაში შრომატევადი სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების მექანიზაციას;

14. დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებაზე 2014 წლის ივნისში აკად. ჯ. კაციტაძე გამოვა მოხსენებით საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის შესახებ, რომელიც ტარდება 2015 წლის 22...25 ივნისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში და რომლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრია.

#### 6.3.3.4. აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე



1. აკად. რევაზ მახარობლიძე ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა შემდეგი პრობლემის შესრულებაში „საქართველოს სოფლის მეურნეობის რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიის, მანქანათა სისტემის და მათი ეფექტური გამოყენების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება“.
2. ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს მაგისტრანტებთან შემდეგ დისციპლინებში:
  - ა. „ექსპერიმენტების დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები“.
  - ბ. „სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია“.
  - გ. „მცირე მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში“.
3. გამოქვეყნებული სტატიები:
  - 3.1. „შემხები ზედაპირების ფორმის გავლენა მყარი ტანის მცენარეულ მასალაზე დარტყმის დროს“. „მექანიკის პრობლემები“, № 2 (55), 2014. (ინგლისურ ენაზე).

შემხები ზედაპირების ფორმისა და მცენარეული მასალის რეოლოგიური თვისებების გათვალისწინებით გამოყვანილია დარტყმის ძალის, დეფორმაციის და დარტყმის ხანგრძლივობის საანგარიშო ფორმულები. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური პროცესების და დარტყმით პრინციპებზე მომუშავე მანქანების მუშა ორგანოების გაანგარიშებისათვის.

3.2. „სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშა ორგანოების მცენარეულ მასალასთან დარტყმითი პროცესის მათემატიკური მოდელირება“. „მექანიკის პრობლემები“, № 1 (54), 2014. (ინგლისურ ენაზე).

სასოფლო-სამეურნეო მასალების (ნიადაგი, ძირხვეწები, მარცვალი, სასუქი და სხვ.) რეოლოგიური თვისებების გათვალისწინებით მოხდა მათზე მანქანის მუშა ორგანოს დარტყმითი ზემოქმედების მათემატიკური მოდელირება. მასალის რეოლოგიური მოდელის სახით გამოყენებულია ხაზოვანი დეფორმაციის განზოგადოებული კანონი, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო მასალის დრეკად თვისებას, არამედ მათ ბლანტ თვისებებსაც, ასევე დეფორმაციებისა და დაზიანების გავრცელების სიჩქარეებსაც.

3.3. „სატრაქტორო აგრეგატების ფერდობზე მუშაობის ფიზიკური მოდელირების მეთოდიკა“. „მექანიკის პრობლემები“, № 3 (56), 2014. (ინგლისურ ენაზე).

„სამთო მიწათმოქმედებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნის დაჩქარებისათვის და საზღვარგარეთიდან ტექნიკის დასაბუთებული შემენისათვის შემოთავაზებულია სტენდზე მათი წინასწარი გამოცდა ფიზიკური და მათემატიკური მოდელირების მეთოდებით, რადგან მინდვრის პირობებში გამოცდის დროს საჭირო ექსპერიმენტული მონაცემების დაგროვება ძალიან ნელა ხდება და დანერგვის დრო იზრდება.

3.4. „სტენდი სატრაქტორო აგრეგატების ფერდობზე მუშაობის ფიზიკური მოდელირებისათვის“. საერთაშორისო კოფერენციის მასალები „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. 2014. (რუსულ ენაზე).

მოცემულია ფერდობზე სატრაქტორო აგრეგატის მუშაობის ფიზიკური და მათემატიკური მოდელირების აუცილებლობის დასაბუთება მათი საექსპლუატაციო მახასიათებლების დაჩქარებული განსაზღვრის მიზნით. მოცემულია შესაბამისი სტენდის კონსტრუქციის აღწერა და ექსპერიმენტების ჩატარების ზოგიერთი პირობები.

3.5. „მიწათმოქმედების მექანიკაში დარტყმის თეორიისა და რეოლოგიის მეთოდების გამოყენება“. საერთაშორისო კოფერენციის მასალები „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. 2014. (რუსულ ენაზე).

მოცემულია მიწათმოქმედების მექანიკაში დარტყმის თეორიისა და რეოლოგიის მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გამოყენების აუცილებლობა სოფლის მეურნეობაში რესურსდამზოგი ტექნოლოგიების და კომბინირებული მანქანების დანერგვის მიზნით. გამოყვანილია დარტყმის ძალის, დეფორმაციის და დროის საანგარიშო, უფრო დაზუსტებული ფორმულები თეორიული მექანიკის უახლესი მიღწევების გამოყენებით.

3.6. „ჩაის საკრეფი მანქანის რეზინის თითის პირის მდგრადობის თეორიული გამოკვლევა“. „მექანიკის პრობლემები“, № 4 (57), 2014. (ინგლისურ ენაზე).

ჩატარებულია ჩაის საკრეფი მანქანის მუშა ორგანოს - რეზინის თითის ჩაის დუყზე დარტყმის პროცესის თეორიული კვლევა. გამოყვანილია რეზინის თითის ისეთი პარამეტრების საანგარიშო ფორმულები, რომლის დროსაც მოხდება ვარგისი დუყის მოწყვეტა, ან თითის შეკუმშვა (მდგრადობის დაკარგვა) უხემ დუყზე დარტყმის დროს.

3.7. „ტრაქტორის საბურავების ნიადაგთან ჩაჭიდების კოეფიციენტის განსაზღვრა რეოლოგიის გამოყენებით“. „სატყეო მეურნეობა“. 2014.

ჩატარებულია კვლევა ტრაქტორის საბურავის ნიადაგთან ურთიერთქმედების შესახებ. ნიადაგის დეფორმაციის რეოლოგიური მოდელის (წრფივი დეფორმაციის განზოგადოებული კანონი) გამოყენებით მიღებულია მხები წვევის ძალის და ჩაჭიდების კოეფიციენტის ცვალებადობის გრაფიკები ნიადაგის რელაქსაციის დროისგან დამოკიდებულებით.

3.8. „მაღალი ტექნოლოგიების ათვისებაზე ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგის პრიორიტეტები“. „სსმმ აკადემიის მაცნე“ № 2 (53). 2014.

გამოყოფილია აგროსაინჟინრო კვლევების ის პრიორიტეტული მიმართულებანი, რომელთა დამუშავება დააჩქარებს რესურსდამზოგი მაღალი სამანქანო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების შექმნას და ათვისებას სოფლის მეურნეობაში.

4. მომზადებულია ელექტრონული ვერსია სახელმძღვანელოებისა: „მცირე მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში“, „სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია“ და სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია“.

5. მონაწილეობდა საქართველოში (ქ. თბილისი) გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „მექანიკა - 2014“, სადაც გამოვიდა მოხსენებით „შემხები ზედაპირების ფორმის გავლენა მყარი ტანის მცენარეულ მასალაზე დარტყმის დროს“, ასევე რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. კონფერენციაზე წაკითხული თემებია: „სტენდი სატრაქტორო აგრეგატის ფერდობზე მუშაობის ფიზიკური



მოდელირებისათვის“ და „მიწათმოქმედების მექანიკაში დარტყმის თეორიისა და რეოლოგიის მეთოდების გამოყენება“.

6. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მონაწილეობს შემდეგი სამეცნიერო გრანტების დამუშავებაში:
  - ა. „სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფერდობებზე მუშაობის ფიზიკური და მათემატიკური მოდელირების მეთოდების დამუშავება“ (მეცნიერ ხელმძღვანელი).
  - ბ. „დარტყმის თეორიისა და რეოლოგიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური პროცესების, მანქანების და იარაღების დამუშავებაში“ (ძირითადი პერსონალი).
  - გ. „მცირე კონტურიან სათიბებში შეფუთული სენაჟის დამზადების ახალი ტექნოლოგიის დამუშავება, მცირე მექანიზაციის ბაზაზე“ (დამხმარე პერსონალი).
7. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ასევე ეროვნული კოორდინატორი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებში.

გამოვიდა მოხსენებით: „მაღალი ტექნოლოგიების ათვისებაზე ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგის პრიორიტეტები“.
8. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ რედკოლეგიის წევრი და სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

### **წინადადებები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების შესახებ**

1. სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური გადაიარაღება უნდა მოხდეს მაღალი ტექნოლოგიის შემსრულებელი მანქანებით;
2. საზღვარგარეთიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენამდე საჭიროა მათი ნიმუშების წინასწარი გამოცდა ქვეყნის რეგიონების მიხედვით;
3. ქვეყანაში არსებულ და მშენებარე სერვის ცენტრებს უნდა დაეკისროს დამატებითი ფუნქცია. კერძოდ, ისინი უნდა გახდნენ რეგიონებში მაღალი ტექნოლოგიების დემონსტრირების ორგანიზაციები. ამისათვის მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი მიწის ნაკვეთები, სადაც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანას მაღალი ტექნოლოგიებით და ამ ტექნოლოგიების დემონსტრირებას ფერმერულ მეურნეობებისათვის;
4. სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა უნდა დაამუშაონ რეკომენდაციები, თუ რომელი ტიპის მაღალი ტექნოლოგია გამოდგება კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-კლიმატურ პირობების გათვალისწინებით;

5. ქვეყანაში უნდა აღდგეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა სპეციფიკური კულტურების (ჩაი, სუბტროპიკები, სამთო მიწათმოქმედება და ა.შ.) მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციისათვის;
6. ყოფილი მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, რომლის ფუნქცია იქნება:
  - ა) ქვეყნის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის სამანქანო ტექნოლოგიების და მანქანათა სისტემის დამუშავება;
  - ბ) სპეციფიკური კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ახალი თაობის მანქანათა კომპლექსების დაპროექტება, დამზადება და წარმოება;
  - გ) საზღვარგარეთიდან შემოსატანი ტექნიკის ნიმუშების გამოცდა;
  - დ) ტექნოლოგიური პროცესების შესრულების ოპერაციების მიხედვით სამუშაოების ნორმირება.
7. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების სახელმწიფო რეგულირებისათვის მისაღებია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები:
  - 7.1. კანონი აგროსამრეწველო კომპლექსის მანქანათმშენებლობის შესახებ;
  - 7.2. კანონი საქართველოს აგროსამრეწველო წარმოების ტექნოლოგიური პოლიტიკის შესახებ;
  - 7.3. კანონი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობებისა და ხელსაწყოების სერტიფიკაციის ნორმატიული აქტების შესახებ;
  - 7.4. კანონი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სერტიფიკაციის ნორმატიული აქტების შესახებ;
  - 7.5. კანონი საამორტიზაციო ანარიცხებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში ტექნიკური განახლების მიზნობრივი ფონდების ფორმირების შესახებ; კანონი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დილერების შესახებ.
8. დამუშავდეს მომხმარებელთა კრედიტირების მექანიზმი ტექნიკის შესყიდვის დაფინანსებისათვის, მათ შორის ლიზინგის საფუძველზე.

### 6.3.3.5. აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე



2014 წელს მონაწილეობდა შემდეგ ღონისძიებებში:

– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მიემდგვნა საკითხს “კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე”, 2-3-4 ოქტომბერი, 2014 წ. სადაც წარდგენილი იყო მისი 2 მოხსენება;

- ღია კარის დღის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა მარცვლეულის გაუმჯობესებელი აგროტექნოლოგიების საკითხებს - 11 მაისი 2014 წ., ღომთაგორა, მარნეული.

### **სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა და მომზადებული საკითხები**

- მომზადებული იქნა საკითხი (რეკომენდაციები) ფერმერთა სწავლება - კონსულტირების არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ;
- განხილული იქნა საკითხი: “სეტყვა და მასთან ბრძოლის პერსპექტივები მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში”.

### **2014 წელს შემუშავებული და შედგენილი იქნა:**

- კრებული “აკადემია-ფერმერი”.
- სამთო სოფლის მეურნეობის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები-საკითხის არგუმენტაცია, პროგრამა, რეკომენდაციები, დეკლარაცია.

### **2014 წელს გამოქვეყნებული შრომები:**

- ❖ პნევმატური თვალის გვერდცვენა ფერდობის განივად მოძრაობისას - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №33, 2014, თბილისი;
- ❖ საქართველოში ჩაის წარმოების დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები - ჟურნალი “აგრარული საქართველო”, №9, 2014, თბილისი;
- ❖ სეტყვა და მასთან ბრძოლა - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული, 2-3-4 ოქტომბერი, 2014, თბილისი;
- ❖ სეტყვა და მასთან ბრძოლის პერსპექტივები მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული, 2-3-4 ოქტომბერი, 2014, თბილისი;
- ❖ ტრაქტორის წამყვანი თვლების ჩაჭიდების კოეფიციენტის განსაზღვრა ნიადაგის რეოლოგიური თვისებების გათვალისწინებით - საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი “სატყეო მოამბე” №8, 2014, თბილისი;

აკად. შ. ჭალაგანიძე არის საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს სამეცნიერო - საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის პრეზიდენტების წევრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბის”, ჟურნალების “საქართველოს საინჟინრო სიახლეები” და “სატყეო მოამბეს”-ს რედაქციების წევრი.

### **სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურების წოდებები:**

დაჯილდოებულია 4 ორდენით, მ.შ. ”მეგობრობის” და ”ღირსების” ორდენებით, 2 მედლით და 2 საპატიო ნიშნით. არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მინიჭებული აქვს ”წლის ინჟინერისა” და ”წლის საუკეთესო მეცნიერის” საპატიო წოდებები.

### 6.3.3.6. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნოდარ გაბუნია



2014 წელს აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნოდარ გაბუნიას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ძირითადად მიმართული იყო ჩაის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების სრულყოფისკენ, მანქანების და კონსტრუქციების ძირითადი პარამეტრების თეორიული გაანგარიშების საფუძვლების დამუშავებისაკენ, ამავე დროს მუშაობას აგრძელებდა სამთო მიწათმოქმედების ისეთი კულტურების მექანიზაციის საკითხებზე, როგორცაა ვაზი, ციტრუსები, ხეხილი, ერთწლიანი კულტურები და სხვა. დამუშავებული აქვს სამთო მიწათმოქმედების მობილური ენერგეტიკული საშუალებები თეორიული საფუძვლები; მუშაობას აგრძელებდა მანქანების და მოწყობილობების სრულყოფის საკითხებზე, როგორცაა: ჩაის მოვლა-მოყვანის, ფოთლის კრეფისა და აღების მანქანები; სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღებისა და პირველადი გადამუშავების მანქანები; მანქანა-იარაღები ფერდობების დასამუშავებლად, ვაზის გასაშენებლად და სხვა ოპერაციებისათვის; თამბაქოსა და წვეოს მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღებისა და პირველადი გადამუშავების მანქანები; საკარმიდამო, გლეხურ, სასკოლო და სხვა მცირეკონტურიან ნაკვეთებში სამუშაო მცირე გაბარიტიანი მანქანა-იარაღები და სხვა.

### 6.3.3.7. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით სარიშვილი



აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. სარიშვილის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს აგროსაინჟინრო სფეროს გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებების დამუშავება და მათი ფერმერულ მეურნეობებში დანერგვის საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათიბ-საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების საკითხებზე კვლევების ჩატარება სათანადო მანქანა-იარაღების შექმნით. აგრეთვე აღსანიშნავია მის მიერ დანერგილი საქართველოში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ქვეყნის ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით და შექმნილია მოსავლის აღების ოპტიმალური მათემატიკური მოდელი. მის კვლევებს შორის მრავალი შრომა ეძღვნება სოფლად საინჟინრო სამსახურის მრავალწახნაგოვან საინჟინრო მომსახურებას და ა.შ.

### 6.3.3.8. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე



**1.სამეცნიერო თემა:** “მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დამუშავება”; **თემის ხელმძღვანელი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. შაფაქიძე;**

**1.1. საინვესტიციო პროექტი:** ”მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში 2015-2025 წლებში”. პროექტის შედგენის და შესრულების პასუხისმგებელი პირი - - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. შაფაქიძე;

#### 2. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები.

2.1. “აკადემიკოსი შალვა კერესელიძე-გამოჩენილი მეცნიერი და მამულიშვილი”, ჟურნალი“ახალი აგრარული საქართველო”, №1(33), იანვარი, 2014, თბილისი,

გვ. 18-19 (თანაავტორები ნ. ებანოიძე, თ. ცანავა);

2.2. “კოოპერაცია აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა”, ჟურნალი“ახალი აგრარული საქართველო”, №2(34), თებერვალი, 2014, თბილისი, გვ. 5;

2.3. შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და ეკონომიური ეფექტიანობა. რეკომენდაცია, შპს “პოლიგრაფი”, თბილისი, 2014; 12 გვ. (თანაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, თ. დალალიშვილი);

2.4. როტორული არსსათხრელი მანქანის საექსპლუატაციო პარამეტრების განსაზღვრა. სსმმ აკადემიის “მოამბე”, თბილისი, №33, 2014 წ. გვ. 284-289 (თანაავტორი დ. ნატროშვილი);

2.5. თერმული წყლით გამთბარ სუბსტრატში თუთის გამძლე ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება და ეკონომიური ეფექტიანობა. სსმმ აკადემიის რეკომენდაციები, თბილისი, 2014, 15 გვ. (თაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, თ. დალალიშვილი);

2.6. კლიმატის ცვლილება და ნიადაგის დამუშავების თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიები; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, სსმმ აკადემია, თბილისი, 2014, გვ. 337-341 (თანაავტორი მ. ქვარცხავა);

2.7. სეტყვა და მასთან ბრძოლა; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, სსმმ აკადემია, თბილისი, 2014, გვ. 348-351 (თანაავტორი შ. ჭალაგანიძე);

2.8. სეტყვა და მასთან ბრძოლის პერსპექტივები მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, სსმმ აკადემია, თბილისი, 2014, გვ. 351-354 (თანაავტორი შ. ჭალაგანიძე);

2.9. მეაბრეშუმეობა მდგრადი სოფლის მეურნეობის სისტემაში; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, სსმმ აკადემია, თბილისი, 2014, გვ. 388-391 (გ. ნიკოლეიშვილი, თ. დალალიშვილი);

2.10. აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოსახვევი მოწყობილობა; პატენტი

GE U 2014 1825 Y, სასარგებლო მოდელი; თბილისი, 2014, გვ. 6 (თანაავტორი ვ. მირუაშვილი);

2.11. მეცნიერება მომავლისათვის: საერთაშორისო კონფერენცია “კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება”; ჟურნალი “ახალი აგრარული საქართველო”, №10(42), ოქტომბერი, თბილისი, 2014, გვ. 5-6;

2.12. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ევროპის ს.მ. აკადემიების კავშირის წევრია. ჟურნალი “ახალი აგრარული საქართველო”, №10(42), ოქტომბერი, თბილისი, 2014, გვ. 22;

2.13. შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლიდან არატრადიციული საკვების (ნეკერის) დამზადების პერსპექტივები; ჟურნალი “ახალი აგრარული საქართველო”, №10(42), ოქტომბერი, თბილისი, 2014, გვ. 32-34 (თაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, თ. დალალიშვილი);

2.14. ბუნებრივი თბილი წყლით გამთბარ ღია გრუნტში თუთის ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა. ჟურნალი “ახალი აგრარული საქართველო”, №12(44), დეკემბერი, თბილისი, 2014, გვ. 28-30 (თაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, თ. დალალიშვილი);

2.15. პირველ ორ ასაკში თუთის აბრეშუმსევევიას ცენტრალიზებული გამოკვება და უპირატესობა ინდივიდუალურ გამოკვებასთან შედარებით. რეკომენდაცია, შპს “პოლიგრაფი”, თბილისი, 2014; 8 გვ. (თანაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, ნ. ბარამიძე).

### **3. გამოქვეყნებული მონოგრაფია:**

მეაბრეშუმეობა-შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია; მონოგრაფია, შპს “პოლიგრაფი”, თბილისი, 2014, 224 გვ. (თანაავტორი გ. ნიკოლეიშვილი);

მონოგრაფია შესრულებულია შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) წინადადებით, მისი პრეზიდენტის დოქტ. პროფესორ პანომირ ცენოვის ინიციატივით და მორალური მხარდაჭერით. ავტორებმა ჩათვალეს, რომ საჭირო გახდა კიდევ ერთხელ შეესხნებინათ საზოგადოებისათვის სოფლის მეურნეობის უძველესი დარგის - მეაბრეშუმეობის მნიშვნელობა, მისი როლი და ადგილი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და წინსვლის საქმეში, რისთვისაც გადაწყდა ამ მიზნით სპეციფიკური მონოგრაფიის შექმნა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მეაბრეშუმეობის თანამედროვე მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზი, ჩამორჩენის მიზეზების განსაზღვრა, არსებული რეზერვების გამოვლენა, საბაზრო ურთიერთობათა გათვალისწინებით მეურნეობრიობის ახალი ფორმების განვითარების ფონზე დარგის აღმავლობის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების დასახვა, დარგის კონცეფცია, საინვესტიციო პროგრამების (რეგიონალურ ჭრილში) შემუშავება და BACSA -ს სისტემაში ინტეგრაციის ურთიერთკავშირის პრობლემების გაშუქება.

იგი განკუთვნილია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერების, პრაქტიკოსი მცირე მეწარმეების, მეაბრეშუმეობის დარგის ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების, მეცნიერების და ყველა იმ პიროვნებისათვის, რომლებსაც გული შეტკივთ ქართულ აბრეშუმზე და გარკვეული წვლილი შეაქვთ მისი აღორძინების და განვითარების საქმეში.

**4. მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში “კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე”. 2-3-4 ოქტომბერი, 2014 წელი, თბილისი, საქართველო.**

**კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებები:**

- 4.1. კლიმატის ცვლილება და ნიადაგის დამუშავების თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიები;
- 4.2. სექცვა და მასთან ბრძოლა;
- 4.3. სექცვა და მასთან ბრძოლის პერსპექტივები მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში;
- 4.4. მებაბრეშუმეობა მდგრადი სოფლის მეურნეობის სისტემაში;

**5. სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომების მუშაობაში მონაწილეობა.**

სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომებზე გატანილია საკითხები:

5.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კორპორაციული ელექტრო ფოსტების შესახებ. მომხსენებელი: სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე (31 იანვარი, 2014 წელი, ოქმი №1);

5.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კორპორაციული ელექტრო ფოსტების შესახებ. მომხსენებელი: სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე (28 მარტი, 2014 წელი, ოქმი №3);

5.3. 2014 წლის აპრილში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. მომხსენებელი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე (25 აპრილი, 2014 წელი, ოქმი №4);

5.4. სსმმ აკადემიაში სამეცნიერო კონფერენციის “კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება” ჩატარების საორგანიზაციო საკითხების შესახებ; მომხსენებელი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე (27 ივნისი, 2014 წელი, ოქმი №7);

5.5. სსმმ აკადემიის წ/კ ელგუჯა შაფაქიძის ინფორმაცია აკადემიაში მიმდინარე წლის 2-4 ოქტომბერს ჩასატარებელი საერთაშორისო კონფერენციის მომზადების მიმდინარეობის შესახებ. მომხსენებელი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე (27 ივლისი, 2014 წელი, ოქმი №8);

5.6. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება”, 2-3-4 ოქტომბერი, 2014 წ. მზადყოფნის შესახებ. მომხსენებელი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე (26 სექტემბერი, 2014 წელი, ოქმი №9);

**6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი; სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი); სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი; სსმმ აკადემიის საინჟინრო სამეცნიერო განყოფილების წევრი; სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორი**

მეაბრეშუმეობის მიმართულებით; შავი, კასპიის ზღვების და შუა აზიის რეგიონების ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) კოორდინატორი საქართველოში; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბის” რედკოლეგიის წევრი; ჟურნალის “Annals of Agrarian Science”-ის რედკოლეგიის წევრი; ჟურნალ “ახალი აგრარული საქართველო”-ს რედკოლეგიის წევრი; საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის განყოფილების წევრი;

## 7. გამოგონება, პატენტი:

7.1. პატენტი **GE U 2014 1825 Y**, “აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოსახვევი მოწყობილობა; თბილისი, 2014, (თანაავტორი ვ. მირუაშვილი);

## 8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე გაწეული საქმიანობის მოკლე ჩამონათვალი და დახასიათება:

8.1. სსმმ აკადემიაში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება”, საორგანიზაციო საკითხების ხელმძღვანელობა;

8.2. სსმმ აკადემიის 2014 წლის ანგარიშის მომზადება და გამოცემა, 364 გვ. (გამომცემლობა შპს ”პოლიგრაფი”);

8.3. საგრანტო პროექტი თემაზე “კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება”, მომზადება და წარდგენა შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდში;

8.4. ”საკვები კულტურების აგროწესების” რედაქტირება და მისი დაბეჭდვისათვის საორგანიზაციო საკითხების ხელმძღვანელობა, 74 გვ;

8.5. აკად. ჯ. ონიანის ”რეკომენდაციების” დასაბეჭდად მომზადება და მისი გამოცემა;

8.6. სსმმ აკადემიის დამფუძნებლების და გარდაცვლილი წევრების სტენდის მოწყობა სსმმ აკადემიის კორპუსში.

8.7. სსმმ აკადემიის 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის კონკურსის ორგანიზაციული სამუშაოების ხელმძღვანელობა;

8.8. სსმმ აკადემიის საგამომცემლო საქმიანობის სტენდის მოწყობის ორგანიზაცია;

8.9. სსმმ აკადემიის ბუკლეტის გამოცემა (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე);

8.10. სსმმ აკადემიის ვებ-გვერდისათვის მასალების მომზადება;

8.11. 2014 წელს სსმმ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა;

8.12. სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს მომზადების ორგანიზაცია;

8.13. მონაწილეობა სსმმ აკადემიის 2014 წლების სამუშაო გეგმების შედგენაში;

8.14.. სსმმ აკადემიის 2014 წლის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის რეკომენდაციების მომზადება.

8.15. სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ოფიციალური სტატისტიკური და პირველადი მასალების შეკრება და ანალიზი.



8.16. სსმმ აკადემიის სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებისათვის შესაბამისი მასალების მომზადება, ოფიციალური ხელმოწერის ორგანიზება;

**9. მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების და ტექნიკური საშუალებების განვითარების, აგრეთვე სხვა აგრესიონერო მიმართულებების პერსპექტივები საქართველოში 2015 და მომდევნო წლებში.**

მექანიზაციის საშუალებების სიმცირის გამო, აბრეშუმის პარკის წარმოება მეტად შრომატევადი პროცესია. ყოფილი მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით ერთი ცენტნერი აბრეშუმის პარკის მისაღებად საჭიროა 600 – 700 კაცსაათი. ამ დანახარჯებიდან 15 % მოდის საკვების დამზადებაზე, საკვების მომზადებაზე – 15-20%, თუთის აბრეშუმსევევიას გამოკვებაზე-55% და პარკის ჩამოკრეფაზე, დახარისხებასა და გაწმენდაზე-სულ 10%. როგორც სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, რომ თუთის აბრეშუმსევევიას გამოკვებაზე საკმარისად დიდი დანახარჯებია – 270-290 კაცსაათი; ამდენად ამ ტექნოლოგიური პროცესის მექანიზაციის საკითხები მეტად აქტუალურია.

დღევანდელი არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე და მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის, აღორძინებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზებული ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შექმნა და დანერგვა. პროფ. ე. შაფაქიძის მიერ დამუშავებულია თუთის აბრეშუმსევევიას ცენტრალიზებული გამოკვებისათვის ტექნოლოგიური რუქები, რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელი იქნება ახალი ტექნიკური საშუალებების ან არსებულის მოდიფიცირებული ვარიანტების დამუშავება და საცდელი ნიმუშების დამზადება.

აღნიშნული ტექნოლოგიური რუქების განხორციელებისათვის აუცილებელია მეაბრეშუმეობის განვითარების მდიდარი ტრადიციების აღდგენა, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება, სოფლების ეკონომიკური მომძლავრება და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება, რისთვისაც საჭიროა დასახლებული პუნქტების მიხედვით შემორჩენილი საკვები ბაზის, საწარმოო საშუალებების, ინტელექტუალური რესურსების მოძიება და გამოყენება. გარდა საოჯახო მეაბრეშუმეობის განვითარებისა, აუცილებელია შეიქმნას მეაბრეშუმეობის ფერმერული გაერთიანებები (კოოპერატივები), რომლებიც აღჭურვილი იქნებიან მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით, რომელთა საშუალებით განხორციელდება თუთის ექსლუატაცია, აბრეშუმის ჭიის გამოკვება, ცახებიდან პარკის ჩამოკრეფა, პარკის გაწმენდა და ამოხვევა, ხამი ძაფის რეალიზაცია; პირველ ეტაპზე ეს მოგვცემს კუსტარული წარმოების განვითარებას, მიღებული პროდუქციის შიგა მოხმარებას, ხოლო შემდგომ შესაძლებელია საწარმოო მეაბრეშუმეობის განვითარება და კონკურენტუნარიანი პროდუქციის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა.

ასევე საჭიროა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიების განვითარება და შესაბამისი ტექნიკური

საშუალებებით აგრარული სექტორის აღჭურვა. ყოველად დაუშვებელია საზღვარგარეთული ძვირად ღირებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანა მათი წინასწარ საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში გამოცდის გარეშე. ამისათვის აუცილებელია შეიქმნას ან ჩამოყალიბდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან მანქანათა მცირე მოცულობის საგამოცდო სტრუქტურები და აუცილებელია ამ მიმართულებით სპეციალისტების მომზადება, რომელიც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა ითავონ, ძირითადად ტექნიკურ უნივერსიტეტში ახლად გახსნილმა აგრარული მიმართულების ფაკულტეტმა ან მოხდეს მექანიზატორთა ჯერ კიდევ შემორჩენილი საინჟინრო კადრების გადამზადება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მიმართულება უნდა გახდეს ფერმერებისათვის ადგილობრივი წარმოების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების მიწოდება, რომლის დასამზადებლად საქართველოში დღესაც არსებობენ საწარმოები, რომლებიც სამთავრობო სტრუქტურების ნების გამოხატვის შემთხვევაში, ძალზე ადვილად ჩადგებიან მწყობრში. ეს ეხება სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორცაა მეხილეობა, ჩაი და ციტრუსები, თამბაქო, დაფნა, თხილი და ა.შ. აქვე შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე მეაბრეშუმეობაც.

10. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო-განყოფილებაში 2015 წელს განსახილველი საკითხები:

10.1. მრგვალი მაგიდა – “აგროსაინჟინრო კადრების მომზადების პრობლემები”.

10.2. მრგვალი მაგიდა – “სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ოპტიმალური პირობების შესახებ”.

10.3. სემინარი – “მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები მეაბრეშუმეობაში”.

10.4. მრგვალი მაგიდა – “როგორ დავეხმაროთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს”.

#### **6.4. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადაამუშავების სამეცნიერო განყოფილება**

**აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია**  
**სწავლული მდივანი - დოქტორი ანატოლი გიორგაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადაამუშავების სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 3 წევრი, 3 აკადემიკოსი.

**აკადემიკოსები:** ბაღათურია ნუგზარი, ნანიტაშვილი თენგიზი, პაპუნძე გურამი.

6.4.1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2014 წლის სამუშაო გეგმა

№	საკითხების (თემების დასახელება)	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	
2	აკადემიკოს გურამ პაპუნდიის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიკოსი გურამ პაპუნდიე	
3	საქართველოს კანონში ვაზისა და ღვინის შესახებ. მეღვინეობის პროდუქტის ტერმინებისა და განმარტებების შესახებ	ივნისი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	
4	აკადემიკოს თენგიზ ნანიტაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი თენგიზ ნანიტაშვილი	
5	ყურძნის გადამუშავების ნარჩენები და მათი რაციონალური გამოყენების ძირითადი მიმართულებები	სექტემბერი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	
6	ჭაჭის არაყის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ახალი ტექნოლოგია	ნოემბერი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	

6.4.2. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2014 ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის განხილვა	მრგვალი მაგიდა	აპრილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	
2	სოფლის მეურნეობაში მცირე მეწარმეობის	მრგვალი მაგიდა	ივლისი	სოფლის მეურნეობის პროდუქტების	

	განვითარების შესახებ			შენახვისა და გადამუშავების განყოფილება; სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
3	აგრარული მეცნიერების გადარჩენისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პრობლემები	მრგვალი მაგიდა	ოქტომბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	

განყოფილებაში 2014 წელს ჩატარდა 4 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 29 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი. მეცნ. დოქტორი ნანა ბეგიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

მეორე სხდომა ჩატარდა 25 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: **ყურძნის გადამუშავების ნარჩენები და მათი რაციონალური გამოყენების ძირითადი მიმართულებები. მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია.

მესამე სხდომა ჩატარდა 17 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: **ჭაჭის არაყის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ახალი ტექნოლოგია. მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნუგზარ ბარათურია.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 10 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: **ადგილწარმოშობის მეღვინეობის პროდუქციის წარმოების შესახებ. მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნუგზარ ბარათურია.

გარდა ამისა განყოფილების წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული დოკუმენტის "სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის მიმართულებები" შედგენაში. ასევე თავინთი მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები დააფიქსირეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე (2015-2020).

6.4.3. განყოფილების წევრების მოკლე ანბარიშები

6.4.3.1. აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია



2014 წელს სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები:

№	გეგმით გათვალისწინებული და გარდამავალი სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	<p><b>მიმართულება</b>  <b>1. “დამუშავდეს ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების რაციონალური ტექნოლოგიები ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით”</b></p> <p>1.1 დავალების დასახელება: “ყურძნისა და ღვინის გადამუშავების ნარჩენების გამოყენებით ანტიოქსიდანტური უალკოჰოლო ღვინის მიღების რაციონალური ტექნოლოგიის გამოკვლევა “</p> <p>1.2. დავალების</p>	ნუგზარ ბალათურია	

<p>დასახელება:  “ციტრუსოვანთა  ნაყოფებიდან  რადიოპროტექტორულ  თვისებების მქონე  კონსერვების მიღების  ტექნოლოგიის  დამუშავება”</p> <p>1.3. დავალების  დასახელება:  პრევენციული საკვები  პროდუქტების მიღება  რკინადეფიციტური  ანემიის კორექციისთვის  ბავშვთა კონტიგენტში</p> <p><u>მიმართულება 2:</u>  ”შეიქმნას სამამულო  წარმოების  კონკურენტუნარიანი  ღვინო და  ალკოჰოლიანი  სასმელები”</p> <p>დავალება 2.1. ატმის  სასმელების დამზადების  ტექნოლოგიის  გამოკვლევა</p> <p>მიმართულება 3:  “გამოკვლეულ იქნას  ეკოლოგიურად სუფთა  საკვები  დანამატების: საღებავების,  არომატიზატორების,  შემასქელებლების  წარმოების რაციონალური  ტექნოლოგიები”</p> <p>დავალება 3.1.  “დისტილაციური ეთეროვანი  ზეთების მიღების ახალი  ტექნოლოგიის გამოკვლევა  ენერგეტიკული  დანახარჯების 50-60%-ით</p>		
--	--	--

<p>შემცირების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნედლეულის კომპლექსური გამოყენების მიზნით”</p> <p>დავალება 3.2. “ყურძნის ნედლეულისაგან ჰიდრატოპექტინების მიღების რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავება და მათ საფუძველზე რადიოპროტექტორული კვების პროდუქტების მიღება”.</p>		
---	--	--

2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობს შემდეგ საგნებს: 1. კვების მრეწველობის ნარჩენები და მათი უტილიზაცია; 2. ეთეოვანი ზეთების ქიმია და ტექნოლოგია; 3. ენოლოგია;
3. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები:

**4. სამეცნიერო შრომების ნუსხა**

№	დასახელება	ბეჭდვითი ან ხელნაწერის უფლებით	გამომცემლობა ან უფლებების ნომერი	ნაბეჭდი ფურცლების ან გვერდების რაოდენობა	ანოტაცია
1	ნატურალური მცენარეული არომატიზატორები და მათი სამრეწველო გამოყენება	ნაბეჭდ.	ქ. აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. №1 2013წ.  თბილისი	გვ. 57-61	წარმოდგენილია ადგილობრივი მცენარეული ნედლეულის გამოყენებით ნატურალური საკვები დანამატების ტექნოლოგიები.
2	საფერავის ჯიშის ყურძნისაგან ღვინომასალებს და-	ნაბეჭდ.	ქ. აგრარული ეკონომიკური	გვ. 62-73	წარმოდგენილია საფერავის

	მზადების, დამწიფებისა და დაძველების პროცესების ბიოქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევა		მეცნიერება და ტექნოლოგიები. №1 2013წ.  თბილისი		ჯიშის ყურძნისაგან ღვინომასალების დამზადების, დამწიფებისა და დაძველების პროცესების ბიოქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევის შედეგები
3	ვარდისფერი ღვინოების დამზადების პროცესების ბიოქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევა	ნაბეჭდ.	ჟ. აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. №2 2013წ.  თბილისი	69-77	წარმოდგენილია ვარდისფერი ღვინოების დამზადების პროცესების ბიოქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევის შედეგები
4	მელვინეობის სფეროში გამოყენებული ტერმინები და განმარტებები	ნაბეჭდ.	ჟ. აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. №4, 2013წ.  თბილისი	66-89	წარმოდგენილია მელვინეობის სფეროში გამოყენებული ტერმინები და განმარტებები
5	განაცხადი პატენტზე ნახევრად ტკბილი ღვინის “ხვანჭკარა“-ს მიღების ხერხი		საიდენტიფიკაციო № 13181/01		ახალი ტექნოლოგია ითვალისწინებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გადიდებას
6	დადებითი გადაწყვეტილება პატენტზე “ვისკის მიღების ხერხი”		განაცხადის №12666/01		ირველად იქნა შემუშავებული ქართული ვისკის დამზადების ხერხი



7	ღვინის ექსპერტიზა	ნაბეჭდი	მონოგრაფია, 2013	290 გვ.	მონოგრაფიაში პირველად იქნა წარმოდგენილი ღვინის ხარისხის კონტროლის მეთოდები
8	ველურად მზარდი მოცვისა და მაცვლის ნაყოფებიდან ანტიოქსიდანტური სასმელების მიღების ახალი ტექნოლოგია	ნაბეჭდი	ჟ. “აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები.” №1, 2014წ.  თბილისი	გვ.57-61	ტექნოლოგია ითვალისწინებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და გამოსავლის გადიდებას
9	პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის ტექნოლოგიის გამოკვლევა		ჟ.“აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები.” №1, 2014წ. თბილისი	გვ. 62-70	პირველად იქნა იღებულნი ყურძნისაგან პურის ნატურალური დანამატი
10	ცილოვანი ნაერთების გამოკვლევა ღვინის სტაბილიზაციის პროცესში.	ნაბეჭდი	ჟ. “აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები.” №3, 2014წ. თბილისი	გვ.52-57.	გამოკვლეულია ცილოვანი ნაერთების ცვლილებები ღვინის სტაბილიზაციის პროცესში.

5. ტექნიკური უნივესიტეტის გამომცემლობაში ჩაბარებულია მონოგრაფია – “ენოლოგია, ღვინის წარმოქმნა და დავარგება”. 409 გვ.

6. სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა.

6.1. მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფცია სოფლის მეურნეობაში (სსმმ აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების სხდომა, 2014 წ. 17 იანვარი), **მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია;**

6.2. აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ (სსმმ აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების სხდომა, 2014 წლის 29 აპრილი);

6.3. ყურძნის გადამამუშავების ნარჩენები და მათი რაციონალური გამოყენების ძირითადი მიმართულებები (სსმმ აკადემიის სოფლის

მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების სხდომა, 2014 წლის 25 სექტემბერი); მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია;

6.4. ჭაჭის არაყის კონკურენტუნარიანობის ამადლების ახალი ტექნოლოგია (სსმმ აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების სხდომა, 2014 წლის 17 ნოემბერი); მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია;

7. გამოგონება, პატენტი: გაკეთდა განაცხადი პატენტზე: “ნახევრად ტკბილი ღვინის – “ხვანჭკარას” მიღების ხერხი”;

**8. ხედვა კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარების შესახებ.**

საგარეო ურთიერთობებში საქართველო მყარად ინარჩუნებს დასავლურ ორიენტაციას და მიისწრაფის ევროკავშირისაკენ. ევროკავშირის წევრობა გულისხმობს იმას, რომ საქართველოს ბაზარზე ყოველგვარი საბაჟო გადასახადების გარეშე, როგორც საკუთარ ბაზარზე, ისე შემოვა გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების პროდუქცია. ეს კი ის პროდუქციაა, რომლის წარმოებას ასპონსორებს სახელმწიფო, ეს წარმოება უზრუნველყოფილია მეცნიერებითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით.

ჩვენ რომ კიდევ უფრო მეტად არ დაგვარგოთ ადგილობრივი ბაზარი (დღეს იმპორტი 5-6-ჯერ აღემატება ექსპორტს), უნდა ვაწარმოოთ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რაც შეუძლებელი იქნება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე.


ჩვენსავით პატარა ქვეყნების გამოცდილების გაცნობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით უნდა ავითვისოთ ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოება. მაგალითად, ესტონეთი და ფინეთი აწარმოებენ რუსეთის ბაზარზე მიწოდებული ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების 67%. იაპონიაში ფუნქციონალური კვების პროდუქტების წარმოებამ მიაღწია აქ წარმოებული სურსათის 50%.

**რუსეთის ბაზარზე ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების მიმწოდებელი ქვეყნები:**



ფუნქციონალური კვების პროდუქტები - ესაა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, რომლებიც გამდიდრებულია სამკურნალო-პროპოფილაქტიკური დანიშნულების ნატურალური ბიოაქტიური კომპონენტებით და განკუთვნილია ყოველდღიური მოხმარებისათვის.

როგორც ქვემოთ მოყვანილი სურათიდან ჩანს, ფუნქციონალური კვების პროდუქტებიდან ძირითადი ბაზრებია იაპონია, ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები.



საქართველოში ამ ახალი მიმართულების პროდუქტების საწარმოებლად გვაქვს შესანიშნავი სანედლეულო ბაზა ყურძნის, ხილ-კენკროვანთა ნედლეულის, სამკურნალო ეთერზეთოვანი და საღებავების შემცველი მცენარეებისა და ციტრუსოვანთა ნაყოფების სახით. ნედლეულის ამ რესურსების ასათვისებლად სტიმული უნდა მიეცეს ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნასა და მათ სამრეწველო მასშტაბით ათვისების საქმეს.

ბოლო 20 წლის მანძილზე არა მარტო აგროსამრეწველო კომპლექსში, არამედ მთლიანად საქართველოში შეიმჩნევა ინოვაციური აქტიურობის მკვეთრი ვარდნა. უცხოური ტექნოლოგიებისადმი ფართო და თავისუფალი მისაწვდომობა თრგუნავს ქვეყანაში ნაციონალური ინოვაციური პოლიტიკისა და დარგობრივი მეცნიერების განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში ქმნის უცხოური მიღწევებისადმი ტექნოლოგიური დამოკიდებულების წარმოშობის საშიშროებას.

ინოვაციური აგრარული ეკონომიკის ფორმირება ხდება მაშინ, როდესაც აგროსამრეწველო წარმოება ძირითადად ეფუძნება ინოვაციურ ტექნოლოგიებს. მაგრამ ინოვაციების განვითარების ყველა ქვეყნისათვის მისაღები ერთიანი სცენარი არ არსებობს, რის გამოც თითოეული ქვეყანა ეძებს მსგავსი ამოცანების გადაჭრის საკუთარ მიდგომებს.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს ინოვაციური მოღვაწეობის ხელშემწყობი რაიმე სისტემა. უფრო მეტიც, მთლიანად განადგურდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან არსებული ექსპერიმენტული ბაზები, სადაც გასულ წლებში წარმოებდა ინოვაციური ტექნოლოგიების დანეგვა და გავრცელება. აგრარულ სფეროში ასევე ლიკვიდირებულ იქნა თვით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც.

აგრარულ სფეროში წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაცნობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და ამ მიმართუ-

ლებით ქვეყნის განვითარების ყველაზე რეალურ გზას წარმოადგენს აგროტექნოპარკების შექმნა

აგროტექნოპარკი GFI-ის ფუნქციონირების მოსალოდნელი შედეგები:

1. სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ინოვაციური მოღვაწეობის სტიმულირება;

2. იმ მეცნიერმუშაკების, დოქტორანტების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის ხელშემწყობი სასტარტო პირობების შექმნა, რომელთაც დაგეგმილი აქვთ საკუთარი კომპანიების გახსნა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სამეწარმეო საქმიანობა.

3. უკვე არსებული მცირე და საშუალო საინოვაციო კომპანიებისათვის, ასევე ურთიერთხელსაყრელი პირობებით აგროტექნოპარკთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

4. სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ახალი კომპანიების შექმნის შესაძლებლობა.

კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ერთადერთი სამეცნიერო ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც 1961 წლიდან ემსახურებოდა და ემსახურება კვების მრეწველობის მთელი რიგი დარგების ( ღვინის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების, საკონსერვო მრეწველობის, ეთერზეთებისა და ცხიმზეთების წარმოების, საკონდიტრო მრეწველობის, ნატურალური საკვები დანამატებისა და ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების) მეცნიერული უზრუნველყოფის საქმეს.

ინსტიტუტს დამუშავებული აქვს შემდეგი კონკრეტული ინოვაციური ტექნოლოგიები ადგილობრივი ბაზრის დაცვისა და საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად:

1. პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის მიღების ტექნოლოგია. პურის მრეწველობაში გამოყენებული ხელოვნური გამაუმჯობესებელი – გლუტენი - იწვევს უმძიმეს დაავადებას – ცელიაკიას, რის გამოც მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ნატურალურ გამაუმჯობესებლებზე. ინსტიტუტში დამუშავებული ნატურალური გამაუმჯობესებელი წარმატებით გამოიცადა საქართველოსა და პოლანდიის საწარმოებში. ამ დანამატის მისაღებად შეიძლება ათვისებულ იქნას 30 ათასი ტონა ყურძნის ნედლეული და მიღებულ იქნას 60 მლნ დოლარის ღირებულების საექსპორტო პროდუქცია.

2. თხევადი შაქრის წარმოების ტექნოლოგია. დამუშავებულია შაქრის სორგოსაგან თხევადი შაქრის წარმოების რაციონალური ტექნოლოგია. შაქრის სორგო შეიძლება მოყვანილ იქნას წითელწყაროს რაიონში არსებულ დამლაშებულ (60 ათას ჰა) მიწებზე. აქ შეიძლება ვაწარმოოთ 100-120 ათასი ტონა იაფი თხევადი შაქარი კვების მრეწველობის დარგებისათვის. ხაზგასასმელია ისიც, რომ შაქრის სორგო ახდენს დამლაშებული ნიადაგების განმარტივებას.

3. ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები. მსოფლიოში იზრდება მოთხოვნილება ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტებზე, რომლებიც წარმოადგენენ მედიკამენტური

თერაპიის ალტერნატივას. ინსტიტუტში დამუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიებით შეიძლება წარმოებულ იქნას ანტიკანცეროგენური და რადიოპროტექტორული დანიშნულების საექსპორტო პროდუქცია.

ამათგან აღსანიშნავია შემდეგი ინოვაციური ტექნოლოგიები:

**3.1 ანტიოქსიდანტური და ანტიკანცეროგენული სასმელის - “ბიოანტი” წარმოების ტექნოლოგია.** ყურძნის გადამუშავების თხევადი და მყარი ნარჩენების გამოყენებით მიღებულ იქნა ყურძნის ფენოლური ნაერთებითა და დაბალმეტოქსილირებული პექტინით გამდიდრებული ყურძნის უალკოჰოლო სასმელი აღნიშნულ ნატურალურ ბიოაქტიურ ნივთიერებს გააჩნიათ შემდეგი თვისებები:



“ ბიოანტი”-ის დასახელებით ასევე შეგვიძლია ვაწარმოთ ახალი თაობის ლიმონათები და მინერალური წყლები, რომლებშიც ბიოაქტიურ კომპონენტებად გამოყენებული იქნება დეტერპენიზირებული ნატურალური ეთეროვანი ზეთები. ეს ახალი საექსპორტო პროდუქტები შეიძლება ვაწარმოთ საერთო ღირებულებით 150-200 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.


**3.2.ციტრუსოვანთა ნაყოფებიდან ჰიდრატოპექტინის წარმოების ტექნოლოგია.** ჰიდრატოპექტინი თავისი კომპლექსწარმომქმნელი უნარით 3-4-ჯერ აღემატება ტრადიციულ, მშრალ პექტინს. საქართველოში არსებული მანდარინის არასტანდარტული ნაყოფების წველების კონცენტრატების წარმოების ნარჩენების გამოყენებით შეიძლება ვაწარმოთ საექსპორტო პროდუქცია რადიოპროტექტორული დანიშნულების სასმელების, ჰესპერიდინითა და ნარინგინით გამდიდრებული ნატურალური საკვები დანამატების სახით.

**4. თხილის კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგია.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ განხორციელებული კვლევის „სამხრეთ კავკასიაში სოფლის მეურნეობის შედარებითი ანალიზი“-ს თანახმად, 2006-2010 წლებში საქართველოში სოფლის მეურნეობის

პროდუქტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა თხილის წარმოება (ზრდა - 23%). თხილის სექტორის ექსპერტის არაოფიციალური მონაცემებით 2000 წელთან შედარებით თხილის წარმოება 2013 წელს თითქმის 3.6-ჯერ - 14.6 ათასი ტონიდან 51.8 ათა ტონამდე გაიზარდა.

დამუშავებულია თხილის არასტანდარტული ნაყოფებიდან თხილის ზეთისა და ცილის კონცენტრატების წარმოების კომპლექსური ტექნოლოგია.

5.2010 წელს კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტმა მეღვინეობის მსოფლიო კონგრესს გააცნო ინსტიტუტში დამუშავებული ქართული (კახური) ტიპის ღვინოების ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები. 2013 წელს იუნესკომ ქვევრის ღვინის დაყენების კახურ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც გზას უხსნის ამ ტიპის ღვინოებს მსოფლიო ბაზარზე დასამკვიდრებლად. ინსტიტუტში დამუშავებულია ქართული ტიპის ღვინოების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ ამ ტიპის ღვინოების ხარისხი და გავაფართოოთ მათი ასორტიმენტი.



**კახური ტიპის ღვინის წარმოების ახალი ტექნოლოგია**

1 – კლერტგამკლელ-დამქუცმაცებელი მანქანა; 2 – სადულარი ჭურჭელი; 3 – ტუმბო; 4 – წნეხი; 5 – შემკრები ჭურჭელი; 6 – ღვინის დაჩქარებული დაძველების აპარატი ; 7 – საპაერო მილი.

6. ჭაჭის არაყი, ანუ “ჭაჭა” ქართული კულტურის ისეთივე ნიშანია, როგორც კახური ტიპის ღვინო. ინსტიტუტის მიერ დაპატენტებული ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში “ჭაჭა”-ს ყველა მონაცემი აქვს იქცეს ისეთივე სახელგანთქმულ სასმელად, როგორცაა იტალიური “გრაპა”. ამასთან, შეიძლება ვაწარმოოთ 20-25 მლნ ბოთლი საექსპორტო პროდუქცია, საერთო ღირებულებით 200-300 მლნ აშშ დოლარი.

7. ატმის გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიები. ატმის დამზადებამ საქართველოში მიაღწია 50-60 ათას ტონას. ინსტიტუტის მიერ დამუშავებულია მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქტების – ატმის პიურეს, წველებისა და ა.შ. მიღების რაციონალური ტექნოლოგიები, რომელთა რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

8. ბალახოვანი ნედლეულიდან ეთეროვანი ზეთების მიღების ახალი ტექნოლოგია. კვების მრეწველობის ინსტიტუტში დამუშავებული ეთეროვანი ზეთების მიღების ახალი ტექნოლოგიის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენების შედეგად მიიღება ეკოლოგიურად სუფთა ეთეროვანი ზეთები, მკვეთრად მცირდება (50-60%-ით) 1კგ ეთეროვანი ზეთის გამოსხდისათვის საჭირო ორთქლის ხარჯი, 50-60%-ით იზრდება გამოსახდელი აპარატების წარმადობა, რადგანაც შესაბამისად მცირდება გამოსახდელი ნედლეულის მასა. საქართველოში შეიძლება ვაწარმოოთ 20-25 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ლავანდის, ვარდის, დაფნის, გერანის და სხვა ეთეროვანი ზეთები.

9. ნატურალური საკვები საღებავების წარმოების ტექნოლოგია. ევროპარლამენტმა აკრძალა კვების პროდუქტებში ხელოვნური საღებავების გამოყენება, ბავშვთა ორგანიზმზე მათი უარყოფითი ზეგავლენის გამო, რის გამოც მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ნატურალურ საღებავებზე. ინსტიტუტში დამუშავებული პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით წითელი და ყვითელი ნატურალური საკვები საღებავების წარმოებას. საქართველოში შეიძლება ვაწარმოოთ 100 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საექსპორტო პროდუქცია ნატურალური საღებავებისა და ფენოლური ნაერთებითა და კაროტინით გამდიდრებული ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების სახით.

რით დავიწყეთ ?

*სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელთა ერთობლივი განხილვის შემდეგ საჭირო იქნება დამუშავდეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები აღნიშნული ტექნოლოგიების დასაწინაურებად. სწორედ ამ და მსგავს ტექნოლოგიებზე უნდა იქნას მიმართული სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე გამოყოფილი სახსრები.*

10. საკითხები, რომელთა განხილვაა დაგეგმილი დარგობრივი განყოფილებებისა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე:

1. “ციტრუსოვანთა ნაყოფების უნარჩენო გადამუშავების ტექნოლოგია”;
2. სამამულო შაქრის წარმოების მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში”.
3. ცხიმზეთების წარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

11. აკად. ნ. ბაღათურიას მიზანშეწონილად მიაჩნია სსმმ აკადემიაში ჩატარდეს საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: “ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტები და მათი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები” ან “კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენები და მათი უტილიზაცია”.

### 6.4.3.2. აკადემიკოსი თენგიზ ნანიტაშვილი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტში, სადაც მუშაობს აკად. თ. ნანიტაშვილი, კვების პროდუქტებისა და საკვები დანამატების უსაფრთხოების კვლევის განყოფილების გამგედ და მთავარ მეცნიერ თანამშრომლად მონაწილეობდა, როგორც მეცნიერული ხელმძღვანელი და უშუალო შემსრულებელი ინსტიტუტის სამეცნიერო - კვლევითი თემატიკური გეგმით გათვალისწინებული შემდეგი თემის დამუშავებაში:

„დამუშავდეს ღვინის სტაბილიზაციის რაციონალური ტექნოლოგია პროტეოლიზური და პექტოლიზური ფერმენტების გამოყენებით კომპლექსში სხვა მეთოდებთან ერთად“.

**საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია ორი სამეცნიერო სტატია.**

1. ნ. ბალათურია, თ. ნანიტაშვილი, ნ. ბეგიაშვილი, ც. შილაკაძე, ბ. ბალათურია. „დურდოს ფერმენტაციული დამუშავების გავლენა წითელი სუფრის ღვინის ფიზიკო-ქიმიურ და ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებზე“. ჟურნალი - „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერებათა ტექნოლოგიები“. 2014 წელი №2 გვ. 45.

**ანოტაცია** – საერთაშორისო იმფაქტ-ფაქტორის მქონე აღნიშნულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში შესწავლილია კომპლექსური ფერმენტული პრეპარატების გამოყენებით დურდოს ფერმენტაციის გავლენა წითელი სუფრის ღვინის ქიმიურ შემადგენლობასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. დადგენილია ამ მეთოდის გამოყენების ეფექტიანობა წითელი სუფრის ღვინის დამზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით.

2. ნ. ბალათურია, თ. ნანიტაშვილი, ნ. ბეგიაშვილი, ც. შილაკაძე, ბ. ბალათურია - „ცილოვანი ნაერთების გამოკვლევა ღვინის სტაბილიზაციის პროცესში“. ჟურნალი - „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერებათა ტექნოლოგიები“. 2014 წელი №3 გვ. 52.

**ანოტაცია** – საერთაშორისო იმფაქტ-ფაქტორის მქონე აღნიშნულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში მოცემულია ელექტროფორეზის მეთოდის გამოყენებით ცილოვანი ნაერთების გამოკვლევის შედეგები ღვინის სტაბილიზაციის პროცესში. დადგენილია, რომ ღვინის დამუშავების ცალკეული მეთოდები სხვადასხვაგვარად მოქმედებენ ცილოვანი ნაერთების ცალკეული კომპონენტების რაოდენობრივ და თვისობრივ შემადგენლობაზე. დადგენილია ცილოვანი ნაერთების ცალკეული ფრაქციების იზოელექტრული წერტილების მნიშვნელობები და მათი როლი ღვინოში სიმღვრივის წარმოქმნის პროცესზე.

არის კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ეროვნული კოორდინატორი.

აკად. თ. ნანიტაშვილი არის საერთაშორისო იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალ - „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ს სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი.

### 6.4.3.3. აკადემიკოსი გურამ პაპუნძიძე



2014 წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა აკად. გ. პაპუნძიძის ხელმძღვანელობით აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიმართულებით. მის მიერ შემუშავებული სამოქმედო ორგანიზაციული გეგმის მიხედვით. ამ პროცესში აქტიურად ჩართული იყო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და სტრუქტურები. ამ სფეროში სამუშაოების მაღალ მეცნიერულ დონეზე დაგეგმვისა და შესრულების კოორდინაცია ხორციელდებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის აგრარული კომისიის სამოქმედო პროგრამის მიხედვით. სამუშაოები ორიენტირებული იყო ქვეყნის ხელისუფლების მიერ აგრარული სფეროს განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების შესრულებაზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხელშეწყობაზე.

მის მიერ აჭარაში მეცნიერული კვლევები და საპროექტო დანერგვითი სამუშაოები აგრარული სფეროს განვითარებისათვის რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს, რომლებიც განსაზღვრულია საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში ცალკეული დარგების პოტენციალური შესაძლებლობების გამოყენებაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ადგილობრივი რესურსების მასშტაბებზე, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გამოყენების ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაზე და სხვადასხვა ბაზრების სეგმენტების ათვისებაზე, დარგობრივი შეთანაწყობის ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბებაზე და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში აკად. გურამ პაპუნძიძის მიერ ჩატარდა ბათუმი ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიკროპოლიტის მეუფე დიმიტრის ინიციატივით მოწყობილი ყოველწლიურად ტრადიციული, ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალი. ამ ღონისძიებამ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა და მონაწილე პირების რიცხვი მნიშვნელოვნად

აღმატებოდა წინა წლების მონაწილეთა რაოდენობას და საგრძნობლად მაღალი ხარისხის პროდუქცია იქნა წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ ამ დონისძიების ყოველწლიურად მაღალ დონეზე ჩატარებამ დასაბამი მისცა მეცნიერების, განათლებისა და ბიზნესის ინტეგრაციას მევენახეობა-მეღვინეობის დარგში. დეგუსტატორთა და ღვინის ნიმუშების წარმომადგენლებთან ერთად ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელზედაც მოხსენებული იქნა შედეგები და მიღებულ იქნა წინადადებები და რეკომენდაციები მევენახეობა-მეღვინეობის დარგში მომუშავე სუბიექტების სწავლება-კონსულტირების დონის ამაღლებისათვის,

მევენახეობის დარგის განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე კომისიის წევრი მეცნიერების მიერ შემუშავებულ იქნა წინადადებები და რეკომენდაციები ქედაში, ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნის თაობაზე, მონაწილეობა იქნა მიღებული ტექნოლოგიური და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფის, პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის დადგენისათვის.

აკად. გ. პაპუნძის თაოსნობით სისტემატიური ხასიათი მიიღო შესვედრების ჩატარებამ მევენახეობის დარგში დასაქმებულ სუბიექტებთან, განხორციელდა მათ მიერ მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიების და ოჯახურ პირობებში ღვინის დაყენების ტექნოლოგიების მონიტორინგი, მიეცათ მეთოდურ-პრაქტიკული რეკომენდაციები. შესწავლილ იქნა რეგიონისათვის მაღალრენტაბელური ყურძნის ჯიშების ნერგებით უზრუნველყოფისა და ზერების მოწყობის მდგომარეობა.

ნაყოფიერი იყო აკად. გურამ პაპუნძის მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საწარმოო პროგრამების შემუშავების რეკომენდაციების მომზადების საქმეში ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და ზონების მიხედვით.

კოოპერატივების გამგეობებს გაეწიათ მეთოდური და პრაქტიკული სწავლება-კონსულტირება მიწათსარგებლობის ეფექტურად წარმართვის, საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის გამოყენების, მარკეტინგული საქმიანობის წარმართვის და სხვა პრობლემების შესახებ.

აკად. გურამ პაპუნძემ მონაწილეობა მიიღო ხიჭაურის ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კონფერენციაში, რომელიც მოეწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ინიციატივითა და თაოსნობით. ამ დონისძიებაზე აკადემიის აკადემიკოსთა მიერ ჩატარდა საჯარო ლექციები, მათ შორის აგრარულ პრობლემებზე. ეს უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს არა მარტო აგრარული სფეროს სპეციალისტების მომზადებაზე, არამედ შეიმუშავებს აჭარის მთიანი რეგიონის აგრობიზნესის განვითარების მოდელს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გარემოს დაცვითი, მიწათსარგებლობის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა. კომისიის მეცნიერების მიერ მიეწოდათ კონკრეტული ხელგები ცალკეული მიმართულებებით.

აკად. გურამ პაპუნძის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები გათვალისწინებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტში ხილის გადამამუშავებელი მცირე საწარმოს შექმნის პროექტის შედგენისას.

მეცნიერული კვლევების შედეგების დაედო საფუძვლად ქობულეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში “ლეღვა” და “ხუცუბანი” მანდარინის ყვავილის, ციტრუსოვანთა ნაყოფების გადამუშავების მცირე საწარმოების შექმნის საგრანტო პროექტების შემუშავებას.

აკად. გურამ პაპუნძის ხელმძღვანელობით შეისწავლებოდა ქვეყნის ხელისუფლების მიერ აგრობიზნესის განვითარების სტრატეგიული კურსის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები. მათ შორის ისეთ პრობლემებზე სასოფლო-სამეურნეო “კოოპერატივების შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედების შედეგები, სახელმწიფო დახმარებების რეალური ეფექტი, საკრედიტო რესურსებისადმი მისაწვდომობის დონე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასტარტო მდგომარეობა და ა.შ.

გ. პაპუნძის მიერ აქტიური მუშაობა წარიმართა აჭარის სუბტროპიკული ზონის აგრობიზნესისათვის ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემის ადეკვატური ღონისძიებების განხორციელებისათვის. საქმე ეხება ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება-რეალიზაციის პროცესის ორგანიზაციას. ამ მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წინაშე წარდგენილ იქნა საჭირო გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციები და წინადადებები.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გ. პაპუნძემ ჩაატარა საჯარო ლექციები ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარების პრობლემებზე, საჭირო კადრების მომზადებისა და სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დანერგვის, აგრო და გადამუშავების ტექნოლოგიების საკითხებზე.

გურამ პაპუნძის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა აჭარაში ჩამოსულ და ადგილობრივ ცალკეულ ბიზნესმენებთან და მეცნიერებთან, სხვა საქმიან ვიზიტორებთან შეხვედრების ორგანიზაციას, მოხდა ინფორმაციული ურთიერთგაცვლა და დაისახა პარტნიორული თანამშრომლობის პროგრამა.

მომზადდა აგროტურიზმის განვითარების მიზნობრივი პროგრამის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მთლიანად რეგიონისა და ცალკეული მუნიციპალიტეტების რესურსული პოტენციალის გამოყენებას.

გურამ პაპუნძის მიერ მომზადდა რეცენზიები აგრობიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, კონცეფციებსა და პროგრამებზე. საანგარიშო პერიოდში მის მიერ და სხვა მეცნიერებთან ერთად მომზადებულ იქნა სამეცნიერო სტატიები სხვადასხვა პრობლემებზე. მან მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დონის კონფერენციებსა და სემინარებში.

6.5. ეკონომიკის სამეცნიერო ბანყოფილება

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი  
სწავლული მდივანი - დოქტორი ანატოლი გიორგაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 8 წევრი. მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 6 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 2.

აკადემიკოსები: ასათიანი რევაზი, კუნჭულია თამაზი, ქარქაშაძე ნაპოლეონი, ქეშელაშვილი ომარი, ჭითანაგა ნოდარი, ჯაფარიძე გივი.

წევრ-კორესპონდენტები: კოლუაშვილი პაატა, ნიკოლეიშვილი გიორგი.

6.5.1. ეკონომიკის სამეცნიერო ბანყოფილების 2014 წლის სამუშაო გეგმა

№	საკითხების (თემების დასახელება)	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;	იანვარი	აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე	
2	აკადემიკოს რევაზ ასათიანის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი რევაზ ასათიანი	
3	აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია	
4	აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე	
6	აკადემიკოს ნოდარ ჭითანაგას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი ნოდარ ჭითანაგა	
7	აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის	აპრილი	აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე	

	შესახებ			
8	საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი.	აპრილი	აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია	
9	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პაატა კოლუაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი	
10	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი	
11	ვერბალური მართვა	ივნისი	აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი	
12	მეაბრეშუმეობის აღდგენისა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში	ოქტომბერი	აკად. წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილი, აკად. წ/კ ელგუჯა შაფაქიძე	
13	საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებებისა და რეკომენდაციების შესახებ	დეკემბერი	აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი	

6.5.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მენეჯერებთან აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი აგრარული	მრგვალი მაგიდა	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის	

	სექტორის განვითარებაში			მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;	
2	მთის ტყეების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ	მრგვალი მაგიდა	მაისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება, ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება.	
3	სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ	სემინარი	ოქტომბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
4	აგრარული მეცნიერების გადარჩენისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პრობლემები	მრგვალი მაგიდა	ოქტომბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	
5	სატყეო მეურნეობის დარგის მდგრადი განვითარების პრინციპები	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
6	საქართველოში მებაბრეშუმეობის განვითარების პოლიტიკის შესახებ	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება	

განყოფილებაში 2014 წელს ჩატარდა 7 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 16 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ომარ ქეშელაშვილი; სწავლული მდივანი დოქტორი ანატოლი გიორგაძე. 2. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ომარ ქეშელაშვილი; სწავლული მდივანი დოქტორი ანატოლი გიორგაძე. 3.

ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების ასოცირებული წევრების შესახებ. 4. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების წევრების მიერ შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 21 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს რევაზ ასათიანის ინფორმაცია 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას ინფორმაცია 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ. 3. უურნალ აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოს მდივანი ომარ ქეშელაშვილი.**

მესამე სხდომა ჩატარდა 21 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 17 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი. **მომხსენებელი: აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია.**

მეხუთე სხდომა ჩატარდა 30 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პაატა კოლუაშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მექვესე სხდომა ჩატარდა 18 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: ვერბალური მართვა. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.**

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 11 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებებისა და რეკომენდაციების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.**

გარდა ამისა განყოფილების წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული დოკუმენტის "სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის მიმართულებები" შედგენაში. ასევე თავინთი მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები დააფიქსირეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე (2015-2020).

## 6.5.3. განყოფილების წევრების მოკლე ანბარიშები

### 6.5.3.1. აკადემიკოსი რევაზ ასათიანი



საანგარიშო პერიოდში აკად. რევაზ ასათიანის მიერ გაწეული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

- სისტემატურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომებში, აგრეთვე აკადემიის მიერ მოწეობილ სემინარებში, სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა სახის შეხვედრებში;
- სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, როგორც სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მონაწილეობდა 6 – მდე ახალი სამეცნიერო პროგრამის სახელმძღვანელო ცნობარის (კონკურსის პროგრამისა და პირობების) მომზადებაში, რომელთა უმრავლესობა გადაეცა საქართველოს მთავრობას განხილვისა და დამტკიცებისათვის;
- მონაწილეობდა სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ახალგაზრდა მეცნიერთა პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიებზე წარმდგენი, მეცნიერთათვის ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების, დოქტორანტების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთ სამეცნიერო სტაჟირების სახელმწიფო პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების განმხილველი კომისიების სხდომებში, აგრეთვე სხვადასხვა სახის სამუშაო და სამეცნიერო შეხვედრებსა თუ პრეზენტაციებში;
- მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებულ რამოდენიმე სემინარის მუშაობაში სამეცნიერო საზოგადოების ფართო წრისათვის საკონკურსო პროექტების ხარისხიანად მომზადების და სხვადასხვა სახის შეკითხვებზე პასუხების გაცემისა და კონსულტაციების გაწევის მიზნით;
- პირადად აწარმოებდა აგრარული სფეროსა და ეკონომიკაში ფონდში საკონკურსოდ წარმოდგენილი 150-ზე მეტი პროექტის ტექნიკური ექსპერტიზას;
- როგორც „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება“ პროექტის მენეჯერმა მონაწილეობა მიიღო პროექტის სახელმძღვანელო დოკუმენტაციის პაკეტის მომზადებასა და საქართველოს მთავრობაში დასამტკიცებლად წარდგენაში;
- როგორც მენეჯერმა მოაწყო 7 პრეზენტაცია, 5 სატელევიზიო გამოსვლა და 6 საგაზეთო ინტერვიუ ზემოაღნიშნული პროექტის შესახებ
- აკად. რ.ასათიანი დღეისათვის ხელმძღვანელობს 2 დოქტორანტს;



### 6.5.3.2. აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია



2014 წელს აკად. თამაზ კუნჭულიას გამოქვეყნებული შრომების სია:

1. “ვერტიკალური ინტეგრაცია-სოფლად კოოპერაციის განვითარების ძირითადი პირობა”, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერთა აკადემიის “მოამბე” №33, თბილისი, 2014; თანაავტორობით;
  - სტატიაში განხილულია გადამამუშავებელ საწარმოებთან ნედლეულის მწარმოებელი კოოპერატივების ინტეგრაციის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხი.
2. “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების ახალი ტალღის შესაძლებლობები”, - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №33, თბილისი 2014; თანაავტორობით.
  - სტატიაში ხაზგასმულია კოოპერატივებისადმი სახელმწიფო დახმარების როლი.
3. “სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი”, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე” №33, თბილისი; 2014 თანაავტორობით.
  - სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი მიძღვნილ სტატიებისა და საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით სტატიაში შემოთავაზებულია სოფლის მეურნეობაში მაღალ ტექნოლოგიების დანერგვის განსხვავებული ხედვა.
4. “როგორ მივიტანოთ მოსახლეობამდე სახელმწიფო ღონისძიებების სიკეთე”, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე” №33, თბილისი, 2014, თანაავტორობით.
  - სტატიაში დასაბუთებულია სოფლის მეწარმეობის საწარმოო სპეციალიზაციის შესახებ ერთი კულტურის (პროდუქციის) შერჩევის აუცილებლობა, რომელსაც სახელმწიფო აღმოუჩენს, რაიმე ფორმით, ფინანსურ დახმარებას.

1. აკად. თ. კუნჭულიამ დაამუშავა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი;

2. მონაწილეობა მიიღო “სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის” შედგენასა და ტექსტის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებაში,

3. აკადემიის სამეცნიერო საბჭოზე განსახილველად წარადგინა საკითხი

„სოფლის მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი“,

4. აკად. თ. კუნჭულიას ხელმძღვანელობით შედგა მიზნობრივი პროგრამა „მეჩაიეობის რეაბილიტაციის შესახებ საქართველოში“;

5. მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დარგობრივი პროგრამების შემუშავებაში:

- „საქართველოში ხორბლის წარმოების შესახებ“;
- „საქართველოში მეთამბაქოეობის აღდგენის შესახებ“;

- „საქართველოში საკვებწარმოების განვითარების შესახებ“;
- „საქართველოში მეციტრუსეობის განვითარების შესახებ“

6. ხელმძღვანელობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის შედგენას: „ საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოების შესაძლებლობები“;

7. აკად. თ. კუნჭულიამ მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ კონფერენციაში.

### 6.5.3.3. აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე



#### 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

2014 წლის 15 აგვისტოს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა, მეჩაიეობის განვითარების პერსპექტივა ტყიბულის ზონაში. (მომხს. უ. დალაქიშვილი);

აღინიშნა, რომ რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ტყიბულის ზონის ჩაის ფოთოლში შენარჩუნებულია ყველა ის ელემენტი, რომელიც საჭიროა მაღალხარისხის მზა პროდუქციის მისაღებად. როგორც აღინიშნა, ჩაის პლანტაციების ნაწილი (40 – 3ა-მდე), საჭიროებს სერიოზული აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას, კერძოდ (ღრმა ხვნა, ნახევრად მძიმე გასხვლა, კალიუმის სასუქების შეტანა და ა.შ.).

მომხსენებელმა მოითხოვა, საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელსაც ის წარადგენდა სადირექტივო ორგანოებში. ასეთი გადაწყვეტილება მიღებული იქნა და შესაბამისი რეკომენდაციები მიეცა მეწარმეს უ. დალაქიშვილს.

ა. ფერმერებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მათივე მოთხოვნით ჩაუტარდათ კონსულტაციები, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები: ი. ვასაძე, ვ. ცანავა, ჯ. კაციტაძე და სხვები (კონსულტაციები გაფორმდა წერილობითი ფორმით).

გ. 204 წლის 8 მაისს საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა მიხეილ ჯიბუტის წიგნი, “საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები” – რეცენზენტი ნ. ქარქაშაძე, წიგნი მოწონებული იქნა.

დ. საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, საჭიროა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ კომპიუტერი, ადგილებზე ჩასასვლელად სამივლინებო თანხები, მიღებული ღონისძიებების ბროშურებად (ან რეკომენდაციების სახით) ბეჭდური გამოშვება და ა.შ.

## 2. აკად. ნ.ქარქაშაძის მიერ შესრულებული სამუშაოების ნუსხა

2.1. გრძელდება მუშაობა მონოგრაფია “მსოფლიო სოფლის მეურნეობის” განახლებულ ვარიანტზე. დამთავრდა ევროპის დასავლეთ და აღმოსავლეთი ქვეყნებზე მუშაობა.

2.2. ამავე ციკლში, პარალელურად გრძელდება მუშაობა “მსოფლიო სოფლის მეურნეობის” მეორე წიგნზე: “ბალტიისპირეთისა და დსთ-ს ქვეყნების სოფლის მეურნეობა”, ახალი სტატისტიკური მასალების შესაბამისად დამუშავდა ამიერკავკასიის ქვეყნების სოფლის მეურნეობის მონაკვეთი.

2.3. აზერბაიჯანის აგრარული აკადემიის თხოვნით, რუსულ ენაზე დაიწერა და გადაეცათ მათ ნარკვევი “ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობა”.

2.4. მიმდინარეობს მუშაობა კავკასიის რეგიონის მოსახლურე ქვეყნების სოფლის მეურნეობის ახალ ვარიანტზე (თურქეთი, ირანი, რუსეთი, შავი ზღვის აუზის ქვეყნები). ამ პროექტთან დაკავშირებით, რეცენზია გაუკეთდა პროფ. ი. ბაბაევის ნაშრომს “თანამედროვე აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობა,” რომელიც შევა წიგნის ახალ ვარიანტში.

1.5. დაიწერა შრომა: “სოფლის მეურნეობა და მსოფლიო ტექნიკური პროგრესი” – რომელიც გადაეცა ჟურნალ “ეკონომისტს”.

1.6. მოხსენება, რომელიც გაკეთდა – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პლენალურ სხდომაზე “კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე” – სათაურით Вместе с природой (или как подойти к решению проблем) – გამოქვეყნებულია კონფერენციის მასალებში.

1.7. ამავე კონფერენციის მასალებში გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატია (ჯ. კაციტაძესთან და ი. კაპანაძესთან) ერთად “Расчет и повышение надежности плугов с использованием ресурсосберегающей технологии восстановления лемехов”.

1.8. სტატია “Потепление климата и проблемы сельхозпроизводства” (რუსულ და ინგლისურ ენებზე) გამოსაქვეყნებლად გადაეცა ჟურნალს “Известия аграрной науки”.

1.9. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისათვის, დაიწერა შესავალი: “მსოფლიო სოფლის მეურნეობა – მოთხოვნილება და მიწოდება”.

## 3. სხვა სახის სამუშაოები

3.1. 2014 წლის ივნისში დაიწერა რეცენზია მეცნიერ ნანა კანდელაკის პროექტზე (108 გვ.) “მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარება საქართველოში” – პროექტი რამოდენიმეჯერ იქნა განხილული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზეც.

3.2. გაკეთდა რეცენზია ს/მ სამინისტროდან მიღებული პროექტის “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია”. მონაწილეობა მიიღო აკადემიის მიერ შედგენილი ალტერნატიული პროექტის დამუშავებაში, იყო ერთ-ერთი მომხსენებელი საქართველოს მეცნიერების ეროვნულ აკადემიაში, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო !!! განხილვა მის გარეშე შედგა?!

3.3. 2014 წლის იანვარში ს/მ სამინისტროსგან განსახილველად და სარეცენზიოდ მივიღეთ ”საქართველოს სოფლის მეურნეობაში

კოოპერაციის განვითარების პროექტი” – რომელიც დეტალურად იქნა შესწავლილი და აკად. ნ. ქარქაშაძის დასკვნას გაეცნო აკადემიაში ჩატარებულ გაფართოებულ თათბირს, რომელსაც ესწრებოდნენ სამინისტროს ხელმძღვანელები.

- 3.4. 2014 წლის ნოემბერში სსმმ აკადემიამ მიიღო გადაამუშავებული პროექტი “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესახებ”, აკად. ნ. ქარქაშაძის შენიშვნები და მოსაზრებები, შევიდა აკადემიის საერთო დასკვნაში.
- 3.5. გაუკეთდა რეცენზია მეცნიერ დვალის კონცეფციას – საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების შესახებ.
- 3.6. ერევნის აგრარული უნივერსიტეტის თხოვნით გაუკეთდა რეცენზია ქ. ერევანში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილ ორ მოხსენებას.

4. გრანტის მოსაპოვებლად აკად. ჯ. კაციტაძესთან და დოქტორანტ ი. კაპანაძესთან ერთად შეტანილია პროექტი.

5. აკად. ნ. ქარქაშაძე არის აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი, ენციკლოპედიის სარედაქციო კომისიის წევრი, უურნალ “მოამბისა” და “Известия аграрной науки” სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სექციის წევრი. იყო აკადემიაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ა.შ. მონაწილეობს მრგვალ მაგიდაში, აქვეყნებს პუბლიკაციებს, გამოდის ტელევიზიებში და ა.შ.

6. აკად. ნ. ქარქაშაძე აგრძელებს ლიტერატურულ მოღვაწეობას – ახალი წიგნი საქართველოს დღევანდელობას მიეძღვნება.

რაც შეეხება აკად. ნ. ქარქაშაძის მოსაზრებებს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, ფაქტიურად იგივე მოთხოვნილებებია, რომელიც წინა წლის ანგარიშში იყო, ვინაიდან ფაქტიურად არაფერი შეცვლილა, ამ მიმართულებით იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო დისკუსიებში.

#### 6.5.3.4. აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი



##### 1. თემის დასახელება:

2014 წელს, აკადემიაში აკად. ო. ქეშელაშვილმა წარადგინა 1 მიზნობრივი მოხსენება: სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები (ხედვა და წინადადებები), რომლის საფუძველზეც შესაძლოა მომზადდეს სამეცნიერ-პრაქტიკული ხასიათის პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის.

3. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები: წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით.

4. გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები: წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით.

8. სმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა (საკითხის მომზადება):

მონაწილეობას ღებულობდა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განხილულ ყველა საკითხში. ამ საბჭოზე 2014 წლის იანვარში მოსმენილი იქნა მის მიერ მომზადებული საკითხი: ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

9. სამეცნიერო საბჭოებში, კომისიებში, სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა. საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის დასახელება. საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის დანიშნულება. როლი საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის საქმიანობაში.

1. საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ის დამფუძნებელ-გამომცემელი, სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი.

2. საერთაშორისო კრებულის „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

13. როგორ წარმოგიდგენიათ სოფლის მეურნეობის განვითარება. წარმოდგენილია ცალკე დანართების სახით.

სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრობა:

არის საქართველოს მეცნიერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

დამატებითი საკითხი: 2014 წელს მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მემორანდუმი ს.მ. მეცნიერებათა აკადემიას და კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შორის.

14. საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს აკადემიურმა საბჭომ:

1. სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული პროგრამა (ეკონომიკურ-ტექნოლო-გიური რეკომენდაციები და მართვის მექანიზმი (სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი);

2. ფერმერთა კავლიფიკაციის ამალღების ცენტრის შესახებ.

3. კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ამოქმედებისა და რეალიზაციის შესახებ.

გამოქვეყნებული შრომები 2014 წელს (აკად.ო.ქეშელაშვილი)

№	შრომების დასახელება	დაბეჭდ ილია თუ ხელნა- წერი	დასახელება, გამომცემლობის , ჟურნალის, გამოცემის წელი, ჟურნალის №	ნაბეჭდი თაბა- ხების რაოდენო ბა	შენიშვნა (უზენეთ თანაავტ ორი)
1	ინოვაციური სამეცნიერო- გამოყენებითი პროექტები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის	დაბეჭდ	-გამომცემლობა „არეალი“, თბილისი, 2014  (მონოგრაფია)	4.7	-
2	აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“,  №1,თბილისი, 2014	0.9	-
3	საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საგანი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“,  №1,თბილისი, 2014	0.1	-
4		დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“,  №1,თბილისი, 2014	0.1	-

5	საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებზე მომქმედი ფაქტორები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1,თბილისი, 2014	0.1	–
6	საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებთან პრინციპები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1,თბილისი, 2014	0.1	–
7	ეკონომისტისა და ბიზნესმენის ცნობარი	დაბეჭდ	გამომცემლობა „არეალი“, თბილისი, 2014; (მონოგრაფია)	20.8	–
8	აგრარული სექტორის რაიონული დონის მენეჯმენტი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2,თბილისი, 2014	0.4	–
9	საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გარემო	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2,თბილისი, 2014	0.1	–

10	საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2,თბილისი, 2014	0.1	–
11	საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებთან სახემწიფოებრივი რეგულირება	დაბეჭდ	ჟურნალი „აგარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2,თბილისი, 2014	0.1	–
12	აგარული სექტორის ფემერული დონის მენეჯმენტი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2014	0.4	–
13	ეკონომიკური ცოდნის მცირე საგანძური	დაბეჭდ	გამომცემლობა „არეალი“, თბილისი, 2014. (მონოგრაფია)	4.4	–
14	საერთაშორისო ვაჭრობა და მომსახურეობა	დაბეჭდ	ჟურნალი „აგარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2014	0.1	–



15	კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2014	0.1	–
16	სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2014	0.1	–
17	წარმოების პროგნოზირება და მოდელირება	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2014	0.8	–
18	საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2014	0.1	–

19	მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გატანა	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, თბილისი, 2014	0.1	-
----	---	--------	---	-----	---

**სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყოებისა და მათი განვითარების რეგიონული ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების ირგვლივ მრავალი ათეული წლის განმავლობაში დიდი და ნაყოფიერი მეცნიერული და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოები შესრულდა, ამჟამად, ამ საკითხებისადმი მიდგომა ახლებურ ხედვასა და გადაწყვეტას მოითხოვს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ორი ძირითადი ამოსავალი კრიტერიუმი, პირველ ყოვლისა ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და მეორე მხრივ საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი და ეტაპობრივად ცვალებადი, ქვეყნის შიდა და გარე მარკეტინგული მოტივაციები, მოთხოვნები, შეზღუდვები, სტრატეგია.

ამასთან, დროის მოთხოვნა ხდება, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა ეყრდნობოდეს ახლებური და პროგრესული მეთოდოლოგიური და ინფორმაციული ტექნოლოგიების მთელ არსენალს, რომელიც მთლიან მოდელურ წრედში აუცილებლად უნდა მოიცავდეს რეგიონულ და მიკროეკონომიკურ გადაწყვეტებს. ამან, უტყუარი საყრდენი ბაზა უნდა შექმნას ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის სწრაფი და მდგრადი განვითარების სტრატეგიული პროგრამის დამუშავებისათვის. ეს, დინამიური პროცესი უნდა იყოს.

**სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები**

უკანასკნელ წლებში, ქართველ მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შორის კამათი და აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ რომელი დარგები უნდა გამოიყოს პრიორიტეტულად საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს კამათი დადებით შედეგებს მოგვცემს თუ გათვალისწინებული იქნება საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის მიკროზონალური ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება, შრომის დანაწილებაში მათი როლი და მნიშვნელობა, ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია და ამ პირობების მაღალი, ბიოლოგიური და ეკონომიკური უკუგებით გამოყენების უნარი, საბაზრო ეკონომიკისა და

არსებული და მომავალში გამოსაყოფი საბაზრო სეგმენტების, ამა თუ იმ პროდუქციით გაჯერების მოთხოვნები, მათი საექსპორტოუნარიანობა, ეკონომიკური ბერკეტებისადმი მორგებულობის, მედეგობისა და ლავირების შესაძლებლობა და სხვა.

გლობალიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისა და პოზიციების, აგრეთვე ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებისა და პოტენციური რესურსული შესაძლებლობების გათვალისწინებით, უკანასკნელ წლებში (2000-იანი წლები), საქართველოში პირველად (ხელმძღვანელი აკად. ო.ქეშელაშვილი), დამუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მარკეტინგული მოდელი, რომლის მიხედვითაც საბაზრო მოტივაციების შესაბამისად, განისაზღვრა სოფლის მეურნეობის რეგიონული პრიორიტეტები, დარგობრივ ჭრილში, შეფასდა და დადგინდა ის ოპტიმალური ეკონომიკური პარამეტრები, რაც ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით რეალურად მისაღწევ მიჯნებსა და დასაბუთებულ ზღვრებს წარმოადგენს ამა თუ იმ დარგისათვის, როგორც ადგილობრივი საბაზრო სეგმენტების გაჯერების, ისე მყარი საექსპორტო პოზიციების დაკავების მიზნით.

**ამის საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარებისათვის სარეკომენდაციო კვლევის შედეგად მიღებული შემდეგი დასკვნები:**

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო დიდი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური (როგორც ბუნებრივი ისე ეკონომიკური) შესაძლებლობების, აგრეთვე დიდი პერსპექტივების მქონე ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები, როგორცაა: მევენახეობა და ნიშანდობლივ სამრეწველო მევენახეობა, ასევე სამრეწველო მეხილეობა და სუბტროპიკული მიწათმოქმედების ძირითადი დარგები: მეჩაიეობა და მეციტრუსეობა და მათ ბაზაზე მომუშავე კვების მრეწველობის დარგები.

ამ პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების განვითარება შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალური ეფექტიანობითა და უკუგებით იქნას გამოყენებული საქართველოს უნიკალური ბიოკლიმატური პოტენციალი, ამასთან მაქსიმალურად იქნას ათვისებული მხოლოდ ის მიკროზონალური სივრცე, სადაც მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები არსებობს.

ეს დარგები, რომლებიც საექსპორტო და პოტენციურად კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ, საქართველოს სოფლის მეურნეობის გლობალური სტრატეგიის შესაბამისად მიეკუთვნა ე.წ. “ენერგომომტანი” დარგების ჯგუფს. ამ დარგებს სწორედ იმიტომ ეწოდა “ენერგომომტანი”, რომ მათი განვითარება საშუალებას იძლევა პროდუქციის ექვივალენტური, ბარტერული და სხვა ფორმის გაცვლების საფუძველზე და ამ ინტერესების შესაბამისად, ინტეგრირებულ საწარმოთა მოწყობითა და სხვა პროგრესული ორგანიზაციულ-სამარ-თლებრივი ფორმების გამოყენებით გარკვეულწილად გადავჭრათ სტრატეგიული ენერგეტიკული რესურსებით (ნავთობპროდუქტები, გაზი, ელექტროენერჯია) აგრეთვე კალორიატევადი სასურსათო პროდუქტებით (მარცვალი, შაქარი, ცხიმი, ზეთი, კარაქი და სხვა) უზრუნველყოფის პრობლემა.

როგორც ჩანს, ეს გლობალიზაციის პროცესში ჩართვისა და ფუნქციონირების სავსებით მისაღები და რეალური ფორმაა, ამავდროულად საქართველოს სოფლის მეურნეობას უნარჩუნებს თავის სპეციალიზაციასა და თვითმყოფადობას.

ამ პრიორიტეტულ დარგებთან, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, თანაბარი უპირატესობის მიცემით, ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორებისა და მიწათმოქმედების გაძღოლის ისტორიული ტრადიციების მხედველობაში მიღებით, შეთანაწყობილი უნდა იყოს ე.წ. “კალორიატევალი” პროდუქციის მომცემი კულტურების მოვლა-მოყვანა, კერძოდ: თავთავიანი პურეულის, სიმინდის, მარ-ვლეულ-პარკოსნების, ბოსტნეულის, კარტოფილის, აგრეთვე ტექნიკური და საკვები კულტურებისა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიული პოზიცია გვკარნახობს, რომ წარმოების ინტეგრირების, კოოპერირებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების, როგორც დღევანდელი, ისე თვალსაწიერი პერსპექტივის ბიზნესური მოთხოვნებიდან გამომდინარე, მისი სპეციალიზაცია, ისტორიულ-ტრადიციული მოდელიდან დიდ და რადიკალურ გადახრას არ ექვემდებარება. ეს იმას ნიშნავს, რომ სავენახე ფართობებს კვლავ ვენახი დაიკავებს, სახორბლეს-ხორბალი, სასიმინდეს-სიმინდი, სუბტროპიკული ზონის სივრცეს-ჩაი, ციტრუსი, სუბტროპიკული ხილი და ა.შ.

აღნიშნული, საერთო, პერსპექტიული პოზიციებიდან გამომდინარე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი ძირითადი მიმართულებები და პოზიციები:

1. გლობალური (საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების) პოზიცია, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოებრივ (ქვეყნის) დონეს. აქ ძირითადად თავსდება ზემოთ აღნიშნული “ენერგომომტანი” დარგები, რომელმაც უნდა აითვისოს ადგილობრივი, ახლომდებარე და შორეული საბაზრო სეგმენტები;

–ადგილობრივი, ახლომდებარე და შორეული საბაზრო სეგმენტების დასაპყრობად და გასაჯერებლად პრიორიტეტი უნდა მიეცეს დიდი ტრადიციების, ქართული იმიჯის შემქმნელ ისეთ დარგს, როგორცაა მევენახეობა და მის ბაზაზე მომუშავე მრავალპროფილიანი მეღვინეობა. ამ დარგებში საკმაოდ კონკურენტუნარიანი პროდუქტები შეიძლება ვაწარმოოთ (საჭირო იქნება ტექნო-ოგების სრულყოფა და ტექნოლოგიური გადაიარაღება), რასაც საქართველოს მთელი სამარკეტინგო ამინდის შექმნა შეუძლია.

საზგასანმელია, რომ ეს დარგები ამჟამად ჩისშია მოქცეული არამასტიმულირებელი და ჯერ კიდევ დასახვეწი ეკონომიკური გარემოს გამო, რაც დაბრკოლებას უქმნის საქართველოს მარკეტინგულ პოლიტიკას და არასწორ ორიენტაციას აძლევს მას. ანალოგიურად ითქმის სხვა დარგებზეც.

–ადგილობრივი და ახლომდებარე საბაზრო სეგმენტების დასაპყრობად და გასაჯერებლად, არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით, კვლავ ფართოდ უნდა განვითარდეს მეხილეობა და მის ბაზაზე მომუშავე საკონსერვო მრეწველობა.

საქართველოს მეხილეობის განვითარების დიდი ტრადიციები ისტორიის კუთვნილებად არ უნდა დარჩეს. საქართველოში ჩატარებული მდიდარი

სელექციური მუშაობის შედეგები საშუალებას იძლევა თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ მეხილეობის დარგი და პროგრესული და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების გამოყენებით საკმაოდ კონკურენტუნარიანი ხილი და მისი გადამამუშავების პროდუქტები ვაწარმოოთ.

—ადგილობრივი და პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბაზრო სეგმენტების გასაჯერებლად უნდა აღორძინდეს და ფართოდ უნდა განვითარდეს მეჩაიეობა და მეციტრუსეობა და მათ ბაზაზე მომუშავე მოდერნიზებული, პროგრესულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ჩაის მრეწველობა და სუბტროპიკული ხილის გადამამუშავებელი მრეწველობა;

ამ დარგების განვითარებისათვის არსებული ძვირფასი და ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალური გამოყენებლობის შემთხვევაში საქართველო დიდ მარკეტინგულ მარცხს წააწყდება, გარდა ამისა, დიდი სიძნელეები შეიქმნება შიდამარკეტინგული პოზიციიდან და რაც დიდად ანგარიშგასაწევია—მიკრორეგიონული სოციალური დაცვის თვალსაზრისით.

თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიდეს ადრეული მებოსტნეობა და მეკარტოფილეობა, რაც ამ დარგების განვითარებისათვის არსებული ძვირფასი მიკროკლიმატური პირობების რაციონალურ გამოყენებას მოითხოვს. ამავე ასპექტით, სტრატეგიულ მარკეტინგულ პოზიციას წარმოადგენს სასათბურე მებოსტნეობის აღდგენა და სტაბილური განვითარება.

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში განსაკუთრებული როლი შეიძლება შეასრულოს ისეთმა დარგებმა, როგორცაა მეფუტკრეობა და ეთერზეთების წარმოება.

დიდად ანგარიშგასაწევია ის, რომ ფუტკარს, თაფლის მოცემის გარდა, გაცილებით (10-15 ჯერ) მეტი სარგებლობა მოაქვს, როგორც მცენარეთა დამტვერიანების ძლიერ ფაქტორს.

2. ლოკალური, შიდასახელმწიფოებრივი და რეგიონულ-დარგობრივი პოზიციები—აქ თავსდება მეცხოველეობა და “კალორიატევადი” სასოფლო-სამეურნეო კულტურები, კერძოდ: მარცვლეული, საადრეო და საგვიანო კარტოფილი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი.

მეცხოველეობის დარგებიდან მეღორეობა და მეფრინველეობა მეტ-ნაკლებად ყველა რეგიონში, განსაკუთრებით საგარეუბნო ზონებში უნდა განვითარდეს; მეცხვარეობა—მთიან რაიონებში; სატბორე მეთევზეობა—შესატყვის ადგილებში; მებოცვრეობა (და სხვა)—ლოკალურ მასშტაბებში.

ქვეყნის ყველა რეგიონის საბაზრო სეგმენტები უნდა გაჯერდეს მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობის პროდუქციით, ამ დარგის მეტ-ნაკლები პროპორციებით ყველა რეგიონში განვითარებითა (ბარისა და სამთო პირობებზე მორგებით) და მის ბაზაზე ხორცისა და რძის მრეწველობის დონის ამაღლებით.

3. სახელმწიფოებრივი პროგრამის პოზიციები ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარცვლეული მეურნეობის განვითარებას. მარკეტინგული სტრატეგიის შესაბამისად სასურსათო მარცვლეული კულტურების (ხორბალი, სიმინდი) მოყვანა მეტ-ნაკლები მასშტაბით თითქმის ყველა რეგიონში შეიძლება, თუმცა, მის რეგიონულ რეგულირებას ახდენს ისტორიულად ჩამოყალიბებული ობიექტური ფაქტორი—მოსახლეობის

სპეციფიკური მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც აღმოსავლეთ საქართველოში უპირატესად მოიყვანება და მოიხმარება ხორბლეული, ხოლო დასავლეთში – სიმინდი. ეს გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მარკეტინგულ ბაზეზე და საბაზრო უზრუნველყოფაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი სტრუქტურა, რაც ობიექტური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გავლენით არის ჩამოყალიბებული, საშუალებას არ იძლევა ძირითადი სასურსათო პროდუქტები, მათ შორის სასურსათო და საფურაჟე მარცვლეული, გამოკვეთილი მინი-შნებით კი ხორბალი, გაწარმოთ იმ მოცულობით, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს, როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე, მითუმეტეს ტურისტებისა და საკურორტო და სამკურნალო კერებში მყოფ დამსვენებელთა (რომელთა რიცხვი წლითი-წლობით გაიზრდება) მოთხოვნილება.

პერსპექტივაში კი, თუ გავითვალისწინებთ და მხედველობაში მივიღებთ მაღალ და ინტენსიურ ტექნოლოგიებს, სელექციისა და გენეტიკის მიღწევებს, ჰიბრიდიზაციის ძალას და, ამის საფუძველზე პროგრამირებული მოსავლის მიღების პოტენციურ შესაძლებლობებს, ამ შემთხვევაში, საქართველო, საკუთარი წარმოებით შეძლებს დაიკმაყოფილოს მარცვლეულზე სასურსათო მოთხოვნილება, მაგრამ, ეს, ჯერჯერობით თეორიულ და მეცნიერულ ჩარჩოებს არ სცილდება.

ამიტომ, ჩვენ, არ უნდა გამოვედევნოთ და არ უნდა გაგვიტაცოს მარცვლეულით სწრაფად თვითდაკმაყოფილების კონცეფციამ და პრაქტიკული თვალსაზრისით აქცენტი უნდა გავაკეთოთ და ორიენტირად უნდა მივიჩნიოთ ის გზა, რომელსაც თვით ბუნება გვთავაზობს და გვკარნახობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციურად და აგრობიოლოგიურად ვარგისი სავენახე ფართობები უნდა დაიკავოს მხოლოდ ვენახმა; სახეხილე ფართობები-ხეხილოვანმა კულტურებმა და ისიც შერჩევითა და გამოზომილად: თესლოვნებმა, კურკოვნებმა, კაკლოვნებმა, კენკროვნებმა; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის ვარგისი ფართობები სწორედ ამ კულტურებმა; საბოსტნე-საბალჩე-ბოსტნეულ-ბალჩეულმა; საკარტოფილე-კარტოფილმა; საბალახე-სათიბ-საძოვრებმა და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასეთი გაადგილება და განაწილება საქართველოს ბუნების დაუწერელი კანონია და თუ ამ წესრიგს დაუფერებთ და მივყვებით, მას ზედმიწევნით მოერგება და შეეთანაწყოება მთელი ტექნოლოგიური არსენალი და პოტენციალი, შესაბამისად საწარმოო ინფრასტრუქტურა და საბოლოო შედეგად წარმოების მაღალი ეკონომიკური უკუგება.

4. საიმპორტო პოზიციებიდან გამომდინარე საქართველოს საბაზრო სეგმენტები მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად რომ გაჯერდეს აუცილებელი იქნება ისეთი ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტი (ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცვალებადი მოცულობებით), როგორცაა: მარცვლეული, ხორცი, რძე, და ხორცისა და რძის პროდუქტები, მეფრინველეობის პროდუქცია, ცხიმეული, აგრეთვე პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისი სხვადასხვა

სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის პროდუქტები, რომელიც ეტაპების მიხედვით ცვალებადი მოცულობითა და პროპორციებით იქნება შემოტანილი.

როგორც წესი, ექსპორტისა და იმპორტის რეგულირება უნდა ხდებოდეს ეკონომიკური ბერკეტების მარჯვე გამოყენებით, სწორი სამარკეტინგო სტრატეგიითა და მოქნილი მენეჯმენტით.

5. სერვისის სფერო და ინფრასტრუქტურა. ამ თვალსაზრისით საჭიროა ხელი შეეწეოს სხვადასხვა, მეწარმეობის კანონის შესაბამისი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სერვისული ტიპის საწარმოების ფუნქციონირებას, რომელიც შებოჭილი არ იქნება მოუქნელი საგადასახადო მექანიზმით და საშუალება ექნება ინდივიდუალურად და დიფერენცირებულად შეუხამოს თავისი საქმიანობა ადგილობრივ მოთხოვნებს და მარკეტინგის პრინციპებს.

### მენეჯმენტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის, მარკეტინგულ სისტემასა და გლობალიზაციის ერთიან პროცესში განვითარება უცილობლად უკავშირდება მენეჯმენტს. გლობალიზაციის პროცესის მაღალი დონე გულისხმობს იმას, რომ თვით სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს მენეჯერის როლში.

ამ თვალსაზრისით, ძირითად და მომქმედ ფაქტორებს წარმოადგენს:

- მორგებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი (მ.შ. კოოპერირებული და ინტეგრირებული) ფორმები;
- ფულად-საკრედიტო და საგადასახადო მექანიზმი;
- ეკონომიკური სტიმულები;
- ინსტიტუციონალური სისტემა;
- საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა;
- გარანტიებშემცველი სამართლებრივი ბაზა.

ამის საფუძველზე, სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა ასტიმულიროს, როგორც ამა თუ იმ ორგანიზაციული ფორმის განვითარება, ისე სახელმწიფო შეკვეთების შესრულება, ექსპორტ-იმპორტის პროპორციები, ინტეგრაციული ურთიერთობები, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციალური პირობები, ეკოლოგიური წონასწორობა—რაც გლობალიზაციის ელემენტებს შეადგენს.

სახელმწიფოს როლის ამადლების მიზნით, მიზანშეწონილია თითოეული რაიონისათვის დგინდებოდეს სახელმწიფოებრივი და სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სავალდებულო ზღვრული მოცულობები, რომლებიც მათ, სახელმწიფო შეკვეთის წესით მიეცემათ. ამ პროდუქციის შესასყიდლად წინასწარ იქნება განსაზღვრული შესყიდვის საგარანტიო ფასები, რაც საბაზრო ფასებს 8-10 %-ზე მეტად არ უნდა ჩამორჩებოდეს და პერიოდულად კორექტირდებოდეს.

ამასთან, თითოეული საწარმო უფლებამოსილებას არ კარგავს საგარანტიო ფასით გასაყიდი პროდუქციის გარდა აწარმოოს ნებისმიერი სახისა და რაოდენობის პროდუქცია (რაც კანონით არ იკრძალება) და გაყიდოს თავისუფალ ფასებში, ნებისმიერ ადგილას და პირობებში, როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზარზე. ეს, დიდ სტიმულს მისცემს აგრარულ სექტორში მეწარმეობის განვითარებას.

ცალკე მუშაობა სჭირდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციისა და მისთვის, დარგობრივ-რეგიონულ წარმოსახვაში, სოფლის

მეურნეობის აღმავლობის მიზნით რეალური ფუნქციების (განსაკუთრებით წარმოების რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით) მინიჭების საკითხის დამუშავებას.

### **სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების რეალიზაციის ინტენსიური გზები და მეცნიერული რეკომენდაციები**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამდლებისა და მდგრადი განვითარებისათვის პრიორიტეტული მიზნებისა და მასშტაბების მისაღწევად საჭიროა:

- სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესებისთვის ხელის შეწყობა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესვა მაღალმოსავლიანი ჯიშებით;
- სარგავი მასალის წარმოების ტექნიკური ბაზის გადართობა და სრულყოფა;
- მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის ზედმიწევნით მიზნობრივი და სრულყოფილი გატარება;
- არსებული სარწყავი სისტემებისა და მცირე ქსელების სრულ მზადყოფნაში მოყვანა, მათი რეაბილიტაციისა და განახლების საფუძველზე;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგებისა და გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციების დამუშავება და დანერგვა;
- პროდუქციის გადამუშავების (მ.შ. ექსპრეს-გადამუშავების), გასაღების, წარმოების საშუალებებით მომარაგებისა და საწარმოო მომსახურების ტიპის დამოუკიდებელი და მინი-ინტეგრირებული საწარმოების (კოოპერატივების და სხვა ფორმის) შექმნა;
- სახელმწიფო დაკვეთებისა და შესყიდვების მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება;
- საბაზრო სეგმენტების სწორად შერჩევა და პროდუქციით გაჯერების სტაბილურობის მიღწევა;
- სამეურნეო რისკის მართვა;
- წარმოების ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების ეკონომიკური მოდელების შექმნა და მისი რეალიზაციის ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება.

ზემოთ აღნიშნული, პროგნოზული მარკეტინგული მოდელით დადგენილი პარამეტრები შეესაბამება იმ პოზიციას, რომ, ჯერ თანდათან უნდა დაგვიდგინოთ წლობით დაგროვილი კრიზისული ვითარება და დონე, არაინტენსიური განვითარების ტემპი და თანდათან გადავიდეთ პროგრესულ ტექნოლოგიებზე.

ასეთი მიდგომითა და სტრატეგიული მიმართულებების რეალიზაციით საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა გახდეს.

**ეს, რომ რეალობად იქცეს აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარება.**

გასული, მთელი ოცი საუკუნის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების საკითხი ისე მწვავედ და აქტუალურად არ დამდგარა, როგორც ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ევოლუციური (თანდათანობითი) ცვლილებები უკვე ვეღარ ესატყვისება და ვერ ეთავსება ამჟამინდელ და აქამდე უცხო, ეკონომიკური ზრდის (განვითარების) წარმოუდგენლად სწრაფ ტემპებს, ამას გარდა, რესურსული პოტენციალის ათვისებისა და გამოყენების ტერიტორიულ-სივრცობრივმა ფაქტორებმა დაკარგა თავისი ძალა და შესაძლებლობები და გზა დაუთმო რევოლუციურ ანუ ინტენსიურ ფაქტორებს.



ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა თითოეული ჰექტარი მიწა და რესურსი რაც შეიძლება მეტად „გამოიწველოს“ და მისგან, რეალურად რაც შეიძლება მეტის გამოტანა მოხერხდეს. ასეთი, საწარმოო რესურსების გამოწვლილვით გამოყენების (მოხმარების) მიმართულება ინტენსიური, უფრო სწორად, ინტენსიფიკაციის ფაქტორებით ზემოქმედებასა და რეგულირებას თხოულობს. სწორედ აქ იხენს თავს წარმოების ინტენსიფიკაციის ისეთი მძლავრი, ქმედითი და თანამედროვეობაზე მორგებული ფაქტორები, როგორცაა: მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, ქიმიზაცია, მცენარეთა და ცხოველთა ინტეგრირებული დაცვა, მელიორაცია (წყლის ძალის გამოყენება და ზედმეტ (ჭარბ) ტენთან ბრძოლა), მოსავლის პროგრამირება, ხარისხის მართვა, რისკის ფაქტორების გავლენის შემცირება, მარკეტინგის მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენება, მომავლის საწარმოთა მოდელირება და სხვა. ეს ჩამონათვალი თანდათან უფრო გაფართოვდება თუ მხედველობაში მივიღებთ ნანოტექნოლოგიისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვა მიღწევებს.

წარმოების ინტენსიური განვითარების აუცილებლობა გაპირობებულია მსოფლიო გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესით, როდესაც მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს თითოეული რეგიონის (სახელმწიფოს, მხარის, ზონის და ა.შ.) პოტენციალი, როლი და ადგილი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, სპეციფიკური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნიშან-თვისებები, მომავლის მოდელი და ქვეყნის წონადი სახე, სრულად იქნას რეალიზებული პრიორიტეტული-სტრატეგიული, მაგისტრალური მიმართულებები.

#### **სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია:**

- ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს სწორი მეცნიერული შესწავლა და შეფასება;
- ნიადაგური და ბიოკლიმატური პოტენციალის მაღალი დატვირთვითა და მაღალი უკუგებით, ზონალურ-დიფერენცირებული სპეციფიკის შესაბამისი გამოყენება;
- ახალი, ინტენსიურ ტექნოლოგიებზე მორგებული ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა და მათი ინტენსიური და ინდუსტრიული ტექნო-ლოგიებით მოვლა-მოყვანა;
- წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის მართვის ავტომატიზებულ, პროგრამირებულ სისტემებზე გადაყვანა;
- მთელი რესურსული პოტენციალის: მიწის, წარმოების ძირითადი საშუალებების, ინტენსიფიკაციის ფაქტორების, შრომითი რესურსების, ახლებური, თანამედროვე, ინტენსიური ტექნოლოგიების შესაბამის ნორმატივებსა და ენერგეტიკულ კრიტერიუმებზე, ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ მოთხოვნებზე დაყრდნობილი, ზონალურ-დიფერენცირებული და მოდიფიცირებული გამოყენება;
- ინტენსიურ საფუძვლებზე მოწყობილი და მართვის ავტომატიზებულ სისტემურ მოდელზე დაფუძნებული საწარმოო ინფრასტრუქტურა, რასაც ამჟამად არანაკლები როლი მიეკუთვნება, ვიდრე თვით წარმოების პროცესს.
- წარმოების მართვაში რისკ-მენეჯმენტის ფაქტორის აუცილებელი გათვალისწინება;
- ძლიერი ინვესტიციური გარემოს შექმნა და რეგულირებული გამოყენება;

- ინოვაციური (ცოდნის) ეკონომიკის თანდათანობითი და მიზნობრივი გამოყენება.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება უნდა გავიგოთ და განვიხილოთ იმ თანამედროვე ფორმულირების პასუხად, როგორცაა: ახალ დროს ახალი პირობები და ახლებური გადაწყვეტები სჭირდება; ამასთან, საჭიროა იმის გათვალისწინება და გათავისება, რომ ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან და წარმოების ახლებურ-ინტენსიურ ტიპს ახალი, ინტენსიურ-ინდუსტრიული ტექნოლოგიები და მართვის ავტომატიზებული, პროგრამირებული სისტემები უზრუნველყოფენ.

აი, ასე სრულად და რთულად დგას ახლა, საქართველოსა და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წინაშე, წარმოების ინტენსიური განვითარების, გლობალიზაციის გავლენით წამოჭრილი აუცილებლობის პრობლემა.

**საკითხი, გლობალურად უკვე ასეა დასმული: მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც განავითარებს ინოვაციურ ეკონომიკასა და გადაწყვეტს წარმოების, უპირატესად სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ინტენსიურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანას.**

სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მმართველობრივი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები:

- წარმოების ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფის თვალსაზრისით საჭიროა გადაიდგას ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ ეტაპობრივად (თუმცა, არახანგრძლივი დროის მანძილზე) ნებაყოფლობით (დარწმუნების მეთოდის გამოყენებით), შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მიღების საფუძველზე მოხდეს ფერმერულ მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილის ბაზაზე, საშუალო სიდიდისა და შედარებით მსხვილი კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების შექმნა. დაჩქარებული ტემპით უნდა დამუშავდეს და დამტკიცდეს კოოპერირებულ და ინტეგრირებულ საწარმოთა სანიმუშო წესდება.

ამ კოოპერატივებსა თუ ინტეგრირებულ ფორმირებებს უნდა გააჩნდეთ თავისი აგროტექსერვისული სამსახურები, სათანადო სასაწყობო მეურნეობები, გადამმუშავებელი (შესაბამისი სიდიდისა და მასშტაბის) საწარმოები, პროდუქციის სარეალიზაციო სამსახურები და სხვა შესაბამისი თანაფორმირებები. დასაშვებია აგრეთვე, ცალკე შეიქმნას კოოპერირებული ტიპის აგროტექსერვისის ფორმირებები.

ასეთი რეორგანიზაცია საშუალებას მოვცემს მაქსიმალური ეფექტურობით გამოვიყენოთ წარმოების ძირითადი საშუალებები (განსაკუთრებით მიწის რესურსები, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად მიგდებული და გავერანებულ-გატივებულია), ტექნოლოგიური ხერხები და ღონისძიებები, ინტენსიფიკაციის ფაქტორები, კაპდაბანდებები, მაღალი უკუგებით ავითვისოთ მარკეტინგული სივრცე, განვაითაროთ საგარეო-ეკონომიკური კავშირები, ინცესტიციების მოზიდვის პროცესი და სრულყოთ მენეჯმენტი.

## გააზრებები და პოზიციები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით:

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად გამოცხადება და ამ მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლისა და ფუნქციების ამაღლება და გაძლიერება სავსებით დროული და მართებულია. ამას, თვით სოფლის მეურნეობის სპეციფიკა, მისი პოტენციური შესაძლებლობები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობაც გვკარნახობს.

ამ, დიდი, სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტა უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს, მრავალფაქტორულ ეკონომიკურ ანალიზს, სრულყოფილ საკოორდინაციო სისტემას, კვალიფიციურ საკონსულტაციო სამსახურს, ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და მათი კვალიფიკაციის სისტემატიურ ამაღლებას. ეს სფეროები და ბერკეტები, სოფლის მეურნეობის სამინისტროში, უკანასკნელ წლებში, თითქმის აუმოქმედებელი და გამოუყენებელი იყო. ამის გარეშე კი აგრარული სექტორის წინსვლა წარმოუდგენელია. მაგრამ, ახლა, გვესახება, რომ შემობრუნების ეტაპი იწყება.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად და საჭიროდ მიმაჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროში საგანგებოდ შეიქმნას ერთანი, **ანალიტიკურ-საკოორდინაციო და საკონსულტაციო-საკვალიფიკაციო ცენტრი**. ამ ცენტრმა საერთო ხელმძღვანელობა და კოორდინაცია უნდა გაუწიოს ანალოგიურ, ახლებურად გააზრებულ და შესაქმნელ რეგიონულ სტრუქტურებს (ფილიალებს).

ანალიტიკურ-საკოორდინაციო და საკონსულტაციო-საკვალიფიკაციო ცენტრის ფუნქციური დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს და მოიცავდეს შემდეგი სამუშაოების შესრულებას:

### I. ეკონომიკური ანალიზის, მარკეტინგული სტრატეგიის, განვითარების პრიორიტეტებისა და კოორდინაციის მიმართულებით:

- მოამზადოს კომპლექსური, დარგობრივ-რეგიონული ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ანალიზის, ახლებური მიდგომისა და ხედვის მეთოდური მიმართულებები, ხელმძღვანელობა და კოორდინაცია გაუწიოს მის რეალიზაციას რაიონულ ფილიალებში და მოამზადოს საერთო, კრებსითი, სარეკომენდაციო და სახელმძღვანელო, ყოველწლიური ანალიტიკური კრებულები (სასურველია გამოიცეს მასობრივი, ლიმიტირებული ტირაჟით);
- კოორდინაცია გაუწიოს სამინისტროს შიდა სტრუქტურების ფუნქციონირებას, კრებსითი მასალების მომზადებისა და მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნის მიზნით;
- მოამზადოს აგრარული რეფორმის და ამის შესაბამისად სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი, თანამედროვე მოთხოვნებითა და პრიორიტეტული მიდგომებით შეჯერებული კონცეფცია, სტრატეგიული პროგრამა და მისი განხორციელების ეტაპობრივი გზები, პასუხისმგებელი სუბიექტებისა და შესრულების ვადების მითითებით და კოორდინაცია გაუწიოს მის შესრულებას; აღნიშნული პროგრამა უპირატესად უნდა მოიცავდეს ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ პოლიტიკას, პრიორიტეტებს და რეალიზაციის ინსტიტუციონალურ სისტემას; ამ სამუშაოებმა უნდა მოიცვას შესაბამისი საკანონმდებლო პროექტის მომზადებაც;

- უნდა განსაზღვროს (ახლებურად) სოფლის სტატუსი, თვითმმართველობის სისტემისა და სქემის ასახვით და მოამზადოს შესაბამისი საკანონმდებლო პროექტი;
- დაამუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზონალურ-დიფერენცირებული შეფასების მრავალფაქტორული ანალიზი და პერიოდულად განაახლოს იგი;
- დაამუშაოს აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ-რესურსული და ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისა და ზრდის ზონალურ-დიფერენცირებული სტრატეგიული სისტემა და პერიოდულად განაახლოს იგი;
- განსაზღვროს სასურსათო უსაფრთხოების რესურსულ-პროდუქტიული პოტენციალი და დაამუშაოს მისი გამოყენების რეგულირებისა და მართვის მექანიზმი;
- დაამუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების მარკეტინგული მოდელი, გლობალური და ლოკალური დიფერენციაციითა და პრიორიტეტების გამოყოფით;
- დაამუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების მრავალვარიანტული (ოპტიმისტური, პესიმიტური და ოპტიმიზირებული) პროგნოზული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, თვალსაწიერი და შორეული პერსპექტივისათვის, რომელიც მიჩნეული იქნება წინასაპროგრამო მეცნიერულ რეკომენდაციებად;
- დაამუშაოს კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების (ფორმირებების) შექმნისა და განვითარების ეკონომიკური საფუძვლები და რეკომენდაციები, რათა ამ გზით სოფლის მეურნეობა, შეწონასწორებულად, თანდათანობით გადავიდეს კოოპერირებული და ინტეგრირებული განვითარების ფორმებზე (გზაზე). ეს სამუშაოები უნდა მოიცავდეს ამ ფორმირებათა სანიმუშო წესდებებისა და იურიდიული ნორმების (საკანონმდებლო ბაზის) მომზადებასაც;
- ეკონომიკურად შეაფასოს სოფლის მეურნეობის საწარმო ინფრასტრუქტურის გამოყენება და დაამუშაოს მისი რეგულირებისა და უკუგების ამაღლების რეკომენდაციები;
- დაამუშაოს აგრობიზნესის ადმინისტრირების ეკონომიკურ-პროგრამული, ინსტიტუციონალური მოდელეები და პრაქტიკული რეკომენდაციები (მოიცავს ფერმერული და სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო, კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების მიერ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების კრიტერიუმებს, ფორმებს, სარეკომენდაციო პარამეტრულ სიდიდეებს, ფასებისა და ფასწარმოვნის მექანიზმს, მენეჯმენტს და სხვა ინსტიტუციონალურ პოზიციებს);
- დაამუშაოს სამეურნეო რისკის შეფასებისა და მართვის ზონალური რეკომენდაციები;
- დაამუშაოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სხვადასხვა დონის მენეჯმენტი და მისი ოპტიმალური მოდელეები;
- დაამუშაოს რაიონების მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამები (საწარმოთა ჭრილში–ხელშეკრულების საფუძველზე);
- დაამუშაოს ფერმერული და სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო, კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების ბიზნეს-გეგმები (ხელშეკრულების საფუძველზე);

- შეადგინოს სამინისტროს დაქვემდებარებაში შესაქმნელი სანიმუშო-საჩვენებელი კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების წესდება და მენეჯმენტის მოდელი;
- შეადგინოს ინვესტიციების მოზიდვისა და რეგულირებული გამოყენების ეტაპობრივი პროგრამა;
- შეადგინოს ინოვაციებისა და ნოუ-ჰაუს დანერგვის ეტაპობრივი პროგრამა;
- იმუშაოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ მექანიზმსა, ინსტიტუციონალურ სისტემასა და მისი რეგულირების რეკომენდაციების მომზადებაზე;
- დაამუშაოს აგრარული და სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და რეგულირებული გამოყენების რეკომენდაციები;
- დაამუშაოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფის პროგრამა;
- კოორდინაცია გაუწიოს მიწის კადასტრის, მიწის ეკონომიკური შეფასებისა და მიწის ფასის ზონალურ-დიფერენცირებული სიდიდეების განსაზღვრის სამუშაოებს და მისი საკანონმდებლო პროექტის მომზადებას;
- იმუშაოს აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ღონისძიებების ეკონომიკურ შეფასებაზე (ეფექტიანობის განსაზღვრაზე), ცალკეული დარგის მიხედვით;
- იმუშაოს აგროტურიზმის სისტემური მოდელის შექმნაზე, მისი განვითარების ზონალურ დიფერენციალისა და მართვის მექანიზმზე;
- დაამუშაოს სამეწარმეო სამართლის, საადგილმამულო ურთიერთობებთან, მიწასთან, უძრავ

ქონებასთან და სასურსათო და შრომის ბაზრის რეგულირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დატვირთვის ნორმების რეკომენდაციების დამუშავების მეთოდური მიმართულებები და კოორდინაცია და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმიანობას (საჭირო იქნება მომზადდეს შესაბამისი საკანონმდებლო პროექტი);

- კოორდინაცია და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკის შესაბამისი საკანონმდებლო პროექტების მომზადებასა და მის პარლამენტში წარდგენას, დასამტკიცებლად (უნდა მომზადდეს კანონპროექტები: სოფლის სტატუსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, აგრარული რეფორმის შესახებ, მიწისა და სასოფლო-სამეურნეო უძრავი ქონების პრივატიზაციის შესახებ (ახლებურად), მიწისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის შესახებ, რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ, მთიანი რაიონების განვითარების შესახებ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერირებისა და ინტეგრირების შესახებ, სელექციისა და ჯიშთა-გამოცდის შესახებ, ვაზისა და ღვინის შესახებ (განახლებული), ჩაისა და ჩაის მრეწველობის შესახებ, ეკოლოგიურად სუფთა, ბიოპროდუქტების წარმოების შესახებ, საკრედიტო კავშირებისა და საადგილმამულო ბანკის შექმნის შესახებ და სხვა);

- გაშალოს სპეციფიკური სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა;
- კოორდინაცია გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ახალი აგროწესების,

შესაბამისი რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შეადგენასა და გამოცემას და მათ დარიგებას სახელმძღვანელოდ ფერმერული, სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო, კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოებისათვის;

- ჩამოაყალიბოს სამინისტროს მუშაკათვის უწყვეტი სწავლების სკოლა (მრავალფეროვანი

თემატიკური სასწავლო ციკლით),საერთო ხელმძღვანელობა და კოორდინაცია გაუწიოს მის მუშაობას.

## **II. საკონსულტაციო სამსახურის ხაზით:**

გაუწიოს მაღალკვალიფიციური კონსულტაციები (ცენტრში გაერთიანებულ მოწვეულ მეცნიერთა და სპეციალისტთა მეშვეობით) ფერმერული, სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო, კოოპერირებულ თუ ინტეგრირებულ საწარმოთა ხელმძღვანელებს, ბიზნესმენებს, ახალგაზრდა მეცნიერებსა და სპეციალისტებს, სოფლის მეურნეობის ნებისმიერ საკითხზე (ეკონომიკის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, აგროტექნიკის, ზოოტექნიკის, ვეტერინარიის, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის, გასაღებისა და რეალიზაციის, პროდუქციის გადაამუშავების, ინვესტიციების, ინოვაციების, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა და სხვა სფეროების ხაზით);

## **III. ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხაზით (სამინისტროს დაფინანსებით უნდა შეიქმნას სსმმ აკადემიაში).**

ცენტრის მიზანი უნდა იყოს:

სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე და მუშაობის მსურველ სპეციალისტთა (მათ შორის სამინისტროს თანამშრომელთა) მრაველმხრივი მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რომელიც დაეყრდნობა მომავალზე ორიენტირებულ, უწყვეტი სწავლების პრინციპებზე აგებული და ინფორმაციული ტექნოლოგიებით გაჯერებული სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, დარგობრივ-რეგიონულ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ საფუძვლებს, გრძელვადიან მარკეტინგულ სტრატეგიას.

ცენტრის ამოცანები და ძირითადი შედეგები იქნება:

- სწავლების ახლებური, პროგრესული, ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დამყარებული ფორმებისა და მეთოდების შემოღება და დანერგვა;
- სოფლად მომუშავე სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და ნორმატიულ-საცნობარო კრებულების გამოცემა;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ფართო ფენის მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება;
- სოფლად მომუშავე სპეციალისტთა ფართო ფენის მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, მისი დონისა და ეფექტურობის ამაღლება;
- სოფლის მეურნეობის მტკიცე საწარმოო-ტექნიკური ბაზის შექმნა და მისი რაციონალური გამოყენება;
- თითოეული რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების ურთიერთშეწონასწორებული გამოყენება.

ანალიტიკურ-საკოორდინაციო და საკონსულტაციო-საკვალიფიკაციო ცენტრმა, დარგობრივ მეცნიერებებთან კოორდინაციაში, უნდა იმუშაოს ისეთ საკითხებზეც, რაც ადრე, ნაკლებად, ან არ დამუშავებულა:

- უნდა დაამუშაოს და გამოსცეს კაპიტალური ნაშრომი: „რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის გაძღოლის ზონალური სისტემების შესახებ“ (ასეთი ნაშრომი ოც წელზე მეტია აღარ დამუშავებულა, ამ ხაზით კი დიდი ტრადიციებია დაგროვილი);
- უნდა დაამუშაოს საქართველოს აგრომარკეტინგული ატლასი (საერთოდ არ დამუშავებულა);
- უნდა დაამუშაოს და გამოსცეს კაპიტალური ნაშრომი “სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური საცნობარო-ნორმატიული მასალების კრებული“ (ასეთი ნაშრომი აღარ გამოცემულა თითქმის 40 წელია. იგი აუცილებელია თითოეული ფერმერული თუ სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო და ინტეგრირებული საწარმოსათვის);
- უნდა შექმნას და გამოსცეს სოფლის მეურნეობის ენციკლოპედიის 5 ტომეული (ადრე საერთოდ არ შექმნილა);
- უნდა გამოსცეს მრავალტომეული: აგრარული და აგრარულ-ეკონომიკური ცოდნის საგანძური-ქრესტომატიული და სარეკომენდაციო ხასიათის ცალ-ცალკე წიგნები თითოეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე, პირუტყვის სახეზე და აგრარულ და აგრარულ-ეკონომიკურ პრობლემებზე (ადრე საერთოდ არ შექმნილა).

#### 6.5.3.5. აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა



#### 2014 წელს გამოქვეყნებული სტატიები, მოხსენებები, მომზადებული რეკომენდაციები

1. ნ. ჭითანავა, სტატია „აგრარული სექტორი ახალი გამოწვევების წინაშე“, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ N2, მარტი 2014 წელი. სტატიაში განხილულია თანამედროვე პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში შექმნილი პრობლემები. შემოთვალისწინებულია რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ (გვ. 17).
2. 2014 წლის 16 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებულ ღია კრებაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე „საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები“. მოხსენებაში კომპლექსურად განხილულია უკანასკნელ წლებში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები.

ნაჩვენებია, რომ სასურსათო უსაფრთხოება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. სურსათზე მოთხოვნილების 75-80%-ის დაკმაყოფილება იმპორტული პროდუქტებით ხდება. შემოთავაზებულია რეკომენდაციები იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების გადიდებისა და საექსპორტო პროდუქციის ზრდის სტიმულირებისათვის (გვ.31).

3. აკად. ნ. ჭითანავას მონაწილეობით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მომზადდა „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და მათი გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები“. იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტსა და პრემიერ მინისტრს. დოკუმენტში მოცემულია 1991-2013 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსური ანალიზი. ახსნილია ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს აგრარულ სფეროში ჩამორჩენა, რიგი დარგების დეგრადაცია. მოცემულია სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების სტრატეგიული მიმართულებანი. დასაბუთებულია 2020 წლამდე პერიოდისათვის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება-განხორციელების აუცილებლობა (გვ. 110).
4. 2014 წლის 17 ოქტომბერს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში“. მოხსენებაში გაანალიზებულია ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს ეკონომიკის მონაწილეობის ეტაპები, თავისებურებები, ტენდენციები. განხილულია ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე პრობლემები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის შემდგომი გაღრმავების შესახებ. ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფასთან ერთად არგუმენტირებულად წარმოდგენილია წინადადებები გეოეკონომიკური უპირატესობათა უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის, რომ საქართველოს აქვს ისტორიული შანსი უფრო ეფექტიანად გამოიყენოს ევროპა-აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებაში მისი ახალი ფუნქცია. (გვ. 22).
5. აკად. ნ. ჭითანავა ნოემბერში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან მივლინებული იყო აჭარაში, შუახევის საპატრიარქოს უნივერსიტეტში, სადაც პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები“.
6. მიმდინარე წელს მისი ხელმძღვანელობით მომზადდა: 2 საბაკალავრო ნაშრომი თემაზე: „მცხეთა-მთიანეთის ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების ძირითადი მიმართულებები“, „ტრასეკასა“ და „ენერგეტიკული



დერეფნის როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში“ და სამაგისტრო ნაშრომი „გლობალიზაცია და ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

7. 2014 წელს სდასუ-ში ასწავლიდა შემდეგ საგნებს: „ეკონომიკის პრინციპები“ (ეკონომიკური თეორია)-ს, „ეკონომიკის პრინციპები - 2“, „საქართველოს ეკონომიკა“, „სოციალური პოლიტიკა“, „ეკონომიკური გლობალიზაცია“.
8. აკად. ნ. ჭითანავა არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მთის პრობლემების მუდმივმოქმედი კომისიის“ წევრი. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ სამეცნიერო საბჭოს წევრი.
9. 2014 წელს მისი რედაქტორობით ორი წიგნი გამოვიდა.
10. აკად. ნ. ჭითანავას მიზანშეწონილად მიაჩნია რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებზე აკადემიის ეგიდით სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციების ჩატარება (რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით შედგება თემატიკა).

#### 6.5.3.6. აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე



2014 წელს აკად. გ. ჯაფარიძე მუშაობას განაგრძობდა სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე, მის მიერ შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების ახალ სტრატეგიასთან დაკავშირებით წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს საატყეო სააგენტოს.

ამავე პერიოდში მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების საერთო კრებაზე ერთობლივი განხილვის შემდგომ, როგორც აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის საფუძველი განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს მთავრობას.

აკადემიის ეროვნულ კოორდინატორთან სატყეო დარგში პროფ. გ. გაგოშიძესთან ერთობლივად შემუშავებული და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში წარდგენილი იქნა კანონპროექტი ქარსაფარი ზოლების გაშენების საკითხებთან დაკავშირებით.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტებთან გ. ნიკოლეიშვილთან, ე. შაფაქიძესთან ერთობლივად შემუშავებული იქნა საინვენსტიციო პროექტი – “მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში”

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო სტატია:

- “ბუნების დაცვითი კანონმდებლობის ცალკეული ასპექტები”;

- “მევენახეობა-მეღვინეობის აგროეკოლოგიური თავისებურებანი შიგნიკახეთში”;
- “წინადადებები საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიისათვის”;
- “შიგნიკახეთში ვაზის ტენით უზრუნველყოფის საკითხისათვის”,
- “კლიმატის ცვლილება და მევენახეობა-მეღვინეობის აგროეკოლოგიური პოტენციალი შიგნიკახეთში”.

ამჟამად გამოსაქვეყნებლად გადაცემულია სტატიები: “სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემა საქართველოში” (აკად. გ. ალექსიძესთან ერთობლივად).

-“სატყეო განათლება საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები” (პროფ. გ. გაგოშიძესთან ერთობლივად);

-“სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები” (ხედვა და წინადადებები აკად. ო. ქეშელაშვილთან ერთობლივად).

როგორც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი - აკადემიკოს-მდივანი პრაქტიკულად აკად. გ. ჯაფარიძე მონაწილეობდა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომების საკითხებისა და საერთაშორისო კონფერენციების მომზადება-ჩატარებაში, რომელთა შორის აღსანიშნავია:

ა.წ. 2 - 4 ოქტომბერს ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია - “კლიმატის ცვლილებების გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე” (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე);

- 2014 წლის 6 თებერვალი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობით ჩატარებული მრგვალი მაგიდა თემაზე: “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში”;

- 2014 წლის 21 მარტი – შეხვედრა ეროვნულ კოორდინატორებთან;

- 2014 წლის 26 მარტი – სემინარი “მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები”;

- 2014 წლის 04 აპრილი – სემინარი თემაზე: “დაჭაობებული ტერიტორიების ეკოსისტემის მდგრადი მართვა”;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომზადებული “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის”- განხილვა. (მრგვალი მაგიდა 2014 წლის 11 ივლისი);

- 2014 წლის 16 ივლისი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ღია კრება “საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები”;

- 2014 წლის 24 ოქტომბერი – სემინარი: “სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია”;

- 2014 წლის 30 ოქტომბერს – სემინარი: “სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია”;

- 2014 წლის 07 ნოემბერი - სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: “სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემის შესახებ საქართველოში”;

- 2014 წლის 19 ნოემბერი – შეხვედრა პოლონეთის ქალაქ პოზნანის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის დელეგაციასთან (მიღებული იქნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელთა შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებთან და აპარატის მუშაკებთან, რომლის დროსაც დაისახა აკადემიასა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობის ღონისძიებები, რაც ასახული იქნება თანამშრომლობის მემორანდუმში და სხვა.

აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომისათვის აკად. გ. ჯაფარიძის უშუალო მონაწილეობით მომზადებული იქნა:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის სამუშაო პერსპექტიული გეგმის პროექტი;
- დებულება “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივნის-სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორის შესახებ”;
- წინადადებები და შენიშვნები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015-2020)”-ის განახლებულ დოკუმენტთან დაკავშირებით;
- “სატყეო განათლება საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები” (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ გიორგი გაგოშიძესთან ერთობლივად);
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი. (აკად. თ. კუნჭულიასთან ერთობლივად);
- ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორების შესახებ. (აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან ე. შაფაქიძესთან ერთობლივად);
- დებულება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს-მდივნის, აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), უცხოელი წევრებისა და საპატიო აკადემიკოსების, აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრების, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების არჩევნების ჩატარების შესახებ;
- ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების შესახებ;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს მდივნებთან და აკადემიის სწავლულ მდივანთან ერთობლივად) და სხვა.

ამჟამად აკადემიის აკადემიური დეპარტამენტისა და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილესთან, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორთან და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნებთან ერთობლივად აკად. გ. ჯაფარიძე მუშაობს აკადემიის 2015 წლის პერსპექტიულ სამუშაო გეგმისა და აკადემიისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტის შედგენაზე, რომელიც განსახილველად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

### 6.5.3.7. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი



#### 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობა

##### I. გამოქვეყნებული შრომები:

1. მიწის რესურსების ეფექტური მართვა სიღარიბის დაძლევის წინაპირობაა, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, 2014, გვ. 34-42;
2. მიწის საკუთრების შესახებ, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, 2014, გვ. 39-51;
3. როდის ეყოლება საქართველოს მიწას პატრონი, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, 2014, გვ. 23-34;
4. სინერგია სოფლის მეურნეობაში – თანამშრომლობა უფალთან, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, 2014, გვ. 58-67;
5. კიდევ ერთხელ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესახებ „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, 2014, გვ. 35-48;
6. საღი გონება ჯანმრთელ სხეულში - „ბუნებრივი“ საკვებით. ბიზნეს-ინჟინერინგი, №1, 2014. გვ. 153-158;
7. კიდევ ერთხელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განმსაზღვრელი ძირითადი არსის განმარტებისათვის, ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-2, 2014 გვ. 104-113;
8. აქეთ – აყვავება, იქეთ – ხრამი, ჟურნალი „ეკონომიკა“, №3-4, 2014, გვ 77-90;
9. მიწის რეგულაციის უქონლობა დაუშვებელია, ჟურნალი „ეკონომიკა“, №7-9, 2014 გვ 6-18;
10. სტრატეგია სრულყოფას საჭიროებს, ჟურნალი „ეკონომიკა“, №10-12, 2014, გვ.6-14;
11. საქართველოს სოფლის ტევადობა, „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, 2014, გვ. 43-56;
12. კონსტიტუციის სწორი გაგება სავალდებულოა, პირველ რიგში მიწის საკითხში, „ეკონომიკა და ბიზნესი“, №5, 2014, გვ. 189-203.
13. დავიცვათ ქართული მიწა გაუცხოებისგან, სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №3, 2014. გვ. 114-121.
14. არსებითი ხარვეზები კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, სოციალური ეკონომიკა- XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №3, 2014. გვ. 175-178.
15. დავიცვათ კონსტიტუცია გაყალბებისგან, სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №4, 2014. გვ. 154-162.
16. `SOUND MIND IN A SOUND BODY - EATING HEALTHY~, Annals of Agrarian Science, Vol 12, #2, 2014. gv. 66-69.

## II. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:

- 1) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, 5-ნივლისი, ბათუმი- ხიხანის ხეობა 2014;
  - ა) „ქართველთა კვების სისტემა და ხასიათი“, გვ. 273-277.
  - ბ) „სერვისული მენეჯმენტის როლი ტურისტულ ბიზნესში“, გვ. 181-186.
- 2) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – თანამედროვე მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა, 17-18 ოქტომბერი, 2014, „გადაწყვეტილების მიღების პრინციპები სერვისმენეჯმენტში“.
- 3) ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, I რეგიონული სიმპოზიუმი – „საკრუიზო ტურიზმი – მსოფლიო გამოცდილება და განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“, 30 აპრილი, 2014 წელი.
  - ა) „სერვისული მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“, გვ. 220-228.
  - ბ) „ლოჯისტიკური კონცეფციები და მათი გამოყენება საქართველოს პრაქტიკაში“, გვ. 256-260.
- 4) თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო - პრაქტიკული კონფერენცია – „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“, 27-28 ივნისი, 2014. „კოოპერაცია-სოფლად კრიზისის დაძლევის ყველაზე ეფექტური გზა“, გვ. 29-31.
- 5) ქუთაისის უნივერსიტეტი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „ეკონომიკა, ტურიზმი და საინფორმაციო ტექნოლოგიები“, 8-9 ნოემბერი, ქუთაისი-2014. „აშშ სოფლის მეურნეობის გაკვეთილები“, გვ. 67-72.
- 6) სტუ, საქართველოს საინჟინრო აკადემია. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო ეკონომიკური კონფერენცია, თემაზე: „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუმინ, დღეს, ხვალ“. „სახელმწიფო ვალდებულია დახმარება გაუწიოს გლეხობას“, ბიზნეს-ინჟინერინგი, №3, 2014. გვ. 38-43.

2014 წელს გამოქვეყნებული შრომები ძირითადად მიეძღვნა მიწისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხს, მის მარეგულირებელ კანონმდებლობას, ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილებას. რამდენიმე შრომა მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობასა და მისი კანონმდებლობის სრულყოფას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სტრატეგიის პრობლემებს. ასევე, აგრარული პოლიტიკის, სასურსათო უსაფრთხოების, ტურიზმისა და სერვისული მენეჯმენტის პრობლემებს, აგრარული წარმოების სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

### სარედაქციო (სამეცნიერო) კოლეგიის (საბჭოს) წევრობა, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების რედაქტორობა:

1. გ. მალაშხია – „უქმი ეკონომიკა“, „უნივერსალი“ 2014.
2. გ. მალაშხია – „დიდი ილია“ სტუ, თბ. 2014
3. ნ. ტურაბელიძე – „მიწათმოქმედება“ (აგრონომებისთვის), „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ. 2014.
4. პ. ლემუნჯავა – „ბუნების გამოყენების ეკონომიკა“, სტუ, თბ. 2014.
5. ი. პ. გუროვა – „მსოფლიო ეკონომიკა“ (ქართული რედაქცია), „დარბეგი“ თბ. 2014

6. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, სამეცნიერო – ანალიტიკური ჟურნალი.
  7. „ეკონომიკა“, სამეცნიერო ჟურნალი.
  8. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი.
  9. „ახალი ეკონომისტი“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი.
  10. „ახალი აგრარული საქართველო“, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი.
  11. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, სტუ, სამეცნიერო ჟურნალი.
  12. „სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, სამეცნიერო ჟურნალი.
  13. „საქართველოს ეკონომიკა“ სამეცნიერო – ანალიტიკური ჟურნალი.
- აკადემიის წ/კორესპონდენტმა პ. კოლუაშვილმა სტუ-ში წაიკითხა სალექციო კურსი – ბაკალავრებთან: “უძრავი ქონების ეკონომიკა”; ხელმძღვანელობს ექვს დოქტორანტსა და ერთ მაგისტრანტს.

### 6.5.3.8. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი



საანგარიშო პერიოდში, პროფ. გ. ნიკოლეიშვილის საქმიანობა ძირითადად მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებებით:

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა „თუთის მრავალმიზნობრივი გამოყენების მიზანშეწონილობა და ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოში; ოს მთისა და ბარის პირობებში“ (2014–2015 წ.წ), დამფინანსებელი საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (გრანტი AR/323/10–100/12);
  2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბრძანებით განხორციელებული საინვესტიციო პროგრამა „მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში“ (2015–2025 წწ).
  3. თუთის დაავადება ფოთლის სიხუჭუჭისადმი შედარებით გამძლე თუთის ორი ჯიშის გამოყვანა-გამოვლინება, დაპატენტება;
  4. სამეცნიერო შრომების (მონოგრაფია, სტატიები, ხუთი რეკომენდაცია და ა.შ.
  5. მიმდინარე საკითხები – რეცენზია, რეკომენდაცია, და ა.შ.
- წარმოდგენილი საგრანტო თემის მიზანია გააფართოოს თუთის სასარგებლო თვისებების გამოყენების არეალის სფერო და ჩაერთოს სოფლის მეურნეობის აღორძინების მდგრად სისტემაში. იგი გულისხმობს განსხვავებულ აგრო-ეკოლოგიურ პირობებში თუთის სარგავი მასალის მისადაგებელი მეთოდების მიზანშეწონილ გამოყენებას, ახალი ნარგაობის გაშენებას, მეაბრეშუმეობის სანედლეულო ბაზის გაძლიერებას, შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლის

მეცხოველეობაში არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების შესაძლებლობას და ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლას.

თემის სრულყოფილად დამუშავების მიზნით ფართომასშტაბიანი მუშაობა ჩატარდა, გამოიცა რეკომენდაციები-5, სტატიები-6, ერთი მონოგრაფია და მიღწევები უკვე იწერება წარმოებაში. ამასთან, ზოგიერთი თეორიული მასალა თუთის მცენარის ანატომია (ქუთაისური 1 და ქუთაისური 2) წარმატებით შესრულდა და საერთაშორისო აღიარებას ველით. განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგების მიხედვით მომზადდა ნიადაგი თუთის მრავალმიზნობრივი გამოყენების სრულყოფის, მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-აღორძინების, მეცხოველეობის საკვები ბაზის არატრადიციული საკვები (ნეკერი) უზრუნველყოფის, საკონდიტრო წარმოების ნედლეულით შევსებით (შესაძლებლობის ფარგლებში), ეროზიული მოვლენებისა და კატაკლიზმების უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება ორგანიზაციულად მისაღები და ეკონომიკურად გამართლებულია.

– მიმდინარე წელს, გ. ნიკოლეიშვილის საქმიანობაში მაინც განმსაზღვრელად მიგვაჩნია საინვესტიციო პროგრამა „ხონის რაიონში მეაბრეშუმეობის გადარჩენა–რეაბილიტაცია, განადგურებული საკვები ბაზის ეტაპობრივი აღდგენა, პარკის წარმოება და კუსტარული რეწვის მივიწყებული ტრადიციების აღდგენა“, რომელიც კონცეფციასთან ერთად განვლილ ოცდაათწლეულში ჩატარებული მუშაობის დამაგვირგინებელს წარმოადგენს. ამასთან, ქვემოთ აღნიშნული რეკომენდაციები და ინსტრუქცია ავსებს მეაბრეშუმეობის განვითარების მეცნიერულ სისტემას, რაც მოიწონა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და გადაეცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაციისათვის წარმოებაში დასანერგად.

–საანგარიშო პერიოდში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის გ. ნიკოლეიშვილის სახელზე (მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი №4(21) თაბახი 2014) გაცემული მცენარეთა ახალი ჯიშის რეგისტრაციის მოწმობა: №053 ქუთაისური 1 და №054 ქუთაისური 2; თარიღი 2014–07–30.

1) თუთის ჯიში „ქუთაისური 1“ სელექციონერი გ.ნიკოლეიშვილი, ლ.ნაცვლიშვილი, თ.დალალიშვილი.

ჯიში გამოვლენილია დაავადება ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელების ზონაში არსებული ნარგაობიდან მრავალჯერადი მკაცრი გამორჩევის გზით 1971–1974 წლებში გამრავლებულია კლონური სელექციით ერთწლიან თესლნერგებზე კვირტის მცნობით. საწარმოო გამოცდა გაიარა ზუგდიდისა და ოზურგეთის სელექციური მიღწევების დანერგვის სახელმწიფო პუნქტებში 1975–1983 წლებში. ტესტირების წლები 1985–1992 წწ.

რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, ჯიში ნაყოფმსხმოიარეა. ნაყოფი შავი, დაავადება სიხუჭუჭისადმი პრაქტიკულად მედეგია, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობაა 240–243 დღე.

ჯიში „ქუთაისური-1“ 17 წლის ასაკში 1 ჰა–ზე საშუალოდ იძლევა 82,5 ც ფოთლის მოსავალს. ჯიში ეტალონი ოშიმა–72,6 ც.

„ქუთაისური-2“ სელექციონერი: გ. ნიკოლეიშვილი, ნ. თვალჭრელიძე, თ დალალიშვილი. ჯიში გამოყვანილია დაავადება ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელების ზონაში არსებული ნარგაობიდან; მკაცრი საწარმოო გამოცდა გაიარა 1970–1975 წლებში. საკონკურსო სტაციონალური გამოცდა 1976–1984 წლებში, გამორჩეულია ფოთლის მოსავლიანობით და დაავადებისადმი გამძლეობის ნიშნით. ნაყოფმსხმოიარეა. კარგად ფესვიანდება. ტესტირების წლები: 1985–1992 წწ.

ჯიშმა ფართო საწარმოო გამოცდა გაიარა ზუგდიდისა და ოზურგეთის სელექციური მიღწევების დანერგვის სახელმწიფო პუნქტებში 1985–1992 წლებში. მავნებელ–დაავადებებისადმი ხასიათდება მაღალი პროდუქტიულობით. 17 წლის ასაკში 1 ჰა–ზე საშუალოდ იძლევა 108,9 ც. ფოთლის მოსავალს, ხოლო ჯიში ეტალონი “ოშიმა“ - 72,6 ც. ამასთან, საქართველოს სინამდვილეში გავრცელებული თუთის ჯიშებიდან, პირველი შემთხვევაა, როცა ანატომიური თვალსაზრისით აღნიშნული ჯიშები სრულყოფილად არის შესწავლილი თ. დალალიშვილის, ქ. მჭედლიძის მიერ.

2014 წელს პროფ. გ. ნიკოლეიშვილის მიერ გამოიცა:

1. მონოგრაფია „მეაბრეშუმეობა–შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია“. თბილისი 2014წ. 15 ნაბეჭდი თაბახი; თანაავტორი ე. შაფაქიძე.

წარმოდგენილმა ნაშრომმა, წარმატებულად შეავსო დარგისადმი მიძღვნილი მეტად ღარიბი ლიტერატურის ნაკლებობა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მეაბრეშუმეობის არსებული მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზი, ჩამორჩენის მიზეზების განსაზღვრა, არსებული რეზერვების გამოვლინება საბაზრო ურთიერთობათა გათვალისწინებით მეურნეობის ახალი ფორმების განვითარების ფონზე დარგის აღმავლობის უზრუნველსაყოფად, საჭირო ღონისძიებების დასახვა, დარგის კონცეფცია, საინვესტიციო ურთიერთკავშირის პრობლემების გაშუქება.

ნაშრომი შედგება შესავლის, რვა თავის, გამოყენებული ლიტერატურის და დანართისაგან. ამ უკანასკნელში თითქმის ყველა კატეგორიის მკითხველისათვის არის ხელმისაწვდომი დარგისადმი საინტერესო საცნობარო მასალები და სტატისტიკური მონაცემები.

პირველი და მეორე თავი ეხება საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების ისტორიას, მის ადგილსა და როლს ქვეყნის ეკონომიკაში, მესამე და მეოთხე თავი მოძღვნილია BACSA-ს დაფუძნებას და შემდგომი ექვსი საერთაშორისო



შეხვედრებს, ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას და ა.შ. ბოლო ოთხი თავი მიძღვნილია მეაბრეშუმეობის მაპროფილეზე დარგებთან შეთანწყობის, საკარმიდამო აღორძინების, მეაბრეშუმეობის საწარმოო პოტენციალისა და შემოდგომაზე (თავი 2) თუთის გაუხეშებული ფოთლის მეცხოველეობაში არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადება-გამოყენების პრობლემისადმი.

ნაშრომის მეოთხე თავის მეორე ქვეთავი „ქართველი მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზი“ (ბ. საკანდელიძე, თ. დალალიშვილი, ქ. მჭედლიძე, დ. შალამბერიძე, გ. ნიკოლეიშვილი) უაღრესად საინტერესოა. ამასთან საერთაშორისო ასპარეზზე გატანისათვის საინტერესოა „საქართველოს თუთის ჯიშების მორფოლოგიური და სამეცნიერო დახასიათება „თუთის ახალი ჯიშების, მორფოლოგიური ნაწილების ანატომიური სტრუქტურა „საქართველოს მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012–2025 წ.წ“ და ა.შ. აღნიშნული შრომების (ქართული, ინგლისური) გამოქვეყნებით დარგის ქართველმა მეცნიერებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

2. შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადება, შესაძლებლობა და ეკონომიკური ეფექტიანობა.

რეფერირებული ჟურნალი-აგრარული-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები 2014 წ. №1 გვ.51–56 თანაავტორობით.

3. რეკომენდაცია „შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერის) დამზადება და ეკონომიკური ეფექტიანობა“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი 2014 წ. რეკომენდაცია 15 გვერდი. თანაავტორობით.

რეკომენდაცია გამოქვეყნდა ქართულ და ინგლისურ ენაზე. ნაშრომი უაღრესად საინტერესოა. დასმული პრობლემა მეცნიერული თვალსაზრისით დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. ნაშრომი გაეგზავნა BACSA -ს პრეზიდენტს და მაღალი შეფასება მიიღო.

2015 წელს მოხსენდება BACSA-ს მე-7 საერთაშორისო კონფერენციას. მიღებული შედეგები უკვე ინერგება ქედის რაიონის სოფ. მერისში.

4. რეკომენდაცია-„თერმული წყლით გამთბარ სუბტრაქტი თუთის გამძლე ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა“. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი 2014 წ. 13 გვერდი. თანაავტორობით.

ნაშრომი ორიგინალური ხასიათისაა. ამ მეთოდით თუთის ნერგის წარმოება მცირდება 3 წლიდან 1 წლამდე, ხოლო თვითღირებულება 2,5-3,0- ჯერ.

5. მეაბრეშუმეობა მდგრადი სოფლის მეურნეობის სისტემაში. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია საერთაშორისო კონფერენცია. შრომათა კრებული. 2014 წ. გვ. 388-390. თანაავტორობით.

6. სტატია-ბუნებრივი თბილი წყლით გამთბარ ღია გრუნტში თუთის ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა. ჟ. „ახალი აგრარული საქართველო“ №12, 2014 წ. გვ.28-30,
7. რეკომენდაცია „პირველ ორ ასაკში თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვება და უპირატესობა ინდივიდუალურ გამოკვებასთან შედარებით“. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 2014 წ. 8 გვ. თანაავტორობით.
8. „თუთის ახალი ჯიშების ქუთაისური 1 და ქუთაისური 2-ს მცენარეთა მორფოლოგია და ანატომიური სტრუქტურა“. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი 2014 წ. მონოგრაფია 2 ნ.თ. თანაავტორობით.  
შრომა უაღრესად აქტუალურია. მოხსენდება ბაქსას VII საერთაშორისო კონფერენციას რუმინეთში 2015 წ.
9. მიმდინარე წელს რეცენზია გაკეთდა რამდენიმე ნაშრომს, მათ შორის აკად. ო.ქემელაშვილის წიგნს „ბიზნესური ეკონომიკა“, რომელიც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ გამარჯვებულად სცნო ეკონომიკის დარგში და ავტორს მიენიჭა წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება.  
რეცენზირება გაუკეთდა აგრევე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დასკვნისათვის გადმოცემულ ნ. კანდელაკის ნაშრომს „საქართველოს კანონი მებაზრეშუმეობის შესახებ“.  
თითქმის ორიათეული წელია გრძელდება წინამდებარე ნაშრომის განხილვა, მაგრამ უშედეგოდ. გ. ნიკოლეიშვილს მეოთხედ მოუხდა მისი რეცენზირება. ამიტომ ზოგიერთი მუხლის შეფასების შემდეგ, ჩამოყალიბდა გარკვეული შეხედულება, რაც ალბათ შეუწყობს ხელს მისი პარლამენტში გაგზავნას.  
არის ჟურნალ „აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიების“ რედაქციის წევრი და ასრულებს სხვა სამუშაოებს.  
ასრულებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული მებაზრეშუმეობის ეროვნული კოორდინატორის ფუნქციას, ხელმძღვანელობს დარგობრივ ჯგუფს, რომელსაც აქვს სამუშაო გეგმა, საქმიანობა მიმდინარეობს ნაყოფიერად.  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2010 წლის №04 ბრძანებით დამუშავებული „მებაზრეშუმეობის საინვესტიციო პროექტის მომზადების შესახებ“ საქართველოში მებაზრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წ.წ. და ზემოთ აღნიშნული საინვესტიციო პროექტი (2015-2025 წ.წ) პერიოდისათვის სრულად ასახავს დარგის რეაბილიტაცია-აღორძინების ღონისძიებათა სისტემას და ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამასთან რეკომენდაციები, ინსტრუქციები და სამეცნიერო შრომები ხელს უწყობს დარგის რეაბილიტაცია-აღორძინების დაჩქარებას.

**-მიზანშეწონილია 2015 წელს (სასურველია მარტი-აპრილი) ეკონომიკის და მონათესავე დარგობრივი განყოფილების სხდომაზე მოეწყოს საკითხის**

„მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცი-ა ალორძინების ღონისძიებათა სისტემა და წარმოებაში დანერგვა“ განხილვა.

-სასურველია აკადემიურმა საბჭომ მოინიშნოს საკითხი „შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) წარმოების როლი და მისი პრაქტიკულად განხორციელების მიმდინარეობა“. დაისვას საკითხისოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე.

მითითებული რეკომენდაციები, საინვესტიციო პროგრამა „მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში“ გავრცელდეს მეაბრეშუმეობის რაიონებში, გადაეცეს მეაბრეშუმეებს და სათანადო ახსნა-განმარტებითი საქმიანობა გაუწიონ ადგილობრივი პრესის, რადიოს საშუალებით.

სამინისტრომ, დასვას საკითხი მთავრობის წინაშე დარგის რეაბილიტაციის დაწყებიდან 7-10 წლის განმავლობაში უშუალოდ დარგი განთავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადებისაგან.



## აკადემიკოს ოთარ ზარდალიშვილის გახსენება

აკადემიკოსი ოთარ ზარდალიშვილი დაიბადა 1928 წელს 8 სექტემბერს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1947 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხადე-მევენახეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1952 წელს სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით.

ოთარ ზარდალიშვილმა 1973 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1980 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება, 1984 წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1992 წელს არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). მან ღირსეულად განვლო გზა რიგითი მეცნიერთანამშრომლიდან აკადემიკოსობამდე, სტუდენტობიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის აგროქიმიის კათედრის გამგეობამდე, სტუდენტების საყვარელ პედაგოგობამდე.

აკადემიკოსი ოთარ ზარდალიშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ნიადაგებში მიკროელემენტების სხვადასხვა ფორმების შესასწავლად. ეს მონაცემები საფუძვლად უდევს მის მიერ შედგენილ წვრილ და მსხვილ მასშტაბიან რუკებს. აღსანიშნავია, რომ მან პირველმა შეადგინა მიკროელემენტების შემცველობის კარტოგრამა. ასევე დიდი მუშაობა ჩაატარა მიკროელემენტების ეფექტიანობის დასადგენად, რის შედეგადაც დადგინდა მიკროსასუქების ეფექტიანობის პირობები. იგი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სწავლობდა აზოტის ბალანსს საქართველოს მიწათმოქმედებაში. აზოტის ბალანსის კვლევის პროცესში მიღებულმა მასალამ ასახვა პპოვა

მარცვლეული კულტურების აგროწესებში. ასევე მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა მან მწვანე სასუქების როლის დადგენას მიწათმოქმედებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომები, რომელშიც დადგენილია პარკოსანი კულტურების მიერ ატმოსფერული აზოტის ფიქსაციის კოეფიციენტი და მწვანე სასუქში შემავალი აზოტის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლები მომდევნო კულტურის მიერ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ო.ზარდალიშვილის შრომები, რომლებიც მიწათმოქმედების ძირითად კანონებს ეხება სასუქების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ შრომებში ნაჩვენებია თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედებაში არსებული ობიექტური კანონების დროულ შეცნობას და მათი მართვის დაუფლებას. სასუქების გამოყენება სწორედ ამ კანონთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკურ ზარალთან ერთად გამოუსწორებელ ზიანს მივაყენებთ გარემოს.

ზარდალიშვილს გამოქვეყნებული აქვს 185 სამეცნიერო შრომა, მათ შორის 10 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელო. იგი ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა.

წავიდა ქვეყნიდან აგრატიკოს მეცნიერთა კიდევ ერთი გამოჩენილი და ვალმოხდელი წარმონადგენელი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მოწაფეების, კოლეგების და მეგობრების გულეში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო**

## აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ღორჯომელაძის გახსენება



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ღორჯომელაძე დაიბადა 1955 წლის 15 მაისს ხულოს რაიონის სოფელ ღურტყაში, კოდმეურნის ოჯახში.

სოფლის 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ 1968 წელს შევიდა და 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური აგროტექნიკოსის სპეციალობით. 1977 წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (ქ. სოხუმი) სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1982 წელს. 1989 წელს მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1997 წელს სადოქტორო დისერტაცია. არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 2003 წელს კი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. სხვადასხვა დროს ოთარ ღორჯომელაძე მუშობდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის აჭარის საყრდენ პუნქტში უფროს ლაბორანტად, მეცნიერ მუშაკად, უფროს მეცნიერ მუშაკად, აჭარის კოოპერაციულ ინსტიტუტსა და ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტში დეკანად. 1998 წლიდან იგი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონალურ საკოორდინაციო-სამეცნიერო ცენტრში განყოფილების გამგეა. 1999 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად.

ცნობილია, რომ ეკოლოგიური მდგომარეობის თვალსაზრისით, საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემათა ნუსხაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და გადარეცხილი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რა თქმა უნდა, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება და ყოველმხრივ ხელშეწყობასა და წახალისებას იმსახურებს. ამ მიმართულებით მომუშავეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ოთარ ღორჯომელაძეს, რომელმაც თავისი საქმიანობა აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობას დაუკავშირა. ბატონ ოთარს ნიადაგის ეროზიისაგან დაცვისა და ბუნებათსარგებლობა-ეკოლოგიის პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომა და მრავალი ათეული საგაზეთო წერილი, რომელთა აქტუალობაც უდავოა, მათი სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულებები ძალზე მაღალია, ხოლო საგაზეთო წერილებში ასახული პრაქტიკული და კონკრეტული წინადადებები დიდად წაადგება არამარტო აჭარის, არამედ მთლიანად ჩვენი მთავორიანი ქვეყნის მიწათმოქმედებას.

წავიდა ამ ქვეყნიდან აგრარიკოს მეცნიერთა კიდევ ერთი წარმომადგენელი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულეში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიური საბჭო

## აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ კილასონიას გახსენება



აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ კილასონია დაიბადა 1936 წლის 22 სექტემბერს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, რის დამთავრების შემდეგ დატოვებული იქნა ინსტიტუტში და ინსტიტუტთან ერთად გადავიდა სოხუმში. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ეშერის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში განყოფილების გამგედ, წარმოებისაგან მოწყვეტით 1965-1968 წლებში სწავლობდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1968 წლიდან სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა კათედრის ლაბორანტად, უმცროს და უფროს მეცნიერ მუშაკად, უფროს მასწავლებლად, კათედრის დოცენტად, რექტორის მოადგილედ და ამავე ინსტიტუტის რექტორად. 2003 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ძირითადი აქცენტი მის მეცნიერულ საქმიანობაში გაკეთებულია სუბტროპიკულ კულტურებზე, კერძოდ დამუშავებულია და წარმოებაშია დანერგილი ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა კეთილშობილი დაფნის პლანტაციის გაშენების აგროტექნოლოგიის თავისებურებანი აფხაზეთის პირობებში. ძვირფასი სუბტროპიკული მერქნის მომცემი მცენარის— ბამბუკის კულტურის ინტენსიური ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები კოლხეთის დაბლობის პირობებში. ასევე შესწავლილ აქვს გერანის, ეგგენოლის, კამელიას, ღუფის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის საკითხები, ციტრუსოვანი ჰიბრიდებიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობის გადიდების გზები და სხვა.

განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ბამბუკის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიის დამუშავების საქმეში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. გ. კილასონიამ ამ კულტურაზე 20 წელზე მეტი ხნის ექსპერიმენტით დაადგინა, რომ ბამბუკის კულტურის სამრეწველო კორომები წარმატებით შეიძლება გაშენდეს დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობზე, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

გურამ კილასონიას დამუშავებული და სამეცნიერო შრომებში გამოქვეყნებული აქვს ბამბუკისა და დაფნის პლანტაციის გაშენებამდე ნიადაგის პირველადი დამუშავების ახლებური სისტემა, რომელიც უდიდეს ეკონომიას იძლევა. ასევე დადგენილი აქვს ბამბუკის ახალგაზრდა კორომებში ნიადაგის მოვლის პერსპექტიული მეთოდები. იგი ავტორია 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და სტატიის, რომელთა შორისაა ორი მონოგრაფია, ხუთი მეთოდური ხასიათის ლიტერატურა, ავტორია ხუთი გამოგონების.

წავიდა ჩვენგან სახელოვანი მამულიშვილი, მეცნიერი და ღირსებით აღსავსე პიროვნება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ კილასონიას ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი შთამომავლობის, მრავალრიცხოვან აღზრდილთა, კოლეგებისა და მეგობრების გულებში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიური საბჭო**

## აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ომარ (დავით) ბედიას გახსენება



საქართველოს აგრარიკოს მეცნიერებს 71 წლის ასაკში კიდევ ერთი შესანიშნავი მოქალაქე, გამორჩეული პიროვნება, აგროსაინჟინრო დარგის მეცნიერი, სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დიდი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი ინჟინერ-მექანიკოსი, კარგი მეოჯახე, მამა და ბაბუა, სამაგალითო სპორტსმენი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ (დავით) ბედია გამოაკლდა.

ომარ (დავით) ბედია დაიბადა 1943 წელს ქ. თბილისში. 1961 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 64-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1966 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

მთელი შეგნებული ცხოვრება ბატონმა დავითმ თავისი ქვეყნის წინსვლას და წარმატებებს მიუძღვნა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის აგროსაინჟინრო დარგის აღმშენებლობის საქმეში; შრომითი მოღვაწეობა დაიწყო სახელმწიფო ზონალურ მანქანათა საგამოცდო სადგურში რიგითი ინჟინრიდან ლაბორატორიის გამგებდე; მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში - მეცნიერების და პროპაგანდის სამმართველოში მთავარ ინჟინერ-მექანიზატორად, სახელმწიფო კომიტეტში “საქსახსოფლტექნიკის” უფროსად, კოლეგიის წევრად, შემდეგ საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ-მთავარ ინჟინრად; საინჟინრო კარიერა გააგრძელა “საქაგრომრეწვეში”-მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, რესპუბლიკურ გაერთიანება “სოფლტექსერვისის” თავმჯდომარედ. შემდეგ იგი ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის თანამდებობაზე. ბატონმა დავითმ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1979 წელს, ხოლო სადოქტორო – 1998 წელს და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო წოდება. 2004 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. კითხულობდა ლექციებს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში დისციპლინებში: “სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოცდა” და “შრომის დაცვა”. ხელმძღვანელობდა დოქტორანტს და იყო 20-მდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების ოპონენტი, 130-მდე სამეცნიერო შრომის, მათ შორის 2 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოს და 2 პატენტის ავტორი, დაჯილდოებული იყო სახელმწიფო წამახალისებელი ჯილდოებით და “ღირსების ორდენით”.

ბატონი დავითი წარსულში იყო შესანიშნავი სპორტსმენი, კალათბურთელი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი, რომელმაც 1962 წელს საკავშირო სპარტაკიადის უმაღლესი ჯილდო მოიპოვა. ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე იუტა პალმი, რომელმაც “ვეფხისტყაოსანი” თარგმნა ესტონურ ენაზე და შარავანდედით შემოსა ბალტიისპირეთში საქართველოს სახელი. დატოვა დიდებული ოჯახი შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების სახით.

სიცოცხლის ბოლო დღეებში ბატონი დათო ამზადებდა მასალებს აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარული დარგის წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების მოსაპოვებლად აგროინჟინერიის მიმართულებით, მაგრამ არ დაცალდა და მოულოდნელად უფალს მიაბარა თავისი სული.

წავიდა ჩვენგან ქვეყნისადმი ვალმოხდილი ადამიანი, სულით და ხორციით მექანიზატორი, კარგი მეცნიერი, ერთგული მეგობარი და თავისი ქვეყნის უანგარო პატრიოტი. ომარ (დავით) ბედიას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების, კოლეგების და მეგობრების გულებში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო..**